

პრიმინალისტიკა

I ტომი

კრიმინალისტიკის კურსის I ტომის ავტორები არიან:

დოც. ჯ.გახოკიძე – VI თავი

მასწავლებელი რ.გოგშელიძე – VII თავი

მასწავლებელი ვ.სიმონიშვილი – XI თავი

პროფ. ა.ფალიაშვილი – I, III, VIII, IX, X, XII, XIII, XIV, XV თავები

პროფ. შ.ფაფიაშვილი – IV თავი

პროფ. დ.ცინცაძე – V თავი

პროფ. რ.ჭოლოშვილი – II თავი

კრიმინალისტიკის კურსში საგამოძიებო, სასამართლო ორგანოებისა და საექსპერტო დაწესებულებების მიღწევების ააფუძველზე გაშუქებულია კრიმინალისტიკური მეთოდოლოგიის, ტექნიკის (ტომი I), ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის (ტომი II) აქტუალური საკითხები. ძირითადად გადმოცემულია მეცნიერებასა და პრაქტიკაში მყარად დადგენილი დებულებები. ამავე დროს მთელ რიგ სადაო საკითხებზე მოყვანილია ლიტერატურაში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრება.

კრიმინალისტიკის კურსში გათვალისწინებულია ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც განიცადა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ.

რედაქტორები: ა.ფალიაშვილი,

მ.ქურდაძე

რეცენზენტები: ო.ულენტი

ვ.ჯაოშვილი

გ.ივანიშვილი

რედაქტორებისაბან

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორიულ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მსმენელები, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული მუშაკები კრიმინალისტიკის საკითხებს უკანასკნელ დრომდე სწავლობდნენ პროფ. ბ.ხარაზიშვილის მიერ 1969 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძვანელოს მიხედვით.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული სახელმძვანელო ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, იგი უკვე ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა კრიმინალისტიკის ახალი სახელმძვანელოს მომზადება.

კრიმინალისტიკის კურსში საკითხები განხილულია მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობისა და კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამის შესაბამისად. კრიმინალისტიკის კურსის I ტომში გაშუქებულია კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია და კრიმინალისტიკური ტექნიკის საკითხები, კურსის II ტომში – კრიმინალისტიკური (საგამოძიებო) ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდის საკითხები.

კრიმინალისტიკის კურსში ფოტოილუსტრაციები გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიისა და ცენტრალური რესპუბლიკური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არქივიდან, აგრეთვე კრიმინალისტიკური ლიტერატურიდან.

გარდა სტუდენტებისა და ლექტორებისა კრიმინალ-ისტორიის კურსი დახმარებას გაუწევს აგრეთვე გამოძიების, პროკურატურის, სასამართლოსა და ადვოკატურის პრაქტიკულ მუშაკებს. ყველა საქმიან შენიშენას ავტორები გულდასმით განიხილავენ და გაითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში.

I ბანყოფილება

კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია

I თავი

კრიმინალისტიკის საბანი, სისტემა და ამოცანები

§ 1 კრიმინალისტიკის საბანი და თანამედროვე ამოცანები

თანამედროვე პირობებში კრიმინალისტიკა, დგას რა გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების სამსახურში. ხელს უწყობს იმას, რომ ყოველი ჩადენილი დანაშაული გაიხსნას სრულად, ობიექტურად და საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება.

კრიმინალისტიკის ამოცანა გამომდინარეობს და შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების ამოცანებს: დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა. დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა. რათა თითოეული დამნაშავე სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი).

კრიმინალისტიკა, კანონის ზუსტი და განუხრელი დაცვის საფუძველზე, გამოიყენებს მეცნიერულად დამუშავებულ ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებს და დანაშაულის გამოძიების რეკომენდაციებს, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებას, კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელ დაცვას, მართლმსაჯულების, საპროკურორო ზედამხედველობის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, დამნაშავეობის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლას, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და დანაშაულის წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრას.

აღნიშნულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნის კრიმინალისტიკურ მეცნიერებას, რომელიც მოწოდებულია შეიმუშავოს და დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების პრაქტიკაში დანერგოს მეცნიერულად დამუშავებული მეთოდები, ხერხები და საშუალებანი მტკიცებულებათა და დანაშაულის კვალთა აღმოჩენის, ფიქსირებისა

და გამოკვლევის დარგში, ხელი შეუწყოს გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლაში, უფრო მიზანსწრაფული, ორგანიზებული გახადოს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება და იმ პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრა, რაც იწვევს ან ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას.

ტერმინი "კრიმინალისტიკა" ლათინური სტყუაა "Criminalis" და ნიშნავს დანაშაულს, ე.ი. მეცნიერებას, რომელიც მოწოდებულია დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება არა მარტო კრიმინალისტიკა, არამედ სხვა მეცნიერებებიც, ამიტომ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი "კრიმინალისტიკა" იხმარება ორი მნიშვნელობით – ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით კრიმინალისტიკა მოიცავს ყველა იმ მეცნიერებას, რომლებიც მოწოდებულია დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად: სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინოლოგია, ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობა ა.შ. კრიმინალისტიკა ვიწრო გაგებით იხმარება როგორც მეცნიერება მტკიცებულებათა ეფექტური აღმოჩენის, ფიქსირებისა და გამოკვლევის კანონზომიერებათა, აგრეთვე ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდის შესახებ. კრიმინალისტიკა როგორც იურიდიული სასწავლო დისციპლინა ვიწრო გაგებით ისწავლება უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ფასიან სასწავლებლებში და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში.

კრიმინალისტიკა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასასრულს. მისი ფუძემდებელია ავსტრიელი კრიმინალისტი ჰანს გროსი. მან განსაზღვრა კრიმინალისტიკის საგანი, პირველმა შემოიღო ტერმინი "კრიმინალისტიკა", დაადგინა ამ მეცნიერების მიზნები და ამოცანები, განაზოგადა პრაქტიკა.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჰანს გროსამდე არ არსებობდა კრიმინალისტიკური მეცნიერების ჩანასახი. ჰანს გროსამდე ხდებოდა, მაგალითად, პიროვნების იდენტიფიკაცია თითის ანაბეჭდების მიხედვით (დაქტილოსკოპია), ხელნაწერების გამოკვლევა პიროვნების გაიგივების მიზნით, გამოიყენებოდა პიროვნების იდენტიფიკაცია გარეგნობის მიხედვით (სიტყვიერი პორტრეტი) და სხვა. ჰანს გროსის დამსახურებაა, როგორც კრიმინალისტიკური მეცნიერების ფუძემდებლისა, რომ მან სისტემაში მოიყ

ვანა ყოველივე რაც უკვე არსებობდა. მანვე პირველად იხმარა ტერმინი კრიმინალისტიკა შრომაში "კრიმინალისტიკის სისტემა როგორც სასამართლო გამოძიებლების სახელმძღვანელო", კერძოდ კი ამ შრომის მესამე გამოცემაში 1898 წელს.¹

ჰანს გროსს კრიმინალისტიკა მიაჩნდა სისხლის სამართლის დამხმარე მეცნიერებად, მაგრამ თვლიდა, რომ იგი დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც აყალიბებს და განსაზღვრავს დანაშაულის გახსნისა და ჩადენის საშუალებებს, მეთოდებსა და ხერხებს. ს.ნ.ტრეგუბოვი თავის ნაშრომში "სისხლის სამართლის ტექნიკის საფუძვლები" კრიმინალისტიკას თვლიდა დამხმარე მეცნიერებად სისხლის სამართლის პროცესის მიმართ.² ჰანს გროსისა და ს.ნ.ტრეგუბოვის გარდა კრიმინალისტიკის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა ბერტილიონის, ლოკარის, ბალტაზარის, ოტოლენგის, გალტონის, ბურინსკისა და სხვათა შრომებმა.

ის ფაქტი, რომ კრიმინალისტიკა თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც გამოყენებითი მეცნიერება ისეთი ფუნდამენტური მეცნიერებების მიმართ, როგორიცაა სისხლის სამართლის პროცესი და სისხლის სამართალი, სრულებითაც არ ამცირებდა კრიმინალისტიკის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული მეცნიერების როლს. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო სისხლისსამართლებრივი და საპროცესო ნორმების გამოყენება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ მას არ მოემსახურება ისეთი მეცნიერება, რომელიც შეიმუშავებს ეფექტურ ხერხებსა და საშუალებებს კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირებისა და გამოკვლევისათვის, ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდებს და რეკომენდაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ კრიმინალისტიკა წარმოადგენს გამოყენებით (დამხმარე), მაგრამ დამოუკიდებელ იურიდიულ მეცნიერებას, რომელიც ემსახურება სისხლის სამართლის პროცესს (ფუნდამენტური მეცნიერება) დანაშაულის ეფექტური გახსნის სფეროში.

¹ Г.Гросс, "Руководство для судебных следователей как система криминалистики", СПб., 1898.

² Трегубов С.Н. "Основы уголовной техники" (Научно-технические приемы расследования преступлений). Петроград, 1915, с.14.

ასეთი მოსაზრება გამოთქმულია კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში.³ კრიმინალისტიკის როგორც გამოყენებითი მეცნიერების წინააღმდეგია რ.ს.ბელკინი.⁴

კრიმინალისტიკა წარმოადგენს იურიდიულ მეცნიერებას, რადგან მისი ამოცანები და მიზნები ისეთივეა, როგორც სისხლის სამართლის პროცესისა: დანაშაულის გახსნა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეწყობა. ყველა ხერხი, მეთოდი, საშუალება, რომელსაც შეიმუშავენ და იყენებს კრიმინალისტიკა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ სასამართლოში საქმის განხილვის დროს ეფუძნება და გამომდინარეობს საპროცესო ნორმებიდან და არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მათ, მიუხედავად იმისა ეხებიან თუ არა ისინი კრიმინალისტიკურ ტექნიკას, ტაქტიკას, თუ ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკას.

პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრიმინალისტიკის ის ნაწილი, რომელსაც წარმოადგენს გამოძიების ტაქტიკა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა არის პროცესუალური დისციპლინა, პროცესის გაგრძელება ან სისხლის სამართლის პროცესის სპეცკურსი. ამრიგად იგი, როგორც იურიდიული დისციპლინა, შედის სისხლის სამართლის პროცესში. ხოლო კრიმინალისტიკის ის ნაწილი, რომელიც შეიმუშავენ ტექნიკურ საშუალებებს დანაშაულის გამოძიების მიზნით, ე.ი. კრიმინალისტიკური ტექნიკა, არის სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა.⁵

არასწორია ის დებულება, რომ კრიმინალისტიკა, როგორც ერთი მეცნიერება, გაყოფილია ორ ნაწილად, როგორც იურიდიული და როგორც მეცნიერულ-ტექნიკური მეცნიერება, იმის საფუძველზე, რომ კრიმინალისტიკა, კერძოდ კი კრიმინალისტიკური ტექნიკა დანაშაულის გახსნის მიზნით იყენებს სხვადასხვა მეცნიერების (საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა) მონაცემებს. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში არც ერთი მეცნიერება არ

³ Матусовский Г.А. Криминалистика в системе научных знаний, Харьков, 1976, с.10. 18-19; Криминалистика, 1980, изд. МГУ, с.3.

⁴ Белкин Р.С. Общая теория советской криминалистики, Саратов, 1986, с.116-117.

⁵ Строгович М.С. Курс советского уголовного процесса, т.1, М. 1968, с.102.

შეიძლება განვითარდეს იზოლირებულად, თუ იგი არ გამოიყენებს სხვა მეცნიერების მიღწევებს. მაგალითად, ეკონომიკური მეცნიერება იყენებს გამოთვლით მანქანებს, მედიცინა – სხვადასხვა ტექნიკურ ხელსაწყოებს, რენტგენის სხივებს, მაგრამ ამით ისინი არ ჰკარგავენ დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოიყენება ტექნიკური საშუალებები. მაგალითად: სასამართლო ფოტოგრაფია, რენტგენის, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი სხივები, ლითონმძებნი და სხვა, მაგრამ ისინი გამოიყენება იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რომ ყოველი ჩადენილი დანაშაული გაიხსნას სწრაფად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდეს დანაშაულის ჩადენის კვალი და დადგინდეს ჭეშმარიტება.

კრიმინალისტიკა იურიდიული მეცნიერებაა და მას დამოუკიდებელი ადგილი უკავია სხვა იურიდიულ მეცნიერებათა შორის. კრიმინალისტიკა ასევე არ წარმოადგენს პროცესის გაგრძელებას, მის შემადგენელ ნაწილს, რადგან პროცესისა და კრიმინალისტიკის შესწავლის საგანი სხვადასხვაა. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ კრიმინალისტიკა არის დამოუკიდებელი სამართლებრივი მეცნიერება.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრიმინალისტიკა არის მეცნიერება გამოძიების შესახებ. ასეთი განმარტება ზღუდავს კრიმინალისტიკური მეცნიერების მიღწევების გამოყენებას სასამართლოში საქმის განხილვის დროს. მართალია, კრიმინალისტიკური ხერხები და მეთოდები ძირითადად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს, მაგრამ ისინი გამოიყენება აგრეთვე სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა მარტო ტექნიკური ხელსაწყოების და საილუსტრაციო აპარატურის გამოყენებას სასამართლოში, არამედ კრიმინალისტიკური ხერხებისა და ტაქტიკური საშუალებების დანერგვას სასამართლოში საქმის განხილვის დროს, კერძოდ: დაკითხვის დროს (მოწმის, ჯანსაღელის, დაზარალებულის) ტაქტიკური ხერხების გამოყენებას, სხვადასხვა სასამართლო მოქმედებათა (ექსპერიმენტი, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაპირისპირება) ჩატარების დროს ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენებას, სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის დროს ტაქტიკური ხერხების დაცვას და ა.შ. კრიმინალის-

ტიკის ასეთი გაგება სწორად იყო შემოთავაზებული ლ.ე.აროცკერის მიერ.⁶ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც, რომელიც უარყოფს სასამართლოში კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენებას,⁷ რასაც ვერ დავეთანხმები. ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გამო.

ცოდნის გარკვეული დარგი მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება მეცნიერებად, როდესაც განაზოგადებს და შეისწავლის ემპირიულ მასალას და პრაქტიკას, განსაზღვრავს მეცნიერების მიზნებსა და ამოცანებს, მოცემული მეცნიერებისათვის შეიმუშავებს მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და მისთვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებს, სისტემატიზაციაში მოიყვანს არსებულ მასალას და შექმნის მოცემული საგნისათვის დამახასიათებელ სისტემას, განსაზღვრავს მის ადგილს სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა სისტემაში და ჩამოაყალიბებს მისთვის დამახასიათებელ პრინციპებსა და კანონზომიერებას. ამასთანავე ყოველი მეცნიერებისათვის შემუშავებული უნდა იყოს მისი შემეცნების ობიექტი და კვლევის საგანი. ყველა აღნიშნული ნიშნების ერთობლიობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ცოდნის გარკვეული დარგი მეცნიერებად ჩამოყალიბდეს.

კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელია შემეცნების ისეთი ობიექტი, რაც ადგენს და განსაზღვრავს კვალთა და მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების, ამოღებისა და გამოკვლევის კრიმინალისტიკურ კანონზომიერებებს, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკური ხერხების კანონზომიერებებს, ცალკეულ დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების რეკომენდაციათა კანონზომიერებებს. კრიმინალისტიკისათვის, როგორც მეცნიერებისათვის, დამახასიათებელი კანონზომიერებების შესწავლას პირველად ხაზი გაუსვა რ.ს.ბელკინმა ჯერ კიდევ 1967 წელს.⁸ კანონზომიერებათა დადგენა, განსაზღვრა და შესწავლა დამახასიათებელია კრიმინალისტიკისათვის იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რომ ყოველი ჩადენილი დანაშაული

⁶ Ароцкер Л.Е. Использование данных криминалистики в судебном разбирательстве. М. 1964.

⁷ Васильев А.Н., Яблоков Н.П. Предмет, система и теоретические основы криминалистики, М. изд. МГУ, 1984, с.42-47.

⁸ Криминалистика, М. 1967, с.3.

გაიხსნას სწრაფად და ოპერატიულად, რომ გამოძიება წარიმართოს ეფექტურად და მიზანსწრაფულად.

იმისათვის, რომ შემეცნებითმა მოღვაწეობამ თავის მიზანს მიაღწიოს, უნდა დადგინდეს კრიმინალისტიკური მეცნიერების კვლევის საგანი. კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში სამართლიანად არის გაბატონებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ მეცნიერების კვლევის საგანია ისეთი ტექნიკური ხერხები, ტაქტიკური საშუალებები და მეთოდური ხასიათის რეკომენდაციები, რაც საშუალებას გვაძლევს სისხლის სამართლის ყოველ საქმეზე დროის ნაკლები დახარჯვით, გეგმიურად და მიზანსწრაფულად დავადგინოთ ჭეშმარიტება.

კრიმინალისტიკური საშუალებები, როგორც კრიმინალისტიკის შესწავლის საგანი, არის ისეთი ტექნიკური ხასიათის მეთოდების შემუშავება, რომლებიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ უხილავი და ნაკლებად ხილვადი სხვადასხვა ხასიათის კვალი, მოვახდინოთ ამ კვალთა და მტკიცებულებათა ზუსტი, ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური ფიქსირება, მათი ამოღება და გამოკვლევა საექსპერტო დაწესებულებებში. ამ მიზნით გამოიყენება არა მარტო სპეციალური ხელსაწყოები და აპარატურა, არამედ მუშავდება ისეთი მეთოდები და საშუალებები, რომელთა გამოყენება და პრაქტიკაში დანერგვა სასურველ შედეგს იძლევა დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის.

ტაქტიკური ხერხები, როგორც კრიმინალისტიკის შესწავლის საგანი, არის ისეთი ტაქტიკური ხასიათის რეკომენდაციებისა და მეთოდების შემუშავება, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გეგმაზომიერად და ეფექტურად მოვახდინოთ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდთა, როგორც კრიმინალისტიკის შესწავლის საგანი, არის ისეთი მეთოდური ხასიათის რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ცალკეულ დანაშაულთა თავისებურებების გათვალისწინებით განვსაზღვროთ გამოძიების ეფექტური მეთოდები, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანმიმდევრობა, დავადგინოთ დანაშაულის ჩადენის მოტივი, ხერხი, მიზანი და სხვა გარემოებანი მიზანსწრაფულად და გეგმიურად საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

გარდა აღნიშნულისა კრიმინალისტიკის შესწავლის საგანს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა. რაც განსაზღვრავს კრიმინალისტიკის ადგილს სხვა მეცნიერებათა სისტემაში, კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელ სპეციალურ და კერძო მეთოდებს და სხვა ზოგად საკითხებს, რაც დამახასიათებელია მთლიანად კრიმინალისტიკისათვის.

ისე როგორც სხვა მეცნიერება კრიმინალისტიკა ვერ განვითარდება იზოლირებულად, სხვა მეცნიერებებთან კავშირის გარეშე, პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და სისტემატიზაციის გარეშე. იმისათვის, რომ შეიმუშავებული იყოს ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა-რეკომენდაციები. კრიმინალისტიკა ან უცვლელად იყენებს სხვა მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევებს, ან გადაამუშავებს მათ თავისი მიზნებისათვის, ანდა კრიმინალისტიკური მეცნიერების ფარგლებში შეიმუშავებს ახალ, ორიგინალურ ხერხებს, საშუალებებსა და მეთოდებს. კრიმინალისტიკური ტექნიკა იყენებს ისეთ მეცნიერებათა მიღწევებს, როგორებიცაა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერება, ფოტოგრაფია, ანატომია, ოპტიკა, უხილავი სხივები (რენტგენის, ინფრაწითელი, ულტრაიისფერი), ქიმია, ფიზიკური ქიმია, ფიზიოლოგია და სხვა. მაგალითად, კრიმინალისტიკა იყენებს რა სამხედრო მეცნიერებას — ბალისტიკას, ამ მეცნიერების საფუძველზე შეიმუშავებს გამოკვლევის ისეთ ორიგინალურ ხერხებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ტყვიის ან მასრის იდენტიფიკაცია, ან მათი ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრა. კრიმინალისტიკა იყენებს რა ანატომიას ადამიანის თითის კანის აგებულების შესახებ, პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით ახდენს თითის დერილოვანი სახეების კლასიფიკაციას, ადგენს დერილოვანი ხაზების ზოგად და კერძო ნიშნებს. კრიმინალისტიკამ გამოიყენა რა ზოგადი ფოტოგრაფიის ისეთი ნიშნები, როგორებიცაა გამოსახულების მიღება ზუსტად, სწრაფად, ობიექტურად, შეიმუშავება კრიმინალისტიკის ისეთი დარგები, როგორებიცაა სასამართლო ოპერატიული ფოტოგრაფია და სასამართლო კვლევითი ფოტოგრაფია. კრიმინალისტიკა იყენებს რა ფიზიოლოგიურ მეცნიერებას, კერძოდ კი ადამიანის ტვინში დინამიკური სტერეოტიპის ჩამოყალიბებას. ამის საფუძველზე სწავლობს ადამიანის ხელის ფორმირებას და ხელნაწერებისა და ხელმოწერების გამოკვლევის მეთოდებს.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა (საგამოძიებო ტაქტიკა) იყენებს რა ისეთ მეცნიერებათა მიღწევებს. როგორებიცაა ლოგიკა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ფსიქოლოგია, შეიმუშავებს მისთვის დამახასიათებელ ტაქტიკურ ხერხებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების, დაკითხვის ეფექტური წარმოებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების მიზანსწრაფულად და გეგმიურად ჩატარების მიზნით. მაგალითად, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მონაცემების და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე კრიმინალისტიკა განსაზღვრავს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკურ ხერხებს, დაკითხვის იმ ტაქტიკურ ხერხებს, რომელთა გამოყენება, ხშირ შემთხვევებში, საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დასაკითხი პირისგან სწორი და ობიექტური ჩვენება და ა.შ.

აღნიშნულ მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებისა და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე კრიმინალისტიკა შეიმუშავებს ისეთი მეთოდური ხასიათის რეკომენდაციებს, რაც საშუალებას გვაძლევს მიზანსწრაფულად და გეგმიურად ვაწარმოოთ საქმის გამოძიება და დავადგინოთ ჭეშმარიტება. მაგალითად, კრიმინალისტიკა იძლევა რეკომენდაციებს, თუ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს პირველ რიგში რა სახის საგამოძიებო მოქმედებანი უნდა ჩატარდეს და როგორი თანმიმდევრობით უნდა ჩატარდეს ისინი; რა საკითხები უნდა დადგინდეს ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების დროს და ა.შ.

სხვა მეცნიერებათა მიღწევების დანერგვა და საკუთარი მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შემუშავება კრიმინალისტიკური მიზნებისათვის არ არის საკმარისი. ყველა შემთხვევაში საჭიროა და აუცილებელი საგამოძიებო, საექსპერტო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკის შესწავლა და ჯანზოგადოება დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

პრაქტიკის შესწავლა და განზოგადოება უნდა ატარებდეს კონკრეტულ ხასიათს და ხდებოდეს გარკვეული მიზნით. პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე უნდა გაირკვეს და დადგინდეს: რა სახის კვალი და სად უნდა იყოს იგი დარჩენილი კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დროს; როგორ უნდა მოხდეს მათი ეფექტური აღმოჩენა და ამოღება; რა სახის გაყალბებას წავაწყდებით, მაგალითად, დოკუმენტების შესწავლის

დროს; დანაშაულის მზადების, ჩადენის და დაფარვის გზები და ხერხები; დანაშაულის ჩადენის იარაღი, საშუალება, მოტივი; დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის კრიმინალისტიკური დახასიათება; დანაშაულის ჩადენის ადგილი, დანაშაულის შედეგად მითვისებული საგნების, ნივთების, ფასეულობის სახეობა; ცალკეულ დანაშაულთა ჩადენის ტიპიური (დამახასიათებელი) ნიშნები; ბინაში შეღწევის ხერხები და მეთოდები; ჯგუფური და ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის ხერხები და ა.შ.

მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დანერგვა და პრაქტიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს შევიმუშავოთ ეფექტური ხერხები, საშუალებები და მეთოდები. კრიმინალისტიკაში შემუშავებული ყოველი ტექნიკური საშუალება, ტაქტიკური ხერხი, ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდები და რეკომენდაციები უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. ისინი უნდა იყოს კანონიერი, ე.ი. შეესაბამებოდეს საპროცესო ნორმებს და გამომდინარეობდეს კანონიდან. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლის პრინციპებს. ყოველი ხერხი, საშუალება, მეთოდი უნდა იყოს შემოწმებული, აპრობირებული, მეცნიერულად და მეთოდოლოგიურად დამუშავებული. ყველა მათგანი უნდა შეესაბამებოდეს მორალურ ნორმებს, არ უნდა ამცირებდეს ადამიანის პიროვნებასა და ღირსებას, არ უნდა იყოს საშიში პიროვნების ჯანმრთელობისათვის, უნდა გამორიცხავდეს ძალადობას, სიცრუეს, უსაფუძვლო დაპირებებს. ყველა მათგანი უნდა იყოს ობიექტური, სრულყოფილი და ეფექტური. მათი პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება ხელს უნდა უწყობდეს საქმის გარემოებათა ობიექტურ და სრულყოფილ დადგენას, უნდა განაპირობებდეს გამოძიების გეგმიურად, ორგანიზებულად და მიზანსწრაფულად ჩატარებას.

კრიმინალისტიკის შესწავლის საგნის გარკვევა-დადგენაც საკმარისი არ არის იმისათვის, რომ განვმარტოთ კრიმინალისტიკური მეცნიერების არსი. ამისათვის საჭირო და აუცილებელია განისაზღვროს კრიმინალისტიკის, როგორც სპეციალური იურიდიული მეცნიერების, ამოცანა და მიზანი.

რამდენადაც კრიმინალისტიკა არის გამოყენებითი მეცნიერება ისეთი ფუნდამენტური მეცნიერებისადმი, როგორცაა სისხლის სამართლის პროცესი, იგი ისახავს ისეთი ამოცანის მიღწევას, რასაც სისხლის სამართლის პროცესი, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა არის

უფრო ფართო და გლობალური ცნება, ვიდრე კრიმინალისტიკისა (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანებს შორის არ შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობანი. კრიმინალისტიკის კონკრეტული ამოცანაა ხელი შეუწყოს დანაშაულის სწრაფ და სრულ გახსნას და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, ზოგ შემთხვევაში, უსაფუძვლოდ აიგიავენ კრიმინალისტიკის ამოცანას და კრიმინალისტიკის საგანს ან კრიმინალისტიკის ამოცანას და კრიმინალისტიკის მიზანს. მაგალითად, ლ. გუმაშვილს მიაჩნია, რომ კრიმინალისტიკის ამოცანაა სამართლებრივი ნორმების საერთო მოთხოვნათა საფუძველზე შეიმუშავოს კონკრეტული მეთოდები, ტაქტიკური ხერხები და ტექნიკური საშუალებანი.⁹ როგორც უხეშოთ აღვნიშნეთ ტაქტიკური ხერხები, ტექნიკური საშუალებები და კონკრეტული მეთოდები არის კრიმინალისტიკის შესწავლის საგანი და არა ამოცანა. ზოგ შემთხვევაში კრიმინალისტიკის ამოცანის ნაცვლად ნახმარია ტერმინი "მიზანი". მაგალითად, ზოგიერთ სახელმძღვანელოში კრიმინალისტიკის მიზნად დასახულია დანაშაულის გახსნა და თავიდან აცილება.¹⁰ კრიმინალისტიკის ამოცანის შესახებ უკვე აღვნიშნეთ: დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა და მისი თავიდან აცილება. რაც შეეხება კრიმინალისტიკის მიზანს ისიც უნდა დავუკავშიროთ საპროცესო სამართალს და კერძოდ მტკიცებულებით სამართალს, რომელთანაც კრიმინალისტიკას მეტად მჭიდრო კავშირი აქვს. ამრიგად, კრიმინალისტიკის მიზანია მიღწეულ იქნას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. ჭეშმარიტების დადგენა არის ის მიზანი, რასაც ისახავს კრიმინალისტიკური ტექნიკა, ტაქტიკა, ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა და მთლიანად კრიმინალისტიკა.

კრიმინალისტიკის მიზანთან დაკავშირებულია დანაშაულის გახსნის ცნება. ტერმინი "დანაშაულის გახსნა" პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში სამი გაგებით იხმარება: ერთ შემთხვევაში დანაშაულს გახსნილად თვლიან, როდესაც გამომძიებელი გამოიტანს დადგენილებას

⁹ ლ. გუმაშვილი, საბჭოთა კრიმინალისტიკის საგანი, „საბჭოთა სამართალი“, 1980, №6, გვ. 25. ასეთვე აზრია გამოთქმული კრიმინალისტიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოშიც. იხ. მაგალითად: Криминалистика, т. I, изд. Академии МВД, М. 1978, с. 15.

¹⁰ Криминалистика, М. 1973, с. 5; Криминалистика, Ленинград, 1976, с. 1

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მეორე შემთხვევაში დანაშაული გახსნილად ითვლება მას შემდეგ, როდესაც პროკურორი დაამტკიცებს საბრალდებო დასკვნას და საქმეს სასამართლოში წარმართავს. მესამე შემთხვევაში დანაშაულის გახსნას უკავშირებენ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს.

რამდენადაც კრიმინალისტიკის მიზანია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, ხოლო ჭეშმარიტება კი დგინდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, ტერმინს "დანაშაულის გახსნა" ვხმარობთ მესამე გაგებით, კერძოდ, დანაშაული გახსნილად ითვლება, როდესაც სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევა.

ამრიგად, კრიმინალისტიკის ცნებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები: იგი არის სპეციალური სამართლებრივი მეცნიერება; ადგენს და სწავლობს იმ კანონზომიერებებს, რაც დაკავშირებულია კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენასთან, ფიქსირებასთან, გამოკვლევასა და გამოყენებასთან; სწავლობს ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხების გამოყენებისა და ცალკეული დანაშაულის გამოძიების მეთოდის კანონზომიერებებს; ყოველი ტექნიკური საშუალება, ტაქტიკური ხერხი, ცალკეული დანაშაულის გამოძიების რეკომენდაციები უნდა ეყრდნობოდეს და გამომდინარეობდეს საპროცესო კანონის მოთხოვნიდან; კრიმინალისტიკა დინამიკური მეცნიერებაა, იგი ვითარდება არა მარტო კრიმინალისტიკის ფარგლებში, არამედ იყენებს სხვა მეცნიერებების (ტექნიკის, საბუნებისმეტყველო, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ფიზიკა, ქიმია) მიღწევებს; კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში სისტემატურად ხდება საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება; კრიმინალისტიკის ამოცანაა ხელი შეუწყოს დანაშაულის სწრაფ, სრულყოფილ, ყოველმხრივ და ობიექტურ გახსნას და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას; კრიმინალისტიკის მიზანია ხელი შეუწყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

კრიმინალისტიკის ცნების განსაზღვრა მრავალჯერ იყო შემოთავაზებული კრიმინალისტების მიერ. სახელმძღვანელოს ფარგლებში შეუძლებელია ყველა მათგანზე შეჩერება, მაგრამ მივუთითებთ, რომ შედარებით სრული და სწორი განმარტება თავის დროზე მოცემული იყო ა.ი.ვინბერგის

მიერ 1950 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში.¹¹ რ.ს.ბელკინის დამსახურებაა, რომ მან მოგვცა კრიმინალისტიკის შედარებით სრული განმარტება და მიუთითა კანონზომიერებათა შესწავლაზე.¹² კრიმინალისტიკის ცნების განმარტებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ა.ნ.ვასილევმა, ს.პ.მიტრიჩევმა, მ.პ.შალამოკმა, ნ.ა.სელივანოვმა და სხვებმა.¹³ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში კრიმინალისტიკის ცნების განმარტებას სტატია მიუძღვნა ლ.გუმაშვილმა.¹⁴ ბ.ხარაზიშვილმა კრიმინალისტიკის ცნების განმარტება მოგვცა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში.¹⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ კრიმინალისტიკა არის სპეციალური იურიდიული მეცნიერება, რომელიც საპროცესო ნორმების საფუძველზე და შესაბამისად სწავლობს კვალთა და სხვა მტკიცებულებათა ეფექტური აღმოჩენის, ფიქსირების, გამოკვლევისა და გამოყენების კანონზომიერებებს, აგრეთვე ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებს და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდებს, დანაშაულის ორგანიზებულად, მიზანსწრაფულად გახსნის, მისი აცილებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

კრიმინალისტიკა არის სასწავლო დისციპლინა. იგი ისწავლება უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, იურიდიულ ინსტიტუტებში, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების უმაღლეს სპეციალურ სკოლებში და სამხედრო აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე. დასახელებულ უმაღლეს სასწავლებლებში კრიმინალისტიკა ისწავლება სხვადასხვა მოცულობით, უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკურობის გათვალისწინებით. კრიმინალისტიკის შესწავლის მიზანია მისცეს სტუდენტებს სრულყოფილი და ყოველმხრივი წარმოდგენა კრიმინალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე, რითაც ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ამავე მიზანს ემსახურება კრიმინალისტიკის საგანში პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარება და ამ საგანში სპეცკურსის შემოღება.

¹¹ Криминалистика, М. 1950, ч.1, с.4.

¹² Криминалистика, М. 1967, с.3.

¹³ Р.С.Белкин, Общая теория советской криминалистики, Саратов, 1986, с.6-55.

¹⁴ ლ.გუმაშვილი, საბჭოთა კრიმინალისტიკის საგანი, „საბჭოთა სამართალი“, 1980, №6, გვ. 19-28.

¹⁵ ბ.ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 1969, გვ.16.

კრიმინალისტიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის, აღმზრდელობითი მნიშვნელობა ისაა, რომ სტუდენტებს დამნაშავეობასთან ბრძოლის დროს ჩაუნერგოს კანონისადმი პატივისცემა, გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვისას საპროცესო ნორმების ზუსტი და განუხრელი დაცვა. ამავე დროს კრიმინალისტიკის კურსის შესწავლა სტუდენტებს უქმნის იმის რწმენას, რომ თანამედროვე პირობებში, ტექნიკური რევოლუციის დროს, ძნელია დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა, თუ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები არ იქნება დანერგული.

§ 2 კრიმინალისტიკის სისტემა

კრიმინალისტიკის სისტემა გულისხმობს ამ საგნის პრობლემათა და საკითხთა თანმიმდევრულ და ორგანულად შერწყმულ განლაგებას. კრიმინალისტიკის სისტემა პასუხობს კითხვაზე, თუ რა პრობლემებს და საკითხებს შეისწავლის იგი და როგორი თანმიმდევრობით არის ეს პრობლემები განლაგებული კრიმინალისტიკის კურსში.

კრიმინალისტიკის კურსის სისტემის საკითხი სხვადასხვაგვარად იყო გადაწყვეტილი. თავდაპირველად კრიმინალისტიკის კურსი იყოფოდა ორ ნაწილად: კრიმინალისტიკური ტექნიკა (სისხლის სამართლებრივი ტექნიკა) და ტაქტიკა (ი.ნ.იაკიმოვი). 1929 წელს ვ.ი.გრომოვმა გამოაქვეყნა შრომა "დანაშაულის გამოძიების მეთოდთა" (კერძო მეთოდთა), რომელიც განხილული იყო როგორც კრიმინალისტიკის ცალკე, დამოუკიდებელი მესამე განყოფილება. ამრიგად, 30-იან წლებში კრიმინალისტიკის კურსი იყოფოდა სამ ნაწილად: კრიმინალისტიკური ტექნიკა, გამოძიების ტაქტიკა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდთა.

შემდგომში დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ კრიმინალისტიკის კურსი, ისე როგორც სხვა სამართლებრივი კურსები, დაყოფილიყო ორ ნაწილად: ზოგადი და განსაკუთრებული (კერძო). ამ სისტემის შესაბამისად იყო აგებული 1952 წლამდე გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოები. 1958 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო ისევ სამი ნაწილისგან შედგებოდა, რომელსაც დაემატა მეოთხე ნაწილი – კრიმინალისტიკის კურსის შესავალი თემა.

1981 წლის კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამის შესაბამისად კრიმინალისტიკის კურსის სისტემა მოიცავდა ოთხ განყოფილებას: 1) კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია, 2) კრიმინალისტიკური ტექნიკა, 3) საგამოძიებო ტაქტიკა, 4) დანაშაულის ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდოლოგია. კრიმინალისტიკის კურსის ასეთი სისტემატიზაცია უფრო სრულად ასახავს კრიმინალისტიკის საგნის შესასწავლ პრობლემათა თანმიმდევრობას, ურთიერთკავშირსა და ორგანულ შერწყმას. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ უმჯობესია კრიმინალისტიკის კურსის დაყოფა ორ შემადგენელ ნაწილად: ზოგადი და განსაკუთრებული.¹⁶

კრიმინალისტიკის პირველი განყოფილება კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია განიხილავს ისეთ ზოგად პრობლემებსა და საკითხებს, რაც დამახასიათებელია და ეხება კრიმინალისტიკის მთელ კურსს. ასეთ პრობლემებს მიეკუთვნება: კრიმინალისტიკის საგანი, სისტემა და ამოცანები; საერთო მეცნიერული და კრიმინალისტიკის სპეციალური მეთოდები; კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია; მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ; საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის გახსნაში; გამოძიებისა და სამძებრო-ოპერატიული ორგანოების ურთიერთკავშირი დანაშაულის გახსნის პროცესში; კრიმინალისტიკის განვითარების ისტორია.

კრიმინალისტიკური ტექნიკა, როგორც ამ საგნის დამოუკიდებელი განყოფილება, ჩამოყალიბდა კრიმინალისტიკის კურსის სხვა განყოფილებებზე ადრე და თავდაპირველად იწოდებოდა სისხლისსამართლებრივ ტექნიკად. კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყენებს იგი მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, დანაშაულის თავიდან აცილებაში და კრიმინალისტიკური გამოკვლევების (ექსპერტიზის) ჩატარების პროცესში. გარდა აღნიშნულისა კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენების ეფექტურობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის სერიოზული შესწავლა და სისტემატური განზოგადება.

კრიმინალისტიკური ტექნიკა არის საპროცესო კანონებზე დაფუძნებული სამეცნიერო-ტექნიკური ხერხების, საშუალებების, მეთოდების

¹⁶ შ. ფაფიაშვილი, დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგიის ცნება, „საბჭოთა სამართალი“, 1986, №6, გვ. 27-28.

ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების, გამოყენებისა და გამოსაკვლევად დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილებისათვის.

კრიმინალისტიკური ხერხები, საშუალებები და მეთოდები ჯერ ერთი, გამოიყენება გამომძიებლის და ოპერატიული მუშაკის მიერ გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა შესრულებისას. მეორეც, ისინი გამოიყენება ექსპერტის მიერ საექსპერტო გამოკვლევის პროცესში და ასევე – სპეციალისტის მიერ საგამომძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარებაში მონაწილეობის დროს.

კრიმინალისტიკური ტექნიკური ხერხები, საშუალებები და მეთოდები, რომელთა გამოყენება არ წარმოადგენს სირთულეს და არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და მომზადებას, გამოიყენება გამომძიებლისა და მომკვლევ პირის მიერ. ასეთებს მიეკუთვნება, მაგალითად, საგამომძიებო ჩემოდნის (პორტფელის), ოპერატიული ხელჩანთის გამოყენება კვალთა აღმოჩენისა და ფიქსირების მიზნით, შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება, გეგმებისა და სქემების შედგენა, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის გამოყენება და სხვა. თუ გამომძიებელს, მომკვლევ პირს არ შეუძლია ამ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, იგი ამ მიზნით მოიწვევს სპეციალისტს. რთული ხასიათის ტექნიკური ხერხები, საშუალებები და მეთოდები გამოიყენება ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ სხვადასხვა სახის საექსპერტო გამოკვლევის დროს. მაგალითად, უხილავ სხივებში (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი, რენტგენის) გამოკვლევა ტარდება ქიმიური წესით ამოშლის დადგენის შემთხვევაში, სხეულში ან საგანში ლითონის საგნებისა და ნაწილაკების აღმოჩენის მიზნით და სხვა. საექსპერტო გამოკვლევის თავისებურებათა გათვალისწინებით კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დაყენებული იყო ექსპერტიზის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების საკითხი – სასამართლო ექსპერტოლოგიის სახით.¹⁷

კრიმინალისტიკური ტექნიკა, როგორც კურსის დამოუკიდებელი განყოფილება (ნაწილი) ჯერ ერთი, შეისწავლის ისეთ ზოგად საკითხებს, რომლებიც დამახასიათებელია მთლიანად კრიმინალისტიკური ტექნიკისათ-

¹⁷ Винберг А., Малаховская Н., Судебная экспертиология – новая отрасль науки, "Социалистическая законность", 1973, N 11, с.49.

ვის და შემდგომ უკვე იხილავს კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეულ დარგებს. ამრიგად, კრიმინალისტიკური ტექნიკა შეისწავლის პრობლემებს 'შემდეგი თანამიმდევრობით: კრიმინალისტიკური ტექნიკის საფუძვლები; სასამართლო ფოტოგრაფია; ტრასოლოგია (მოძღვრება კვალითა შესახებ); სასამართლო ბალისტიკა; ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა; დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა; პიროვნების გაიგივება გარეგნობის ნიშნების მიხედვით; სისხლის სამართლის (ანუ კრიმინალისტიკური) რეგისტრაცია.

კრიმინალისტიკური ტექნიკის ყველა ხერხი, საშუალება, მეთოდი უნდა გამომდინარეობდეს საპროცესო კანონმდებლობიდან და შეესაბამებოდეს პროცესის პრინციპებს. კრიმინალისტიკური ტექნიკის ზოგიერთი ხერხისა და საშუალების გამოყენება ასახულია საპროცესო კანონში და აქვს საარეკომენდაციო ხასიათი. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 179-ე მუხლში ნათქვამია, რომ "საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი დათვალიერების დროს აწარმოებს დათვალიერების ადგილის ან ცალკე ობიექტის გაზომვას, ფოტოგრაფირებას, კინოგადაღებას, ადგენს გეგმებსა და სქემებს, ამზადებს კვალის ტვიფარსა და ანაბეჭდს".

საგამომძიებო ტაქტიკა, როგორც კრიმინალისტიკის დამოუკიდებელი განყოფილება თავდაპირველად ჩამოყალიბდა დამნაშავეთა დაკავებისა და საგამომძიებო მოქმედებათა ეფექტურად განხორციელების მიზნით. საგამომძიებო ტაქტიკის შექმნას და განვითარებას საფუძვლად უდევს ისეთი მეცნიერებების მიღწევების გამოყენება საგამომძიებო და სასამართლო ორგანოთა მოღვაწეობაში, როგორებიცაა ლოგიკა, ფსიქოლოგია, ეთიკა და ამ ორგანოთა პრაქტიკის სისტემატური განზოგადება. ყოველი ტაქტიკური ხერხი და მეთოდი, რომელსაც შეიმუშავენ კრიმინალისტიკური მეცნიერება უნდა უფუძნებოდეს და გამომდინარეობდეს საპროცესო კანონის მოთხოვნიდან, ოსინი არ უნდა ლახავდნენ პიროვნების ღირსებას, პატივს და არ უნდა იყოს საშიში პიროვნების ჯანმრთელობისათვის.

საგამომძიებო ტაქტიკა, როგორც კრიმინალისტიკის ერთ-ერთი დამოუკიდებელი განყოფილება, არის საპროცესო კანონზე დაფუძნებული ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საგამომძიებო, სასამართლო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა

ეფექტური ჩატარებისათვის, აგრეთვე დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების გეგმაზომიერად და მიზანსწრაფულად მიღწევისათვის.

ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენების სუბიექტს წარმოადგენს მოსამართლე, მომკვლევ, გამომძიებელი და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების შემსრულებელი პირი. ყოველი ტაქტიკური ხასიათის ხერხი, მეთოდი და რეკომენდაცია გამოიყენება იმ მიზნით, რომ ნაკლები დროის დახარჯვით ეფექტურად ვაწარმოოთ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელება, გეგმაზომიერად და მიზანსწრაფულად ვებრძოლოთ დანაშაულის გახსნას და მის თავიდან აცილებას.

სისხლის სამართლის პროცესი ადგენს და განსაზღვრავს საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესუალურ წესს. საგამომძიებო ტაქტიკა კი, გამომდინარეობს რა კანონით დადგენილი წესიდან, შეიმუშავებს ისეთ ხერხებს და მეთოდებს, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს საგამომძიებო მოქმედებათა (ჩხრეკა, ამოღება, ექსპერიმენტი, დაკითხვა, დაპირისპირება, ამოცნობა და სხვა) ეფექტურ ჩატარებას, გამოძიების ორგანიზებულად და გეგმიურად წარმართვას და დანაშაულის სწრაფად და ოპერატიულად გახსნას.

მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი ადგენს ბრალდებულის დაკითხვის წესს, მაგრამ, როგორი ტაქტიკური ხერხები უნდა გამოვიყენოთ, რომ ბრალდებულთან დავამყაროთ სწორი ფსიქოლოგიური კონტაქტი, მივიღოთ მისგან სრული და ობიექტური ჩვენება, ამ საკითხს სწავლობს საგამომძიებო ტაქტიკა.

საგამომძიებო ტაქტიკის მიერ შემუშავებული ზოგიერთი ხერხი და მეთოდი შემდგომში გადაიქცა პროცესუალურ წესად და გათვალისწინებულია კანონით, როგორც დამოუკიდებელი საგამომძიებო მოქმედება. მაგალითად: ამოსაცნობად წარდგენა (მუხლი 162-ე), საგამომძიებო ექსპერიმენტი (მუხლი 183-ე), ნიმუშების მიღება შედარებითი გამოკვლევისათვის (მუხლი 186-ე). აღნიშნული განაპირობებს კრიმინალისტიკისა და სისხლის სამართლის პროცესის ურთიერთ დამოკიდებულებასა და მჭიდრო კავშირს. საგამომძიებო ტაქტიკა ჯერ შეისწავლის ისეთ ზოგად საკითხებს, რაც დამახასი-

ათებელია საგამოძიებო ტაქტიკისათვის მთლიანად, შემდგომ კი განიხილავს ცალკეულ დარგებს.

ამრიგად, საგამოძიებო ტაქტიკა შეისწავლის პრობლემებს შემდეგი თანმიმდევრობით: საგამოძიებო ტაქტიკის ზოგადი საკითხები; გამოძიების ორგანიზება და დაგეგმვა; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა; საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა; ჩვენების ადგილზე შემოწმების ტაქტიკა; ჩხრეკისა და ამოღების წარმოების ტაქტიკა; დაკითხვის ტაქტიკა; ამოსაცნობად წარდგენის ტაქტიკა; ექსპერტიზის ჩატარების ტაქტიკა.

დანაშაულის ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდთა, როგორც კრიმინალისტიკის ერთ-ერთი დამოუკიდებელი განყოფილება, სპეციალურ ლიტერატურაში გამოხატულია სხვადასხვა ტერმინით: "კრიმინალისტიკური მეთოდთა", "დანაშაულის სახეების გამოძიებისა და თავიდან აცილების მეთოდთა", "კერძო მეთოდთა", "დანაშაულის გახსნის მეთოდთა". ყველა ეს ტერმინი ერთი არსის გამოხატველია, კერძოდ: შემუშავებული იყოს ისეთი მეთოდური ხასიათის დებულებები და რეკომენდაციები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ცალკეული დანაშაულის ჩადენის თავისებურებების გათვალისწინებით, დროის ნაკლები დახარჯვით, ეფექტურად და მიზანსწრაფულად მოვახდინოთ ჩადენილი დანაშაულის გახსნა, დანაშაულის თავიდან აცილება, ხელი შევუწყოთ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

დანაშაულის გამოძიების დროს გამოიყენება არა მარტო მეთოდური ხასიათის დებულებები და რეკომენდაციები, არამედ ტექნიკური საშუალებანი, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები. ყოველივე ის, რაც ზემოთ იყო თქმული, თავის გამოხატულებას პოულობს კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისა და თავიდან აცილების დროს.

დანაშაულის ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდური ხასიათის დებულებები და რეკომენდაციები უნდა ემყარებოდეს და გამომდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი და საპროცესო კანონის ნორმებიდან, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ. მეთოდური ხასიათის დებულებები და რეკომენდაციები შემუშავებული უნდა იყოს არა მარტო მეცნიერების საფუძველზე, არამედ საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლისა და სისტემატური განზოგადების საფუძველზე, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვამქლავნოთ ცალკეული სახის დანაშაულთა (ქურდობა, მკვლელობა,

მექრთამეობა და ა.შ.) ჩადენის თავისებურებები, დანაშაულის ჩადენის ხერხები და საშუალებები, მისი ჩადენის მიზანი, მოტივი, დანაშაულის კვალის დაფარვის ხერხები და სხვა თავისებურებანი. მაგალითად, მკვლელობის საქმეთა გამოძიების მეთოდთა არსებითად განსხვავდება მექრთამეობის საქმეთა გამოძიების მეთოდისგან. ამ თავისებურებათა დადგენა და მათი გათვალისწინებით კონკრეტული სახის დანაშაულის გამოძიება საშუალებას გვაძლევს მივალწიოთ სასრველ შედეგს: ეფექტურად და მიზანსწრაფულად გავხსნათ და თავიდან ავიცილოთ კონკრეტული სახის დანაშაული.

ცალკეულ დანაშაულთა სახეების გამოძიების მეთოდთა არის სისხლისსამართლებრივი და საპროცესო კანონებზე დაფუძნებული მეთოდური ხასიათის დებულებებისა და რეკომენდაციების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის თავისებურებათა გათვალისწინებით და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისათვის.

ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდთა ჯერ შეისწავლის ისეთ ზოგად საკითხებს, რომლებიც დამახასიათებელია ყველა სახის დანაშაულის გამოძიებისათვის (საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანამიმდევრობის განსაზღვრა; საკითხები, რომლებიც უნდა დადგინდეს კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით; დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება; პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სახეები და სხვა) და შემდეგ ადგენს კონკრეტულ დანაშაულთა გახსნის მეთოდური ხასიათის დებულებებსა და რეკომენდაციებს.

ამრიგად, კრიმინალისტიკის მეოთხე განყოფილება – ცალკეულ დანაშაულთა სახეების გამოძიების მეთოდთა – სწავლობს პრობლემებს შემდეგი თანამიმდევრობით: დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის ზოგადი დებულებები; დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება; სახელმწიფო და კოლექტიური ქონების გატაცების გამოძიების მეთოდთა; მკვლელობის გამოძიების მეთოდთა; გაუპატიურების საქმეთა გამოძიების მეთოდთა; შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდთა; ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღური თავდასხმის საქმეთა გამოძიების მეთოდთა; თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების გამოძიების მეთოდთა; საგზაო მოძრაობის უშიშროების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდთა; ხანძარსაწი-

ნააღმდეგო უსაფრთხოების წესების დანაშალებრივი დარღვევისა და ხანძართა საქმეების გამოძიების მეთოდოლოგია.

ცალკეულ დანაშაულთა სახეების გამოძიების მეთოდოლოგია და მისი სისტემა არ არის დოგმა, იგი შეიძლება გაფართოვდეს იმ გაგებით, რომ შეისწავლოს სხვა სახის დანაშაულთა გამოძიების მეთოდოლოგიაც. მაგალითად, შესაძლებელია სასწავლო პროგრამის შესაბამისად შესწავლილი იყოს ისეთ ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდოლოგია, როგორებიცაა: ხულიგნობა, ადრე ჩადენილ გაუხსნელ საქმეთა გამოძიების მეთოდოლოგია, საჰაერო ხომალდის გატაცების საქმეთა გამოძიების მეთოდოლოგია და ა.შ.

ასევე შეიძლება ითქვას კრიმინალისტიკური ტექნიკისა და საგამოძიებო ტაქტიკის შესახებაც.

§ 3 კრიმინალისტიკის ადგილი სხვა

მომიჯნავე იურიდიულ დისციპლინათა სისტემაში.

კრიმინალისტიკა როგორც იურიდიული მეცნიერება და დისციპლინა მჭიდროდაა დაკავშირებული კრიმინალისტიკური დარგის სხვა მეცნიერებებთან. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა ადგილი უკავია კრიმინალისტიკას სხვა მომიჯნავე იურიდიულ სასწავლო დისციპლინათა სისტემაში იგი უნდა შევადაროთ მომიჯნავე დარგებს, განვსაზღვროთ რა აერთიანებს მათთან და რით განსხვავდება კრიმინალისტიკა სხვა იურიდიულ სასწავლო დისციპლინებისაგან.

კრიმინალისტიკა როგორც მეცნიერება და სასწავლო იურიდიული დისციპლინა მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პროცესთან, სისხლის სამართალთან, კრიმინოლოგიასთან, საპროკურორო ზედამხედველობასთან, შრომა-გასწორებით სამართალთან, ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობასთან, სამოქალაქო სამართლის პროცესთან, სასამართლო მედიცინასთან, სასამართლო ფსიქიატრიასთან და სასამართლო ფსიქოლოგიასთან.

ა) კრიმინალისტიკა და სისხლის სამართლის პროცესი. ყველაზე მჭიდრო კავშირი კრიმინალისტიკას აქვს სისხლის სამართლის პროცესთან, რომელთაც აკისრიათ ერთი ამოცანა: დანაშაულის სრული, სწრაფი და ოპერატიული გახსნა და ერთი მიზანი – საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. ამ ზოგადი მითითების გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი კრიმინალისტიკური ხერხი, მეთოდი, საშუალება, რეკომენდაცია უნდა

ემყარებოდეს პროცესუალურ კანონს, უნდა შეესაბამებოდეს პროცესუალურ პრინციპებს და უნდა გამომდინარეობდეს პროცესუალურ ნორმათა მოთხოვნებიდან.

კრიმინალისტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის პროცესის ისეთ დარგთან, როგორცაა მტკიცებულებითი სამართალი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალისტიკა თავდაპირველად ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში და შემდგომ გამოეყო მას როგორც დამოუკიდებელი იურიდიული მეცნიერება. კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართლის პროცესს შორის მჭიდრო კავშირს განსაზღვრავს ისიც რომ მთელი რიგი ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რომლებიც შემუშავებული იყო კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ, შემდგომში აისახა საპროცესო კანონში და მიიღო საპროცესო კანონის სტატუსი. ასეთ საგამოძიებო მოქმედებებს მიეკუთვნება, მაგალითად: ამო საცნობად წარდგენა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემთხვევის ადგილზე გაყვანა, ნიშნუშების მიღება შედარებითი გამოკვლევისათვის. ისეთი ტექნიკურ-საშუალებების გამოყენება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს, როგორებიცაა: ფოტოგრაფია, კინოგადაღება, მაგნიტოფონი, კვალის ტვიფარის და ანაბეჭდის დამზადება შემთხვევის ადგილზე და სხვა.

ამავე დროს კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართლის პროცესს შორის არის არსებითი ხასიათის განსხვავებაც. სისხლის სამართლის პროცესი განსაზღვრავს და ადგენს გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესუალურ წესს. საპროცესო სამართლის ნორმები არეგულირებენ იმ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს სამართალდამცავი ორგანოების სუბიექტებს შორის და მათ ურთიერთობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან. მისგან განსხვავებით კრიმინალისტიკა ადგენს და განსაზღვრავს იმ კანონზომიერებებს, რაც დაკავშირებულია სამართალწარმოებაში ტექნიკური საშუალებების ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების შემუშავებასთან და გამოყენებასთან.

მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი ადგენს მტკიცებულებათა მიღების წესს. კრიმინალისტიკა კი, სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით, ადგენს იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა გამოყენების საფუძველზე

შეიძლება ადვილად და ეფექტურად იყოს აღმოჩენილი უხილავი ან ნაკლებად ხილვადი კვალი ან სხვა მტკიცებულება; კრიმინალისტიკა ადგენს, თუ როგორ უნდა იყოს კვალი გადატანილი, ვთქვათ, ლაქტილოფირზე და შეფუთული ისე, რომ იგი არ დაზიანდეს, როგორ უნდა იყოს გამოკვლეული კვალი (კრიმინალისტიკური ექსპერტიზა) და როგორ უნდა მოხდეს კვალის მეშვეობით პიროვნების, თუ საგნის იდენტიფიცირება (გაიგივება).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი განსაზღვრავს ჩხრეკისა და ამოღების წესს. კრიმინალისტიკა კი, სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით, ადგენს, თუ რა მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს ჩხრეკისა და ამოღების წარმოებამდე. რა სახის ტექნიკური საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული ჩხრეკის და ამოღების დროს, ტაქტიკურად როგორ უნდა დაიწყოს და ჩატარდეს ჩხრეკა და სხვა.

ყოველივე აღნიშნულიდან იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართლის პროცესს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, მაგრამ არის არსებითი ხასიათის სხვაობაც. მათი შესწავლის საგანი სხვადასხვაა.

ბ) კრიმინალისტიკა და სისხლს სამართალი. კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართალს შორის გარკვეული კავშირი არსებობს იმ ამოცანათა მისაღწევად, რასაც სისხლის სამართალი ისახავს (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლი). ელემენტარული გაგებით სისხლის სამართალი განსაზღვრავს, თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედება ან უმოქმედობა ითვლება დანაშაულად. ადგენს დანაშაულის კვალიფიკაციას, აწესებს სასჯელს და მისი გამოყენების პირობებს. კრიმინალისტიკა აღნიშნულ საკითხებს არ სწავლობს, არამედ იყენებს მათ დანაშაულის ოპერატიულად გახსნისა და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

კრიმინალისტიკა, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ადგენს, განსაზღვრავს იმ რეკომენდაციებს და მეთოდური ხასიათის დებულებებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულის გამოძიების დროს, ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად ადგენს და განსაზღვრავს პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანმიმდევრობას.

მაგალითად, თუ საქმე გვაქვს ქურდობიასთან კრიმინალისტიკა განსაზღვრავს, რომ ამ შემთხვევაში პირველდაწყებით და გადაუღებელ მოქმედებას მიეკუთვნება: პირადი ჩხრეკა (მოპარული საგნების და ფასეულობათა აღმოჩენის მიზნით); შემთხვევის ადგილის დათვალიერება; მნახველი პირებისაგან ახსნა-განმარტების მიღება; ბინის ჩხრეკა და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი იყო გვამი, კრიმინალისტიკა ადგენს. თუ რა ზოგადი ვერსიები უნდა იყოს აგებული და შემოწმებული (ადგილი ქქონდა მკვლელობას, თვითმკვლელობას, თუ უბედურ შემთხვევას) და ა.შ.

გ) კრიმინალისტიკა და კრიმინოლოგია. ისევე როგორც კრიმინოლოგიის, კრიმინალისტიკის ამოცანაა დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და აღმოფხვრა. მაგრამ ამ ამოცანათა შესრულების და მიღწევის გზები სხვადასხვაა. კრიმინოლოგიის შესწავლის საგანია დანაშაულის მდგომარეობის, მისი დინამიკის, მიზეზებისა და პირობების დადგენა და დამნაშავეების თავიდან ასაცილებლ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის დასახვა და გატარება. კრიმინალისტიკა კი, კრიმინოლოგიისგან განსხვავებით, არ შეისწავლის პრობლემას მთლიანად. არამედ შეიმუშავებს იმ კონკრეტული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და პირობების გარკვევას და მათ თავიდან აცილებას კონკრეტული საქმის გამოძიება-განხილვასთან დაკავშირებით.

მაგალითად, ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შეიძლება დადგინდეს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების დადგომას ხელს უწყობდა სამუხრუჭო მექანიზმის კონსტრუქციული ხასიათის ნაკლოვანება. ამ ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით ექსპერტი თავის დასკვნაში (ან ცალკე ცნობით) აუწყებს შესაბამისი თანამდებობის პირს არსებული კონსტრუქციული დეფექტის გამოსწორების შესახებ.

საკეტების კრიმინალისტიკური გამოკვლევის შედეგად, მაგალითად, ექსპერტი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ მათი გაღება და საცავეებში შეღწევა არ წარმოადგენს სირთულეს საკეტების გაღების სიმარტივის გამო. ასეთ შემთხვევაში ექსპერტი გამოთქვამს თავის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ კონკრეტულ წინადადებებს, რითაც ახორციელებს კრიმინალისტიკის წინაშე დასმულ ამოცანას – კონკრეტული დანაშაულის თავიდან აცილებას.

დ) კრიმინალისტიკა და საპროკურორო ზედამხედველობა.

კრიმინალისტიკა და საპროკურორო ზედამხედველობას შორის გარკვეული კავშირი არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მეცნიერებას სხვადასხვა ამოცანა აკისრია.

გამოძიებისას კანონთა შესრულებისადმი ზედამხედველობის გაწევის დროს პროკურორი ყოველთვის საქმის კურსში უნდა იყოს, დანაშაულის სწრაფი და ოპერატიული გახსნის მიზნით გამოიყენება თუ არა კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდური ხასიათის რეკომენდაციები. კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გამოიყენება აგრეთვე პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განხორციელების პროცესშიც. კერძოდ იმ დროს, როდესაც პროკურორი საერთო ზედამხედველობის წესით შეისწავლის კანონების დარღვევისა და მის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს, საკუთრების მოვლა-პატრონობისა და დაცვის საკითხებს და ა.შ.

საპროკურორო ზედამხედველობის საგანს არ შეადგენს კრიმინალისტიკური ხასიათის რეკომენდაციების შემუშავება, იგი იყენებს კრიმინალისტიკის მიერ უკვე შემუშავებულ ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებს, მეთოდებსა და რეკომენდაციებს თავის მიზნის მისაღწევად, რაც ჯანაპირობებს კრიმინალისტიკისა და საპროკურორო ზედამხედველობას შორის ურთიერთკავშირს.

ე) კრიმინალისტიკა და სასჯელ-აღსრულებითი სამართალი.

სასჯელის აღსრულების დროს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, აგრეთვე მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და აღზრდის პროცესში ახალი დანაშაულის ჩადენის პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული ტექნიკური საშუალებები: მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაქცევის აღკვეთისათვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებისა და დანაშაულის ჩადენის კვალთა და მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირებისა და დამაგრებისათვის.

ყველა ტექნიკური საშუალება და ტაქტიკური ხერხი, რომლებიც გამოიყენება განაჩენის აღსრულების დროს, შემუშავებულია არა შრომა-უპასწორებითი სამართლის, არამედ კრიმინალისტიკის მიერ. ეს ორი

სამართლებრივი მეცნიერება უკავშირდება ერთმანეთს, მიუხედავად მათი სხვადასხვა ამოცანებისა და მიზნებისა.

ვ) კრიმინალისტიკა და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი.

ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა საკითხები თავდაპირველად მუშავდებოდა კრიმინალისტიკური მეცნიერების ფარგლებში. მაგრამ ამჟამად იგი გამოეყო კრიმინალისტიკას, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული ცოდნის დარგი. პრაქტიკაში მჭიდრო კავშირი არსებობს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას შორის, კომპლექსურ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს. ე.წ. "ცხელი" კვალის მიხედვით.

ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების დროს კვალის აღმოჩენის, დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენის, მისი დაძებნისა და დაკავებისას გამოიყენება კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს დანაშაულის გახსნას. დანაშაულის ჩამდენი პირის ოპერატიულად დადგენას და პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ეფექტურ დასახვასა და გატარებას. მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი არ წარმოადგენს პროცესუალურ მოღვაწეობას (პროცესუალური კანონი ამ მოქმედებებს არ არეგლამენტებს). ის, როგორც კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები, ისინიც უნდა გამომდინარეობდეს პროცესუალური კანონიდან, შეესაბამებოდეს პროცესუალურ პრინციპებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელებას ბევრ შემთხვევაში საფუძვლად უდევს კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული საშუალებები, ხერხები, მეთოდები და რეკომენდაციები და ეს ორი დარგი ვითარდება ურთიერთკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ მათი შესწავლის საგანი სხვადასხვაა.

ზ) კრიმინალისტიკა და სამოქალაქო სამართლის პროცესი.

კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული მონაცემები გამოიყენება არა მარტო სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება-განხილვის დროს, არამედ სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის პროცესშიც. კერძოდ, სამოქალაქო დავების გადაწყვეტის დროს და სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლოში განხილვისას გამოიყენება კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული

ზული დაკითხვის ტაქტიკური ხერხები, ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა. ჯოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოკვლევის სხვადასხვა საშუალებები. რაც აკავშირებს ორი მეცნიერების დარგს მიუხედავად მათი სხვადასხვა ამოცანებისა და მიზნებისა.

კრიმინალისტიკა ურთიერთკავშირშია აგრეთვე ისეთ დამხმარე დისციპლინებთან, როგორებიცაა სასამართლო მედიცინა, სასამართლო უსიქიატრია, ფსიქოლოგია და სასამართლო ბუღალტერია. ამ სახის ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამომძიებელი და სასამართლო გამოიყენებენ კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებულ ტაქტიკურ ხერხებს ნიმუშების შედარებითი გამოკვლევის მიღებასთან დაკავშირებით. პროფილაქტიკურ-კამათურთხილებელ წინადადებათა წამოყენებისას ექსპერტის დასკვნაში დაიხვეა.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს ამ დარგებსა და კრიმინალისტიკას ჰორის ურთიერთკავშირზე, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ და ოპერატიულ გახსნას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

კრიმინალისტიკის ადგილის გარკვევა სხვა მომიჯნავე იურიდიულ დისციპლინათა სისტემაში საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კრიმინალისტიკის კავშირი და სხვაობა მომიჯნავე დარგებთან, რაც ხელს უწყობს კონტრუდენტებს კრიმინალისტიკის ათვისებაში.

II თავი

კრიმინალისტიკის საერთო და სპეციალური მეთოდები

თითოეულ ცალკე მეცნიერებას გააჩნია თავისი მისთვის დამახასიათებელი მეთოდი, რაც უდავოდ განპირობებულია ამ მეცნიერების პრაქტიკული და თეორიული საქმიანობით. არც კრიმინალისტიკა არის გამონაკლისი, ვინაიდან კრიმინალისტიკას როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს შემუშავებული აქვს მთელი რიგი მეთოდები, რომლებიც ეყრდნობიან რა პრაქტიკული მასალების გაანალიზებას, ეფექტურად გამოიყენება იურიდიული მეცნიერების სხვა დარგებშიდაც.

ცნობილია, რომ პრაქტიკა წარმოგვიდგება ყოველგვარი თეორიის შემფასებლად, მის კრიტერიუმად და მათ შორის შემეცნების თეორიისაც. შემეცნების მეთოდის საშუალებით საფუძველი ეყრება და ყალიბდება სხვადასხვა მეთოდებიც, რაც შემდგომ გამოიყენება მეცნიერებათა ცალკეული დარგების მიერ. საერთო მეცნიერულ მეთოდებს შორის, რომლებიც გამოიყენება კრიმინალისტიკაში, წარმოადგენს: დაკვირვება, გაზომვა, შედარება, ექსპერიმენტი და ა.შ. გარდა საერთო მეცნიერული მეთოდებისა, კალკეული მეცნიერების დარგებს გააჩნიათ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სპეციალური მეთოდებიც. მათ ჩვენ ვუწოდებთ სპეციალურს იმიტომ, რომ გააჩნიათ "მოქმედების შეზღუდული სფერო". ასეთებს მიეკუთვნება სპექტრული ანალიზის და ლაზერული ტექნიკის მეთოდები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპეციალური მეცნიერული მეთოდებია ქიმიის, ფიზიკის და ა.შ. ისინი წარმატებით გამოიყენება კრიმინალისტიკაში, სხვადასხვა სახის კრიმინალისტიკური ექსპერტიზების ჩატარების დროს. თვით კრიმინალისტიკასაც გააჩნია სპეციალური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტექნიკის, და მეთოდის საკითხთა დამუშავებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ საერთო მეცნიერული მეთოდისაგან იზოლირებულად აღებული ცალკეული სპეციალური მეთოდები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. მაგალითად, ცნობილია რომ გამოსაკვლევი ობიექტის საიდენტიფიკაციო ნიშნები, რაც მეცნიერულად არის დამუშავებული, ამავე დროს ემორჩილება დიალექტიკის საერთო კანონებსაც. ამიტომ ცოდნა კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის

მეთოდებისა, დიალექტიკური მეთოდების ცოდნის გარეშე შეუძლებელია. რადგან ვერ ავხსნით თუ რატომ იცვალა სახე გამოსაკვლევმა ობიექტმა.

დიალექტიკური მეთოდის გამოყენება ნახულობს ასახვას ასევე საგამოძიებო ტაქტიკის მეთოდების რეალიზების შემთხვევაშიც. ამ დროს მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ მოვლენების, ფაქტების შესახებ დიალექტიკური ურთიერთკავშირი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა ცალკეული დანაშაულებრივი ქმედების შეფასებისას.

ვხებით რა საერთო მეცნიერულ და კრიმინალისტიკის სპეციალურ მეთოდებს, არ შეიძლება არ შევეხოთ ფორმალური ლოგიკის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას, რადგან ფორმალური ლოგიკა მოიცავს აზროვნების ფორმებს. ამ მეცნიერული მეთოდის გამოყენება კრიმინალისტიკაში განსაკუთრებით დიდია საგამოძიებო ტაქტიკის და მეთოდის სწორად დამუშავებისა და შეფასებისათვის. გარდა ამისა კრიმინალისტიკა წარმატებით იყენებს ფორმალური ლოგიკის ისეთ მეცნიერულ მეთოდებს. როგორცაა: ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ანალოგია, ჰიპოთეზა, განზოგადოება, სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია. ასევე კრიმინალისტიკაში როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგში გამოყენებას პოულობს აზროვნების ფორმები: გაგება, განსჯა, პრობლემა, იდეა, თეორია და ა.შ.

ამდენად რთული არ არის იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ფორმალური ლოგიკის მეთოდების გამოყენებას კრიმინალისტიკაში. ისინი გამოიყენება როგორც კრიმინალისტიკური პრობლემების, ასევე სპეციალური მეთოდების და რეკომენდაციების შემუშავებაშიც. მაგალითად, შემეცნების ჰიპოთეზური მეთოდი საფუძვლად უდევს საგამოძიებო ვერსიების გამოყენებას, მის ახსნას და შეფასებას. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოძიების მეთოდის სრულყოფისა და განვითარების საქმეში სტრუქტურულმა და ფუნქციონალურმა მეთოდებმა, რომლებიც ეყრდნობიან რა დიალექტიკური ლოგიკის დებულებებს, ამავე დროს ეფექტურად გამოიყენება დანაშაულის გახსნის დროს.

კრიმინალისტიკა როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი თავის განვითარებას და სრულყოფას პოულობს იმ მეთოდების გამოყენებაში, რომლებიც საერთომეცნიერულ მეთოდებად იწოდებიან. ძნელი წარმოსადგენია ბალისტიკის, სასამართლო ფოტოგრაფიის, დაქტილოსკოპიის, გამოძიე-

ბის მეთოდის მნიშვნელოვანი თეორიული საკითხების დამუშავება და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი რეალიზება ისეთი საერთო მეცნიერული მეთოდების გამოყენების გარეშე, როგორცაა: დაკვირვება, გაზომვა. აღწერა, შედარება, ექსპერიმენტი, მოდელირება და სხვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები არ შეიძლება მექანიკურად გადმოვიტანოთ კრიმინალისტიკაში. მათ გამოყენებას გააჩნია თავისებურებანი გამოკვლევის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. მაგალითად ადამიანის ხელის თითების ქარგების თვისებების ახსნა, რასაც დაქტილოსკოპია შეისწავლის. ეყრდნობა კანის ქარგების ბიოლოგიურ სწავლებას, იმდენად რამდენადაც ბიოლოგიური მეცნიერება ხსნის ქარგების წარმოშობისა და მისი თვისებების თავისებურებებს. დაქტილოსკოპია არ წარმოადგენს ბიოლოგიურ მეცნიერებას. იგი შეისწავლის მხოლოდ ადამიანის ხელის თითზე არსებული ქარგების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციას.

ექსპერიმენტალური მეთოდი გამოიყენება ბირთვული ფიზიკის მიერ, მაგრამ ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება ასევე კრიმინალისტიკაში. საყურადღებოა, რომ ბირთვული ფიზიკა და კრიმინალისტიკა მეცნიერებების სხვადასხვა დარგებია და განსხვავდებიან არა მარტო მოცულობით და გამოკვლევის ამოცანებით, არამედ იმ პირობებითაც რომლებშიდაც ექსპერიმენტალური მეთოდი გამოიყენება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კანონმდებლობის მიერ ზუსტად რეგლამენტირებულია საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება და ჩატარება. ეს საკანონმდებლო ნორმა არსებითად განსხვავდება ბირთვულ ფიზიკაში დანერგილი ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებისაგან. განვიხილოთ ზოგიერთი საერთომეცნიერული მეთოდები:

დაკვირვება. დაკვირვება უშუალო აღქმას საგნისა ან მოვლენისა. იგი ფართოდ გამოიყენება კრიმინალისტიკაში, კერძოდ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადოების, საექსპერტო გამოკვლევის, საგამოძიებო მოქმედებათა და სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებების გატარების დროსაც. დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს ორი საშუალებით: ვიზუალურით და ტექნიკური ხერხების გამოყენებით (მიკროსკოპი, ოპტიკური ხელსაწყოები, ელექტროტექნიკა, ელექტრო-ოპტიკური ხელსაწყოები, რენტგენული დანადგარები, ულტრახმოვანი ზონდირების საშუალებანი, ლაზერული ტექნიკა და სხვა). დაკვირვებამ ფართო გამოყენება ჰპოვა საგამომძიებლო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში.

გაზომვა. გაზომვა წარმოადგენს სხვადასხვა სივრცობრივი და მოცულობების შეცნობის მეთოდს. სივრცე და დრო სამყაროს არსებობის ფორმებია. სამყაროს შეცნობაა აზროვნების და საზოგადოების კანონზომიერების შესწავლა, რაც შეუძლებელია რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის გარეშე. ასევე შეუძლებელია დანაშაულის კვალის გამოკვლევა და მეცნიერული დამუშავება განზომილების გარეშე. ამიტომ, განზომილების, როგორც საერთო მეცნიერული მეთოდის შემდგომი განვითარება ხელს უწყობს კრიმინალისტიკის განვითარებასაც. ტრადიციული სახაზავი და ცირკული დღემდე რჩება გაზომვის საშუალებათა არსენალში, მაგრამ თანამედროვე საექსპერტო გამოკვლევები ითხოვენ სხვა, უფრო განსაკუთრებულ მგძნობიარე, ზუსტ და უფრო საიმედო ხელსაწყოებს, რომლებსაც შეეძლებათ გამოკვლევა არა მარტო მოლეკულურ, არამედ ელემენტარული ნაწილაკების დონეზედაც.

აღწერა. აღწერაში ნახულობს ასახვას ურთიერთკავშირი საგნებისა და მოვლენებისა. ეს მეთოდი კი ფართოდ გამოიყენება კრიმინალისტიკაში მაგალითად, ადამიანის აღწერის დროს გარეგანი ნიშნების მიხედვით, ფეხ, ავტომანქანის და ტყვიის კვალის აღწერის დროსაც. აღწერის ფორმები და საშუალებანი სხვადასხვაგვარია. ისინი შეიძლება იყოს ზეპირი და დაფიქსირებული. უკანასკნელი ხორციელდება არა მარტო წერილობითი სახით (მაგალითად აღწერა კრიმინალისტიკური ობიექტებისა საპროცესო აქტებში, კატალოგებში და კარტოტეკებში და ა.შ.), არამედ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (ხმისჩამწერი აპარატურით). აღწერის ფორმებს და საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება საექსპერტო პრაქტიკულ საქმიანობაში ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა დროს, გააჩნიათ თავისებურება, რომელიც განპირობებულია საპროცესო კანონმდებლობით.

შედარება. შედარება ძალიან ფართოდ გამოიყენება კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის დროს. იდენტიფიკაციის ამოცანის გადაჭრა მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებით ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ამიტომ საჭირო ხდება შედარების პროცესში გამოვიყენოთ სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, კერძოდ: შესადარებელი მიკროსკოპი, ფოტოგრაფიული, ელექტროოპტიკური და სხვა საშუალებები.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს შედარების მეთოდის გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს: შედარება ერთ-

სახეობრივი ობიექტებისა; ერთი და იგივე სივრცობრივი განლაგება შესადარებელი ობიექტებისა; გამოსაკვლევო ობიექტების ერთი და იგივე მასშტაბით გადიდება და ა.შ. შედარებითი ხერხები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი.

ექსპერიმენტი. ექსპერიმენტი ფართოდ გამოიყენება კრიმინალისტიკაში. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს იგი იწოდება საგამოძიებო ექსპერიმენტად.

ექსპერიმენტის ჩატარება მოითხოვს წინასწარ მომზადებული და განსაზღვრული პირობების დაცვას. ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც გამოძიების მიერ გამოიყენება, ხასიათდება იმით, რომ წარსულში მომხდარ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებულ ფაქტებს იმდაგვარად წარმოგვიდგენს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა. სწორედ ამიტომ საერთო მეცნიერების მიერ თეორიულად დამუშავებული ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებას კრიმინალისტიკაში მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მოდელირება – საერთო მეცნიერული გამოკვლევის მეთოდია. მან გამოიყენება ჰპოვა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებაში. იგი წარმატებით იქნა დანერგული ჰუმანიტარულ მეცნიერებაშიც და მიიღო კიდევ საერთო მეცნიერული შემეცნების მეთოდის სტატუსი. მოდელირების გამოყენებას წარმატება ხვდა კრიმინალისტიკაშიც, კერძოდ: საგამოძიებო ვერსიების შედგენესა და შემუშავებაში, გამოძიების დაგეგმვასა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში და ა.შ. მოდელირება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც არსებული მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საგნებზე თუ მოვლენებზე არასრულია. ასეთ შემთხვევებში მოდელირება გვეხმარება და მიგვითითებს თუ რით და როგორ შეიძლება შეივსოს მოვლენა და გარემოება, რათა მოვახდინოთ რეალური გამოკვლევა ჩვენთვის საინტერესო ობიექტებისა.

აღნიშნული პროცესის დროს გამოყენებული მოდელი შეიძლება იყოს მატერიალური (ნივთიერი). მაგალითად, თაბაშირისაგან დამზადებული ფეხის კვალის ტვიფარი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების გეგმა, ნაგებობის მაკეტი და ა.შ.

ყველა სახის მოდელი ნახულობს კრიმინალისტიკაში ფართო გამოყენებას, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი დანაშაულის გახსნისათვის, გამოძიების დაგეგმვისა და სამძებრო-ოპერატიული საქმიანობისათ-

ვის განეკუთვნება საგამოძიებო და სამძებრო-ოპერატიული ვერსიების მოდელებს.

იდენტიფიკაცია. იდენტიფიკაციის მეთოდი უდავოდ განეკუთვნება საერთო მეცნიერული შემეცნების მეთოდს. მას საფუძვლად უდევს სწავლება იგივეობისა და განსხვავების შესახებ. ეს მეთოდი გამოიყენება მეცნიერების ყველა დარგში, როდესაც გადასაწყვეტი ხდება საკითხი: წარმოადგენს თუ არა საგანი ან მოვლენა სწორედ იმ საგანს ან მოვლენას, რომელსაც ვიკვლევთ. კრიმინალისტიკაში იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენება ხდება თითქმის ყველა სახის გამოკვლევის დროს, როდესაც უნდა მოხდეს საგნის, ნივთის, პიროვნების გაიგივება.

საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში იდენტიფიკაციის მეთოდი უფრო ხშირად გამოიყენება საგნების ან მოვლენების ჯგუფური კუთვნილების დასადგენად.

§1 კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის არსი

დანაშაულის ჩადენას ადგილი აქვს წარსულ დროში. გამოძიების პროცესში დადგენილ და აღდგენილ უნდა იქნას დანაშაულის შემთხვევის არსებობა; პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში; გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე; დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა და სხვა გარემოებანი, რასაც კავშირი აქვს გამოსაძიებელ საქმესთან. ფაქტები და გარემოებანი უნდა დადგინდეს ისე, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი.

დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების დადგენა ერთ შემთხვევაში ხდება დაკითხვის (ექვმიტანილის, ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულის) მეშვეობით; მეორე შემთხვევაში ფაქტების შესახებ მითითებულია საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებში და სხვადასხვა სახის დოკუმენტებში; მესამე შემთხვევაში დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების დასადგენად უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა. ფაქტები შეიძლება აგრეთვე დადგინდეს ნივთიერ მტკიცებულებათა მეშვეობით.

სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების დადგენის ერთ-ერთი საშუალება არის კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია, რომლის დროსაც ობიექტების შედარების ან მათი უშუალო გამოკვლევის საფუძველზე დგინდება დანაშაულის ჩადენასთან კავშირში მყოფი ფაქტები და გარემოებანი. ტერმინი "იდენტიფიკაცია" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს "იგივეობას", "გაიგივებას".

კერძოდ, კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია გამოდის იმ დებულებიდან, რომ სამყაროში ყოველივე არის ინდივიდუალური და არ მეორდება არც ერთ სხვა შემთხვევაში.

მატერიალურ სამყაროში არ შეიძლება იყოს ორი აბსოლუტურად ერთნაირი ადამიანი, ნივთი, საგანი, კვალი, მოვლენა. ყველაფერი არის ინდივიდუალური და განუმეორებელი და ამავე დროს, განსხვავებული სხვისაგან.

სამყაროში ყველაფერი განიცდის ცვალებადობას დროთა განმავლობაში, ატმოსფერული პირობების ზეგავლენით, ბუნებრივი ან ხელოვნური მოვლენების გამო და ა.შ., მაგრამ თუ ეს ცვალებადობა არ გადადის ახალ

თვისობრიობაში, როგორც წესი, გავლენას არ ახდენს იმაზე, რომ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენებით გავაიგივეოთ ობიექტები.

იდენტიფიკაციის (გაიგივების) მეთოდის გამოყენებას ადგილი აქვს ყველა მეცნიერებაში. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია არის იდენტიფიკაციის კერძო შემთხვევა, რომლის თავისებურებაც იმაში გამოიხატება, რომ იგი მოწოდებულია დაადგინოს ისეთი ფაქტები და გარემოებანი, რომელთაც სისხლის სამართლის საქმეზე აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის საფუძვლები და პრინციპები საბჭოთა პერიოდში შემუშავებული იყო თავდაპირველად ს.მ. პოტაპოვის მიერ. შემდგომში კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პრობლემებისა და ცალკეული საკითხების დამუშავებაში გარკვეული წვლილი შეიტანა რ.ს. ბულკინის, ა.ი. ვინბერგის, ნ.ვ. ტერზიევის, ვ.ი. კოლდინის, მ. ი. სეგაის, ლ.ე. აროცკერის, ვ.პ. კოლმოკოვის, ს.პ. მიტრიჩევის, ა.რ. შლიახოვის, ა.ა. ეისმანის და სხვათა შრომებმა.

იმისათვის, რომ ობიექტების გამოკვლევისა და შედარების საფუძველზე მოვახდინოთ იდენტიფიკაცია (გაიგივება) საჭიროა, რომ თვით იდენტიფიკაცია, როგორც გაიგივების პროცესი ემყარებოდეს გარკვეულ საწყისებს და პრინციპულ დებულებებს. ეს დებულებები წოდებულია, როგორც კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პრინციპები.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციისათვის დამახასიათებელია ის, რომ გაიგივების პროცესში, როგორც წესი, საქმე გვაქვს ორი სახის ობიექტებთან: გასაიგივებელ და გამაიგივებელ ობიექტებთან.

გასაიგივებელია ის ობიექტი, რომლის მიმართაც წყდება გაიგივების საკითხი. მაგალითად, დაქტილოსკოპიური გამოკვლევის შედეგად თითის ანაბეჭდის შესწავლის საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ ვის მიერ არის დატოვებული შემთხვევის ადგილზე თითის ანაბეჭდები, ე.ი. უნდა მოხდეს პიროვნების (თითის დამტოვებლის) იდენტიფიკაცია. პიროვნება ამ შემთხვევაში არის გასაიგივებელი ობიექტი. ბალისტიკური ექსპერტიზის დროს მასრის გამოკვლევის შედეგად უნდა დადგინდეს ის იარაღი, საიდანაც გასროლილი იყო მასრა, ე.ი. უნდა მოხდეს იარაღის იდენტიფიკაცია. კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღი, საიდანაც იყო მოხდენილი გასროლა ამ შემთხვევაში არის გასაიგივებელი ობიექტი. მაშასადამე ის ობიექტი, რომელიც უნდა

იყოს დადგენილი კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის შედეგად წოდებულია, როგორც გასაიგივებელი ობიექტი.

გაშიგვივებელია ის ობიექტი, რომლის გამოკვლევის მეშვეობითაც ხდება იგივეობის დადგენა. მაგალითად, დაქტილოსკოპური ექსპერტიზის დროს ხდება შემთხვევის ადგილზე დატოვებული თითის ანაბეჭდების გამოკვლევის მეშვეობით იგივეობის დადგენა. ე.ი. თითის ანაბეჭდები ამ შემთხვევაში არის გაშიგვივებელი ობიექტი.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის დროს ობიექტების დაყოფას გამაიგივებელ და გასაიგივებლად აქვს პრინციპული, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პრინციპულ დებულებას მიეკუთვნება ის, რომ გაიგივების პროცესს ყოველთვის საფუძვლად უდევს შედარება. შედარების გარეშე არ შეიძლება კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის საფუძველზე დავადგინოთ რაიმე მტკიცებულებითი ფაქტი. შედარება კი გულისხმობს იდენტიფიკაციის ობიექტების ცალკე და ერთობლივ შესწავლას, მის ანალიზს და სინთეზს. გაიგივების პროცესში გამოსაკვლევი ობიექტების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე დგინდება გამოსაკვლევი ობიექტების ნიშან-თვისებები, მათი ხარისხი, რაოდენობა, სიმყარე, ცვალებადობა, ვარიაციულობა (ანალიზი) და ყოველივე ფასდება ერთობლიობაში (სინთეზი).

მაშასადამე კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პრინციპს წარმოადგენს შედარების დროს გამოსაკვლევი ობიექტების ყოველმხრივი შესწავლა, მათი ანალიზი და სინთეზი.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პროცესში გამოსაკვლევი ობიექტების შედარების დროს ყოველთვის უნდა გაიმიჯნოს დადგენილ ნიშან-თვისებათა მსგავსება და სხვაობა. არც ერთ შემთხვევაში შესაძარბებელი ობიექტებისა და მათი ნიშან-თვისებების მსგავსების საფუძველზე არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იგივეობის შესახებ. ყველა შემთხვევაში იდენტიფიკაციას საფუძვლად უდევს შესაძარბებელი ობიექტებისა და მათი ნიშან-თვისებათა დამთხვევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ნიშნების დამთხვევაც საკმარისი არ არის იგივეობის საკითხის გადასაწყვეტად. გამოსაკვლევი ობიექტების ნიშან-თვისებათა დამთხვევა უნდა შეადგენდეს მყარ სისტემას და მათ ერთობლიობაში უნდა იყოს განუმეორებელი.

ზემოთქმულის საფუძველზე იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ერთ-ერთ პრინციპს მიეკუთვნება დამთხვევისა და მსგავსების გამიჯვნა გაიგივების პროცესში.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პროცესში ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება და დადგინდეს გამოსაკვლევ ობიექტებისა და მათ ნიშან-თვისებათა სიმყარე და ცვალებადობა. გამოსაკვლევ ობიექტების ამ თვისებების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება შეცდომამდე მიგვიყვანოს.

გამოსაკვლევ ობიექტებისა და მათი ნიშან-თვისებათა ცვალებადობა დამოკიდებულია თვით ობიექტების თავისებურებაზე, ბუნებრივ და ატმოსფერულ ზემოქმედებაზე, დროის ფაქტორზე, ობიექტის წარმოქმნაზე. მაგალითად, ადამიანის ხელნაწერი და მისი ნიშან-თვისებები იცვლება დროის განმავლობაში, ხელნაწერის შესრულების პირობების შესაბამისად და სხვა. მაგრამ ეს ცვალებადობა, ბევრ შემთხვევაში, ეხება საერთო ნიშნებს, ცალკეულ თვისებებსაც, მაგრამ გავლენას არ ახდენენ ხელისათვის დამახასიათებელი კერძო ნიშნების ერთობლიობაზე.

დროთა განმავლობაში იცვლება, მაგალითად, ადამიანის თითზე დვრილოვანი ხაზებისა და თითის ქარგის მოცულობა, მაგრამ თვით დვრილოვანი ხაზებისა და ქარგების სისტემა და კერძო ნიშნების ურთიერთგანლაგება რჩება უცვლელი. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული ობიექტებისა და მათი ნიშან-თვისებათა ცვლილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ისინი გადაიზრდებიან ახალ თვისობრიობაში, გაიგივების დადგენა შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პრინციპს მიეკუთვნება ისიც, რომ ყველა შემთხვევაში იყოს გათვალისწინებული გამოსაკვლევ ობიექტებისა და მათი ნიშან-თვისებათა სიმყარე (მდგრადობა) და ცვალებადობა.

კრიმინალისტიკურ იდენტიფიკაციას ადგილი აქვს სამართალწარმოებაში. იგი ხორციელდება საპროცესო კანონის საფუძველზე და სათანადო "დებულებებისა" და "ინსტრუქციების" ნორმათა დაცვით. ყოველი გამოსაკვლევ ობიექტი, თუ შესადარებელი ნიმუში უნდა იყოს მიღებული კანონის დაცვის საფუძველზე. ყოველი სახის გამოკვლევამ თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ექსპერტის დასკვნაში, რომელიც წარმოადგენს პროცესუალურ დოკუმენტს – მტკიცებულების წყაროს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს საპროცესო კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამრიგად, კრიმინალისტიკური

იდენტიფიკაციის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს (პრინციპს) წარმოადგენს საპროცესო ნორმების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

ყოველივე აღნიშნულის ამოცანა ის არის, რომ კრიმინალისტიკური გამოკვლევის შედეგად მოვახდინოთ იგივეობის დადგენა, ე.ი. დავადგინოთ ფაქტი დადებითი ან უარყოფითი სახით. მაშასადამე იგივეობის დადგენა არის ის ამოცანა, რომელსაც ემსახურება გაიგივების პროცესი.

სამართალწარმოებაში საკმარისი არ არის, რომ დადგენილი იყოს გარკვეული ფაქტი. ამის გარდა საჭირო და აუცილებელია მტკიცებულებათა გამოყენებისა და შეფასების საფუძველზე დადგინდეს საქმეზე ჭეშმარიტება. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია კი მოწოდებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

დასახელებულ ნიშანთა ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს განვმარტოთ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ცნება სამართალწარმოებაში.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია არის იგივეობის დასადგენად გამოსაკვლევი ობიექტების ნიშან-თვისებათა მიხედვით შედარებითი გამოკვლევა საქმეზე მტკიცებულების მისაღებად და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

§2 კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეები

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეების ცნება და არსი ერთგვაროვნად არ არის განხილული კრიმინალისტიკურ სახელმძღვანელო ლიტერატურაში და ამ საკითხისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ გამოკვლევებში. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეებად დაყოფა გულისხმობს გარკვეულ კლასიფიკაციას, ე.ი. დაყოფას გარკვეული საფუძვლის (ნიშნის) მიხედვით.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეებად დაყოფას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საშუალებას გვაძლევს სწორად გავიგოთ ამ საკითხის არსი. ნათლად წარმოვიდგინოთ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეები, ფორმები, გამოკვლევის ობიექტები, სუბიექტები და სხვა საკითხები, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ პრობლემასთან. კრიმინალისტიკურ ლიტერა-

ტურაში მიღებულია იდენტიფიკაციის სახეებად დაყოფა (კლასიფიკაცია) სხვადასხვა საფუძვლით, კერძოდ სამიდან შვიდ საფუძვლამდე.¹

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის კლასიფიკაცია (სახეებად დაყოფა) სახელმძღვანელოს ფარგლებში შეიძლება მოხდეს შემდეგი ხუთი საფუძვლით: 1. შედეგების მიხედვით; 2. გამოსაკვლევ ობიექტის სახეობის მიხედვით; 3. გამოკვლევის სუბიექტის მიხედვით; 4. პროცესუალური რეგლამენტის მიხედვით; 5. იდენტიფიკაციის ფორმის მიხედვით.

1. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია გამოკვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. ინდივიდუალურია იდენტიფიკაცია იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვლევის შედეგად დგინდება კონკრეტული, ერთი ობიექტი. ჯგუფურია იდენტიფიკაცია იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვლევის შედეგად განისაზღვრება არა კონკრეტული ობიექტი, არამედ გარკვეული ჯგუფი, სახე, სისტემა, წონა, ზომა, შემადგენლობა და ა.შ.

კრიმინალისტიკური გამოკვლევის ამოცანაა დადგინდეს ინდივიდუალურ-კონკრეტული ობიექტი. ასეთ გაიგივებას ყოველთვის საფუძვლად უდევს გამოსაკვლევ ობიექტების ნიშან-თვისებათა ისეთი ერთობლიობა და სისტემა, რომელიც არ შეიძლება გამეორდეს სხვა შემთხვევაში.

მაგრამ ყოველთვის არ შეიძლება დადგინდეს ინდივიდუალურ-კონკრეტული ობიექტი. ამის მიზეზი სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში გამოსაკვლევ ობიექტში არ არის ასახული საკმარისი ნიშნები იდენტიფიკაციისათვის, მეორე შემთხვევაში არ არსებობს სათანადოდ დამუშავებული და შემოწმებული გამოკვლევის მეთოდოლოგია, ზოგჯერ კი ჯერჯერობით საერთოდ არ შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ობიექტი. მაგალითად, როდესაც გამოკვლევას ექვემდებარება სითხე ან ფხვიერი ნივთიერება.

¹ Седова Т.А. Проблемы методологии и практики нетрадиционной криминалистической идентификации. Ленинград, 1986, с. 22; Советская криминалистика (теоретические проблемы), М. 1978, с. 57-73; Колдин В.Я. Идентификация при расследовании преступлений, М. 1978, с. 24-68; Колмаков В.П. Идентификационные действия следователя, М. 1977, с. 17-28; Сегай М.Я. Методология судебной идентификации, Киев, 1970, с. 61-82; Криминалистика, М. 1980, с. 65-67; Криминалистика, М. 1988, с. 39-42.

აღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევის შედეგად განისაზღვრება ჯგუფური კუთვნილება. ჯგუფური კუთვნილების დადგენა ხდება შესადარებელი ობიექტების ჯგუფური ნიშნების საფუძველზე, ე.ი. ისეთი ნიშნების მიხედვით, რომელიც დამახასიათებელია ცალკე ჯგუფისათვის, სახისათვის, კლასისათვის, სისტემისათვის და ა.შ. მაგალითად, თუ გამოკვლევის შედეგად ექსპერტი მივიდა დასკვნამდე, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი მიეკუთვნება ხვეულ ქარგს, ამით მან დაადგინა გარკვეული ჯგუფი, მაგრამ, თუ ექსპერტმა დამატებით დაადგინა, რომ ხვეული ქარგის არის წრიული ფორმის, ამით მან უკვე განსაზღვრა გარკვეული სახე (წრიული ხვეული ქარგი), რითაც კიდევ უფრო შემცირდა მოსაძებნ ობიექტთა რიცხვი.

მაშასადამე, ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მცირდება მოსაძებნ ობიექტთა წრე. ზემოთ მოყვანილი მაგალითის შესაბამისად გამომძიებელმა უკვე იცის, რომ შემთხვევის ადგილზე არსებული თითის ანაბეჭდი დატოვებული არ არის იმ პირის მიერ, ვისაც აქვს რკალისებური ან მარყუჟისებური ქარგი და არც იმ პირს მიერ, ვისაც აქვს ხვეული ქარგის სხვა სახე (მაგალითად, სპირალური ჯეული ქარგი).

ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრას აგრეთვე ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში უკვე აღარ არის საჭირო გამოსაკვლევ ობიექტების კერძო ნიშან-თვისებათა დადგენა და შედარება. თუ შესადარებელი ობიექტები მიეკუთვნება სხვადასხვა ჯგუფს ან სახეს, უკვე აღარ შეიძლება დადგინდეს მათი იდენტურობა. ამიტომ, აღარ არის საჭირო გამოკვლევის გაგრძელება, კერძო ნიშან-თვისებათა დადგენა და შედარება. ჯგუფური კუთვნილების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამოკვლევა გრძელდება ინდივიდუალური იდენტიფიკაციის დადგენის მიზნით.

2. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია გამოკვლევის ობიექტის სახეობის მიხედვით. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტების კლასიფიკაციას მათი სახეობის მიხედვით აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. რადგანაც განსაზღვრავს გამოკვლევის სუბიექტს (რა სპეციალობის მქონე პირმა უნდა ჩაატაროს გამოკვლევა) და მიგვანიშნებს იმ ტექნიკური და

ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდების გამოყენებაზე, რაც საჭიროა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტად, ზოგ შემთხვევაში, თვლიან მხოლოდ მატერიალურ-ფიქსირებულ საგნებს, რომლებიც ასახავს სხვა საგნის გარეგან თუ შინაგან ნიშან-თვისებებს. ობიექტის ასეთი გაგება სწორია, მაგრამ არასრულია. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია არის გაიგივების დადგენა სამართალწარმოებაში, ე.ი. კონკრეტული საქმეების გამოძიებებისა და სასამართლოში განხილვის დროს. ამიტომ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტად შეიძლება იყოს ყოველივე ის, რისი გამოკვლევის შედეგად შეიძლება დადგინდეს საქმესთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებანი.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია შეუძლებელია, თუ არ იქნება გამოსაკვლევო ობიექტი, ზოგ შემთხვევაში კი, შესადარებელი ნიმუშებიც. გამოკვლევის შედეგად შეიძლება დადგინდეს არსებითად განსხვავებული სხვადასხვა სახის ფაქტები, რომლებიც დაკავშირებული არიან საქმესთან ერთ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ობიექტი (ინდივიდუალური იდენტიფიკაცია), მეორე შემთხვევაში – ობიექტის ჯგუფი და სახე, მესამე შემთხვევაში – გამოსაკვლევო ობიექტების სახელმწიფო სტანდარტისადმი შესაბამისობა, დამზადების დრო და ადგილი, მეოთხე შემთხვევაში – სითხეებისა და ფხვიერ ნივთიერებათა შემადგენლობა და ა.შ.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტებს ყველაზე ხშირად შეადგენენ ინდივიდუალურ-კონკრეტული ობიექტები (საგანი, ნივთი, კვალი, დოკუმენტი), რომლებშიც ასახულია სხვა ობიექტის კვალი და ნიშან-თვისებანი. ამ ობიექტების გამოკვლევას საფუძვლად უდევს შედარებითი გამოკვლევა: ორი საგანი, ნივთი, კვალი დარდება ერთმანეთს მათი ნიშან-თვისებათა მიხედვით. ზოგ შემთხვევაში ასეთი გამოკვლევისათვის საჭიროა შესადარებელი ნიმუშები (ეჭვმიტანილი პირის ან ბრალდებულის თითის ანაბეჭდები, საეჭვო იარაღიდან გასროლილი ტყვიის ნიმუშები და ა.შ.). ამ სახის გამოკვლევის შედეგად ხდება პიროვნების, საგნის, ნივთის იდენტიფიკაცია ან ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრა.

გაიგივების ობიექტს შეადგენენ ხოლმე ცალკეული ნაწილები, რომელთა გამოკვლევის საფუძველზე დგინდება ერთი მთლიანი ობიექტი, ე.ი.

წყდება საკითხი იმის შესახებ, რომ ცალკეული ნაწილები (დამსხვრეული მინა, დახეული დოკუმენტი და ა.შ.) ადრე შეადგენდნენ ერთ მთლიანობას.

ცალკეულ შემთხვევაში იდენტიფიკაციის ობიექტად გვევლინება სხვადასხვა სახის ნაკეთობანი, აგრეგატები, ხელსაწყოები, ან სოფლის მეურნეობის საქონელი, რომელთა გამოკვლევის შედეგად დგინდება მათი დამზადების დრო, ადგილი, საქარხნო ემბლემა, ხარისხი და ა.შ. ამ სახის გამოკვლევას ახდენს არა მარტო ექსპერტი-კრიმინალისტი, არამედ სხვა სახის სპეციალისტებიც: ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ინჟინრები. გამოკვლევა ატარებს, როგორც წესი, კომპლექსურ ხასიათს.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე სხვადასხვა სახის სითხეები (ღვინო, არაყი, კონიაკი), გაზისებური ნივთიერება, ფხვიერი საგნები, ქიმიური ნივთიერებანი (ნარკოტიკული საშუალებანი, ნავთი, ბენზინი, ზეთი და ა.შ.). ამ საგნების გამოკვლევის შედეგად, როგორც წესი, ვერ ხდება იდენტიფიკაცია, არამედ წყდება საკითხი ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრის შესახებ, მათი შესაბამისობა სახელმწიფო სტანდარტებისადმი, მათი ქიმიური შემადგენლობა (ხარისხობრივი და თვისობრივი), დამზადების დრო, ადგილი და ა.შ.

კრიმინალისტიკური გაიგივების ობიექტს შეადგენს აგრეთვე სუნი. აუნის მიხედვით იდენტიფიკაციის დადგენას ეწოდება ოდოროლოგია. სუნის აღება და დაკონსერვება ხდება შემთხვევის ადგილზე და ექვმიტანილ (ბრალდებულ) პირთან, რის შემდეგ ხდება შედარებითი გამოკვლევა და წყდება იდენტიფიკაციის საკითხი.

მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების საფუძველზე კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტთა სახე და რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

3. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია გამოკვლევის სუბიექტების მიხედვით. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ არიან სამართალწარმოებაში გაიგივების სუბიექტები. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სუბიექტებს სამართალწარმოებაში მიეკუთვნება ის პირები, ვინც გამოსაკვლევია ობიექტების შედარების საფუძველზე ან დამახსოვრებული ნიშნების შედეგად (მეხსიერებითი იდენტიფიკაცია) ადგენს იდენტურობას ან ჯგუფურ კუთვნილებას.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სუბიექტია ექსპერტი, რომელსაც გააჩნია სათანადო სპეციალური განათლება გამოკვლევის ჩასატარებლად. სპეციალური ცოდნის გამოყენება კი საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების დროს ან სასამართლოში წამოიჭრება ისეთი სპეციალური საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად მოწვეულ უნდა იყოს სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი – ექსპერტი. გამოკვლევის შედეგად, მაგალითად, ექსპერტი ადგენს კონკრეტულ ცეცხლსასროლ იარაღს გასროლილი ტყვიის ან მასრის მიხედვით, ახდენს პიროვნების იდენტიფიკაციას ხელნაწერების გამოკვლევის შედეგად და ა.შ.

იდენტიფიკაციის სუბიექტს წარმოადგენს აგრეთვე გამომძიებელი და სასამართლო, როდესაც იგივეობის დასადგენად საჭირო არ არის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ისეთი საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას, როგორცაა ამოღება, გამომძიებელმა იცის ის საგანი, რომელიც მან უნდა ამოიღოს, იცის ამ საგნის ნიშან-თვისებები (ზომა, წონა, ფერი, ინდივიდუალური ნიშნები) და ამ ნიშნების შედეგად იგი ამოიღებს იმ საგანს, რომელსაც კავშირი აქვს დანაშაულის შემთხვევასთან ე.ი. გამომძიებელი ახდენს იდენტიფიკაციას.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სუბიექტია ოპერატიულ-მუშაკი. რომელიც ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებას. ოპერატიულ მუშაკს დამახსოვრებული აქვს მოსაძებნი პირის გარეგნობის ნიშნები, რის საფუძველზეც იგი ამოიცნობს კონკრეტულ მოსაძებნ პირს, ე.ი. ახდენს იდენტიფიკაციას.

კრიმინალისტიკური გაიგივების სუბიექტი შეიძლება იყოს სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობს საგამომძიებო და სასამართლო მოქმედებათა წარმოებაში (ჩხრეკა, ამოღება, ამოცნობა, დათვალიერება, ნიმუშის მიღება შედარებითი გამოკვლევისათვის და ა.შ.) და მისი სპეციალური ცოდნის გამოყენების საფუძველზე აწარმოებს კრიმინალისტიკურ გაიგივებას.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სუბიექტი არის პირი, რომელიც აწარმოებს კრიმინალისტიკურ რეგისტრაციას (აღრიცხვას). შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში (საინფორმაციო ბანკში) ხდება რეგისტრაცია თითო ანაბეჭდების მიხედვით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ კვალთა, საგნების, ნივთების, რის საფუძველზეც ხდება კრიმინალისტიკური გაიგივება. მაგალითად, საკითხის გადასაწყვეტად იყო თუ არა ადრე ბრალდებული ან

ექვემიტანილი გატარებული დაქტილოსკოპიურ რეგისტრაციაში, ამ პირის თითის ანაბეჭდები გადაეგზავნება შინაგან საქმეთა ორგანოების საინფორმაციო ბანკს, სადაც თითების ეს ანაბეჭდები შედარდება საინფორმაციო ბანკში არსებულ დაქტილობარათებს და წყდება იდენტიფიკაციის საკითხი.

ბოლოს, კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სუბიექტები შეიძლება იყვნენ ექვემიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე. როდესაც ისინი ადრე ნახული პიროვნების, ცხოველის, საგნის ან ფოტოსურათის ნიშანთვისებათა დამახსოვრების საფუძველზე აწარმოებენ ამოცნობას, ე. ი. ახდენენ კრიმინალისტიკურ იდენტიფიკაციას.

4. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია პროცესუალური რეგლამენტაციის მიხედვით. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია პროცესუალური კანონის რეგლამენტაციის შესაბამისად შეიძლება იყოს პროცესუალური და არაპროცესუალური. პროცესუალურს მიეკუთვნება კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ის სახე, რომელიც რეგლამენტირებულია პროცესუალური კანონით.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია, რომელსაც ახდენს ექსპერტი არის რეგლამენტირებული სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და შესაბამისი "ინსტრუქციებით" და "დებულებებით". კანონი განსაზღვრავს, მაგალითად, ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევებს, ექსპერტის უფლებებსა და მოვალეობებს, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებამოვალეობებს, ექსპერტიზის დანიშვნის პროცესუალური გაფორმების წესს, ექსპერტის დასკვნის მოთხოვნებს, მისი გაფორმებისა და შეფასების პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ საექსპერტო იდენტიფიკაცია არის კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ის სახე, რომელიც რეგლამენტირებულია საპროცესო კანონით.

საპროცესო კანონით რეგულირებულია იდენტიფიკაციის ისეთი სახე და საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც წარმოადგენს ამოცნობა. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე-164-ე მუხლები დაწვრილებით არეგლამენტირებენ ამოცნობის შემთხვევებს, პროცესუალურ წესს და შედეგების პროცესუალურ გაფორმებას.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის საპროცესო სახეს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, როგორცაა შემოწმება, რომელსაც ატარებს გამოძიებელი ან ექიმი სპეციალისტი. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 181-ე-182-ე მუხლები არეგულირებენ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესუალურ წესს.

იდენტიფიკაციის არაპროცესუალურ სახეს მიეკუთვნება გაიგივების ისეთი შემთხვევები, რომელიც არ არის რეგლამენტირებული საპროცესო კანონმდებლობით, თუმცა მათ აქვთ გარკვეული მნიშვნელობა საქმის სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიებისათვის.

არაპროცესუალური იდენტიფიკაციის სახეს წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარება და ამ დროს გაიგივების დადგენა. კანონი უშვებს ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა წარმოების შესაძლებლობას, მაგრამ არ არეგლამენტირებს ამ მოქმედებებს, იგი სცილდება საპროცესო მოღვაწეობას. ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა წარმოება რეგულირდება უწყებრივი "დებულებებით" და "ინსტრუქციებით".

ასევე არაპროცესუალური იდენტიფიკაციის სახეს მიეკუთვნება გაიგივების ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვთ კრიმინალისტიკური აღრიცხვის (რეგისტრირების) ორგანოებში. იდენტიფიკაცია რეგისტრირებული საგნების, ნივთების, თითის ანაბეჭდების მიხედვით რეგულირდება უწყებრივი ხასიათის ნორმატიული აქტებით და არა საპროცესო კანონმდებლობით.

5. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია გაიგივების ფორმის მიხედვით.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ფორმების არსი გულისხმობს გაიგივების ტიპიურ სახეებს, რომელიც განპირობებულია გამოკვლევის ობიექტებით, სუბიექტებით, ინფორმაციის ასახვის ხერხებით და გამოკვლევის მეთოდებით. კრიმინალისტიკაში განასხვავებენ გაიგივების შემდეგ ფორმებს: ობიექტების შედარების საფუძველზე; უშუალოდ ობიექტის გამოკვლევის საფუძველზე; ფუნქციონალურ-დინამიკური ნიშნების მიხედვით; ნაწილების მიხედვით მთელის იდენტიფიკაციას; მეხსიერებით იდენტიფიკაციას და კრიმინალისტიკური აღრიცხვის (რეგისტრაციის) საფუძველზე.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია ობიექტების შედარების საფუძველზე გულისხმობს გამოკვლევის პროცესში ორი ან მეტი ობიექტის ურთ-

იერთშედარებას მათ ნიშან-თვისებათა მიხედვით. ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს პიროვნების, ცხოველთა, კვალთა, საგანთა, სითხეების ურთიერთშედარებას. ამ ობიექტების შედარებისას შეიძლება ორივე იყოს გამოსაკვლევო ობიექტი; შეიძლება ერთი იყოს გამოსაკვლევო მეორე კი შესადარებელი ობიექტი (ნიმუში).

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია უშუალოდ ობიექტის გამოკვლევის საფუძველზე გულისხმობს გაიგივების ისეთ ფორმას, როდესაც გამოკვლევას ექვემდებარება ერთი ობიექტი ყოველგვარი შესადარებელი ნიმუშების გარეშე. ამ სახის გაიგივებას ადგილი აქვს, მაგალითად, დოკუმენტებში ტექსტის ან ციფრობრივი მონაცემების გადასწორების ფაქტის დადგენისას, დოკუმენტებში ტექსტის ან ციფრობრივი მონაცემების მექანიკური ან ქიმიური საშუალებებით ამოშლის ფაქტის განსაზღვრის დროს.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია ფუნქციონალურ-დინამიკური ნიშნების მიხედვით წარმოადგენს გაიგივების ისეთ ფორმას, რომელიც დაკავშირებულია მოძრაობასთან და პიროვნების ცალკეული ფუნქციის განხორციელებასთან. ამ დროს გამოკვლევის ობიექტს, როგორც წესი, წარმოადგენს ადამიანი და იშვიათ შემთხვევაში ცხოველი. გაიგივების შედეგად შეიძლება დადგინდეს, მაგალითად, ადამიანის სიარულის თავისებურება, ნაბიჯის სიგრძის ან ფეხის დადგმის სპეციფიურობა, საუბრისა და მიმიკის თავისებურება და სხვ.

ნაწილების მიხედვით მთელის კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია (ანუ იდენტიფიკაცია საერთო წარმოშობის ნიშნების შესაბამისად) არის გამოკვლევის ისეთი ფორმა, როდესაც ცალკეული ნაწილების მიხედვით უნდა დადგინდეს საგნის მთლიანობა. გაიგივების ობიექტს წარმოადგენს მყარი საგნები (მინა, ლითონი, ხე, აკრეგატები), ნიადაგი, სითხეები და ფხვიერი ნივთიერებები, გვამი და სხვ. მაგალითად, დანაწევრებული გვამის ნაწილების აღმოჩენის შემთხვევაში, გამოკვლევის შედეგად შეიძლება დადგინდეს რომ დანაწევრებული გვამის ნაწილები შეადგენს ერთი პიროვნების გვამს. დახეული ქალაქის ნაწილები შეადგენდნენ ადრე ერთ დოკუმენტს და ა.შ.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია მეხსიერების საფუძველზე (ანუ აზრობრივი იდენტიფიკაცია) გულისხმობს პიროვნების, საგნის ნიშან-თვისებათა დამახსოვრებას იმ მიზნით, რომ მათი ნახვის შემთხვევაში მოხდეს ამოცნობა. იდენტიფიკაციის ეს ფორმა გამოიყენება ოპერატიულ-სამძებრო

მოქმედებათა განხორციელებისას, აგრეთვე ისეთ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს, როგორცაა პიროვნების, ცხოველის, საგნების, ფასეულობათა და ფოტოსურათების ამოცნობა.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია რეგისტრაციის (აღრიცხვის) საფუძველზე გამოიხატება იმაში, რომ ხდება პიროვნების, ცხოველის, გვამის, კვალის, საგნის ნიშან-თვისებათა აღრიცხვა სპეციალურ სარეგისტრაციო ბარათში. რეგისტრირებას ექვემდებარება აგრეთვე თითის ანაბეჭდები (დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია). ასეთი კრიმინალისტიკური აღრიცხვის მიზანი ის არის, რომ სარეგისტრაციო ბარათის შესწავლის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, დადგინდეს პიროვნების რეგისტრაციაში ადრე გატარების ფაქტი, შემთხვევის ადგილზე კვალის დამტოვებელი პირი, გატაცებული ფასეულობანი და ა.შ.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ცალკე ფორმისათვის დამახასიათებელია გამოკვლევის გარკვეული თავისებურება, გაიგივების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, რაც გათვალისწინებულ უნდა იყოს გაიგივების პროცესში.

§3 კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტი

კრიმინალისტიკური ობიექტების არსის გაგებას აქვს გარკვეული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. გაიგივება შეუძლებელია თუ არ არსებობს გამოკვლევის ობიექტები. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის პროცესში ყოველთვის უნდა არსებობდეს შესასწავლი, გამოსაკვლავი ობიექტი, რომლის მეშვეობითაც ხდება გაიგივება. ეს ობიექტი წოდებულია, როგორც გამაიგივებელი. ასეთი ობიექტებია, მაგალითად: კვალი, საგანი, გაზობრივი ნივთიერებანი, სითხე და ა.შ. გამაიგივებელი ობიექტების შესწავლის მიზანია ის, რომ დადგინდეს, თუ ვის მიერ არის შესრულებული ხელნაწერი, შეესაბამება თუ არა სახელმწიფო სტანდარტს სპირტიანი სასმელები, ვის მიერ არის დატოვებული ფეხის კვალი და ა.შ. ასეთ დასადგენ ობიექტებს ეწოდება გასაიგივებელი ანუ მოსაძებნი ობიექტები. მათ მიეკუთვნებათ, მაგალითად: ადამიანი, ცხოველი, ფეხსაცმელი, რომლითაც დატოვებულია კვალი და ა.შ.

კრიმინალისტიკური გაიგივების პროცესში საკმარისი არ არის მხოლოდ გამაიგივებელი ობიექტების არსებობა. საჭიროა ისეთი ობიექტებიც, რომლებსაც უნდა შედარდეს გამაიგივებელი ობიექტები. ასეთი ობიექტები

წოდებულია, როგორც ნიმუშები. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი (გამაიგივებელი ობიექტი), რომლის მეშვეობითაც უნდა დადგინდეს მისი დამტოვებელი პიროვნება (გასაიგივებელი, მოსაძებნი ობიექტი) არ შეიძლება შედარდეს უშუალოდ პიროვნებას. თითის ანაბეჭდი უნდა შედარდეს თითის ანაბეჭდს. ამისათვის კი საჭიროა საეჭვო პიროვნებას ჩამოერთვას თითის ანაბეჭდები (ნიმუშები). თითის ანაბეჭდის ნიმუშები კი შედარდება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ თითის ანაბეჭდებს იდენტიფიკაციის მიზნით.

ზოგ შემთხვევაში შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდის დამტოვებაში შეიძლება ეჭვმიტანილი იყოს რამოდენიმე პიროვნება (ორი ან მეტი). ასეთ დროს გამოსაკვლევად უნდა გადაიგზავნოს ყველა ეჭვმიტანილი პირის თითის ანაბეჭდები (ნიმუშები). ეს პირები წოდებულია, როგორც შესამოწმებელი.

გამაიგივებელი ობიექტები უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. მათი სინამდვილე არ უნდა იწვევდეს ეჭვს. ამისათვის კი საჭიროა, რომ მათი მიღება პროცესუალურად სათანადოდ იყოს გაფორმებული: დაწვრილებით აღწერილი შესაბამის ოქმში ან სხვა პროცესუალურ დოკუმენტში. გამაიგივებელი ობიექტის აღწერა უნდა მოხდეს იმდენად დაწვრილებით (მითითებული უნდა იყოს ზოგადი და კერძო ნიშნები), რომ პრაქტიკულად გამორიცხული იყოს მათი შეცვლა მსგავსი და ანალოგიური ობიექტებით. გამაიგივებელი ობიექტები შეფუთული უნდა იყოს იმგვარად, რომ არ დაზიანდეს მასზე არსებული კვალი.

ნიმუშები. ნიმუშების მიღების სუბიექტი შეიძლება იყოს უშუალოდ გამოძიებული, როდესაც ნიმუშის მიღებისათვის არ არის საჭირო სპეციალური ცოდნის გამოყენება. მაგალითად, გამოძიებელს შეუძლია უშუალოდ ჩამოართვას ხელწერის ნიმუშები ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს. ნიმუშების მიღების სუბიექტი შეიძლება იყოს სპეციალისტი, როდესაც მათი მიღება დაკავშირებულია სპეციალური ცოდნის გამოყენებასთან (მაგალითად, ადამიანის სისხლის ან სხვა გამონაყოფის ნიმუშის მიღება). ბოლოს ნიმუშის მიღების სუბიექტი შეიძლება იყოს ექსპერტი, რომელმაც უკეთ იცის თუ რა პირობებში უნდა მიიღოს ნიმუშები. მაგალითად, ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოძიებელი გადასცემს ექსპერტს ცეცხლსასროლ

იარაღს და ვაზნებს და თვით ექსპერტი აწარმოებს ამ იარაღიდან ექსპერი-
მენტულ სროლას ნიმუშების მიღების მიზნით.

ნიმუშების მიღების პროცესუალურ წესს ადგენს კანონი. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის შესაბამისად ნიმუშების მიღება შედარებით გამოკვლევისათვის ხდება გამომძიებლის მოტივირებული დადგენილებით (სასამართლოს განჩინებით). ხოლო ნიმუშების მიღების პროცესი უნდა გაფორმდეს სათანადო ოქმით. ნიმუშები შეიძლება ჩამოერთვას ეჭვმიტანილს, ბრალდებულს და, საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულსა და მოწმეს. ნიმუშები შეიძლება ამოღებულ იყოს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში და ცალკეულ მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილიდან.

ნიმუშების ორი ძირითადი სახე არსებობს: თავისუფალი და ექსპერი-
მენტული. თავისუფალი ნიმუშებია ისეთი, რომლებიც მიღებულია, როგორც წესი, მოცემული სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, თავისუფალ პი-
რობებში, ე.ი. პირმა არ იცის, რომ მისი ხელნაწერის ნიმუშები გადაეგზავ-
ნება ექსპერტს გამოსაკვლევად. ექსპერიმენტულია ნიმუშები, რომლებიც მიღებულია ან ჩამოერთმევა პირს ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. ამ შემთხვევაში პირისათვის ცნობილია, რომ მისგან მიღებული ნიმუშები ეგ-
ზავნება ექსპერტს გამოსაკვლევის მიზნით.

თავისუფალი ნიმუშების დადებითი მხარე ის არის, რომ პრაქტიკუ-
ლად გამორიცხულია ნიმუშების შეცვლა, ფალსიფიცირება. ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს ის, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეუძლებელია ისეთი თავისუფალი ნიმუშების მიღება, როგორც გამოძიებას აინტერესებს.

ექსპერიმენტული ნიმუშების დადებით მხარეს მიეკუთვნება ის, რომ მისი მიღება შეიძლება ისეთ პირობებში, როგორც ეს გამოძიებას აინტერე-
სებს. მაგალითად, თუ ცნობილია, რომ გამოსაკვლევი ხელწერილი შეს-
რულებული იყო მარცხენა ხელით და ფანქრით, ექსპერიმენტულ ნიმუშებს მივიღებთ ასეთივე პირობებში. ამ ნიმუშების უარყოფით მხარეს ის მიეკუთვნება, რომ რამდენადაც პირმა იცის, რომ მისი ხელწერის ნიმუშები ეგზავნება ექსპერტს გამოსაკვლევად, მას შეუძლია შეცვალოს ხელი, მიამს-
გავსოს სხვის ხელს და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ნიმუშების სისრულის მიზნით, ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს, თუ ეს

პრაქტიკულად შესაძლებელია, როგორც თავისუფალი, ისე ექსპერიმენტული სახის ნიმუშები.

ნიმუშები უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. მათი მიღება პროცესულურად უნდა იყოს სათანადოდ გაფორმებული (ამ საკითხს არეგლამენტებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები).

ნიმუშები უნდა იყოს მიღებული, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, იმავე პერიოდში, ე.ი. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც წარმოიშვა გამოსაკვლევი ობიექტი. მაგალითად, თუ გამოსაკვლევია საწერ მანქანაზე 1987 წელს შესრულებული ტექსტი, უნდა მოიძებნოს ნიმუშების სახით ამავე საწერ მანქანაზე 1987 წელს შესრულებული ტექსტები. ნიმუშების ასეთი მოთხოვნა გამომდინარებს იქიდან, რომ დროთა განმავლობაში, ექსპლოატაციის შედეგად ცვლილებებს ექვემდებარება საწერი მანქანა, მისი შრიფტი, ასოების კონფიგურაცია და ა.შ. ამ ცვლილებების გაუთვალისწინებლობას კი შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ექსპერტი.

ნიმუშები უნდა იყოს მიღებული, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, იგივე პირობებში, როგორშიც მიღებული იყო გამოსაკვლევი ობიექტი. მაგალითად, თუ გამოსაკვლევი ხელნაწერი შესრულებული იყო კედელზე ქაღალდის მიბჯენით და ამდგარ მდგომარეობაში, ხელწერის ნიმუშებიც ასეთივე პირობებში უნდა იყოს მიღებული. ამით გათვალისწინებული იქნება და აიხსნება ხელწერის ის თავისებური ნიშნები, რომლებიც წარმოიშვება უჩვეული პირობებში დოკუმენტის შედგენის დროს.

ნიმუშები მიღებული უნდა იყოს მაქსიმალურად სწრაფად და ოპერატიულად. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეიძლება შეიცვალოს, დაზიანდეს ან განადგურდეს. მაგალითად, თუ გამოსაკვლევია ფეხის კვალი, ეჭვმიტანილ პირს მაქსიმალურად სწრაფად უნდა ჩამოერთვას ფეხსაცმელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეუძლია გადააგდოს ფეხსაცმელი, დააზიანოს ან შეცვალოს ფეხსაცმლის ძირი, რის გამოც შეუძლებელი გახდება იდენტიფიკაცია.

ნიმუშები უნდა გადაეგზავნოს ექსპერტს სრულად. ნიმუშების სრულე გულისხმობს იმას, რომ გამოსაკვლევად ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს ჯერ ერთი, როგორც თავისუფალი, ისე ექსპერიმენტული ნიმუშები და მეორეც, რამოდენიმეჯერ შესრულებული. მაგალითად, ხელნაწერების

თავისუფალი ნიმუშები, შესრულებული რამოდენიმე გვერდზე, ხელნაწერების ექსპერიმენტული ნიმუშები, შესრულებული ასევე რამოდენიმე გვერდზე. ნიმუშების ასეთი სისრულე საშუალებას იძლევა დავადგინოთ ნიშან-თვისებათა სისტემა, მათი ერთობლიობა, ვარიაციულობა და კანონზომიერება.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტების სისრულე, მათი მიღება პროცესუალური კანონის წესების დაცვით და ზემოთ დასახელებულ სხვა მოთხოვნათა შესაბამისად საშუალებას იძლევა ჩავატაროთ გაიგივება სრულყოფილად და მივალწიოთ სასურველ შედეგს – ხელი შევუწყოთ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენს.

§4. საიდენტიფიკაციო ნიშნების არსი და კლასიფიკაცია

კრიმინალისტიკური გაიგივების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს საიდენტიფიკაციო ნიშნების არსისა და კლასიფიკაციის საკითხი. იდენტიფიკაციის პროცესს ყოველთვის საფუძვლად უდევს გამოსაკვლევი ობიექტების ნიშან-თვისებათა დადგენა და შედარება. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოვახდინოთ იდენტიფიკაცია ან ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრა სათანადო ნიშნების გარეშე, რომლებიც ახასიათებს გამოსაკვლევ ობიექტს და განასხვავებს მას სხვა ანალოგიური ობიექტებისაგან.

საიდენტიფიკაციო ნიშანი არის გამოსაკვლევი საგნის (ცოცხალი არსების) ისეთი ნიშან-თვისება, რომელიც დამახასიათებელია მისთვის, განასხვავებს მას სხვა ობიექტებისაგან (განსხვავების ხარისხი შეიძლება იყოს სხვადასხვა), საჭირო და აუცილებელია იგივეობის დასადგენად.

საიდენტიფიკაციო ნიშნის ფასი და ღირებულება განისაზღვრება იმის და მიხედვით, თუ რამდენად ახდენს იგი გამოსაკვლევი საგნის ინდივიდუალურიზაციას, განასხვავებს მას სხვა ანალოგიური ობიექტებიდან.

გაიგივებისათვის საკმარისი არ არის საიდენტიფიკაციო ნიშნის მხოლოდ რაოდენობა. ამასთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იყოს მისი ხარისხიც. გაიგივებისათვის საჭირო და აუცილებელია ნიშან-თვისებათა ისეთი კომპლექსის არსებობა, რომელთა ერთობლიობა არ გამეორდება სხვა შემთხვევაში.

თუ შედარებითი გამოკვლევის საფუძველზე დადგენილ იყო როგორც განმასხვავებელი, ისე დამთხვევითი ნიშნები, კრიტიკულად უნდა იყოს შეფასებული ორივე ისინი მთლიანობაში და ერთობლიობაში. ასეთი შეფასების საფუძველზე ექსპერტი იძლევა დადებით და უარყოფით დასკვნას ან დასკვნას საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ. ამ უკანასკნელ დასკვნამდე ექსპერტი მიდის იმ დროს, როდესაც განმასხვავებელი და დამთხვევითი ხასიათის ნიშნების ერთობლიობა საშუალებას არ იძლევა (საკმარისი არ არის) იდენტიფიკაციის დასადგენად ან საკითხის უარყოფითი გადაწყვეტისათვის.

იმისათვის, რომ გამოსაკვლევი ობიექტის ნიშან-თვისებები გამოყენებულ იყოს გამოკვლევის პროცესში, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს.

საიდენტიფიკაციო ნიშნად ჩაითვლება გამოსაკვლევი ობიექტის ის ნიშან-თვისება, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია გამოსაკვლევ ობიექტთან. დამახასიათებელია მისთვის და ეხება მას. ისეთი ნიშანი, რომელიც შემთხვევით არის აღმოცენებული და კავშირში არ არის გამოსაკვლევ ობიექტთან, არ გამოიყენება პრაქტიკაში.

მართო ის ფაქტი, რომ საიდენტიფიკაციო ნიშანი არსებობს გამოსაკვლევ ობიექტზე, საკმარისი არ არის მისი გამოყენებისათვის. უნდა არსებობდეს ისეთი მეცნიერულად დამუშავებული მეთოდიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მისი გამოკვლევისათვის და შეცნობისათვის.

იმისათვის, რომ გამოსაკვლევი ობიექტის ნიშან-თვისება გამოყენებულ იყოს იდენტიფიკაციის პროცესში, იგი უნდა იყოს შედარებით უცვლელი და სტაბილური. ის ნიშანი, რომელიც სწრაფად იცვლება, კარგავს თავის პირვანდელ სახეს და გადადის ახალ თვისობრიობაში, არ გამოიყენება იდენტიფიკაციის მიზნებისათვის.

გამოკვლევის პროცესში საჭიროა დადგინდეს საიდენტიფიკაციო ნიშნის კანონზომიერება. დამახასიათებელი და კანონზომიერია ის ნიშანი, რომელიც მეორდება გამოსაკვლევ ობიექტში. რაც უფრო ხშირად მეორდება ერთი და იგივე ნიშანი გამოსაკვლევ ობიექტში, მით უფრო დამახასიათებელია მისთვის. საიდენტიფიკაციო გამოკვლევის ამ მოთხოვნას აქვს პირობითი ხასიათი იმ გაგებით, რომ თუ საიდენტიფიკაციო ნიშანი არ მეორდება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი გამოყენება არ შეიძლება პრაქტი-

კში. ასეთი ნიშნის გამოყენება დასაშვებია, მაგრამ იგი საჭიროებს განსაკუთრებულ კრიტიკულ ანალიზს სხვა ნიშან-თვისებათა ერთობლიობაში.

საიდენტიფიკაციო ნიშნის გამოყენებისათვის საჭიროა, რომ იგი ატარებდეს შედარებით დამოუკიდებელ ხასიათს, რომ მისი გამოყოფა შეიძლებოდეს სხვა ანალოგიური ნიშნებისაგან. ყოველი დამოუკიდებელი ნიშანი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ გამოსაკვლევ ობიექტისათვის დამახასიათებელი თვისება, მოვახდინოთ მისი ინდივიდუალიზაცია.

საიდენტიფიკაციო ნიშნების დასახელებული მოთხოვნების გათვალისწინება საჭირო და სავალდებულოა გამოკვლევის პროცესში ობიექტური და სრულყოფილი დასკვნის გაკეთებისათვის.

კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში მიღებულია საიდენტიფიკაციო ნიშან-თვისებების დაყოფა გარკვეული ნიშნის მიხედვით (საიდენტიფიკაციო ნიშანთა კლასიფიკაცია).

იდენტიფიკაციის საგნის დადგენის მიხედვით საიდენტიფიკაციო ნიშნები შეიძლება იყოს ჯგუფური და ინდივიდუალური. იმის და მიხედვით დამახასიათებელია თუ არა საიდენტიფიკაციო ნიშანი მთლიანად გამოსაკვლევ ობიექტისათვის თუ მისი ცალკეული მხარისათვის, განასხვავებენ საერთო და კერძო ნიშნებს. საიდენტიფიკაციო ნიშანი მისი წარმოშობის მიხედვით შეიძლება იყოს აუცილებელი და შემთხვევითი.

ჯგუფური და ინდივიდუალური ნიშნები. ჯგუფურ ნიშნებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც განსაზღვრავენ გამოსაკვლევ ობიექტის ჯგუფს, სახეს, მიაკუთვნებენ მას გარკვეულ კლასს. ჯგუფური ნიშნების საფუძველზე არ შეიძლება დადგინდეს გარკვეული, ინდივიდუალური ობიექტი. ჯგუფურ ნიშანს მიეკუთვნება გამოსაკვლევ ობიექტის სახე: ფერი, წონა, ფორმა, სისტემა, ზომა და ა.შ. მაგალითად, გამოკვლევის შედეგად იმის დადგენა, რომ შემთხვევის არგილზე არსებული ფეხის კვალი დატოვებულია 42 ზომის ფეხსაცმლით, წარმოადგენს ჯგუფურ ნიშანს, რადგან მიაკუთვნებს საგანს გარკვეულ ჯგუფს, ამ შემთხვევაში 42 ზომის ფეხსაცმელს.

ინდივიდუალურ საიდენტიფიკაციო ნიშნებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც მიუთითებენ და განსაზღვრავენ გამოსაკვლევ ობიექტის ინდივიდუალურ, მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებაზე. ინდივიდუალურ

ნიშანს ხელნაწერების გამოკვლევის დროს მიეკუთვნება, მაგალითად, ასო "ა"-ში საწყისი წერტილის განლაგება.

საერთო და კერძო ნიშნები. საერთო ნიშანს მიეკუთვნება ისეთები, რომელთა მიხედვითაც ვახდენთ გამოსაკვლევ ობიექტის მთლიან, ზოგად დახასიათებას. მაგალითად, საერთო ნიშნებს მიეკუთვნება ხელნაწერების გამოკვლევის დროს: ხელის დახრილობა, ასოების ზომა, ინტერვალის სტრიქონებს შორის და ა.შ. კერძო საინდენტიფიკაციო ნიშანს წარმოადგენს ისეთები, რომლებიც განასხვავებენ გამოსაკვლევ ობიექტს სხვა ანალოგიური ობიექტებისაგან. კერძო ნიშნებს მიეკუთვნება თითის ანაბეჭდების გამოკვლევის დროს, მაგალითად, დერილოვანი ხაზების თავისებურებანი: დერილოვანი ხაზის შეერთება, განშტოება, თვალაკი, ბოგირი, დერილოვანი ხაზის დასაწყისის თავისებურება და ა.შ.

ნიშნების დაყოფა ჯგუფურად და ინდივიდუალურად, საერთოდ და კერძოდ გარკვეულ შემთხვევაში ატარებს პირობით ხასიათს, რადგან ერთი და იგივე ნიშანი ერთ და იმავე დროს შეიძლება იყოს ჯგუფურიც და საერთოც, ინდივიდუალურიც და კერძოც. მაგალითად, დერილოვანი ხაზის განშტოება არის კერძო ნიშანი და ამავე დროს ინდივიდუალურიც, თუ მხედველობაში მივიღებთ არა მარტო მის არსებობას, არამედ მის ადგილმდებარეობას სხვა ნიშანთა სისტემაში.

აუცილებელი და შემთხვევითი ნიშნები. აუცილებელ საინდენტიფიკაციო ნიშნებს მიეკუთვნება ისეთები, რომელთა არსებობა განპირობებულია კონკრეტული სიტუაციის არსებობით და დაკავშირებულია გამოსაკვლევ ობიექტის წარმოშობასთან. მაგალითად, თითის ანაბეჭდში უნდა აისახოს დერილოვანი ხაზების თავისებურება (აუცილებელი ნიშანი). შემთხვევითია ისეთი ნიშანი, რომელიც დაკავშირებული არ არის გამოსაკვლევ ობიექტის წარმოშობასთან და კონკრეტული სიტუაციის არსებობასთან. შემთხვევით ნიშანს, მაგალითად, მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც აღმოცენდნენ გამოსაკვლევ ობიექტის არასათანადო შეფუთვის ან შენახვის შედეგად, გამოსაკვლევ ობიექტის ტრანსპორტირების დროს და ა.შ.

კრიმინალისტიკური ინდენტიფიკაციის ნიშანთა კლასიფიკაციას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. რადგან მიუთითებს გამოკვლევის დროს გარკვეული მეთოდის გამოყენებაზე, ნიშან-

თვისებათა ღირებულებაზე და მათ მნიშვნელობაზე იდენტიფიკაციის პროცესში.

§5. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ზოგადი მეთოდика

კრიმინალისტიკურ იდენტიფიკაციას ადგილი აქვს არა მარტო საექსპერტო გამოკვლევის პროცესში, არამედ მას ახდენს გამომძიებელი, მოსამართლე, როდესაც არ არის საჭირო სპეციალური ცოდნის გამოყენება. გაიგივების რთულ სახეს წარმოადგენს ექსპერტის მიერ ჩატარებული გამოკვლევა იდენტიფიკაციის მიზნით. ამიტომ, როდესაც ვეხებით კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საკითხებს, მხედველობაში გვაქვს საექსპერტო იდენტიფიკაცია.

ყოველი სახის საექსპერტო იდენტიფიკაციას აქვს მისთვის დამახასიათებელი გამოკვლევის მეთოდика. მაგრამ ყველა სახის გამოკვლევისათვის არსებობს ერთიანი, ზოგადი სახის მეთოდика, რომელიც წოდებულია კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, როგორც გამოკვლევის სტადიები. გამოკვლევის თითოეულ სტადიას აქვს თავისი მიზანი. სტადიების თანმიმდევრობისათვის დამახასიათებელია ის, რომ ჯერ შეისწავლება ზოგადი, შემდეგ კი კერძო საკითხები. ზოგადი მეთოდика (გამოკვლევის სტადიები) უზრუნველყოფს შეარებითი გამოკვლევის ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ ჩატარებას.

საექსპერტო იდენტიფიკაციის პროცესში განასხვავებენ ოთხ ძირითად სტადიას: 1. გამოსაკვლევი მასალის საექსპერტო დათვალიერება; 2. გაყოფითი გამოკვლევა; 3. შედარებითი გამოკვლევა; 4. გამოკვლევის შედეგების შეფასება და დასკვნის გაკეთება.

გამოსაკვლევი მასალის საექსპერტო დათვალიერება. ამ პირველდაწყებითი სტადიის მიზანი ის არის, რომ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტმა განსაზღვროს სწორად არის თუ არა გაფორმებული საექსპერტო მასალები; წარმოდგენილია თუ არა საკმარისი და ხარისხოვანი გამოკვლევის ობიექტები და შესადარებელი ნიმუშები; ჩამოყალიბებულია თუ არა ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტი საკითხები; შედის თუ არა ამ საკითხების გადაწყვეტა ექსპერტის კომპეტენციაში.

ამ საკითხების გარკვევის მიზნით ექსპერტი ეცნობა დადგენილებას (განჩინებას) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ყველა წარმოდგენილ

მასალას. ექსპერტი უფლებამოსილი არ არის ჩაატაროს გამოკვლევა, თუ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების (განჩინების) ნაცვლად მას გადაეცა სხვა რაიმე დოკუმენტი (მიწერილობა, თანხლების წერილი, წერილობით ჩამოყალიბებული გადასაწყვეტი საკითხები). ექსპერტიზის ჩატარების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება (განჩინება).

მასალების გაცნობის შედეგად ექსპერტი უნდა დარწმუნდეს, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილია ის ობიექტი, რომელიც კავშირშია მოცემულ საქმესთან და არა სხვა ობიექტი. ამ მიზნით ექსპერტი ადარებს დადგენილებაში (განჩინებაში) აღწერილ გამოსაკვლევ ობიექტს უშუალოდ მას. ასევე ექსპერტი რწმუნდება, რომ ნიმუშების სახით წარმოდგენილია დადგენილებაში (განჩინებაში) აღწერილი მასალა და არა სხვა ნიმუშები. ამ საკითხის უარყოფითი გადაწყვეტის შემთხვევაში ექსპერტი უფლებამოსილი არ არის ჩაატაროს გამოკვლევა.

გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი მიდის დასკვნამდე, რომ გამოსაკვლევი ობიექტი და შესადარებელი ნიმუშები საკმარისია შესადარებელი გამოკვლევის ჩასატარებლად. ექსპერტი უნდა გაეცნოს აგრეთვე მის წინაშე დასმულ გადასაწყვეტ საკითხებს და მივიდეს დასკვნამდე, რომ საკითხები არის გასაგებად და ნათლად ჩამოყალიბებული და მათი გადაწყვეტა შედის მის კომპეტენციაში. ასევე ექსპერტი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გამოკვლევის სრულყოფილი და ყოველმხრივი ჩატარებისათვის წარმოდგენილია საქმის სხვა მასალა (დაკითხვის ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ავტოსაგზაო შემთხვევის სქემა და გეგმა და სხვ.), რომელიც მიზეზობრივ კავშირშია გამოკვლევის ობიექტებთან და შესადარებულ მასალასთან.

გამოსაკვლევი მასალის დათვალიერების შედეგად ექსპერტი მიიღებს სამიდან ერთ-ერთ რომელიმე გადაწყვეტილებას: დაიწყებს გამოკვლევის ჩატარებას, თუ ექსპერტიზის მასალები არის სათანადოდ გაფორმებული; შესაბამისი მიმართვის საფუძველზე გამოითხოვს ექსპერტიზის დამნიშნავი პირისაგან დამატებით მასალებს; გამოკვლევის გარეშე დაუბრუნებს საქმეს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს (გამომძიებელს, სასამართლოს) იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი მასალები გაფორმებულია საპროცესო კანონის

მოთხოვნათა დარღვევებით ან საკითხების გადაწყვეტა არ შედის მის კომპეტენციაში.

გაყოფითი გამოკვლევა. გაყოფითი გამოკვლევა, როგორც საექსპერტო იდენტიფიკაციის მეორე სტადია, მიზნად ისახავს გამოსაკვლევი ობიექტისა და შესადარებელი ნიმუშების ცალ-ცალკე შესწავლას.

გამოსაკვლევი ობიექტის შეაწავლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ჯგუფური და ზოგადი ნიშნების დადგენას, ხოლო შემდეგ კი ინდივიდუალური და კერძო ნიშნების გამოძიებას. ამ პროცესში ყოველთვის საკმარისი არ არის ვიზუალური მეთოდის გამოყენება. იმ შემთხვევაში, როდესაც მიკრო კვალს, უხილავ ან ცუდად ხილვად ნიშნებს ვადგენთ, საჭირო და აუცილებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენება (გამადიდებელი მინა, მიკროსკოპი, განზომილებითი ხელსაწყოები და ა.შ.)

გაყოფითი გამოკვლევის დროს ასეთივე წესითა და თანმიმდევრობით უნდა იყოს შესწავლილი შესადარებელი ობიექტებიც (ნიმუშები). კვალთა და ნიშანთა თვალსაჩინოების მიზნით ექსპერტი ახდენს დადგენილ ნიშანთვისებათა ჩვეულებრივ ფოტოგადაღებას, საჭიროების შემთხვევაში კი, მიკრო და მიკრო ფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენებას. გამოიყენება აგრეთვე სხვა მეთოდებიც კვალთა და საიდენტიფიკაციო ნიშნების გამოძიებისა და დადგენის მიზნით.

შედარებითი გამოკვლევა. შედარებითი გამოკვლევა, როგორც გაიგივების პროცესის დამოუკიდებელი მესამე სტადია მიზნად ისახავს გამოსაკვლევი და შესადარებელი ობიექტების უკვე დადგენილ ნიშანთვისებათა შედარებას იდენტიფიკაციის მიზნით.

ამ სტადიის არსი იმაში გამოიხატება, რომ ხდება გამოსაკვლევი ობიექტების შედარება ჯერ ჯგუფური და საერთო ნიშნების, ხოლო შემდეგ ინდივიდუალური და კერძო ნიშნების მიხედვით. შედარების პროცესში უარყოფითად საკითხის გადაწყვეტა არ წარმოადგენს, როგორც წესი, სირთულეს. თუ ჯგუფური და საერთო ნიშნები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, ექსპერტს შეუძლია აღარ ჩაატაროს ინდივიდუალურ ნიშანთვისებათა შედარებით გამოკვლევა. მაგალითად, თუ დადგინდება, რომ გამოსაკვლევი თითის ანაბეჭდზე არსებობს ხვეული ქარგი, ხოლო შესადარებელ თითის ანაბეჭდზე რკალისებური ქარგია, შემდგომ შედარებას კერძო და ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით არავითარი აზრი არა აქვს, რადგან

პასუხი უკვე ნათელია: პირს, რომელსაც აქვს ხვეული ქარგი არ შეუძლო დაეტოვებინა სხვა სახის ქარგი, კერძოდ კი რკალისებური ქარგი.

ჯგუფური და ზოგადი ნიშნების დამთხვევის შემთხვევაში ექსპერტი აგრძელებს გამოკვლევას კერძო და ინდივიდუალურ ნიშან-თვისებათა შედარების მიზნით. გამოკვლევის ამ სტადიაზეც ხშირ შემთხვევაში გამოიყენება გამოკვლევის ტექნიკური საშუალებები. ამ საშუალებების გამოყენების სახე დამოკიდებულია გამოსაკვლევო ობიექტების თავისებურებაზე, დადგენილ ნიშან-თვისებათა სპეციფიკაზე.

შედარებითი გამოკვლევის პროცესში ხდება ექსპერტის შინაგანი რწმენის ფორმირება.

შედარებითი გამოკვლევის შედეგების შეფასება. გამოკვლევის შედეგების შეფასება არის გაიგივების საბოლოო სტადია, რომლის მიზანია ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის არსებითი გადაწყვეტა და დასკვნის გაკეთება.

შედარებითი გამოკვლევის დროს ყველა ნიშანს უნდა მიეცეს შეფასება მისი არსებობის კანონზომიერების თუ შემთხვევითობის თაობაზე. უნდა დადგინდეს დამახასიათებელია თუ არა ნიშანი მოცემული ობიექტისათვის, უნდა შეფასდეს თითოეული ნიშნის საიდენტიფიკაციო ღირებულება. ნიშან-თვისებათა დამთხვევის შემთხვევაში ექსპერტი უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ დამთხვევათა ერთობლიობა დამახასიათებელია მხოლოდ გამოსაკვლევო ობიექტისათვის და ამ ერთობლიობის (სისტემის) გამეორება სხვა შემთხვევაში გამორიცხებულია. ასევე ერთობლიობაში უნდა შეფასდეს შესაძარებელი ობიექტების ნიშან-თვისებათა სხვაობის ფაქტიც.

თუ შედარებითი გამოკვლევის პროცესში დადგენილია ნიშან-თვისებათა დამთხვევა და სხვაობაც, ამ შემთხვევაში ექსპერტი კრიტიკული შეფასების საფუძველზე უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომელი ნიშნებია დამახასიათებელი: გამოსაკვლევო ობიექტისათვის დამთხვევები თუ სხვაობები; რომელი მათგანი არის შემთხვევითი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. ასეთი ერთობლივი კრიტიკული შეფასების შედეგად ექსპერტს შეუძლია გააკეთოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დასკვნა. თუ ექსპერტმა ვერ მიაჩნა რომელიმე მათგანს უპირატესობა, მას არ შეუძლია დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გაკეთება. ამ შემთხვევაში ექსპერტმა უნდა მისცეს დასა-

ბუთებული დასკვნა მის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ.

შედარებითი გამოკვლევის შედეგების შეფასების დროს ექსპერტი იყენებს თავის გამოცდილებას, მათემატიკურ მეთოდებს, ალბათობით თეორიას, რაც ხელს უწყობს შედარებითი გამოკვლევის შედეგების ობიექტივიზაციას.

შედარებითი გამოკვლევის შედეგების შეფასების არსი იმაში გამოიხატება, რომ ექსპერტი მიდის გარკვეულ დასკვნამდე. განასხვავებენ ექსპერტის დასკვნის შემდეგ ფორმებს:

- ა) ექსპერტის კატეგორიული (დადებითი ან უარყოფითი) დასკვნა (მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ფეხის კვალი დატოვებულია კონკრეტული პირის ფეხსაცმლით);
- ბ) ექსპერტის დასკვნა ჯგუფური კუთვნილების დადგენის შესახებ (დადებითი ან უარყოფითი). მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მასრა გასროლილია "მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან;
- გ) ექსპერტის დასკვნა საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ (მაგალითად, საკითხის გადაწყვეტა შესრულებულია თუ არა გამოსაკვლევ საბუთზე ხელმოწერა გარკვეული პირის მიერ შეუძლებელია);
- დ) ექსპერტის ალბათობითი დასკვნა (მაგალითად, გამოსაკვლევი ტექსტი ალბათ შეასრულა კონკრეტულმა პირმა).

ექსპერტის ალბათობითი დასკვნა არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც მტკიცებულების წყარო, რადგან არ ადგენს ფაქტს, არამედ გამოთქვამს ვარაუდს ფაქტის შესახებ.

კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის არსის გაგება საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად და სწორად გავერკვეთ კრიმინალისტიკური ტექნიკის, საგამოძიებო ტაქტიკისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების დროს წამოჭრილ კონკრეტულ საკითხებში.

§1. კრიმინალისტიკური ვერსიების ცნება და მნიშვნელობა

დანაშაულთა გახსნის საქმეში კრიმინალისტიკური (საგამოძიებო) ვერსიების როლი ადრე არაჯეროვნად იყო შეფასებული კრიმინალისტების მიერ. ს.პ.მიტრტჩევი 1956 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში 'საბჭოთა კრიმინალისტიკის მეცნიერული საფუძვლების საკითხის შესახებ', ეხებოდა რა საგამოძიებო ვერსიების საკითხს მართებულად წერდა, რომ დღემდე კრიმინალისტიკა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საგამოძიებო ვერსიების აგების დამუშავებას და იქვე ხაზგასმით აღნიშნავდა: "დანაშაულთა გამოძიების ტაქტიკისა და მეთოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი საგამოძიებო ვერსია დავიწყებული იქნა ჯერ პროცესუალისტების, შემდეგ კი კრიმინალისტების მიერ.¹ ამის შემდეგ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში უკვე გამოჩნდა საგამოძიებო ვერსიებისადმი მიძღვნილი მრავალი საინტერესო ნაშრომი და საკანდიდატო დისერტაციებიც.

1959 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში "ვერსია" პროფესორი გ.ნ. ალექსანდროვი წერდა, რომ "ვერსია ესაა თავისებური 'საგამოძიებო კომპასი', რომელსაც აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, განსაზღვრავს გამოძიების ყველა მიმართულებას და მათ შორის, საგამოძიებო ტაქტიკასო".²

საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების, დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ამიტომ სწავლებას საგამოძიებო ვერსიების შესახებ აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

დანაშაულის გამოძიების პროცესში გამომძიებლის მთელი საქმიანობა მიმართულია წარსულში მომხდარი ფაქტების ყოველმხრივი გამოკვლევისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისაკენ. გამომძიებლის მიერ წარმოებული ეს უაღრესად შრომატევადი შემეცნების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკეული წინააღმდეგობრივი საფეხ-

¹ Советская криминалистика на службе следствия, М. 1956, вып. 7, с. 18.

² Социалистическая законность, 1959, N 10, с. 22.

ურების სახით, რომელთა დაძლევაში მას ხელს უწყობს და ეხმარება აზროვნების ლოგიკური კნონების სწორი გამოყენება.

გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და საკითხების ახსნა-გამოკვლევის შემეცნების პროცესში გამომძიებელი შემოქმედებითად იყენებს რა ლოგიკის კანონებს, საქმეზე შეკრებილი ფაქტიური მონაცემების საფუძველზე აგებს მათი ახსნის სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრებებს საგამომძიებო ვერსიების სახით.

ზოგიერთი კრიმინალისტის (ა.ნ.ვასილევ, პ.ნ.მუდიუგინი, ნ.ა. იაკუბოვიჩი, ა.რ.შლიახოვი, ო.ვ. ნიკრენცი, ა.ა.სტარჩენკო, ი.მ. ლუზგინი, გ.ვ.არციშევსკი) აზრით საგამომძიებო ვერსიები, თავიანთი ლოგიკური ბუნებით, არაფრით არ განსხვავდებიან ჰიპოთეზებისაგან, ამიტომ ისინი საგამომძიებო ვერსიებს ჰიპოთეზებთან აიგივებენ.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის განკუთვნილ ლოგიკის სახელმძღვანელოში მ.ს. სტროგოვიჩი წერდა, რომ სასამართლო გამოკვლევისას ცალკეული ფაქტების ან გარემოებათა ერთიანობის ახსნის დროს ხშირად იყენებენ ამ ფაქტების სხვადასხვანაირად ამხსნელ მთელ რიგ ჰიპოთეზებს. ასეთ ჰიპოთეზებს ვერსიებს უწოდებენ და რომ "ჰიპოთეზა არის მოვლენის სავარაუდო ახსნა".³

ჰიპოთეზა არის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის სავარაუდო ახსნის რთული მეცნიერული კვლევის მეთოდი. ჰიპოთეზის წამოყენება და შემოწმება ხდება ხანგრძლივი მეცნიერული დაკვირვებისა და მიღებული მონაცემების მრავალმხრივი მეცნიერული განზოგადების საფუძველზე. საგამომძიებო ვერსიების აგება კი წარმოებს პირველადი მონაცემების საფუძველზე გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების სავარაუდო ახსნის მიზნით. ვერსიის შემოწმება სწარმოებს კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სპეციალური ხერხებითა და საშუალებებით. სწორედ ამიტომ ამ ცნებების ერთნაირი მნიშვნელობით გაგება და მათი ურთიერთ გაიგივება არ შეიძლება.

ჰიპოთეზასთან შედარებით საგამომძიებო ვერსიაც, როგორც ჰიპოთეზის ნაირსახეობა და გამოსაძიებელი დანაშაულებრივი ფაქტის სავარაუდო ახსნა,

³ Строгович М.С. Логика, М., 1949 с.304.

არის ჰიპოთეზის ნაირსახეობა, წარსულში მომხდარი ფაქტების ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნებისა და, მაშასადამე, დანაშაულის გახსნის სპეციალური მეთოდი.

მართებულად აღნიშნავს პროფესორი კ.ბაქრაძე, რომ ფაქტების, მოვლენების, ან ამა თუ იმ გარემოებების ახსნის მომენტი ვარაუდის სახით წინ უსწრებს მეცნიერული ინდუქციით მეთოდების გამოყენებას. ასეთ წინასწარ ვარაუდს, რომლითაც ჩვენ ვცდილობთ ავხსნათ მოვლენები, ჰიპოთეზა ეწოდება. ჰიპოთეზა ნიშნავს გარკვეულ აზრს მოვლენის მიზეზის შესახებ და იგი გვაძლევს მოვლენის მიზეზის სააღბათო ცოდნას და ამით ამ მოვლენის ახსნის სააღბათო პრინციპს.⁴

მაშასადამე, ჰიპოთეზის აგება და შემოწმება მოითხოვს სრულიად სხვა მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოყენებას, ვიდრე საგამოძიებო ვერსიები.

ა.მ.ლარინი გეთავაზობს საგამოძიებო ვერსიების ცნება განმარტებული იქნას, როგორც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და გამოკვლევა გარემოებათა მიზნით აგებული ინტეგრალური იდეა, წარმოსახვით (ფანტაზიით) შექმნილი მოდელი ფუნქციებისა, რომელიც შეიცავს არსებული მონაცემების სავარაუდო შეფასებას და ჰიპოთეზის ფორმაში გამოსატული ემსახურება ამ მონაცემების ახსნას.⁵

საგამოძიებო ვერსიების ცნებაში ამ ახალი ტერმინოლოგიის "ინტეგრალური იდეის, წარმოსახვით (ფანტაზიით) შექმნილი მოდელის" შეტანა ვერ ცვლის საგამოძიებო ვერსიების არსსა და მნიშვნელობას. პირიქით, იგი ხელს უწყობს ამ მეტად მნიშვნელოვანი ცნების არასწორ ინტერპრეტაციას, რადგან ასეთი განმარტებით, ჯერ ერთი, გამოდის, რომ ერთნაირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ ვერსია და იდეა, რომ ვერსიის არსი თითქოს ინტეგრალური იდეის აგებაში მდგომარეობდეს. მაშინ, როცა საგამოძიებო ვერსია არ შეიძლება იყოს "ინტეგრალური იდეა". მეორე, სიტყვა "მოდელი" ვერ ასახავს საგამოძიებო ვერსიების არსსა და მნიშვნელობას. მესამე, საგამოძიებო ვერსიების აგებისა და წამოყენებისათვის საკმარისი არაა მარტოდონ გამოძიებლის შიშველი მოსაზრება და ფანტაზია. საჭიროა

4 რ.კ.ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., 1956, გვ. 412.

5 Ларин А.М. От следственной версии к истине, М., 1976.

გვეყენება აგრეთვე საქმის ფაქტიური მონაცემები. იდეის აგებისათვის კი ეს აუცილებელი არაა. იდეა შეიძლება არსებობდეს ფაქტიური მასალების გარეშე, წარმოსახვაში, ფანტაზიაში, რადგან თავისთავად იდეა სხვა არა არის რა, თუ არა მოსაზრება, შეხედულება ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის შესახებ.

ზოგიერთი ავტორი (ონიკრენცი, ა.ა.სტარჩენკო, ა.ნ. კოლესნიჩენკო, გ.ვარციშევსკი და სხვ.) საგამოძიებო ვერსიებს გამარტავენ, როგორც ვარაუდს დანაშაულთა ან მის ცალკეულ გარემოებათა შესახებ. ზოგიერთი კი მათ უწოდებს გულვებას. ვერსიების ასეთი გაგება არასწორია.

"ვერსია" ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთ სავარაუდო ახსნას ან გადმოცემას (რამდენიმედან). ვერსიის ასეთი ახსნა სწორია და იგი შეესაბამება მის ნამდვილ არსსა და ბუნებას.

დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი ცალკეული ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის პროცესში წამოყენებული ვერსიები უნდა ემყარებოდეს საქმეზე შეკრებილ ფაქტიურ მონაცემებს, გამომდინარეობდეს მათგან და აგებული იქნას ლოგიკური კანონების აზროვნების ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა კვლევის დედუქციური მეთოდები და ლოგიკური ხერხები: ანალოგია და სინთეზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ საგამოძიებო ვერსია, როგორც ჰიპოთეზის ნაირსახეობა და ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი, ესაა გამოძიებლის მიერ გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ან ფაქტის სავარაუდო ახსნა, რომელიც უნდა ემყარებოდეს საქმეზე არსებულ ფაქტიურ მონაცემებს და აგებული იყოს ლოგიკური კანონების აზროვნების კვლევის დედუქციური მეთოდებისა და ლოგიკური ხერხების – ანალოგიისა და სინთეზის გამოყენებით, რაც უნდა შემოწმდეს და დაზუსტდეს საქმეზე გამოძიების პროცესში მიღებული მტკიცებულებებით.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ საგამოძიებო ვერსიებს იხსენებენ, როგორც ტაქტიკურ ხერხებს, რაც არასწორია. საგამოძიებო ვერსია არის დანაშაულთა გახსნის სპეციალური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სწორად შევიცნოთ და დავადგინოთ გამოსაძიებელ შემთხვევაზე ობიექტური ჭეშმარიტება. ამ რთული პროცესის მიღწევა შეუძლებელია ერთი რომელიმე ტაქტიკური ხერხის გამოყენებით, რადგან გამოძიების პროცესში

გამომძიებელი აგებს რა სხვადასხვა სახის ვერსიებს, მათ შესამოწმებლად მიმართავს ცალკეული საგამომძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას, რა დროსაც იყენებს მრავალ ტაქტიკურ ხერხს, ე.ი. საგამომძიებო ვერსიები თავისთავად მოიცავს იმ ტაქტიკურ ხერხებსაც, რომლებიც გამოიყენება მათი შემოწმების მიზნით.

საგამომძიებო ვერსია არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციალური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სწორად შევიცნოთ და დავადგინოთ გამოსადიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება. სწორედ ამიტომაც, რომ მოძღვრება საგამომძიებო ვერსიების შესახებ უკანასკნელ წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებსა და უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის სასწავლო პროგრამებში განხილულია კრიმინალისტიკის საგნის პირველ – "კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიის" – განყოფილებაში.⁶

§2 კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია

თავიანთი წარმოქმნის წყაროების, კვლევის ობიექტების მოცულობისა და დანიშნულების მიხედვით კრიმინალისტიკური ვერსიები პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს დანაშაულის გახსნის პროცესში მონაწილე პირთა მიერ საქმეზე მნიშვნელობის მქონე კონკრეტულ გარემოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით წამოწყებული ყველა ვერსია. კერძოდ, დანაშაულის გახსნის პროცესში კრიმინალისტიკური ვერსია შეიძლება წამოყენებული იქნეს არა მარტო გამომძიებლის, არამედ სასამართლოს, სამძებრო-ოპერატიული მუშაკის, ექსპერტის, ბრალდებულისა და თვით დაზარალებულის მიერაც. აღნიშნულის შესაბამისად განასხვავებენ: საგამომძიებო ვერსიებს, სასამართლო ვერსიებს, ოპერატიულ-სამძებრო ვერსიებს, საექსპერტო ვერსიებს, აგრეთვე დაზარალებულისა და ბრალდებულის ვერსიებს.

იმ შემთხვევაში, როცა ვერსიების აგება წარმოებს გამომძიებლის მიერ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში გამოსადიებელი შემთხვევის ან მისი ცალკეული გარემოების ახსნისა და შემოწმებისათვის,

⁶ Криминалистика, М., 1990.

ეწოდება საგამოძიებო ვერსიები. სასამართლოში საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების ახსნა-გამოკვლევის მიზნით წამოყენებულ ვერსიებს ეწოდება სასამართლო ვერსიები. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში საქმეზე მნიშვნელობის მქონე კონკრეტულ გარემოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით ოპერატიული მუშაკის მიერ წამოყენებულ ვერსიებს ეწოდება ოპერატიულ-სამძებრო ვერსიები. საექსპერტო კვლევის პროცესში ამა თუ იმ სახის გარემოებათა ახსნისა და შემოწმების მიზნით ექსპერტის მიერ წამოყენებულ ვერსიებს ეწოდება საექსპერტო ვერსიები. წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ან საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა ცალკეულ გარემოებათა ახსნა-გამოკვლევისა და შემოწმების მიზნით წამოყენებულ ვერსიებს ეწოდება დაზარალებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის ვერსიები.

კრიმინალისტიკური ვერსიების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ვერსიები, რომლებსაც აგებს გამომძიებელი მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის ახსნის ან დანაშაულის შემადგენლობის ცალკეულ ელემენტებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე სხვა კონკრეტულ გარემოებათა ახსნა-გამოკვლევის მიზნით. ამ მხრივ განასხვავებენ ზოგადს, კერძოსა და დეტალურ ვერსიებს.

ზოგადი სახის საგამოძიებო ვერსია ეხება მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის საერთო ახსნას. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე ადამიანის გვამის აღმოჩენისას შეიძლება წამოყენებული იქნას ზოგადი საგამოძიებო ვერსია იმის ასახსნელად, თუ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში რა გარემოებას ჰქონდა ადგილი – მკვლელობას, თვითმკვლელობას, თვითმკვლელობის ინსცენირებას თუ უბედურ შემთხვევას.

კერძო საგამოძიებო ვერსიის აგებას მიმართავენ გამოსაძიებელი დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების (ობიექტს, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარის) ახსნისათვის. მაგალითად, იგივე მკვლელობის საქმეზე კერძო ვერსია შეიძლება წამოყენებული იქნას იმის ასახსნელად, თუ სად, როგორ და რა გარემოებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ე.ი. საგამოძიებო ვერსია ობიექტური მხარის ახსნის შესახებ; ვის შეეძლო ჩადენა ეს დანაშაული, ე.ი. ვერსია დანაშაულის ჩადენის სუბიექტის

შესაებ; როგორც, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით იქნა ჩადენილი მკვლელობა, ე.ი. ვერსია სუბიექტური მხარის ახსნის შესახებ.

დეტალური სახის ვერსიებს აგებენ ისეთი გარემოებების ან ფაქტების ახსნის შესახებ, რომლებსაც, მართალია, დანაშაულის შემადგენლობის მთლიანი მექანიზმის ან მისი ცალკეული ელემენტების ახსნისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის აქვს გარკვეული მნიშვნელობა. მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მკვლელობა ჩადენილია "ტეტეს" სისტემის იარაღიდან, თუ "ნაგანის" ან "ბრაუნინგის" სისტემის იარაღიდან გასროლილი ტყვიით. მაგრამ იმის დადგენას, რომ გვამში აღმოჩენილი ტყვია გასროლილია ეჭვიმიტანილ პირთან აღმოჩენილ "ნაგანის" სისტემის, დავუშვათ № 55765 იარაღიდან, ამ გარემოების დადგენას მოცემული დანაშაულის გახსნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ აგრეთვე ეგრეთ-წოდებულ სამუშაო ვერსიებს, რაც ჩვენი აზრით არასწორია, რადგან თავისთავად ყველა ვერსია სამუშაოა და მას მტკიცებულებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოყენებული ყველა ვერსია სრულყოფილად უნდა იქნას შემოწმებული და არც ერთი მათგანი, თუ იგი ემყარება ფაქტიურ მონაცემებს, არ შეიძლება დარჩეს შემოწმების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გაუხსნელი დარჩება და მასზე გამოტანილი განაჩენი გაუქმდება საქართველოს რესპუბლიკის სისხ. სამართ. საპრ. კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო.

§3 საგამოძიებო ვერსიების აგება და შემოწმება

გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით წამოყენებული ვერსიები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მარტოოდენ წმინდა ლოგიკური აზროვნების ნაყოფი, როგორც გამომძიებლის შიშველი მოსაზრება და ფანტაზია. იგი უნდა ემყარებოდეს და გამომდინარეობდეს იმ ფაქტიური მონაცემებიდან, რომლებიც გამომძიებელს ხელთა აქვს ვერსიების აგების მომენტისათვის. საგამოძიებო ვერსიების აგებას გამომძიებელი ახდენს საქმეზე შეკრებილი

ფაქტიური მონაცემების საფუძველზე, რა დროსაც იგი იყენებს კვლევის დედუქციურ მეთოდსა და ლოგიკურ ხერხებს – ანალოგიასა და სინთეზს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშოთ, რომ საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებაში ანალოგია ასრულებს არა მთავარსა და გადამწყვეტ როლს. ანალოგიის მიხედვით ვერსიების აგება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი აგება შეიძლებოდეს ფაქტიური მონაცემების გარეშე. ამასთან მსგავსების ნიშნები ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს შემთხვევითი და არ ნიშნავდეს მეორე ნაწილის ნიშნების სავალდებულო მსგავსებას. თვით ერთი და იგივე სახის დანაშალის ჩადენისა და მის კვალის დაფარვისათვის გამოყენებული ერთნაირი ხერხებისა და საშუალებების მთლიანი კომპლექსი გარკვეულწილად განსხვავდება ერთი მეორისაგან და ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნას გამოძიებლის მიერ, თავისი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ანალოგიით ვერსიების აგება-შემოწმების დროს.

გამოძიების დაწყების ეტაპზე, ე.ი. სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საქმის წარმოებაში მიღების მომენტისათვის ვერსიების მრავალფეროვნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მასალების საფუძველზე მოხდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ამ მომენტისათვის რა ფაქტიური მონაცემები აქვს გამოძიებელს. საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება უნდა მოხდეს პარალელურად. არ შეიძლება რომელიმე ვერსიის შემოწმების უპირატესობა, წინასწარ გადაწყვიტოთ საკითხი ამ ვერსიის სისწორის შესახებ და სხვა ვერსიები დაეტოვოთ შემოწმების გარეშე, ან დავაწესოთ რიგითობა წამოყენებული ვერსიების შემოწმებისათვის. გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიების ასეთი შემოწმება არასწორი და დაუშვებელია, რადგან ვერსიების შემოწმების ამგვარმა გზამ შეიძლება გამოძიება მოაქციოს ჩიხში, რომლიდანაც თავის დაღწევა, გამოძიების სწორ გზაზე დაყენება და საქმის გახსნა უალრესად რთულდება საქმეზე საჭირო მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობის გართულებასთან ერთად. ამიტომ დანაშაულთა გამოძიების პროცესში საჭიროა მტკიცედ იქნას დაცული კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული საქმეზე წამოყენებული საგამოძიებო ვერსიების შემოწმების შემდეგი წესი:

1. საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება მოხდეს პარალელურად;

2. ვერსიების შემოწმების შედეგების მიხედვით გაკეთდეს დასკვნა ვერსიების დადასტურების (სისწორის) ან უარყოფის შესახებ;
3. ვერსიების შემოწმება დამთავრებულად ჩაითვალოს მას შემდეგ, როდესაც მიღებული შედეგების მიხედვით საქმეზე წამოყენებული ვერსიებიდან ჩამოგვცილდება ყველა სახის არასწორი ვერსია და ბოლოს დაგვრჩება ერთადერთი სწორი ვერსია.

საქმეზე წამოყენებულ ყველა ვერსიის სწორ, თანმიმდევრულ შემოწმებას დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისაკენ მივყავართ. ამიტომაც ვამბობთ, რომ საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარ გამოსაძიებელ ფაქტზე ჭეშმარიტების შემეცნების ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი.

§1. დანაშაულის გახსნაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ამოცანები და მნიშვნელობა

განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს საზოგადოების როლი დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მშრომელთა ფართო წარმომადგენლები ქმედითად უნდა მონაწილეობდნენ ყოველი სახის სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასა და აღკვეთაში.

თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს, თუ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილი ერთსულოვნად დაირაზმება მის წინააღმდეგ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს შეგონება იმის შესახებ, რომ მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დანაშაული სასტიკად დაისაჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმჟღავნებელი.

დღეს, როდესაც ქვეყანაში საგრძნობლად იზრდება საშიშ დანაშაულთა რიცხვი, საჭიროა მოეწყოს სამართალდამცველი ორგანოების და საზოგადოებრიობის ერთობლივი, საყოველთაო-სახალხო, ჯვაროსნული, უკომპრომისო ლაშქრობა განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენ პირებთან და ორგანიზებულ ჯგუფებთან.

ხალხის, მასის დახმარების გარეშე სამართალდარღვევათა აღმოფხვრა და თავიდან აცილება შეუძლებელია.

თუ დღეს საქართველოში საშიშ დანაშაულთა, მათ შორის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახი მკვლელობის საქმეების გარკვეული ნაწილი გაუხსნელი გვაქვს, ეს გამოწვეულია საზოგადოების ინერტულობით და პასიურობით. საზოგადოების წარმომადგენლებმა უმეტეს შემთხვევებში იციან თუ ვინ არის დანაშაულის ჩამდენი პირი ან პირები, მაგრამ დუმან და მის შესახებ არ ატყობინებენ სამართალდამცველ ორგანოებს, რის გამოც დროულად არ ხდება დანაშაულის გახსნა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ დანაშაულის გამომჟღავნებაში მონაწილეობისათვის. ასე მაგალითად, საქართველოს სისხ-

ლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიების წარმოებისას გამომძიებელმა ფართოდ უნდა გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გამოსამჟღავნებლად და მისი ჩამდენი პირების მოსაძებნად, აგრეთვე დანაშაულის ხელის შემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსაგონად და ასაცილებლად.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ შეცვალონ გამომძიებელი ან ოპერატიული მუშაკები, აწარმოონ საგამომძიებო ან საპროცესო მოქმედებანი.

დანაშაულის გახსნაში მონაწილეობა მოქალაქეთა ნებაყოფლობითი საქმეა. დაუშვებელია მათი იძულებითი ჩაბმა საგამომძიებო ორგანოების მუშაობაში.

გამომძიებელს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს იმ მოქალაქეთა უშიშროება, რომლებიც ჩაბმული არიან დანაშაულის გახსნაში. არ შეიძლება საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ჩავაბათ იმ საგამომძიებო მოქმედებაში, რომელიც მათ სიცოცხლეს საშიშროებას უქმნის.

საზოგადოებრიობის მონაწილეობას დანაშაულის გახსნაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ინიციატივით, ასევე მათდამი საგამომძიებლო ორგანოების მიმართვის შედეგად.

გამომძიებაში დასახმარებლად შეიძლება ჩავაბათ: ახალგაზრდული რაზმები, მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, გამომძიებელთა საზოგადოებრივი თანამშრომლები, პოლიციის შტატგარეშე თანამშრომლები, ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც საკუთარი ინიციატივით ან საგამომძიებო ორგანოს მიმართვის პასუხად ეხმარებიან დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებაში.

საგამომძიებო მოქმედებაში საზოგადოებრიობის ჩაბმის ტაქტიკურ თავისებურებებს განსაზღვრავს უპირველეს ყოვლისა თვით მათი ხასიათი. მაგალითად, თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერება ან ჩხრეკა არ მოითხოვს დიდი მონაკვეთის ადგილმდებარეობის შესწავლას, დიდი რაოდენობის საგნების გამოკვლევას ან დაკავშირებული არ არის შრომატევად სამუშაოებთან, საზოგადოებრიობის ჩაბმა ასეთ საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოებაში არა თუ მიზანშეწონილი არ არის, არამედ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება საზიანოც იყოს.

როცა დადგენილია საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დახმარების აუცილებლობა, მაშინ გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული საგამომძიებო მოქმედების წარმოებაში მისი ჩაბმის ფორმებიც.

გამომძიებელმა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს აუცილებლად უნდა გააცნოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად მათი ჩაბმის მიზნები; იმ სამუშაოს მოცულობა, რომელსაც მათ ანდობენ; მისი შესრულების ხერხები და საშუალებები; წინასწარი გამოძიების მონაცემთა გახმაურების დაუშვებლობა.

საზოგადოების მონაწილეობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ხელს უწყობს გამოძიების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად ჩატარებას. ამავე დროს იგი წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას.

თუ საზოგადოებრიობის წარმომადგენლობას არ შეუძლია გაუადვილოს გამომძიებელს მის წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტა და პირიქით შეუძლია გაართულოს ის, ამ შემთხვევაში არ არის რეკომენდებული საზოგადოებრიობის დახმარების გამოყენება. თუ ნათელი არ არის დანაშაულის ჩადენის გარემოებები და დადგენილი არ არის ეჭვმიტანილი ან ბრალდებული და ასეთ შემთხვევაში გამომძიებელმა მიმართა მოსახლეობის ფართო ფენებს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ, ამან, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ხელი შეუწყოს დაინტერესებული პირების მიერ დანაშაულის კვალის დაფარვას და გამოძიების მცდარ გზაზე წარმართვას.

საზოგადოების ჩაბმა დანაშაულის გახსნაში არის ტაქტიკური საკითხი და იგი ყოველთვის მოითხოვს წინასწარ მოფიქრებას, საზოგადოების რეალური დახმარების ფორმების განსაზღვრას.

საზოგადოების აქტიური და შეგნებული დახმარების გარეშე საგამომძიებო და მოკვლევის ორგანოები ვერ შეძლებენ არა მარტო გახსნან, არამედ დროულად აღმოაჩინონ ყველა დანაშაული, რომელიც ჩადენილია ან მზადდება ჩასადენად.

საზოგადოებრიობის მონაწილეობა ხელს უწყობს იმას, რომ: ყოველმხრივ, სწრაფად და ობიექტურად იქნეს დადგენილი ყველა დასამტკიცებელი გარემოება; გაიზარდოს და ამღვდეს წინასწარი გამოძიების აღმზრდელობითი ზემოქმედება; დამნაშავე დროულად გამოსწორდეს; ამაღლდეს მოქალაქეთა თვითშეგნება; განმტკიცდეს მშრომელთა ფართო

მასებთან მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების კავშირი; საზოგადოებრიობის მონაწილეობა გამოძიების პროცესში საგამოძიებო ორგანოების საქმიანობას აყენებს ხალხის კონტროლის ქვეშ და წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველობაში მშრომელთა ჩაბმის საუკეთესო საშუალებას.

საპროცესო კანონმდებლობით (საქართველოს სისხ. სამარ. საპრ. კოდექსის 139-ე მუხლი) დადგენილია, რომ გამოძიების მონაცემები შეიძლება საჯაროდ გამოიტანონ მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვით და იმ მოცულობით, როგორც მათ მიაჩნიათ შესაძლებლად.

გამოძიების საიდუმლოების დაცვა იმით არის კანონით განმტკიცებული, რომ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა ან მათმა ნათესაებმა და თანამზრახველებმა შეიძლება მიმართონ ზომებს და სცადონ დანაშაულის კვალის დაფარვა, მტკიცებულებათა განადგურება, მოწმეთა და დაზარალებულთა დაშინება ან მოსყიდვა და ა. შ. , რაც შეუძლებელს გახდის ან გაართულებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენს. სწორედ ამიტომ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს აფრთხილებენ, რომ ისინი ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ ყველაფერი, რაც მათთვის ცნობილი გახდა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

რაც უფრო მაღალია მოსახლეობის შეგნებულობის დონე და სამათლებრივი კულტურა, მით უფრო დიდია დანაშაულის აღმოჩენაში, აღკვეთასა და გახსნაში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობა.

§2. საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები დანაშაულის გახსნაში.

დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებაში საზოგადოებრიობის ჩასაბმელად საგამოძიებო ორგანოებს არსებით დახმარებას უნდა უწევდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლტიკური პარტიები, პროფკავშირული, ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა გაერთიანებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციების დახმარება საგამოძიებო ორგანოების მიმართ ხშირად ფორმალური ხასიათისაა. ზოგჯერ პირიქით ხელის შეშლელიც კი. არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციების წარმომადგენლები დროულად არ აწვდიან ან საერთოდ არ აწვდიან საგამოძიებო ორგანოებს სათანადო მასალებს მათ კოლექტივში გამომჟღავნებულ

დანაშაულთა შესახებ, ხელს უწყობენ დამნაშაუის მიმალვას, სპობენ მტკიცე-
ბებს, ფარავენ დანაშაულის კვალს, არ იღებენ ქმედით ღონისძიებებს გა-
მოვლენილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების
თავიდან აცილებისათვის. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ბოროტმოქმედებათა
და მათ შორის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ზრდას, რომლის ზრდის
ტენდენციაც რესპუბლიკაში საკმაოდ მაღალია.

სამართალდამცავი ორგანოები საზოგადოებრიობას მიმართავენ დახ-
მარებისათვის როგორც წესი მაშინ, როცა აუცილებელია გამოძიების
მსვლელობაში გამოვლენილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზე-
ბისა და პირობების თავიდან აცილება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა
ორგანიზება და ჩატარება. ამ დროს საგამოძიებო მუშაობის ძირითად ფორ-
მას წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტის
დამყარება, მოცემულ რეგიონში შრომითი კოლექტივისადმი დამნაშაუების
შესახებ ინფორმაციის მიწოდება. რეკომენდირებულია მოეწყოს საგამოძიებო
ორგანოების წარმომადგენელთა გამოსვლა აქტივის, წარმოება-დაწესე-
ბულების, ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების წევრთა წინაშე. გა-
მომძიებელმა უნდა გააანალიზოს თავის გამოსვლაში კონკრეტულ დანა-
შაულთა ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, რაც ეხმარება მშრომელთა
კოლექტივს, მის ადმინისტრაციას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს
დასახონ და განახორციელონ კონკრეტული პროფილაქტიკური ღონისძიე-
ბანი.

გამომძიებელს შეუძლია მიმართოს მშრომელთა კოლექტივს რადიოს,
ტელევიზიის ან პრესის საშუალებით. ინფორმაციის საშუალებათა გამოყენე-
ბით გამომძიებელი მიმართავს მოსახლეობას ბრალდებულის პიროვნების
შესახებ, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, დახმარების აღმოჩენის
შესახებ ბრალდებულის დადგენის, დაკავების ან მისი ადგილსამყოფელის
გამოძიების ორგანოებისათვის ცნობის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში
მოსახლეობას ეცნობება მოსაძებნი და დასადგენი ბრალდებულის გარეგნო-
ბის ნიშნების შესახებ, აქვეყნებენ მის ფოტოსურათს და ა. შ. დანაშაულის
გახსნაში მოსახლეობის ჩაბმას ხელს უწყობს გამომძიებლის მიერ მოქმედი
კანონების განმარტება პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში; რაიონის,
სოფლის, უბნის მცხოვრებთა წინაშე სამართლებრივ აქტუალურ თემებზე
საუბრებისა და ლექციების ჩატარება.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დანაშაულებრივ დარღვევათა გამოძიებისას საწარმოს მშრომელთა დახმარება შეიძლება გამოვიყენოთ უბედური შემთხვევის მიზეზთა დასადგენად და მის თვითმხილველთა გამოსავლენად. სახელმწიფო ან კოლექტიური ქონების დატაცების შემთხვევაში საზოგადოებრიობის დახმარებით შეიძლება დადგინდეს დანაშაულებრივი საქმიანობის კონკრეტული ეპიზოდები, გამოვლინდეს ბრალდებულთა ცხოვრების პირობები და ა. შ.

გამოძიების ორგანოებისადმი მშრომელთა კოლექტივების წევრთა მიერ მოწოდებული ცნობები მათ საწარმოში წარმოების თავისებურებათა შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ საქმის ირგვლივ საგამოძიებო ვერსიების წამოსაყენებლად.

თუ კოლექტივის დახმარება საჭიროა გამოძიების რომელიმე კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად (მაგალითად, იმ ავტოსტრანსპორტო შემთხვევის მოწმეთა დასადგენად, რასაც ადგილი ჰქონდა ფაბრიკის ან ქარხნის ტერიტორიაზე ან შესასვლელთან), გამომძიებელს შეუძლია მის წევრებს მიმართოს რადიოს ან საქარხნო პრესის საშუალებით.

საგამოძიებო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ბევრი ადრე შეჩერებული სისხლის სამართლის საქმე პიროვნების წინააღმდეგ მძიმე დანაშაულთა შესახებ (მკვლელობა, გაუპატიურება და ა. შ.) შემდგომში განახლებულ და გამოძიებულ იქნა გამომძიებლის მიერ ადგილობრივი პირობების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისა და ამაში საზოგადოებრიობის წარმომადგენლების არსებითი დახმარების შედეგად.

კონკრეტული დანაშაულის გახსნაში მოსახლეობის ჩაბმის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს საზოგადოებრიობისადმი გამომძიებლის მიმართვა მიკრორაიონის, დასახლებული პუნქტის მცხოვრებთა საერთო კრებაზე ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება.

დანაშაულის გახსნაში ახალგაზრდული ოპერატიული რაზმების წევრთა ჩაბმასთან დაკავშირებით ხორციელდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები, რაიონში ოპერატიული სიტუაციის გაცნობა, ინფორმაციის მიწოდება იმ ადგილების შესახებ, სადაც არსებობს დანაშაულის ჩადენის უფრო მეტი შესაძლებლობა, აგრეთვე იმ პირთა შესახებ, რომელთაგანაც მოსალოდნელია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და სხვა.

გამომძიებლებს არსებითი ხასიათის დახმარება შეუძლიათ გაუწიონ პოლიციის შტატგარეშე მუშაკებმა და გამომძიებელთა საზოგადოებრივმა თანამშემწეებმა. ისინი შეიძლება ჩავაბათ ჩადენილი დანაშაულის მასალებისა და ამ დანაშაულის შესახებ განცხადების შესამოწმებელ მუშაობაში, პირთა დანაშაულზე წასწრების დაკავების ორგანიზებაში, აუცილებელი დოკუმენტაციის შესაკრებად დახმარების გაწევაში, დახასიათების, ცნობების მიღებაში, თვითმხილველთა დადგენაში და ა. შ.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, შეიძლება გამოვიყენოთ შემთხვევის ადგილის დასაცავად. გამომძიებელს უფლება აქვს მათ დაავალოს დათვლიერების ადგილზე წესრიგის დამყარება, შემთხვევის მხილველთა და სხვა მოწმეთა დადგენა. ამ მიზნით საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეუძლიათ ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, სახლების, ბინების ან ეზოების შემოვლით.

თუ დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოსაჩენად აუცილებელია დიდი ტერიტორიის დათვლიერება (ტყის მასივი და ა. შ.), გამომძიებელს ასევე შეუძლია მიმართოს საზოგადოებრიობის დახმარებას.

ჩხრეკის მომზადებისას პოლიციის შტატგარეშე თანამშრომლებს შეიძლება დაევალოს ინფორმაციის შეკრება, რომელიც შეეხება ჩხრეკის ადგილს, მასთან მისასვლელ გზებს, იქ მყოფ პირებს, ამ საგამომძიებო მოქმედების წარმოების დროს თვალყური ადევნონ გასაჩხრეკ შენობას, იქ მყოფ პირთა საქციელს, ჩხრეკის ადგილზე წესრიგის დამყარებას.

ახალგაზრდული ოპერატიული რაზმების წევრები გამომძიებელს შეიძლება დაეხმარონ: შემთხვევის ადგილის ვითარების აღდგენაში, რაც აუცილებელია საგამომძიებო ექსპერიმენტის საწარმოებლად. იმ პირობების შექმნაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ამოცნობის წარმოების უტყუარობას. ისინი შეიძლება შევიყვანოთ ამოსაცნობად წარდგენილ პირთა ჯგუფში.

პოლიციის შტატგარეშე თანამშრომლებსა და გამომძიებელთა საზოგადოებრივ თანამშემწეებს ხშირად ავალებენ მოაგროვონ ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი ცნობები (მისი საქციელი ყოველდღიურ ცხოვრებაში, გატაცებები, კავშირები და ა. შ.), რომლებსაც გამოიყენებენ საგამომძიებო ვერსიების ასაგებად და განსაზღვრავენ შედარებით ეფექტური ტაქტიკური საშუალებებს ამ პირის დაკითხვის დროს.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეუძლიათ დაეხმარონ გამომძიებელს დანაშაულისა და დატაცებული ქონების ძებნაში. ამ მიზნით პოლიციის შტატგარეშე თანამშრომლები შეიძლება ჩავაბათ ბადრაგობაში, იმ ადგილთა მეტეალყურებაში, სადაც ადამიანთა მნიშვნელოვანი თავყრილობაა. ან შესაძლებელია დატაცებულ ნივთთა გასაღება (სადგურები, ბაზრები, საკომისიო მაღაზიები, ლომბარდები და ა. შ.).¹

გამომძიებაში საზოგადოებრიობის დახმარების გამოყენების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლშია მითითებული პრაქტიკაში გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გამოავლინოს: ჩადენილი დანაშაული ან დანაშაული, რომელიც მზადდება; დოკუმენტები და საგნები, რომლებიც ნივთიერ მტკიცებულობებს წარმოადგენს; ქონება, რომელიც ყადაღის დადებას და კონფისკაციას ექვემდებარება; გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, მათ შორის ისეთი, რომლებიც განეკუთვნება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს; დაადგინოს მოწმეები და დაზარალებულები; მონაწილეობა მიიღონ რთულ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარებაში; გამოავლინოს და აღმოეხვრას მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას.

საზოგადოებრივ თანამშემწყობებს და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებს არ შეუძლიათ საგამომძიებო მოქმედებანი ჩაატარონ დამოუკიდებლად თავისი სახელით ან გამომძიებლის გარეშე. ისინი მხოლოდ ეხმარებიან გამომძიებელს, რითაც ხელს უწყობენ მას ეფექტურად ჩაატაროს ისეთი საგამომძიებო მოქმედებანი, როგორებიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოცნობა, ამოღება, საგამომძიებო ექსპერიმენტი და ა. შ.

გამომძიებაში საზოგადოებრიობის დახმარების გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა – საზოგადოებრიობის ძალებით ისეთ მოქმედებათა შესრულება, რომლებსაც აქვთ არაპროცესუალური ხასიათი და მიმართულია მოწმეთა და დაზარალებულთა გამოსაველენად, პირთა მოსაძებნად, დასაკავებლად, დატაცებული ქონების აღმოსაჩენად ა. შ.

საზოგადოებრივი მუშაკების მიერ ტარდება საქონლის საკონტროლო შესყიდვა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სავაჭრო ორგანიზაციებში

¹ Криминалистика (учебник). М. . 1988, с. 71-76

დატაცების საქმეთა გამოძიების დროს. მათ მიერ შედგენილი აქტები დაერთვის საქმეს ან მათი ფაქტიური შინაარსი შეიტანება საგამოძიებო დოკუმენტში. საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელს აწერს საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელიც.

სგამოძიებო ორგანოების მიერ საზოგადოებრიობის დახმარების გამოყენების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან ერთჯერადი ინფორმაციის მიღება, რომელიც შეეხება: სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენის შემთხვევებსა და მათ ჩამდენ პირებს, პირებს, რომელნიც ეძალებიან გამოძიებასა და სასამართლოს, საქმისათვის დიდი მნიშვნელობის დოკუმენტებისა და სხვა ნივთიერ მტკიცებათა ადგილსამყოფელს და სხვა. ინფორმაცია შეიძლება მიწოდებულ იქნეს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით.

დანაშაულის გამოძიებასა და თავიდან აცილებაში საზოგადოებრიობის დროული და ტაქტიკურად სწორად განხორციელებული ჩაბმა წარმოადგენს წინასწარი გამოძიების ხარისხის ამაღლებას, დანაშაულის გახსნისა და დანაშავეთა გამოვლენის ეფექტურ საშუალებას.²

² აღნიშნულ საკითხზე იხ. დ. ცინცაძე საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის გამოძიებაში, 1965; Криминалистика (учебник), М. 1990 с. 49-55; Криминалистика (учебник), М. 1988 с. 69-76; Криминалистика, М. 1980, с. 384-387; Молодцов А. С. , Благоев Е. В. Понятие и основные направления уголовной политики и участия общественности в борьбе с преступностью, Ярославль, 1987.

VI თავი

გამომძიებლის ურთიერთკავშირი ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებთან და სხვა სამსახურებთან დანაშაულის ბაზისის პროცესში

§1 გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების ურთიერთკავშირის ცნება და პრინციპები

თანამედროვე პირობებში დანაშაულის სწრაფი გახსნა და დამნაშავეთა მხილება შეუძლებელია გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მჭიდრო ურთიერთკავშირის გარეშე. გამომძიებლის, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის, საექსპერტო დაწესებულებების, სპეციალისტის, საინფორმაციო ცენტრის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ძალები და საშუალებები უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ორგანოების მთელი ძალები გაერთიანდება ერთი მიზნის მისაღწევად და ისინი შეთანხმებულად და მიზანსწრაფულად იმუშავენ გამომძიების მთელ პერიოდში, აღმოუჩინენ ერთმანეთს ურთიერთდახმარებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დადგენა-დაკავებაში, მოწმეთა და დაზარალებულთა დადგენაში, საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, მიმალულ პირთა დაძებნაში, გვამისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა დადგენაში, დანაშაულის შედეგად გატაცებული ნივთებისა და ფასეულობათა აღმოჩენაში.

გამომძიებლის საქმიანი ურთიერთობა პირველ რიგში უნდა დამყარდეს გამოკვლევის ორგანოებთან, კერძოდ, სამძებრო სამსახურთან და ეკონომიურ დანაშაულებასთან მეზობლ გაცოფილებასთან. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება გამომძიებლის ურთიერთობა. საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს ტექნიკური ხასიათის დახმარებისა და სპეციალურ საკითხებზე კონსულტაციის მიზნით გამომძიებელს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი. გამომძიებლის მოთხოვნა სპეციალისტის გამოძახების შესახებ სავალდებულოა იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, სადაც სპეციალისტი მუშაობს (საქართველოს სსს კოდექსის 134¹ მუხლი).

სპეციალისტის მოწვევას საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს კანონი პირდაპირ ითვალისწინებს მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) დაკითხვისას (მუხლი 148-ე), არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვისას (მუხლი 157-ე), ამოღებისა და ჩხრეკის დროს (მუხლი 169-ე), ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ამოღებისას (მუხლი 175-ე), შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას (მუხლი 179-ე), გვამის დათვალიერებისა და გვამის ექსპუმაციისას (მუხლი 180-ე), საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს (მუხლი 183-ე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონში ჩამოთვლილი შემთხვევები ამომწურავი არ არის. გამომძიებელს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესები და სპეციალური ცოდნის გამოყენება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს.

გამომძიებლისა და სპეციალისტის ურთიერთობა ხორციელდება საქმის სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების მიზნით. ამ ურთიერთობაში სპეციალისტი არ წარმოადგენს ავტონომიურ სუბიექტს. იგი თავის ფუნქციებს ახორციელებს გამომძიებლის დავალების შესაბამისად და მისი უშუალო ხელმძღვანელობით. საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების დროს სპეციალისტებად, როგორც წესი, გამოდიან შინაგან საქმეთა ორგანოების საექსპერტო დანაყოფების თანამშრომლები და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში არსებული სასამართლო ექსპერტიზის ორგანოთა მუშაკები.

გამომძიებლის პროცესში საქმიანი ურთიერთობა უნდა დამყარდეს აგრეთვე საექსპერტო დაწესებულებებთან. ამ ურთიერთობის ორი ძირითადი ფორმა არსებობს. ერთ შემთხვევაში გამომძიებელი სარგებლობს იმ მონაცემებით, რომელიც გააჩნია საექსპერტო დაწესებულებას (კვალთა აღრიცხვის კარტოტეკები, ცეცხლსასროლ იარაღთა, საწერ მანქანათა, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა და სხვა სახის ალბომები). მეორე შემთხვევაში გამომძიებელი ნიშნავს ექსპერტიზის ჩატარებას იმ სპეციალური საკითხების გადასაწყვეტად, რაც აღმოცენდება გამომძიებლის პროცესში და რასაც მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. გამომძიებლის დაგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელთა და თვით ექსპერტისათვის.

გამომძიებელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის ჩატარებაში, დაესწროს გამოკვლევის ჩატარებას, გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას (იხ. საქართველოს სსს კოდექსის 185-ე მუხლი), დამატებითი შეკითხვები დაუსვას ექსპერტს და ა.შ. ექსპერტი თავის მხრივ უფლებამოსილია გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, რომელიც მის წინაშე არ იყო დასმული, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან (მუხლი 192-ე).

გამომძიების პროცესში საქმიანი ურთიერთობა მყარდება შინაგან საქმეთა ორგანოების საინფორმაციო ცენტრთან. საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი გამოითხოვს საინფორმაციო ცენტრიდან ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის შესახებ ცნობებს (წინათ ნასამართლობის, ადრე სისხლის სამართლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ).

გამომძიებელმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს საზოგადოებრიობასთან, გამოიყენოს მისი დახმარება დანაშაულის გამოსამჟღავნებლად, მისი ჩამდენი პირის მოსაძებნად, დანაშაულის ხელის შემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად და ასაცილებლად (საქართველოს სსს 128-ე მუხლი).

გამომძიებლის კავშირი სამძებრო სამსახურთან, ეკონომიურ დანაშაულთან და საბოტაჟთან, მებრძოლ განყოფილებასთან, საინფორმაციო ბანკთან, საექსპერტო დაწესებულებებთან, სპეციალისტებთან და საზოგადოებრიობასთან არ წარმოადგენს თვითმიზანს, იგი აუცილებელი პირობაა სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიებისათვის. ამ სამსახურების მიზანსწრაფული და შეთანხმებული მოქმედება დანაშაულის გახსნისა და ჭეშმარიტების დაგენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

გამომძიებლის ურთიერთკავშირი ოპერატიულ-სამძებრო სამსახურთან და სხვა ორგანოებთან დანაშაულის გახსნის პროცესში ხორციელდება საპროცესო კანონის ფარგლებში ან არაპროცესუალურ მოქმედებათა განხორციელების შედეგად. პირველს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, რომლებიც რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. არაპროცესუალურ ურთიერთობას განეკუთვნება ისეთი მოქმედებათა შესრულება, რომელიც არ არის რეგულირებული საპროცესო კანონით და ხორციელდება უწყებრივი ხასიათის ნორმატიული აქტების საფუძველზე

(დებულება, ინსტრუქცია, ბრძანება). ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მაგალითად: ქუბნის წარმოების ფორმები და მეთოდები, საინფორმაციო ცენტრის მუშაობის რეგლამენტი, განსახორციელებელი ღონისძიებების დროს ურთიერთკავშირის დამყარება სხვა სამსახურებთან. უკანასკნელ პერიოდში რიგი ოპერატიული ღონისძიებებისა უკვე რეგლამანტებულია საპროცესო კანონით, რაც უნდა იყოს განხილული, როგორც დადებითი მოვლენა და საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დემოკრატიზაცია.

ურთიერთკავშირი გამომძიებელსა და სხვა სამსახურებს შორის დანაშაულის გახსნის პროცესში ხორციელდება გარკვეულ ჩარჩოებში და ემყარება მთელ რიგ პრინციპულ დებულებებს. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში შემუშავებულია ის პრინციპები, რაც საფუძვლად უდევს გამომძიებლისა და სხვა სამსახურების ურთიერთკავშირს დანაშაულის გახსნის დროს.¹ ამ პრინციპებს განეკუთვნება შემდეგი:

1. კანონიერების პრინციპი. გამომძიებლის ურთიერთობა ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებთან და სხვა სამსახურებთან გამომძიების მთელ პროცესში უნდა შეესაბამებოდეს და გამომდინარეობდეს საპროცესო ნორმების მოთხოვნებიდან. კანონიერების პრინციპი გულისხმობს აგრეთვე იმასაც, რომ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს და ქუბნის პროცესში უნდა იყოს დაცული პიროვნების კანონიერი უფლებები და ინტერესები, მისი ჯანმრთელობა და ღირსება.

გამომძიებლის ურთიერთობა მოკვლევის ორგანოებთან არ უნდა იყოს განხილული ისე, რომ მოკვლევის ორგანოებს უფლება აქვთ არ შეასრულონ გამომძიებლის მითითება. კანონის ძალით გამომძიებლის დავალებანი და მითითებანი მოკვლევის ორგანოსათვის სავალდებულოა (საქართველოს სსს კოდექსის 127-ე მუხლი). ამავე მუხლის ძალით გამომძიებელს უფლება აქვს მის გამოსაძიებელ საქმეზე მისცეს დავალებანი და მითითებანი მოკვლევის ორგანოების სამძებრო და საგამომძიებო მოქმედებათა წარმოების შესახებ და

¹ იხ. Криминалистика, М., 1988, с. 78-82; Криминалистика, М., 1990, с. 56-64; Гапанович Н.Н., Мартинович И.И., Основы взаимодействия следователя и органа дознания при расследовании преступлений, Минск, 1983, с. 25-31; Гахокидзе Д.В., Взаимодействие следственных аппаратов с другими службами органов внутренних дел при расследовании хищений, должностных и хозяйственных преступлений, Тбилиси, 1988.; საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ, მიღებული 1993 წ. 27 ივლისს (თავი IV).

მოითხოვოს მოკვლევის ორგანოებიდან დახმარება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების დროს. კანონის ასეთი მოთხოვნა წარმოადგენს იმ სამართლებრივ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს გამოძიებლისა და მოკვლევის ორგანოების ურთიერთკავშირს.

მოკვლევის ორგანოები თავისთავად ვალდებული არიან განახორციელონ საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ აღმოაჩინოს დანაშაულის ნიშნები და მისი ჩამდენი პირი. თუ მოკვლევის ორგანოები დაადგენენ ისეთ დანაშაულის ნიშნებს, რომელზედაც უნდა ჩატარდეს წინასწარი გამოძიება, ისინი აწარმოებენ აგრეთვე გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს და შემდეგ გადასცემენ საქმეს გამოძიებელს წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად (მუხლი 118-ე).

გამოძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების შემდეგ მოკვლევის ორგანოს უფლება აქვს აწარმოოს საქმეზე სამძებრო და საგამოძიებო მოქმედება მხოლოდ გამოძიებლის დავალებით და ნებართვით, რომლის მითითება მოკვლევის ორგანოსათვის სავალდებულოა (მუხლი 120-ე).

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიებლის უფლება დაავალოს მოკვლევის ორგანოებს საგამოძიებო მოქმედებათა შესრულება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიებელმა მოკვლევის ორგანოს ფაქტიურად გადაავალოს გამოძიების ჩატარება. იმ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებს, რომელთა შესრულება შეიძლება დაევალოს მოკვლევის ორგანოს მიეკუთვნება, მაგალითად, დოკუმენტების ამოღება, ჩხრეკის წარმოება, შემოწმება. გამოძიებელი ვალდებულია უშუალოდ ჩაატაროს ისეთი პროცესუალური და საგამოძიებო მოქმედებები როგორცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემა, ბრალდებულის დაკითხვა, დაზარალებულისა და ძირითადი მოწმეების დაკითხვა, აღკვეთის ღონისძიებების შერჩევა, დათვალიერება, საქმის შეწყვეტა და შეჩერება, საქმის მასალების გაცნობა ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის გამოძიების დამთავრების შესახებ.

კანონი არეგლამენტირებს აგრეთვე გამოძიებლისა და მოკვლევის ორგანოს ურთიერთკავშირს ძებნის გამოცხადებასთან დაკავშირებით. საქართველოს სსს კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად გამოძიებელი უფლებამოსილია გამოაცხადოს ძებნა და ამ მოქმედების შესრულება დაავალოს

მოკვლევის ორგანოს. ამასთანავე ერთად გამომძიებელი თვითონაც არის ვალდებული მიიღოს ღონისძიებანი ბრალდებულის მოსაძებნად.

გამომძიების შეჩერებასთან დაკავშირებით კანონი (198-ე მუხლი) ითვალისწინებს გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოს მოვალეობას მიიღონ ზომები ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემი პირის დასადგენად.

კანონი განსაზღვრავს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს ერთობლივ ვალდებულებას მიიღონ შესაბამისი ზომები იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული ან მისი ახლობლები ემუქრებიან მოწმეს, დაზარალებულს, მათი ოჯახის წევრებს და ახლობლებს მკვლელობით, ძალის გამოყენებით, ქონების განადგურებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ გამომძიებლის, ოპერატიულ-სამძებრო და სხვა სამსახურების ურთიერთკავშირი დაფუძნებულია და გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, რომელთა დაცვა თანაბრად არის სავალდებულო როგორც გამომძიებლისათვის, ისე ოპერატიულ-სამძებრო მუშაკებისა და მოკვლევის სხვა ორგანოებისათვის.

2. გამომძიებლის მარგანიზებული როლი. მოკვლევის ორგანოები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ დანაშაულის ნიშნები და დაადგინონ დანაშაულის ჩამდენი პირი სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ამ შემთხვევაში ისინი მოქმედებენ კანონის შესაბამისად (მუხლი 118-ე). არ ემორჩილებიან გამომძიებელს და არ უთანხმებენ მას თავიანთი ფუნქციების განხორციელების საკითხებს.

მას შემდეგ, როდესაც სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია და მას იძიებს გამომძიებელი, მოკვლევის ორგანოების ფუნქციები და უფლებამოსილება არსებითად იცვლება. გამომძიებელი არის პროცესის ავტონომიური სუბიექტი, დამოუკიდებლად წარმართავს საქმის გამომძიებას, ატარებს ყველა საჭირო საგამომძიებო მოქმედებებს, მოიპოვებს მტკიცებულებებს.

ამ შემთხვევაში გამოძიების ჩატარების მარგანიზებული როლი ეკუთვნის გამომძიებელს. მოკვლევის ორგანო უფლებამოსილია ჩაატაროს სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებები, ცალკეული საგამომძიებო მოქმედებანი მხოლოდ გამომძიებლის დავალებით და ნებადართვით. საქმესთან და-

კავშირებულ ყველა ფაქტებისა და გარემოებების შესახებ უნდა ეცნობოს გამომძიებელს. გამომძიებლის მათგანიზებული როლი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს გამომდინარეობს საპროცესო კანონის მოთხოვნიდან (მუხლები 120-ე, 127-ე, 197-ე).

3. ურთიერთკავშირის განხორციელება გეგმურ საწყისებზე. გამოძიების პროცესში წამოიჭრება რიგი საკითხებისა, რომელთა გადაჭრა უნდა დაევალოს ოპერატიულ-სამძებრო სამსახურს ან მოკვლევის სხვა ორგანოს. ამ საკითხებს ხშირად მიეკუთვნება: საგამომძიებო მოქმედების წარმოების დროს ოპერატიული მუშაკების მონაწილეობა, მოკვლევის ორგანოსათვის დავალების მიცემა მტკიცებულების აღმოჩენისა და ამოღებისათვის, მითითება მიმალული ბრალდებულის მოსაძებნად, გატაცებული ქონების აღმოჩენის შესახებ და ა.შ. დავალებული მოქმედების შესასრულებლად მომკვლევს შეუძლია შეადგინოს საკუთარი გეგმა იმისათვის, რომ უფრო მიზანსწრაფულად წარმართოს თავისი მუშაობა. მაგრამ, ამავე დროს გამომძიებელს შეუძლია ურთიერთკავშირის ეფექტურად განხორციელების მიზნით შეადგინოს თავისი საკუთარი გეგმა ან შედგეს ერთობლივი გეგმა ოპერატიულ-სამძებრო სამსახურთან და მოკვლევის სხვა ორგანოებთან. ასეთი გეგმების შედგენა აუცილებელია რთულ და მრავალეპიზოდური სისხლის სამართლის საქმეებზე და იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელთა ჯგუფი.

გამომძიებლის მიერ შედგენილი გეგმის საფუძველზე ნათელი ხდება ვის რა საგამომძიებო მოქმედების ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესრულება დაევალოს. გამომძიებლის მიერ შედგენილ გეგმაში უნდა აღინიშნოს: რა კონკრეტული საგამომძიებო მოქმედება ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება უნდა შეასრულდეს, ვის დაევალოს მისი შესრულება, როდის უნდა განხორციელდეს დავალების შესრულება.

4. ურთიერთკავშირის განხორციელება ურთიერთინფორმაციის საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს ურთიერთკავშირი გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოებს შორის არ უნდა ატარებდეს ეპიზოდურ და ცალმხრივ ხასიათს. ურთიერთკავშირი არ უნდა შეწყდეს გამოძიების დასაწყისში, არამედ იგი უნდა გაგრძელდეს გამოძიების მთელ პროცესში, თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესები, გამოძიების სრულყოფილი და ყოველმხრივი ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელმა

და ოპერატიულმა მუშაკებმა ერთად უნდა ჩაატარონ ისეთი საგამოძიებო მოქმედებანი, როგორცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა და ამოღება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოკვლევის ორგანოები დამოუკიდებლად ასრულებენ გამომძიებლის დავალებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთინფორმაციას. მოკვლევის ორგანოები ვალდებული არიან სისტემატურად ჩააყენონ გამომძიებელი საქმის კურსში მიცემული დავალების შესრულების შესახებ, ისეთი ახალი გარემოებებისა და ფაქტების შესახებ, რომელთაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს გამოსაძიებელ საქმესთან. გამომძიებელი თავის მხრივ ვალდებულია შეატყობინოს მოკვლევის ორგანოს იმ დადგენილ გარემოებათა შესახებ, რაც დაკავშირებულია მოკვლევის ორგანოსადმი მიცემული დავალების შესრულებასთან.

გამოძიების პროცესში ურთიერთკავშირისა და ურთიერთინფორმაციის განმტკიცება ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილ გამოძიებას, დანაშაულის ოპერატიულად გახსნას, ბრალდებულის მხილებას დანაშაულის ჩადენაში ან მისი არაბრალეულობის დადგენას.

5. ურთიერკავშირის განხორციელება ოპერატიულობისა და ინიციატივის გამოჩენის საფუძველზე. გამომძიებლის ყოველი დავალება ოპერატიულ-სამძებრო სამსახურისადმი და მოკვლევის სხვა ორგანოებისადმი უნდა შესრულდეს სწრაფად, რადგან ამ დავალების შესრულების გაჭიანურებამ შეიძლება გამოიწვიოს კვალთა განადგურება ან დაზიანება, ბრალდებულის გასვლა ქალაქიდან და რაიონიდან, რაც შემდგომში გაართულებს მის მოძებნას. ძებნის გაჭიანურება ხელს შეუწყობს დანაშაულის შედეგად გატაცებული ქონების, საგნებისა და ნივთების გადამალვასა და რეალიზაციას.

გამომძიებლის დავალების შესრულების ოპერატიულობას პრაქტიკაში ყოველთვის არ ექცევა სათანადო ყურადღება. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში არ ტარდება არავითარი ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი მიმალული ბრალდებულის მოსაძებნად, რაც ვნებს დანაშაულის სწრაფად გახსნას და ბრალდებულის მიხილებას დანაშაულის ჩადენაში ან მის უდანაშაულობის დადგენას.

გამომძიებელი აძლევს რა მოკვლევის ორგანოს დავალებას, იგი არ ზღუდავს მას არავითარი მითითებით. მოკვლევის ორგანოს თანამშრომელი ფორმალურად არ უნდა მოეკიდოს გამომძიებლის დავალების შესრულებას. ამ საკითხში პირადი ინიციატივის გამოჩენას შეუძლია ხელი შეუწყოს დანაშაულის დროულად გახსნას და ბრალდებულის მხილებას დანაშაულის ჩადენაში. გამომძიებლის პროცესში ინიციატივის გამოჩენა სავალდებულოა არა მარტო ოპერატიულ-სამძებრო სამსახურისათვის, არამედ თვით გამომძიებლისათვის. ურთიერთინიციატივის გამოჩენის შედეგად დადგენილი ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ უნდა ეცნობოს გამომძიებელს, ხოლო ამ უკანასკნელმა დადგენილ ახალ გარემოებათა შესახებ საქმის კურსში უნდა ჩააყენოს მოკვლევის ორგანოს ის მუშაკები, ვისაც მიეცა გარკვეული დავალება.

გამომძიებლის მიერ ურთიერთკავშირის განმტკიცება მოკვლევის ორგანოებთან, სპეციალისტებთან, საექსპერტო დაწესებულებებთან, საინფორმაციო ცენტრთან და საზოგადოებრიობასთან ზემოთაღნიშნული პრინციპების დაცვის საფუძველზე იმის საწინდარია, რომ გამომძიებმა ჩატარდება ყოველმხრივად, სრულყოფილად და ობიექტურად, მოხდება დანაშაულის სწრაფი გახსნა და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

§2. გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოების

ურთიერთკავშირი საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარებისას

გამომძიებლის ურთიერთკავშირი ოპერატიულ-სამძებრო მუშაკებთან და სხვა სამსახურებთან შეიძლება დამყარდეს პრაქტიკულად ყველა საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს: დაკითხვის, დაპირისპირების, ამოცნობის, ამოღების, ჩხრეკის, ქონებაზე ყადაღის დადების, დათვალიერების, შემოწმების, საგამომძიებო ექსპერიმენტის, ნიმუშების შედარებითი გამოკვლევისათვის მიღებისა და ექსპერტიზის დანიშვნის დროს. აღნიშნულ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია საქმის ვითარებაზე, დანაშაულის სიმძიმეზე, სპეციალური ცოდნის გამოყენების აუცილებლობაზე.

გამომძიებელს, მაგალითად, ყველა შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი საგამომძიებო მოქმედების ჩატარების დროს დახმარებისა და კონსულტაციის გაწევის მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ავალდებულებს გამომძიებელს მოიწვიოს სპეციალისტი ისეთ საგამომძიებო მო-

ქმედებათა შესრულების დროს, როგორცაა: არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა, გვამის დათვალიერება, დამარხული გვამის საფლავიდან ამოღება (ექსპუმაცია), ცოცხალ პირთა შემოწმება თუ იგი დაკავშირებულია მოპირდაპირე სქესის გაშიშვლებასთან. მაშასადამე გამომძიებლის ურთიერკავშირი სხვა სამსახურებთან ერთ შემთხვევაში წარმოადგენს სავალდებულო შემთხვევას, ხოლო ზოგჯერ ამ საკითხს წყვეტს გამომძიებელი კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ თავიდანვე დამყარდეს საქმიანი ურთიერთობა გამომძიებელსა და სხვა სამსახურებს შორის, დანაშაული სწრაფად გაიხსნას და მხილებულ იყოს მისი ჩამდენი პირი ქალაქებსა და რაიონებში იქმნება ოპერატიულ-საგამომძიებო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შედის გამომძიებელი, სპეციალისტი-კრიმინალისტი, სპეციალისტი-ექიმი, ოპერატიული მუშაკები და ყველა ისინი საჭიროების შემთხვევაში გადიან შემთხვევის ადგილზე და ერთობლივად იძიებენ საქმეს. გამომძიებელი ხელმძღვანელობს მათ მუშაობას, ანაწილებს ფუნქციებს, უტარებს მათ ინსტრუქტაჟს და ცალკეულ დავალებებს აძლევს ოპერატიულ მუშაკებს. სპეციალისტებს და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. რთულ და მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებზე თავიდანვე მიემაგრება გამომძიებელს ოპერატიული მუშაკები და ისინი ერთობლივად ატარებენ საგამომძიებო მოქმედებებს.

ყოველი ოპერატიულ-სამძებრო სახის მოქმედების ჩატარება არ ექვემდებარება გახმაურებას და მისი შედეგები მოხსენდება მხოლოდ გამომძიებელს, რომელიც ხელმძღვანელობს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებას.

ოპერატიული მუშაკების დახმარება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩხრეკის წარმოების დროს შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: დაცულ იქნას შემთხვევის ან ჩხრეკის წარმოების ადგილი და საჭიროების შემთხვევაში გარშემორტყმულ იქნას ისინი; გამომძიებლის დავალების საფუძველზე ოპერატიული მუშაკები გამოკითხავენ მნახველებს ფაქტიურ გარემოებათა შესახებ; "ცხელ" კვალთა მიხედვით დაედევნებიან ეჭვმიტანილს, გამოიყენებენ ამ დროს სამსახურებრივ ძაღლს; ეხმარებიან გამომძიებელს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმეების დადგენაში; იცავენ გამომძიებლის პიროვნების ხელშეუხებლობას შემთხვევის ადგილის

დათვალიერების, ჩხრეკის, შემთხვევის ადგილზე გაყვანის დროს და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში; გამოძიებლის დავალების საფუძველზე აწარმოებენ მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის იძულებით მოყვანას გამოძიებელთან; აწარმოებენ ადგილმდებარეობის შესწავლას, შენობის დათვალიერებას ბრალდებულის აღმოსაჩენად, გადამალული ნივთების ამოღების მიზნით, გვამის აღმოსაჩენად, დანაშაულის ჩადენის იარაღის ამოღებისათვის; ახდენენ ჩასაფრებას ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაკავების მიზნით: მეთვალყურეობას აწესებენ სხვადასხვა ობიექტებზე (სადგური, აეროპორტი, ნავსადგური, ბაზარი, საკომისიო მაღაზია, შემსყიდველი პუნქტი, ლომბარდი და სხვ.), იმ მიზნით, რომ დაკავებულ იყოს ეჭვმიტანილი (ბრალდებული) ან დადგენილ იყოს დანაშაულის ჩადენის შედეგად გატაცებული ნივთები, საგნები, ფასეულობა.

სპეციალისტ-კრიმინალისტის დახმარება შეიძლება გამოიხატოს კვალთა დაფიქსირებაში, ფოტოგადაღებაში, კინოგადაღებაში და ვიდეოპარატურის გამოყენებაში, გამოძიებლისადმი კონსულტაციის გაწევაში სპეციალურ საკითხებზე. სპეციალისტი – ექიმის დახმარება გამოიხატება გვამის დათვალიერებაში, გვამის ექსპუმაციაში, დაჭრილ-დასახიჩრებული პიროვნებისათვის დახმარების აღმოჩენაში. სპეციალისტ – პერაგოგის დახმარება გამოიხატება არასრულწლოვან პირთა დაკითხვის დროს სპეციალური ცოდნის გამოყენებაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს აღმოჩენილ კვალთა შესწავლის შედეგად და სპეციალისტის კონსულტაციის საფუძველზე შეიძლება მსჯელობა და დასკვნის გაკეთება, თუ რა სახის და ზომის ფეხის კვალი იყო აღმოჩენილი, კვალთა მიხედვით განისაზღვროს მოძრაობის მიმართულება, სქესი, პიროვნების სიმაღლე. ავტოსატრანსპორტო საშუალების კვალის მიხედვით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეზე, მოდელზე, საბურავების აგებულებაზე, სატრანსპორტო საშუალებათა მიმართულებაზე. აღმოჩენილი მასრების, ვაზნების და ტყვიის საფუძველზე დგინდება ცეცხლსასროლი იარაღის სისტემა, სახე, სროლის ადგილი, გასროლის მიმართულება და სხვ. ყოველივე ამ საკითხების გადაწყვეტა ხდება გამოძიებლის, სპეციალისტისა და ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მჭიდრო ურთიერთკავშირის შედეგად, ურთიერთკონსულტაციის საფუძველზე. ასეთი

ურთიერთდახმარებისა და კონტაქტის საფუძველზე ისახება რეალური საგამომძიებო ვერსიები, იგეგმება მუშაობა, განისაზღვრება და ნაწილდება ფუნქციები საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა შორის.

გამომძიებელმა კავშირი უნდა დაამყაროს აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების საინფორმაციო ბანკთან, შინაგან საქმეთა განყოფილებებთან და საექსპერტო დაწესებულებებთან იმ საკითხების გარკვევის მიზნით, ხომ არ იყო ეჭვმიტანილი (ბრალდებული) წინათ გატარებული რეგისტრაციაში, ხომ არ იყო მოცემული დანაშაულის ჩადენის ხერხი ადრე რეგისტრირებული, ხომ არ ინახება შინაგან საქმეთა ორგანოებში დანაშაულის შედეგად გატარებული ნივთები, საგნები, ფასეულობა. აღნიშნულ ორგანოებში არსებული სარეგისტრაციო ბარათების გამოყენება, ალბომებისა და სხვა საცნობარი მასალის შესწავლა ასევე წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოებისა და სხვა სამსახურების მჭიდრო ურთიერთკავშირი ხელს უწყობს საგამომძიებო მოქმედებათა ეფექტურ და მიზანსწრაფულ ჩატარებას, დანაშაულის სწრაფად გახსნას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

§3. გამომძიებლისა და ოპერატიული ორგანოების

ურთიერთკავშირი სამძებრო მოქმედებათა შესრულებისას

გამომძიებლისა და ოპერატიული ორგანოების ურთიერთკავშირი სამძებრო მოქმედებათა განხორციელების დროს გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან და ხორციელდება კანონის ფარგლებში. საქართველოს სსს კოდექსის 118-ე მუხლის ძალით მოკვლევის ორგანოებს ეკისრებათ მოვალეობა შეასრულონ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი დამნაშავე პირის დასადგენად. გამომძიებლის დაფლება მოკვლევის ორგანოსათვის სამძებრო მოქმედებათა განსახორციელებლად სავალდებულოა შესასრულებლად (მუხლი 127-ე). კანონის ძალით, თუ ცნობილი არ არის ბრალდებულის ან იმ პირის ადგილსამყოფელი, რომლის მიმართაც არსებობს მონაცემები ბრალდების წაყენებისათვის, გამომძიებელი გამოაცხადებს ძებნას, რომელსაც დაავალებს მოკვლევის ორგანოს. ამავე დროს გამომძიებელი თვითონაც მოვალეა მიიღოს ღონისძიებანი ბრალდებულის მოსაძებნად (მუხლი 197-ე).

გამოძიების შეჩერების შემთხვევაში გამოძიებელი მოვალეა მიიღოს როგორც უშუალო, ისე მოკვლევის ორგანოს მეშვეობით ზომები ბრალდებულის დასადგენად (მუხლი 198-ე).

კანონის შესაბამისად უნდა დაეასკენათ, რომ ბრალდებულის მოსაძებნად გამოძიებელი უშუალოდ ლეზულობს ზომებს, ძებნას ავალებს ოპერატიულ-სამძებრო სამსახურს ან ერთობლივად ახორციელებენ ამ მოქმედებას.

ყველა შემთხვევაში გამოძიებელსა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს შორის თავიდანვე უნდა დამყარდეს ურთიერთკავშირი სამძებრო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის.

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს შედარებით უფრო ხშირად ვხვდებით მიმალული ბრალდებულის დაძებნას ან იმ პირის დაძებნას, რომელიც უნდა მიეცეს პასუხისგებაში ბრალდებულის სახით; ცხოველების, გვამის, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა დაძებნას; დანაშაულის შედეგად გატაცებული საგნების, ნივთების, ფასეულობის, დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდების დაძებნას.

მიმალული ბრალდებულის დაძებნამდე გამოძიებელმა უნდა დაადგინოს მოსაძებნი პირის დემოგრაფიული ცნობები, მისი გარეგნობა, მოიპოვოს მისი ფოტოსურათი, გამოითხოვოს საინფორმაციო ბანკიდან თითის ანაბეჭდები, დადგინოს მოსაძებნი პირის კავშირები (ნათესაების, მეგობრების საცხოვრებელი ადგილი და მისამართები). დაახლოებით ასეთივე სახის მონაცემები უნდა იყოს მოპოვებული გვამისა და უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად. ასეთი ცნობების მიღება შეიძლება დაზარალებულის, მოწმეების, მოსაძებნი პირის ოჯახის წევრების, მეზობლებისა და ნათესაების დაკითხვის საფუძველზე, სათანადო მონაცემების გამოთხოვით საინფორმაციო ცენტრიდან და სამკურნალო დაწესებულებიდან. საკითხის სრულყოფილი შესწავლის შედეგად შესაძლებელია გამოძიებლის მიერ აგებული იყოს სამძებრო ვერსია და შედგეს ძებნის რეალური გეგმა. ძებნა შეიძლება გამოცხადდეს როგორც გამოძიების პროცესში, ისე გამოძიების შეჩერებასთან დაკავშირებით.

ძებნის გამოცხადების შესახებ გამოძიებელს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება, ხოლო თუ მოძებნის შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ უნდა იყოს გამოყენებული ისეთი აღკვეთის ღონისძიება, როგორცაა

პატიმრობა, ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა პროკურორისაგან სანქციის მიღება. ძეზნის გამოცხადების შემთხვევაში დადგენილებას ძეზნის შესახებ უნდა დაერთოს ცნობა მოსაძეზნი პირის მონაცემების შესახებ (დემოგრაფიული ცნობები, მისი აღწერილობა, ფოტოსურათი, ნათესაური კავშირები და ა.შ.). დადგენილება ძეზნის გამოცხადების შესახებ და ცნობა გადაეგზავნება მოკვლევის ორგანოს უფროსს შესასრულებლად.

გამომძიებლის ურთიერთკავშირი გრძელდება ოპერატიულ-სამძებრო სამსახურთან მანამ, სანამ არ შესრულდება გამომძიებლის დავალება. ძეზნის გამოცხადებასთან დაკავშირებით გამომძიებელს შეუძლია გამოიყენოს საინფორმაციო საშუალებები (პრესა, რადიო, ტელევიზია) და საზოგადოებრიობის დახმარება.

ასევე საქმიანი კავშირი უნდა დაამყაროს გამომძიებელმა ოპერატიულ-სამძებრო სამსახურთან, საზოგადოებრიობასთან და ინფორმაციის საშუალებებთან, როდესაც ძეზნას ექვემდებარება ნივთები, ფასეულობა, საგნები, ფასიანი ქაღალდები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ. ამ საგანთა ეფექტური ძეზნისათვის საჭირო და აუცილებელია დაზარალებულის, მოწმეების, მეზობლებისა და ნათესავების დაკითხვა გატაცებული საგნების ნიშან-თვისებათა თაობაზე. ამ საგანთა შესახებ უნდა იყოს აგრეთვე გამოთხოვნილი ცნობები შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

გამომძიებლის საქმიანი ურთიერთკავშირი ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებთან, საზოგადოებრიობასთან და პროცესის შესაბამის სუბიექტებთან (დაზარალებული, მოწმე) საშუალებას იძლევა ძეზნა განხორციელდეს ეფექტურად.

VII თავი

კრიმინალისტიკისა და კრიმინალისტიკურ დაწესებულებათა ბანკითარების ისტორია

§1 კრიმინალისტიკის მეცნიერებად აღიარება

ყოველი მეცნიერება ვითარდება წარსულში დაგროვებული გამოცდილებისა და განზოგადების საფუძველზე. იბადება კითხვა, სად და როდის გაჩნდა კრიმინალისტიკა? გერმანელი პუბლიცისტი იურგენ ტორვალდი ამტკიცებს, რომ კრიმინალისტიკა, როგორც მეცნიერება ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჩვენი აზრით, შეუძლებელია დავასახელოთ ხსენებული მეცნიერების ზუსტი "დაბადების დღე", რამეთუ პირველი გამოკვლევები, რომლებიც საფუძველად დაედო კრიმინალისტიკას ტარდებოდა აღნიშნულ საუკუნეზე უფრო ადრე ევროპაში, აზიაში და ამერიკაში.

საკითხს ნათელი მოეფინება თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართალწარმოების განვითარების ისტორიას. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში სისხლის სამართალწარმოება, ისევე როგორც საქართველოში, ევროპაში, რუსეთში ატარებდა ინკვიზიციურ ხასიათს. ბრალდებულის წამება დანაშაულის აღიარების მიზნით სამძებრო პროცესის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა. არ ექცეოდა ყურადღება შემთხვევის ადგილზე დარჩენილ, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო საგნებს, ნივთიერ მტკიცებულებებს ანუ ე.წ. "მუნჯ მოწმეებს".

სწორედ კრიმინალისტიკის მეცნიერებამ იტვირთა ეს მძიმე, და მეტად რთული მისია აამეტყველოს ე.წ. "მუნჯი მოწმეები". ამისათვის იგი ფართოდ იყენებს საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და სხვა მეცნიერების უახლეს მიღწევებს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისას უპირატესობას ვანიჭებდეთ "მუნჯი მოწმეებისაგან" მიღებულ ინფორმაციას, იგი საქმის სხვა ფაქტიურ მონაცემებთან ერთად უნდა შეფასდეს ყოველმხრივ, ობიექტურად, მათ ერთობლიობაში.

კრიმინალისტიკის ჩამოყალიბების დღიდან, მის წინაშე დაისვა ურთულესი ამოცანა: გადაეწყვიტა რეციდივისტის პიროვნების დადგენის საკითხი. შუა საუკუნეებში აღნიშნული საკითხი მარტივად წყდებოდა: დამნაშავე პირებს გავარვარებული შანთით სხეულის რომელიმე ნაწილზე

ამოსწავდნენ სიტყვებს: "ქურდი", "მკვლელი" და ა.შ. ახდენდნენ - მათ დანომრვას. დანაშაული მაინც იზრდებოდა, ასეთ ღონისძიებათა ეფექტურობა მეტად დაბალი იყო.

მოგვიწოდებთ დაიწყეს მსჯავრდებულთა აღრიცხვა. თითოეულ მათგანზე დგებოდა სააღრიცხვო ბარათი, სადაც მიუთითებდნენ: გვარს, ჩადენილი დანაშაულის სახეს, ნასამართლობას, აღწერდნენ გარეგნობას. XIX ს 40-იან წლებში სააღრიცხვო ბარათებზე გამოჩნდა მსჯავრდებულთა სურათებიც. იზრდებოდა ბარათების რიცხვი, მაგრამ პირთა დაძებნა მაინც რთული იყო.

დამნაშავეთა რეგისტრაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას შეეცადა პარიზის პრეფექტურის პოლიციის წერილის დამტარებლის ახალგაზრდა თანაშემწე ალფონს ბერტილიონი. მან დაიწყო პატიმართა ანთროპომეტრული გაზომვა, ე.ი. სააღრიცხვო ბარათში შეიტანებოდა ადამიანის ცალკეული ნაწილების ზუსტი ზომა. 1885 წლიდან ანთროპომეტრული მეთოდი დაინერგა საფრანგეთის ყველა საპყრობილეში. 1890 წელს იქმნება ე.წ. "ანთროპომეტრიული" სადგური პეტერბურგის პოლიციის სისტემაშიც.

მაგრამ ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, რუსეთშიც პრაქტიკულად მალე დარწმუნდნენ, რომ ანთროპომეტრული მეთოდი, გარდა იმისა, რომ დაკავშირებული იყო უაღრესად დიდ შრომატევად საქმიანობასთან, არ იყო საიმედო თუნდაც მცირეოდენი შეცდომების დაშვების შემთხვევაშიც. სწორედ ამიტომაც ყურადღება მიაპყრეს დაქტილოსკოპურ აღრიცხვას, რომლის თეორიულ დამუშავებაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვით ინგლისელ უილიამ ჰერშელს (გერშელს), შოტლანდიელ ჰენრი ფოლდს, ინგლისელ ფრენსის გალტონს. ამ უკანასკნელმა 1892 წელს გამოსცა წიგნი "თითის ანაბეჭდები". წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბენგალიის პოლიციის გენერალურ ინსპექტორზე ედვარდ გენრიზე. გალტონის იდეებს დაემატა გენრის მოსაზრებანი და გალტონ-გენრის სისტემა დამნაშავე პირთა გაიგივება თითის ანაბეჭდების მიხედვით 1897 წლიდან დამკვიდრდა ბრიტანეთის ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე. ხოლო 1905 წლიდან აღნიშნული სისტემის გამოყენება გავრცელდა: ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში. რუსეთში ხელის თითის ანაბეჭდების გამოკვლევა პირველად მოხდა 1912 წელს სანკტ-პეტერბურგში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა უამრავი პუბლიკაციები კრიმინალისტიკის გარშემო. საჭირო იყო დანაშაულის გახსნის სფეროში არსებული მეცნიერული ხერხებისა და მეთოდების თავმოყრა, სისტემატიზაცია; ამას შეეცადა ავსტრიელი იურისტი ჰანს გროსი, რომელმაც 1893 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი "სახელმძღვანელო სასამართლო გამოძიებლებისათვის" (ითარგმნა რუსულადაც). ნაშრომში ჰ.გროსმა გზა დაულოცა ახალ დამოუკიდებელ მეცნიერებას – მეცნიერებას დანაშაულის გახსნის ტექნიკის შესახებ და ამ შრომის მე-3 გამოცემაში მას კრიმინალისტიკა უწოდა.

XX საუკუნის ათწლეულში იქმნება კრიმინალისტიკა საერთაშორისო კავშირი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კრიმინალისტიკის დარგში უზიარებდნენ მეცნიერულ ინფორმაციას, მეცნიერულ-ტექნიკურ მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც დანერგილი იყო მათ სამართალდამცავ ორგანოებში.

§2. კრიმინალისტიკა და კრიმინალისტიკური დაწესებულებანი საქართველოში

გამოჩენილი ქართველი სწავლული, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში "ქართული სიგელთ-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" მოგვითხრობს, რომ XVII – XVIII სს. გაყალბებული დოკუმენტების დადგენა ხდებოდა ეჭვიანი პირებზე რელიგიური ზემოქმედების გზით. ვახტანგ VI სამართლის წიგნში გადმოცემულია მეთოდები, რომლებითაც შეიძლება გადაწყდეს საკითხი დოკუმენტების გაყალბების შესახებ: ა) პირები, რომელთაც გასცეს დოკუმენტები და მოწმეები მოხსენებულნი დოკუმენტებში, ნამდვილად ცხოვრობდნენ თუ არა იმ წლებში, რომლებიც აღნიშნულია დოკუმენტებში; ბ) პირი, რომლის ბეჭედიცაა დასმული დოკუმენტზე, ნამდვილად ასეთი ბეჭდით სარგებლობდა თუ სხვა ბეჭდით. რა თქმა უნდა აღნიშნული ფაქტების დასადგენად აუცილებელი იყო ისტორიის ცოდნა. მოგვიანებით (XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში) ტარდებოდა დოკუმენტების ტექსტების დაწვრილებითი შესწავლა და შედარება ნიმუშებთან. შეისწავლებოდა წერილობითი გადმოცემის კულტურა, შინაარსის წყობა, გრამატიკის ცოდნა, ცალკეული ტერმინოლოგიის მართლწერა და ა.შ.

ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ექსპერტიზის ჩატარების მაგალითი, ერთი მეტად გახმაურებული საქმის გარშემო. 1885 წელს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში განიხილეს დოკუმენტის გაყალბების ბრალდებით ტერ-შმოვანოვის, კორგანოვის და სხვათა საქმე.¹ დოკუმენტის გამოსაკვლევად გამოძახებულ იქნა ექსპერტ-ქიმიკოსი ჰ.სტრუვე, რომელმაც ქიმიური მეთოდებისა და კვლევითი ფოტოგრაფიის გამოყენებით აღადგინა ტექსტი. ექსპერტის დასკვნა და საერთოდ მასთან დაკავშირებული ქალაქ-დები განმეორებითი ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაეგზავნა პროფესორ დ.მენდელეევს, რომელმაც სრულად გაიზიარა ჰ.სტრუვეს დასკვნა და აღნიშნა ექსპერტიზის ჩატარების მაღალხარისხიანობა.

ჰენრიხ ვასილის ძე სტრუვე იყო ცნობილი სწავლული ქიმიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (დაიბადა 1822 წელს ქ.იურევში (ტარტუ) ესტონეთში გამოჩენილი ასტრონომისა და გეოდეზისტის, აკადემიკოს ვასილ იაკობის ძე სტრუვეს ოჯახში).

1849-67 წლებში იგი მუშაობდა პეტერბურგში, სამთო დეპარტამენტის ლაბორატორიაში. 1867 წელს საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და ამავე წელს აყალიბებს თბილისის ქიმიურ ლაბორატორიას, რომლის პირველ ხელმძღვანელადაც თვითონ გვევლინება. მოგვიანებით მას ეწოდა სასამართლო-ქიმიური ლაბორატორია (ამ ლაბორატორიის ბაზაზე აღმოცენდა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ლაბორატორია).²

ჟურნალ "Юридическое обозрение"-ს გვერდებზე გამოცემული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლამ გვაჩვენა, რომ ხსენებული ლაბორატორია იყო ის დაწესებულება, სადაც სასამართლო-საგამომძიებო ორგანოების დავალებით ტარდებოდა დოკუმენტების ტექნიკური გამოკვლევა სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფიისა და ქიმიური მეთოდების გამოყენებით. ვფიქრობთ სავსებით გამართლებული იქნება ეწოდოს ჰ.სტრუვეს მიერ 1867 წელს დაარსებულ ლაბორატორიას საქართველოს პირველი კრიმინალ-

¹ Юридическое обозрение, Тифлис, 1885, N 222 с. 812-813; Терзиев Н.В., Эйсман А.А., Введение в криминалистическое исследование документов, М., 1949, ч.1 с. 72-73.

² Твалчрелидзе Ю., Старейшая судебно-медицинская лаборатория, журнал "Советская медицина", 1957, N4, с.36-37.

ისტორიული დაწესებულება. სწორედ ამ ლაბორატორიაში ჩაატარა ჰ.სტრუვემ 1885 წელს სასამართლო-ფოტოგრაფიული ექსპერტიზა ტერ-შმოვანოვისა და სხვათა საქმეზე (თვითონ ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ეს არ იყო მისი პირველი ექსპერტიზა). ამ საკითხთან დაკავშირებით გვახსენდება შრომები, კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოები, სადაც ე.ფ. ბურინსკი ითვლება სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფიის მეთოდების დანერგვის მამამთავრად (აღნიშნული მეთოდები მან პირველად გამოიყენა 1889 წ. 11 სექტემბერს). ვინაიდან ე.ფ. ბურინსკამდე ოთხი წლით ადრე 1885 წელს ჰ.სტრუვემ თბილისში გამოიყენა სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფიის მეთოდები, იგი უნდა იქნეს მიჩნეული ამ მეთოდების დანერგვის მამამთავრად. 1908 წელს გ. სტრუვეს გარდაცვალების შემდეგ ლაბორატორიას სათავეში ჩაუდგა 40 რ.დ.კუპცისა და კვლავ გრძელდებოდა გამოკვლევა კრიმინალისტიკური ექსპერტიზების ობიექტებისა.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სანამ შეიქმნებოდა ოფიციალური კრიმინალისტიკური დაწესებულებანი, ხელნაწერთა გამოკვლევას აწარმოებდნენ: მასწავლებლები და მხატვრები. 1925 წლიდან კი – ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ მხატვრები: სამხატვრო აკადემიის პროფესორი გ.ფ.გრინევსკი, ფ.ა.ფოგელი, ო.ნ.შმერლინგი, გ.კ.ერისთავი, დ.კ.წერეთელი და სხვანი.

1930 წელს გ.ფ. გრინევსკიმ უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტთან (ასე ეწოდებოდა მაშინ სამხატვრო აკადემიას) ჩამოაყალიბა სამთვიანი კურსები ექსპერტ-კალიგრაფებისათვის.

შეიძლება ითქვას, საქართველოში ოფიციალური კრიმინალისტიკური დაწესებულებების დაარსებამდე, იხვეწებოდა გაყალბებული ხელნაწერებისა და დოკუმენტების გამოკვლევის მეთოდები (ეჭვმიტანილ პირებზე რელიგიური ზემოქმედების მეთოდებიდან დაწყებული – ფიზიკური, ქიმიური და სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფიით დამთავრებული).

ასე რომ ქ.თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებასთან 1930 წელს დაარსებულ კრიმინალისტიკურ დაწესებულებას – კრიმინალისტიკის კაბინეტს წარსულიდან კარგი მემკვიდრეობა ერგო. კრიმინალისტიკის კაბინეტის გამგედ დაინიშნა სასამართლო მედიცინის ასისტენტი გ.კ. ასათიანი. აღნიშნულ კაბინეტს დაე-

ქვემდებარა სარეგისტრაციო-დაქტილოსკოპიური ბიურო და სამძებრო ძალების ჯგუფი.

1931 წელს კრიმინალისტიკის კაბინეტს ეწოდა სამეცნიერო-ტექნიკური ქვეგანყოფილება. ამავე წელს ქვეგანყოფილებაში ექიმ-ექსპერტად მიღებულ იქნა გ.ვ. მათიაშვილი, რომელიც 1932 წლიდან სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო-ტექნიკურ ქვეგანყოფილებას. 1932 წლიდან იწყებენ მოღვაწეობას აღნიშნულ ქვეგანყოფილებაში ექსპერტი ვ.ა.სუხოვი და ექსპერტ-მხატვარი დ.კ.წერეთელი.

1932 წლიდან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მილიციის სამმართველოების, ქ.ქუთაისის სამმართველოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მილიციის სამმართველოს ოპერატიულ ქვეგანყოფილებებში საქმიანობას იწყებენ ექსპერტები და დაქტილოსკოპისტები.

1948 წელს სამეცნიერო-ტექნიკური ქვეგანყოფილება ჩამოყალიბდა სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებად, სადაც 1948-49 წლებში შეიქმნა ქიმიური და ბიოლოგიური ლაბორატორიები.

1948 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის მილიციის განყოფილებასთან შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფი.

1948 წლიდან აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკების მილიციის სამმართველოების ოპერატიულ ჯგუფებთან ყალიბდებიან სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფები.

საქართველოში ოფიციალურ კრიმინალისტიკურ დაწესებულებად შეიძლება ჩაითვალოს 1949 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე გ.ვ. მათიაშვილის მიერ ორგანიზებული კრიმინალისტიკის ლაბორატორია. იმ პერიოდში ლაბორატორიაში ასისტენტად მუშაობდა გ.ა.ციმაკურიძე და ლაბორანტად მ.ნ.აბაზაძე. ლაბორატორია საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების დავალებით იკვლევდა ნივთიერ-მტკიცებულებებს. 1950 წ. მეორე ნახევრიდან ფართოვდება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფების ქსელი (ისინი იქმნება ქალაქებში: ქუთაისი, გორი, გურჯაანი, რუსთავი, ფოთი და ა.შ.). სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილებებისა და ჯგუფების გაზრდით შესაძლებელი ხდება: ამაღლდეს მოკვლევისა და გამოძიების ორგანოს მუშაკთა ცოდნა კრიმინალისტიკის სფეროში, დახმარება აღმოეჩინოთ გამოძიებლებსა და მომკვლევ პირებს

შემთხვევის ადგილზე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების მომარჯვებით ნივთიერ-მტკიცებულებათა დამუშავებაში, გადაუდებელ შემთხვევებში მათ გამოკვლევაში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურმა განყოფილებამ გარკვეული შრომა გასწია საქართველოში კრიმინალისტიკური ექსპერტიზის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში. ხსენებული განყოფილების საქმიანობაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს: გ.ა. ციმაკურიძემ, გ.ვ. ექვთიმიშვილმა, ლ.ფ. გიგიტაშვილმა, გ.პ. გელბახიანმა, ი.გ. თვალჭრელიძემ, ო.გ. გვახარიამ, დ.გ. როსტიაშვილმა და სხვებმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების აღზრდის საქმეში დად დახმარებას უწევს სამინისტროს უმაღლესი სკოლის უახლესი ტექნიკური საშუალებით აღჭურვილი კრიმინალისტიკის ლაბორატორია.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტიკური ლაბორატორია საქმიანობას შეუდგა 1951 წლის 1 დეკემბრიდან. მანამდე კი ლაბორატორიის მთელი შტატი მივლინებულ იქნა ექსპერტ-კრიმინალისტების ექსთვიან კურსებზე მოსკოვში. კურსების დამთავრების შემდეგ ქართველი იურისტებიდან გ.ა. ციმაკურიძემ, ა.ბ. თადუმაძემ, ო.მ. მგელაძემ, ა.ი. ფალიაშვილმა და ო.ვ. ულენტმა პირველებმა მიიღეს ექსპერტ-კრიმინალისტების კვალიფიკაცია.

ლაბორატორია საქართველოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების გარდა 5 წლის განმავლობაში ემსახურებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს. პირველდაწყებით ეტაპზე ასრულებდა ხელნაწერების ექსპერტიზას. იყო სიძნელეებიც, ჯერ ერთი, სამი ექსპერტი შტატში (თითოეული ემსახურებოდა ერთ რესპუბლიკას), მეორეც, ექსპერტები ძალიან იყვნენ დატვირთული, მესამეც არ არსებობდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე შესრულებული ნაწერების გამოკვლევის მეთოდოლოგია, რაც ხშირად შედეგი იყო დაბალ მეცნიერულ დონეზე ექსპერტიზის ჩატარებისა. დრო და დრო იხვეწებოდა ლაბორატორიის მუშაობა, იძენდა გამოცდილებას, იარაღდებოდა უახლესი აპარატურით და მოწყობილობებით, გაეზარდა შტატებიც. კვლევის სფეროებიც გაფართოვდა. ტარდებოდა: დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევები, სასამართლო ბალისტიკური, ტრასოლოგიური და სხვა.

1959 წელს თბილისის სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია დაექვემდებარა თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტს (საქ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 24 თებერვლის დადგენილების საფუძველზე) საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ლიკვიდაციის გამო; 1960 წელს ლაბორატორია შევიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის გამგებლობაში (საქ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1960 წ. 26 ივლისის დადგენილების საფუძველზე).

1970 წლიდან ლაბორატორია კვლავ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უწყებაშია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მაისის დადგენილებით ლაბორატორიას შეუერთდა სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიურო და ამის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია თავისი ფილიალებით: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქ. სოხუმი), აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქ. ბათუმი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (ქ. ცხინვალი).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1981 წ. 28 დეკემბრის განკარგულებით ლაბორატორიას ეწოდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

დღეისათვის ლაბორატორიაში მოქმედებს შემდეგი განყოფილებები: ხელნაწერების გამოკვლევის განყოფილება; ბალისტიკურ-ტრასოლოგიურ გამოკვლევათა განყოფილება; მასალათა, ნივთიერებათა და ნაკეთობათა კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა განყოფილება; საინჟინრო-ტექნიკურ გამოკვლევათა განყოფილება; საბუღალტრო გამოკვლევათა განყოფილება; ავტოტექნიკურ გამოკვლევათა განყოფილება; ფონოსკოპურ გამოკვლევათა განყოფილება; დოკუმენტების ტექნიკურ გამოკვლევათა სექტორი; საქონელმცოდნეობის გამოკვლევათა ჯგუფი; ფოტოლაბორატორია.

ლაბორატორიის თანამშრომლები პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ეწევიან სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც. ლაბორატორიამ 1953-59 წლებში ქართულ ენაზე გამოსცა სამეცნიერო შრომების კრებულები;

1956 წელს ლაბორატორიამ პირველმა სხვა ლაბორატორიებს შორის რუსულ ენაზე დაიწყო გამოცემა ბიულეტენების 'საექსპერტო პრაქტიკა'.

სადაც ადგილს პოულობდა საინტერესო შემთხვევები ლაბორატორიის საექსპერტო პრაქტიკიდან, ასევე იბეჭდებოდა თეორიული ხასიათის წერილებიც.

ხელნაწერების გამოკვლევის სფეროში თეორიული საფუძვლები საინტერესოდ ჩამოაყალიბეს: ბ.ბ. ხარაზიშვილმა საკანდიდატო დისერტაციაში "საბჭოთა სასამართლო ხელმცოდნეობა" (1951 წ.), ო.მ. მგელაძემ საკანდიდატო დისერტაციაში: "ქართულ ენაზე შესრულებული ტექსტების, ხელმოწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა" (1964 წ.).

ბ.ბ. ხარაზიშვილმა – პირველმა ქართულ ენაზე გამოსცა "კრიმინალისტიკის" სახელმძღვანელოს ზოგადი ნაწილი (1954 წ.).

კრიმინალისტიკური მეთოდის გაამდიდრეს თავიანთი საკანდიდატო დისერტაციებით რ.ს. ჭოლოშვილმა "სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატაცების გამოძიების მეთოდის" (1965 წ.); შ.გ. ფაფიაშვილმა "მექრთამეობის გახსნისა და თავიდან აცილების მეთოდის საბჭოთა კრიმინალისტიკის მიხედვით" (1966 წ.). მოწონებას იმსახურებს შ.გ. ფაფიაშვილის მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიები: "დაქტილისკოპია" (1969 წ.), "მექრთამეობის გამოძიება" (1972 წ.).

რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ დახმარებას უწევდა ქართველ სტუდენტებს და პრაქტიკოს მუშაკებს ბ.ბ. ხარაზიშვილის "კრიმინალისტიკის" ქართული სახელმძღვანელო (1969 წ.).

1981 წლიდან 1986 წლის ჩათვლით ლაბორატორიის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 20 მეთოდური ხასიათის სტატია, გამოიცა ერთი მონოგრაფია "მოსაუბრის ხმის ავტომატური ამოცნობა" (გ.ს.რამიშვილი 1981 წ.) და ა.შ.

ბოლო წლებში შეინიშნება აქტიური თანამშრომლობა ლაბორატორიასთან სწავლული იურისტების მხრიდან. ასე მაგალითად, თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის გამგის, პროფესორ ა.ფალიაშვილის მიერ არაერთგზის ხარისხიანად ჩატარებულ იქნა ხელნაწერების გამოკვლევა. პროფ. ა.ფალიაშვილის ინიციატივით 1987 წლის 8 დეკემბერს ლაბორატორიაში შეიქმნა კრიმინალისტიკის საბაზო კათედრა, რომლის მიზანიცაა: კავშირის განმტკიცება იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის, საექსპერტო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადოებაში იურიდიული ფაკულტეტის პედაგოგების, ასპირანტების და მოწინავე სტუ-

დენტების ჩაბმა და ა.შ. თავის მხრივ, ლაბორატორიაც მჭიდრო სამეცნიერო და ტექნიკურ კავშირებს ამყარებს რესპუბლიკის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან.

უკანასკნელ პერიოდში ლაბორატორიის ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნები 3-ჯერ იყო სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული.

ლაბორატორიას ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევდა საკავშირო სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სიტუციაში არსებულ კრიმინალისტიკურ დაწესებულებებს, მათ მეთოდურ-ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევდა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1980 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს გამგეობაშია კრიმინალისტიკური განყოფილება, რომელიც საექსპერტო საქმიანობის გარდა ეწევა: კრიმინალისტიკურ აღრიცხვას, ტექნიკურ საშუალებათა დანერგვას მილიციის ორგანოების მუშაობაში, საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებათა ოპერატიულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

დღეს, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლ საქართველოს მიეცა რეალური შესაძლებლობა შექმნას ძლიერი ცენტრი, თუნდაც სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახით, რომელიც შეძლებს მეთოდურ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, საექსპერტო და მეცნიერული მუშაობის კოორდინაცია გაუწიოს რესპუბლიკაში არსებულ კრიმინალისტიკურ დაწესებულებებს. საქართველოს ყველა რეგიონში უნდა ჩამოყალიბდეს უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. მთიანი რაიონები მომარაგებულნი უნდა იქნენ მოძრავი კრიმინალისტიკური კაბინეტებით, რათა ოპერატიულად ხდებოდეს შემთხვევის ადგილზე გასვლა და ნივთიერ-მტკიცებულებათა დამუშავება.

ვფიქრობთ, ქართველ კრიმინალისტთა აღზრდის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიამ, რომელიც სასწავლო დანიშნულების გარდა უნდა ატარებდეს სამეც-

ნიერო-კვლევით ხასიათს. აქ უნდა მომზადდეს ექსპერტ-კრიმინალისტთა კადრები რესპუბლიკის კრიმინალისტიკური დაწესებულებისათვის.

§ 3. კრიმინალისტიკა და კრიმინალისტიკური დაწესებულებანი რუსეთში (1917 – 1990 წწ.)

1917 წლის ოქტომბრის პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ მმართველი პარტია გახდა ბოლშევიკური, რომელმაც დააკომპლექტა ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები. დაიწყო ნგრევა ძველი სახელმწიფო აპარატისა და ახლის შექმნა. მსხვერევას არ მოჰყოლია დანაშაულობათა შემცირება, პირიქით, დაძნედა სამყარომ უფრო ორგანიზებულად და დახვეწილად დაიწყო მოქმედება, იმატა დანაშაულობათა რიცხვმა. დანაშაულობათა გახსნა კი მეტად დაბალ დონეზე იდგა. დანაშაულობათა გახსნას აძნელებდა ისიც, რომ არ იყო კრიმინალისტიკური დაწესებულებანი შესაბამისი მომზადებული კადრებით. 1912-1914 წწ. შექმნილი კაბინეტების ბედი სხვადასხვა რიგად მოეწყო. კიევის კაბინეტი 1920 წელს განადგურდა თეთრპოლონელების მიერ. პეტროგრადის კაბინეტი დაიწვა თებერვლის რევოლუციის დროს. მოსკოვის კაბინეტმა ჯერ კიდევ 1918 წელს შეწყვიტა არსებობა. არადა მეცნიერული კვლევის მოთხოვნა აშკარად იგრძნობოდა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პირველსავე გადადგმულ ნაბიჯებზე.

კრიმინალისტიკა, როგორც მეცნიერება აღმოცენდა და იწყო განვითარება საგამოძიებო პრაქტიკისა და იმ დროისათვის არც ისე მრავალრიცხოვანი კრიმინალისტიკური დაწესებულებების პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე.

პირველი სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილებები ფეხს იდგამენ შინაგან საქმეთა ორგანოებში, კერძოდ კი სისხლის სამძებრო აპარატში. 1919 წლის თებერვალში რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოსთან ყალიბდება სასამართლო ექსპერტიზის კაბინეტი, რომლის საფუძველზე 1922 წლის მაისში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილება. ერთი მხრივ, უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო-ტექნიკური და საექსპერტო საქმიანობა მილიციის ორგანოებში აღნიშნულ თარიღზე ადრე დაიწყო. ჯერ ერთი 1918 წლის ბრძანებებში სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით მოითხოვდნენ გასცნობოდნენ დამნა-

შავე პირთა რეგისტრაციის ანთროპომეტრულ, დაქტილოსკოპისტურ, ფოტოგრაფიულ მეთოდებს.

1923 წელს განაახლეს მუშაობა კიევისა და ოდესის სამეცნიერო-სასამართლო ექსპერტიზის კაბინეტებმა, მათ დაემატა ხარკოვის კაბინეტი, რომლის შექმნის ინიციატივაც ეკუთვნის ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედროის გამგეს, პროფესორ ნ.ს.ბოკარიუსს. აღნიშნული კაბინეტები 1925 წლის ბოლოს ჩამოყალიბდნენ სამეცნიერო-სასამართლო ექსპერტიზების ინსტიტუტებად.

ახასიათებდა რა საექსპერტო დაწესებულებათა საქმიანობას უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ს.ი. ტიხენკო წერდა: "ყველა ეს დაწესებულებები თავიანთ საქმიანობაში გამოიყენებდნენ იმ მეცნიერულ-ტექნიკურ მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც ათვისებული და დამუშავებული იყო რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტების: ბურინსკის, ლებედევის, ტრეგუბოვის და სხვათა მიერ".³

რა თქმა უნდა, წარსულიდან რაციონალური მემკვიდრეობა კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგში მიღებულ იქნა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ კრიმინალისტიკამ შეაჩერა განვითარება. 1923 წელს დაიბეჭდა პ.ს. სემენოვსკის მონოგრაფია "დაქტილოსკოპია როგორც რეგისტრაციის მეთოდი". 1925 წელს ქვეყდება ნ.პ. მაკარენკოს ნაშრომი "დანაშაულის გამოძიების ტექნიკა", 1926 წელს იბეჭდება ს.მ. პოტაპოვის ორიგინალური ნაშრომი "სასამართლო ფოტოგრაფია".

უნდა აღინიშნოს, რომ 1925-26 წლებში მოსკოვისა და ირკუტსკის უნივერსიტეტებში იკითხებოდა ლექციები კრიმინალისტიკის დისციპლინაში და სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა ი.ნ.იაკიმოვის "კრიმინალისტიკა. სახელმძღვანელო სისხლის სამართლის ტექნიკასა და ტაქტიკაში" გამოცემული 1925 წ. მან 1929 წელსაც გამოაქვეყნა "კრიმინალისტიკა. სისხლის სამართლის ტაქტიკა". როგორც ვხედავთ საბჭოთა კრიმინალისტიკა საკუთარ ბაზაზე ვითარდებოდა, მასზე იზრდებოდნენ კვალიფიცირებული სპეციალისტები.

1929 წელს ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში შეიქმნა კრიმინალისტიკისა და სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

³ Тихенко С.И., Развитие советской криминалистики на Украине, в кн. Криминалистика и научно-судебная экспертиза, сб. 2. Киев, 1948, с. 11-12.

მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა სასამართლო მედიცინის პროფესორმა ვ.ფჩერვაკოვმა. ინსტიტუტს სახელი გაუთქვა სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზების მაღალ დონეზე ჩატარებამ.

1935 წელს კრიმინალისტიკური ლაბორატორია შეიქმნა სსრკ პროკურატურის, სსრკ უმაღლესი სასამართლოს, რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისხლის სამართლის პოლიტიკის ინსტიტუტთან. ლაბორატორიის გახსნასთან დაკავშირებით ს.პ. მიტრიჩიევი აღტაცებული წერდა: "განსაკუთრებით უნდა მივესალმით სისხლის სამართლის პოლიტიკის ინსტიტუტის წამოწყებას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო სასამართლო ექსპერტიზების ლაბორატორიას. ლაბორატორიის შექმნით ჩადებულ იქნა პირველი ქვა გამომძიებლის მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის რეალური ბრძოლის საქმეში".⁴

30-იან წლებში კრიმინალისტიკური ლაბორატორიები აღმოცენდნენ სხვა დედაქალაქებშიც. ასე, მაგალითად, 1930 წ. ასეთი ლაბორატორია შეიქმნა სარატოვის იურიდიულ ინსტიტუტთან, 1936 წ. – ლენინგრადის იურიდიულ ინსტიტუტთან, 1940 წ. – ტაშკენტის იურიდიულ ინსტიტუტთან. სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობებთან ერთად აწარმოებდნენ დოკუმენტების კრიმინალისტიკურ ექსპერტიზებს.

განიცდის განვითარებას კრიმინალისტიკის მეცნიერებაც. იგი როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა იკითხება ბევრ უმაღლეს სასწავლებელში. 1935 წელს გამოიცა მისი პირველი ნაწილი, ხოლო 1936 წელს მისი მეორე ნაწილი. იმ დროს თეორიულად მიღებულად ითვლებოდა კრიმინალისტიკის ორ ნაწილად – ზოგად და კერძო ნაწილებად დაყოფა. ზოგად ნაწილში გაერთიანებული იყო საგამომძიებო ტექნიკისა და ტაქტიკის საკითხები, როგორც დანაშაულის გამოძიების ზოგადი წინამძღვრები, ხოლო კერძო ნაწილში გადმოცემული იყო ცალკეულ დანაშაულთა სახეების გამოძიების მეთოდოლოგია. ე.ი. აქ გათვალისწინებული იყო ზოგადი მონაცემების კონკრეტული გამოყენების თავისებურებანი ცალკეულ დანაშაულთა გამოვლინების დროს.

პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფის მიზნით იქმნება თეორიული საფუძვლებიც: 1938 წ. გამოიცა ბ.მ. კომარინეცისა და ბ.ი. შევჩენკოს წიგნი

⁴ Митричев С.П., О лаборатории научно-судебной экспертизы, Социалистическая законность, 1935, N10, с.62.

„სახელმძღვანელო დანაშაულის ადგილის დათვალერებისათვის“; 1938 წელსვე გამოქვეყნდა საინტერესო სტატია ბ.მ. შავერასა და ს.პ. მიტრიჩივისა – „საბჭოთა კრიმინალისტიკის საგნისა და მეთოდის შესახებ“, 1939 წელს გამოვიდა ნ.დ.ვორონოვსკის წიგნი „სასამართლო ფოტოგრაფია“; 1940 წელს დაიბეჭდა ს.მ.პოტაპოვის სტატია – „ინდენტიფიკაციის თეორიის შესახებ; ა.ი.ვინბერგის წიგნი – ნაწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა“ (1940 წ.).

1944 წელს მოსკოვში სსრკ იუსტიციის სამინისტროში იქმნება ცენტრალური კრიმინალისტიკური ლაბორატორია, რომელიც 1946 წლიდან გახდა საკავშირო იურიდიულ მეცნიერებითა ინსტიტუტის შემადგენელი ნაწილი. მრავალი წლების განმავლობაში ლაბორატორია ფაქტიურად ითვლებოდა ცენტრად, რომელმაც იკისრა მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება გაეწია პერიფერიებში არსებული კრიმინალისტიკური დაწესებულებებისათვის. ცენტრალურ ლაბორატორიაში გაჩაღდა აქტიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა თეორიისა და პრაქტიკის დარგში, დაისახა ღონისძიებები ექსპერტიზების ჩატარების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების თაობაზე.

1949 წელს სსრკ პროკურატურასთან იქმნება სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტიკური ინსტიტუტი. 1963 წლიდან მას ეწოდებოდა – დანაშაულის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების პირობების შემსწავლელი ინსტიტუტი, ხოლო 1987 წლიდან – სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების პრობლემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია თეორიული შრომების გამოცემის მხრივ, პრაქტიკულ დახმარებას უწევდა და უწევს პროკურატურის მუშაკებს დანაშაულის გახსნის საქმეში. ინსტიტუტმა შექმნა „პროკურორ-კრიმინალისტის ჩემოდანი“, „საგამოძიებო პორტფელი“, პრაქტიკული ხასიათის მეთოდური წერილები და სხვა.

1950 წლიდან იუსტიციის სამინისტროს სისტემაში იქმნება სასამართლო ექსპერტიზების დაწესებულებანი, რომლებიდანაც ზოგი მათგანი მოგვიანებით გადაკეთდა სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. მათ სამეცნიერო მეთოდურ ცენტრად ითვლებოდა სასამართლო ექსპერტიზების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

50-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე კრიმინალისტიკა განიცდის შემოქმედებით განვითარებას. ფართოდ უღებს კარებს საბუნებისმეტყველო

და ტექნიკური მეცნიერების უახლოეს მიღწევებს, შესწავლისა და გან-
ზოგადობის შედეგად ნერგავს მათ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოე-
ბის საქმიანობაში.

სწავლულმა იურისტებმა კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეულ
დარგებს უძღვნეს მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევები. ასე, მაგალითად,
ტრასოლოგიის სფეროში ღირებული შრომები შექმნეს: ბ.ი. შევჩენკომ, გ.ლ.
გრანოვსკიმ და სხვებმა; ხელნაწერების მიხედვით პიროვნების გაიგივების
მეცნიერული საფუძვლები კარგადაა ჩამოყალიბებული ა.ი. ვინბერგის, ა.ე.
აროცკერის, ა.ი. მანცვეტოვას, ვ.ფ. ორლოვას და სხვათა შრომებში;
დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეთოდები გად-
მოცემული აქვთ თავიანთ გამოკვლევებში ა.ა. ეისმანს, ბ.რ. კირიჩინსკოს, ა.ა.
გუსევს, ნ.მ. ზიუსკინს და სხვებს. სასამართლო ბალისტიკის დარგში
მნიშვნელოვანია ბ.მ. კომარინეცის გამოკვლევები მიძღვნილი ცეცხლსასროლი
იარაღის გაიგივებას ტყვიისა და მასრის მიხედვით (1945, 1955, 1961, 1974
წწ.), ასევე ღირებულია ს.დ. კუსტანოვიჩის, გ.ა. სამსონოვის, ა.ი. უსტინოვის,
ბ.ნ. ერმოლენკოს და სხვათა ღვაწლი სასამართლო ბალისტიკის თეორიული
საფუძვლების შექმნის საქმეში. პიროვნების გაიგივების პრობლემას მისი
გარეგანი ნიშნების მიხედვით უძღვნეს გამოკვლევები: ნ.ვ. ტერზიევმა, ვ.ა.
სნეტკოვმა, ზ.ი. კირსანოვმა, პ.გ. ორლოვმა და სხვებმა.

ვ.ს. მიტრიჩევის შრომებმა საფუძველი ჩაუყარეს კრიმინალისტიკური
ექსპერტიზტს ახალ სახეებს – მასალათა, ნივთიერებათა და ნაკეთობათა
კრიმინალისტიკურ გამოკვლევებს.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზტს თეორიისა და პრაქტიკის საკითხე-
ბმა ასახვა ჰპოვეს ა.ი. ფალიაშვილის, ა.რ. შლიახოვის შრომებში.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის საკითხები ღრმად და საფუძვლიანადაა
გაშუქებული ა.ნ. ვასილიევის, ა.რ. რატინოვის, რ.ს. ბელკინის, ვ.პ. კოლმაკ-
ოვის, ვ.ე. კონოვალოვის, ს.პ. მიტრიჩევის, ლ.მ. კორნეევას, ნ.ი. პორუბოვის,
ნ.ა. სელივანოვის, ი.ფ. პანტელეევის, ნ.პ. იაბლოკოვის და სხვათა მეცნიერულ
შრომებში.

კრიმინალისტიკური მეთოდის სფეროში ერთ-ერთ პირველ გამოკვ-
ლევად შეიძლება ჩაითვალოს ა.ნ. კოლესნიჩენკოს დისერტაცია "ცალკეული
სახის დანაშაულთა გამოძიების მეცნიერული და სამართლებრივი სა-

ფუძვლები" (1967 წ.). ასევე ყურადსაღებია ვ.ა. ობრაზცოვის, ნ.ა. სელიგანოვის და სხვათა შრომები.

ამჟამად კრიმინალისტიკის მეცნიერება აღმავლობითი განვითარების სტადიაში იმყოფება.

§ 4. კრიმინალისტიკა და კრიმინალისტიკური დაწესებულებანი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

საზღვარგარეთის ქვეყნებში კრიმინალისტიკა და კრიმინალისტიკური დაწესებულებანი ხასიათდებიან მთელი რიგი თავისებურებებით, თავისებურებათა ახსნა კი უნდა ვეძებოთ ამ ქვეყნების ისტორიული განვითარების არაერთნაირ პირობებში და მათ კანონმდებლობაში.

ზოგიერთ ქვეყანაში კრიმინალისტიკას არ თვლიან იურიდიულ მეცნიერებად: მოიხსენიებენ, როგორც "პოლიტიკურ ტექნიკას", "პოლიტიკურ მეცნიერებას", რომელიც განაზოგადებს პილიციის საქმიანობას, სრულყოფს დანაშაულის გახსნის ტექნიკურ საშუალებებს.

ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში კრიმინალისტიკა არ იკითხება. იგი ითვლება "პოლიციურ მეცნიერებად". ნივთიერ-მტკიცებულებათა გამოკვლევას ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარმოებენ: იუსტიციის სამინისტროს გამომძიების ფედერალური ბიუროს საექსპერტო და კრიმინალისტიკური ლაბორატორიები, ადმინისტრაციულ რაიონებში არსებული ლაბორატორიები. ლაბორატორიებში გამოკვლევის დროს ფართოდ გამოიყენება მიკროანალიზი, რადიოაქტიური იზოტოპები, ელექტრო-გამომთვლელი მანქანები, ლაზერული ტექნიკა და ა.შ. ელექტრონიკამ დაიმკვიდრა ადგილი სასამართლო ფოტოგრაფიაშიც. კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული ელექტრო-სისტემის მეშვეობით ხდება სატელეფონო საუბრების მოსმენა.⁵ ამერიკელი კრიმინალისტები ამუშავებენ ისეთ პრობლემებსაც, როგორიცაა ხმის მიხედვით იდენტიფიკაცია (ფონოსკოპური გამოკვლევა), სუნით კრიმინალისტიკური გაიგივება (ოღოროლოგია) და ა.შ.⁶

⁵ Криминалистика, М., 1988, с. 102; Криминалистика, М., 1990, с. 73;

⁶ უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსმენა დაშვებულია უკიდურესად იშვიათად, მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. პოლიციას სურვილისამებრ არ შეუძლია ჩაერთოს სატელეფონო საუბარს. მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს იმის მტკიცება, რომ კონკრეტული

ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიცია შეიარაღებულია სპეციალური ავტომანქანებით, ვერტმფრენებით, მათ სამსახურშია ტელევიზია.

ინგლისის პოლიციაც აღჭურვილია უახლესი ტექნიკური საშუალებებით. ინგლისის პოლიციის ორგანოები ხელმძღვანელობას უწევენ რეგიონალურ სასამართლო ექსპერტიზების ლაბორატორიას. აქ, კრიმინალისტიკის მეცნიერულ ცენტრად ითვლება დიდი ბრიტანეთის კრიმინალისტიკური მეცნიერების აკადემია. კრიმინალისტიკურ მეცნიერებათა აკადემიის გარდა არის ლონდონის პოლიციასთან სპეციალური კრიმინალისტიკური ხასიათის სამმართველო და ეგრედ წოდებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის მიერ სხვადასხვა მეცნიერების მონაცემების განზოგადებით შემუშავებულ მეთოდებს იყენებენ სასამართლო ექსპერტიზების ლაბორატორიები.

საფრანგეთში ტექნიკური სამმართველო ითვლება სამეცნიერო-მეთოდურ კრიმინალისტიკურ ცენტრად. იგი უწევს ხელმძღვანელობას ქვემდგომ (ადგილობრივ) კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებს. ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს სარგებლობენ ელექტროგამომთვლელი მანქანებით.

პოლონეთის ქალაქებში (ვარშავა, ვროცლავი, კრაკოვი, პოზნანი, ლოძი, ტორუნე) არსებულ უნივერსიტეტებში წამყვანი ადგილი უკავია კრიმინალისტიკის კურსს. რაც შეეხება კრიმინალისტიკურ გამოკვლევებს, ატარებენ: სამოქალაქო მილიციის მთავარი სამმართველოს კრიმინალისტიკის ინსტიტუტში (1955 წ.), კრაკოვის ექსპერტიზების ინსტიტუტისა და ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქების 46 უნივერსიტეტების ლაბორატორიებში. პოლონეთში გამოიცემა ჟურნალები: "კრიმინალისტიკის პრობლემები", და "საინფორმაციო ბიულეტენი" (სამოქალაქო მილიციის ხაზით). აქტიურ სამეცნიერო კვლევას ეწევიან ა.შვარცი, ტ. ხანაუსეკა, ზ. ბოჟიჩკო, ბ.ხოლისტა და სხვანი.

ჩეხოსლოვაკიაში კრიმინალისტიკის თეორიის ზოგადი პრობლემები დამუშავებულ იქნა ი.პეშაკის მიერ. მისი რედაქტორობით კარლოვის უნი-

პიროვნება მონაწილეობდა კანონის სერიოზულ დარღვევებში, რომ მოსმენა აუცილებლად დაეხმარებოდა დანაშაულის გახსნაში. გარდა ამისა საჭიროა კიდევ ოუსტიციის მინიტრის პირადი სანქცია. იხ. მოსამართლე, პროკურორი, პოლიტიკა და თული, „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, №9, გვ. 78.

ვერსიტეტის კრიმინალისტიკაში გამოსცეს კოლექტიური შრომა "კრიმინალისტიკის საფუძვლები". ცნობილია ი.პეშაკის შრომები "შესავალი კრიმინალისტიკაში", "საგამოძიებო ვერსიები" და სხვა.

კრიმინალისტიკური დაწესებულებებიდან აღსანიშნავია კარლოვის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკური ინსტიტუტი, გენერალურ პროკურორთან არსებული კრიმინალისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკური ინსტიტუტი, შესაბამისი ადგილობრივი კრიმინალისტიკური დაწესებულებებით.

ბულგარეთში კრიმინალისტიკური გამოკვლევების ძირითადი ცენტრებია: შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სოფიის უნივერსიტეტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სპეციალური სკოლა; საექსპერტო გამოკვლევებს ახორციელებენ: კრიმინალისტიკის ინსტიტუტი, იუსტიციის სამინისტროს კრიმინალისტიკური ექსპერტიზების ცენტრალური ლაბორატორია და მილიციის სამეცნიერო-ტექნიკური ქვედანაყოფები.

დიდი პოპულარობით სარგებლობენ სწავლული იურისტები ი. ვაკარელსკი და ც. ცეკოვი, რომელთაც კრიმინალისტიკა გაამდიდრეს საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევებით.

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი უნგრელი სწავლული კრიმინალისტიკის იმრე კერტეს შრომები: "დაკითხვის ტაქტიკა და ფსიქოლოგიური საფუძვლები" (1965 წ.), "ნივთიერ მტკიცებულებათა თეორიის საფუძვლები" (1973 წ.) და სხვა შრომები.

უნგრეთში კრიმინალისტიკური ექსპერტიზების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობს: შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკური ტექნიკის ინსტიტუტში, გენერალური პროკურატურის კრიმინოლოგიისა და კრიმინალისტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

რუმინეთში კრიმინალისტიკური დაწესებულებებიდან შეიძლება დავასახელოთ იუსტიციის სამინისტროს ლაბორატორიები და მილიციის სამმართველოს სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებები.

ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების კრიმინალისტიკურ დაწესებულებებში წარმოებს როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე პრაქტიკული ხასიათის საქმიანობა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დამნაშავეთა სამყარო არ იფარგლება სამოქმედოდ მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფო ჩარჩოებით. დიდი ხანია რაც ისინი მსოფლიო მასშტაბით მოქმედებენ. საერთაშორისო დანაშაულობათა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოების პოლიციური ძალების გაერთიანება. საფრანგეთში (ლიონში) ამჟამად არის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლი) შტაბბინა.⁷ იგი კოორდინაციას უწევს ორგანიზაციაში გაერთიანებული ქვეყნების პოლიციის საქმიანობას: ტერორიზმის, თვითმფრინავების გატაცების, ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების და გასაღების, ყალბი მონეტების გასაღების, საერთაშორისო აფიორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

⁷ დაწერილებით იხ. Родионов К.С., Интерпол: вчера, сегодня, завтра, М., 1990.

II განყოფილება კრიმინალისტიკური ტექნიკა

VIII თავი

კრიმინალისტიკური ტექნიკის საფუძვლები

§1 კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება და არსი

კრიმინალისტიკური ტექნიკის ძირითადი ამოცანა იმაში გამოიხატება, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები გამოიყენოს და დანერგოს ოპერატიულ-სამძებრო, გამოძიების, სასამართლო ორგანოებსა და საექსპერტო დაწესებულებათა პრაქტიკაში იმ მიზნით, რომ სწრაფად და ოპერატიულად მოხდეს სისხლის სამართლის საქმის გახსნა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

კრიმინალისტიკური ტექნიკის ხერხები, საშუალებები და მეთოდები გამოიყენება იმისათვის, რომ ხარისხიანად მოხდეს მტკიცებულებათა აღმოჩენა, ფიქსირება, ამოღება, მათი გამოკვლევა კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების გზით, პიროვნებისა და საგნის დადგენა.

კრიმინალისტიკური ტექნიკა არის კრიმინალისტიკის ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე შეიმუშავებს და გამოიყენებს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ხერხებს და მეთოდებს მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების, ამოღებისა და მათი გამოკვლევისათვის, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისათვის იმ მიზნით, რომ დანაშაული სწრაფად გაიხსნას და საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება. ყოველი ტექნიკური ხერხი და საშუალება უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს საპროცესო კანონის მოთხოვნებს.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება ყველა ის ხელსაწყოები, აპარატურა, ხმის ჩამწერი საშუალებები, საინფორმაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულებათა მისაღებად, მათი კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის, დანაშაულის თავიდან აცილებისათვის და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ეფექტური განხორციელებისათვის.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის მიზნით კრიმინალისტიკური ტექნიკა შეიმუშავებს კონკრეტულ წინადადებებს და ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო,

საზოგადოებრივი, კოოპერატიული და პირადი ქონების დაცვას, შესაბამის სასიგნალიზაციო სისტემის შექმნას, საცაფების გადალახვის და შემტვრევის თავიდან აცილებას, დოკუმენტებისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბების გამორიცხვას, სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებას, საკეტების კონსტრუქციის გაუმჯობესებას და სხვა. პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ წინადადებას შეიმუშავენ უშუალოდ გამოძიების ორგანოები, ოპერატიულ-სამძებრო სამსახური, აგრეთვე ექსპერტი კრიმინალისტიკური გამოკვლევის ჩატარების საფუძველზე და პრაქტიკის განზოგადების შედეგად.

ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებები, ხერხები, მეთოდები გამოიყენება იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი და ავტომატიზებული იქნას საინფორმაციო ცენტრის მუშაობა, კვალთა, საგანთა, დანაშაულის ჩადენის ხერხების, პიროვნების გარეგნობის ნიშნების, გვამებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა რეგისტრაცია.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების გამოყენების სუბიექტებს მიეკუთვნებიან ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მუშაკები, მომკვლევ პირი, გამომძიებელი პროკურორი, სასამართლო, სპეციალისტი, პროკურორ-კრიმინალისტი, ექსპერტი.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების დარგებს მიეკუთვნება: ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მოღვაწეობა, საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება, სასამართლოში საქმის განხილვა (მტკიცებულებათა დემონსტრირება და დაკითხვის ფიქსირება). კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენება გულისხმობს ისეთი აპარატურისა და ხელსაწყოების გამოყენებას, რომლებიც საერთო დანიშნულებისაა. მაგალითად: ავტომანქანა, მოტოციკლეტი, ფოტოაპარატი, ვიდეომაგნიტოფონი და ა.შ. ზოგ შემთხვევაში საერთო დანიშნულების აპარატურა გადამუშავდება დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. მაგალითად, ჩვეულებრივი ავტომანქანა გადაკეთდება და აღიჭურვება კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებებით და იგი უკვე გამოიყენება სპეციალური დანიშნულებით (შემთხვევის ადგილის დათვალიერებისთვის და მისი ფიქსირებისათვის, კვალთა ამოღებისათვის და ა.შ.). ბოლოს კრიმინალისტიკური ტექნიკა შეიმუშავენ და ნერგავს ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც გამოიყენებიან მხოლოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მაგალითად, ალუმინის, ბრინჯაოს, გრაფიტის ფხვნილები თითის ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლად, დაქტილოფირი

გამომქლავებული თითის ანაბეჭდის გადასატანად და ა.შ.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების შემუშავებას ყოველთვის წინ უსწრებს სხვა დარგის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესწავლა, საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკის განზოგადება. კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების შემუშავება საშუალებას გვაძლევს საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკაში გამოვიყენოთ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ფიზიკური, ქიმიური, ფოტოგრაფული, მათემატიკური და ა.შ.

კრიმინალისტიკური ტექნიკა როგორც კრიმინალისტიკის დამოუკიდებელი დარგი შეისწავლის შემდეგ საკითხებს: სასამართლო ფოტოგრაფია, ტრასოლოგია, სასამართლო ბალისტიკა, დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა, ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა, პიროვნების გაიგივება გარეგნობის ნიშანთა მიხედვით (სიტყვიერი პორტრეტი), სისხლისსამართლებრივი რეგისტრაცია (კრიმინალისტიკური აღრიცხვა).

§2 კრიმინალისტიკური ტექნიკის სამართლებრივი საფუძველი

ყოველი კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალება, ხერხი და მეთოდი მხოლოდ მაშინ გამოიყენება ოპერატიულ სამსახურში, საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში და საექსპერტო გამოკვლევის დროს, როდესაც იგი შეესაბამება და არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის სამართლის პრინციპებს და კერძოდ სისხლის სამართლის პროცესის ძირითად დებულებებს.

მთელი რიგი კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც წინად განიხილებოდა და გამოიყენებოდა მხოლოდ კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში, ამჟამად ასახულია საპროცესო კანონში. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 75-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ნივთიერი მტკიცებულებები უნდა იყოს ფოტოგრაფირებული. 96-ე მუხლი მიუთითებს საგამოძიებო მოქმედების ოქმში კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების პროცესუალურ გაფორმებაზე (ფოტოგრაფირება, კინოგადაღება, ხმის ჩაწერა, კვალის ტვიფრი, კვალის ანაბეჭდი). 163-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ამოცნობის დროს უნდა მოხდეს ამოსაცნობი პირებისა და საგნების ფოტოგრაფირება. 169-ე მუხლის საფუძველზე ჩხრეკისა და ამოღების დროს გამომძიებელს უფლება აქვს გახსნას დაკეტილი სადგომები და საცავეები. 179-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი დათვალიერების დროს აწარმოებს ობიექტების გაზომვას, ფოტოგრაფირებას, კინოგადაღებას, ადგენს გეგმებსა და სქემებს, ამზადებს კვალის ტვიფრსა და

ანაბეჭდს. 183-ე მუხლში ნათქვამია, რომ საჭიროების შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამომძიებელი აწარმოებს გაზომვას, ფოტოგრაფირებას, კინოგადაღებას, ადგენს გეგმებსა და სქემებს.

საპროცესო კანონმდებლობის განვითარებისა და სრულყოფის შედეგად ზოგიერთი ტექნიკური საშუალების გამოყენების შესაძლებლობა მოგვიანებით იყო შეტანილი საპროცესო კოდექსში. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსს 1966 წელს დაემატა 96-1 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მაგნიტოფონის გამოყენებას დაკითხვის დროს. 1990 წელს საპროცესო კანონში შეტანილი იყო დამატება, რომელიც ითვალისწინებს ტელეფონით და სხვა სალაპარაკო მოწყობილობათა მეშვეობით საუბრის ფიქსირებას მაგნიტოფონის ფირზე. ასეთივე ტექნიკური ხერხების გამოყენებას ითვალისწინებს კანონი სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელების დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური საშუალებების გამოყენება გამომძიებლის პროცესში ატარებს სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამომძიებელი, ოპერატიული მუშაკი წყვეტს გამოიყენოს თუ არა ტექნიკური საშუალება და რა სახის ტექნიკური საშუალება გამოიყენოს.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპული დებულებები. ყოველი ტექნიკური საშუალების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს და შეესაბამებოდეს საპროცესო კანონის შესაბამის ნორმებს და იყოს გამოყენებული საპროცესო კანონის მტკიცე და განუხრელი დაცვის საფუძველზე, ე.ი. კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების ერთ-ერთ პრინციპს მიეკუთვნება კანონიერება.

ყოველი ტექნიკური საშუალების დანერგვა და გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს მყარად დადგენილ მეცნიერულ დებულებებს, წინასწარ იყოს აპრობირებული და იყოს საიმედო. ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეცნიერული ხასიათი წარმოადგენს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პრინციპს.

შემდეგ პრინციპს მიეკუთვნება ის, რომ კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალების, ხერხის, მეთოდის გამოყენება, როგორც წესი, არ უნდა აზიანებდეს და ანადგურებდეს მტკიცებულებას.

კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალების გამოყენების პრინციპს მიეკუთვნება აგრეთვე ის, რომ მისი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკურ

ნორმებს: არ უნდა იყოს დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი პიროვნებისათვის და საშიში მისი ჯანმრთელობისათვის. ბოლოს, კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენება არ უნდა ლახავდეს პროცესის მონაწილის კანონით დადგენილ უფლებებსა და ინტერესებს.

მხოლოდ აღნიშნული პრინციპების დაცვის საფუძველზე უნდა იყოს საგამოძიებო, სასამართლო, საექსპერტო და ოპერატიულ პრაქტიკაში გამოყენებული კრიმინალისტიკურ-ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები.

§3 მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრებისა და ამოღების ძირითადი ტექნიკური საშუალებები

მტკიცებულებათა აღმოჩენას, დამაგრებასა და ამოღებას აწარმოებს მომკვლევო, გამომძიებელი, ოპერატიული მუშაკი და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ტექნიკური ხასიათის დახმარებას უწევენ სპეციალისტი და პროკურორ-კრიმინალისტი.

საგამოძიებო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებათა კომპლექტები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს საგამოძიებო ჩემოდანი, საგამოძიებო პორტფელი, ოპერატიული ჩანთა, სახელმწიფო ავტოინსპექტორის ჩემოდანი, ექსპერტის ჩემოდანი და მოძრავი სპეციალური ავტომობილები (კრიმინალისტიკური ლაბორატორია, პროკურორ-კრიმინალისტიკის ლაბორატორია და ა.შ.).

აღნიშნულ ტექნიკურ საშუალებათა კომპლექტები შემუშავებულია სხვადასხვა უწყებების მიერ (პროკურატურა, შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო უშიშროების სამსახური) და სხვადასხვა დროს, მაგრამ მათი შემადგენლობა ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს.

ტექნიკურ საშუალებათა კომპლექტები კრიმინალისტიკაში იყოფა ხუთ ძირითად განყოფილებად: ფოტოგრაფიული, გეგმებისა და სქემების შედგენის, კვალზე მუშაობის, საძებნი ხელსაწყოები და ნივთმტკიცებულებათა დათვალიერებისა და ამოღების დროს საჭირო დამხმარე ინსტრუმენტები.

1. ფოტოგრაფიული ტექნიკური საშუალებები. ამ საშუალებებიდან საგამოძიებო კომპლექტში (ჩემოდანი, პორტფელი და ა.შ.) არის ფოტოაპარატი "ზენიტი"; აპარატის უნივერსალური სადგამი; ობიექტივის რგოლები; შუქფილტრები; ასანთები ნათურა; ექსპონომეტრი იმ დროის მონაკვეთის განსაზღვრისათვის, რაც საჭიროა ხარისხიანი ფოტოგრაფირებისათვის;

ფოტოკასეტი ფირისათვის; ფოტოფირი; მასშტაბური სახაზავი მასშტაბური ფოტოგადაღებისათვის.

ფოტოგრაფიის გარდა კრიმინალისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება გოლოგრაფია, რომელიც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ზუსტად ასახოს გადაღებული ობიექტი და მის რელიეფი.

2. გეგმებისა და სქემების შესადგენი საშუალებები. ამ სახის საშუალებებს შეადგენენ: სახაზავი, მეტრი, ტრანსპორტირი, კომპასი, პლანშეტი, შტანგენცირკული, ფარგალი, ქალაღი, მასშტაბური ქალაღი, ფანქარი, საწერკალამი, საშლელი, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ოქმების ნიმუშები.

3. კვალთა აღმოჩენის, დამაგრებისა და ამოღების საშუალებები. კვალთა აღმოჩენის საშუალებებიდან აღსანიშნავია გამადიდებელი მინა (ლუპა); ნათურა; ულტრაიისფერი ნათურა, რომელიც გამოიყენება კვალთა აღმოჩენისათვის სხვადასხვა სახის ზედაპირზე (მიწა, იატაკი, კედელი და ა.შ.); ელექტრო-ოპტიკური გარდამქმნელი ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებისათვის, რომლის დანიშნულებაც ლაქების (სისხლი, სპერმა, ჭვარტლი, დენთი) გამოვლინება ობიექტებზე. გამოყენების ტექნიკა შემდეგია: საუკვო ობიექტებს მოათავსებენ ელექტრო-ოპტიკური გარდამქმნელის მაგიდაზე, რომელსაც დაანათებენ ულტრაიისფერ ან ინფრაწითელ სხივებს, რის შედეგადაც ლაქები იცვლის ფერს, ნათდება (ლუმინისცენცია) და გამოეყოფა ობიექტის ზედაპირს.

კვალთა აღმოჩენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს განათების ხერხის გამოყენებას. ზედაპირის თანაბარი განათების გარდა გამოიყენება დახრილი განათება უხილავ ან ცუდად ხილვად კვალთა გამომჟღავნების მიზნით, გამჭოლ შუქზე განათება – დოკუმენტებისა და ფასიანი ქალაღების გაყალბების ნიშნების დადგენისათვის, გარკვეული ზედაპირის წერტილოვანი განათება კვალთა და, განსაკუთრებით, მიკროკვალთა აღმოჩენისათვის. კვალთა დამაგრებისა და ფიქსირებისათვის გამოიყენება ფხვნილები, რომლებიც სხვადასხვა ფერისაა (შავი ან თეთრი): გრაფიტის, ალუმინის, ბრინჯაოს და სხვა. თუ აღმოჩენილი თითის კვალი არის შავ ზედაპირზე, მისი ფიქსირებისათვის გამოიყენება თეთრი ფხვნილი და პირიქით. ამავე მიზნით გამოიყენება ლითონის ფხვნილი. ამ შემთხვევაში კვალის ლითონის ფხვნილით დაფარვა ხდება ლითონის მაგნიტური ფუნჯის გამოყენებით. სხვა დროს კი გამოიყენება ჩვეულებრივი ფუნჯი, რომელიც მოთავსებულია საგამოძიებო კომპლექტში. კვალთა გამომჟღავნებისა და დამაგრების მიზნით გამოიყენება იოდის კრისტალები, რომელთაც მოათავსებენ კოლბაში და გათბობის შედეგად პულვერიზატორის მეშვეობით იოდის ორთქლით

დაფარავენ თითის კვალის ზედაპირს.

გამომჟღავნებულ კვალთა ფიქსირებისა და ამოღებისათვის გამოიყენება საგამოძიებო კომპლექტში არსებული პოლიმერული მალამოები K, Y-1, Y-4 და კატალიზატორი აღნიშნული მალამოს სწრაფად შედედების მიზნით.

კვალისაგან ტვიფრის დამზადების მიზნით საგამოძიებო კომპლექტში მოთავსებულია პარაფინი, თაბაშირი, ჯამი თაბაშირის ფხვნილის გასახსნელად, თაბაშირის ხსნარის მოსარევი. გამომჟღავნებული თითის ანაბეჭდების გადატანისათვის გამოიყენება შავი და უფერული (მოთეთრო) დაქტილოფირები. შავი დაქტილოფირი გამოიყენება მოთეთრო საგანზე არსებული თითის ანაბეჭდების დაქტილოფირზე გადატანისათვის და მოთეთრო კი პირიქით.



საგამოძიებო კომპლექტის კვალთა განყოფილებაში არის აგრეთვე შავი სტამბური საღებავი; ფირფიტა, რომელზედაც მოთავსდება სტამბური საღებავი და ლილვაკი საღებავის ფირფიტის ზედაპირზე თანაბრად განთხევისათვის და დაქტილობარათი. ყოველივე ეს გამოიყენება პიროვნებისაგან და გვამიდან თითის ანაბეჭდის მიღებისათვის.¹

4. საძებნი საშუალებები. საგამოძიებო კომპლექტში მოთავსებულია საძებნი ხელსაწყოების გარკვეული ნაწილი. სხვა შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ ცალკე დამოუკიდებელ საძებნი საშუალებებს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მაგნიტი (მაგნიტძებნი), რომლის დანიშნულებაა ის, რომ აღმოაჩინოს გადამალული ან წყალში გადაგდებული სხვადასხვა სახის შავი და ფერადი ლითონები, მათ შორის ცეცხლსასროლი და ცივი იარაღები. ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე ლითონძებნი ხელსაწყო, რომელიც საგანგებოდაა შემუშავებული კრიმინალისტიკური მიზნებისათვის ან გამოიყენება სამხედრო ხელსაწყო მინძებნი. საძებნი საშუალებას მიეკუთვნება აგრეთვე გვამძებნი, რომლის დანიშნულებაა აღმოაჩინოს გადამალული და დამარხული გვამი ან გვამის ცალკეული ნაწილები. გვამი გახრწნის შედეგად ყოველთვის გამოყოფს გაზებს, რომელიც შედის რეაქციაში გვამძებნის ხელსაწყოსთან. გვამძებნი ან ლითონძებნი მოსაძებნი საგნის დადგენის შემთხვევაში იძლევა ხმოვან სიგნალს ან ნათდება ნათურა. ოპერატიული მიზნებისათვის ან საექსპერტო გამოკვლევისათვის თანამედროვე პირობებში გამოიყენება აგრეთვე შემთხვევის ადგილიდან ჰაერის ამოტუმბვა იმ მიზნით, რომ შენარჩუნებალი და დაკონსერვებული იქნას ჰაერთან ერთად სუნი. მეცნიერება, რომელიც სუნის მეშვეობით ადგენს პიროვნებას წოდებულია ოდოროლოგიად.

¹ უფრო დანვირბებით კვალთა აღმოჩენის, დამაგრებისა და ამოღების შესახებ იხ. X თავი „ტრასოლოგია“.

5. სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები. საგამოძიებო კომპლექტში (ჩემოდანი, პორტფელი) არის მთელი რიგი ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც ასრულებენ დამხმარე ხელსაწყოების როლს და გამოიყენება მტკიცებულებათა აღმოჩენისათვის, ფიქსირებისა და ამოღებისათვის. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს დანა, მაკრატელი, სახრახნი, პრტყელტუჩა, რეზინის ხელთათმანები, ხერხი, ნათურა და სხვა.

ყველა ტექნიკური საშუალების აღწერა, რომელიც მოთავსებულია სხვადასხვა სახის საგამოძიებო კომპლექტში შეუძლებელია მათი სიმრავლის გამო, ამიტომ მივუთითეთ მხოლოდ ძირითად მათგანზე. საგამოძიებო ტექნიკური კომპლექტები დროთა განმავლობაში იცვლება, ემატება ახალი ხელსაწყოები.



1 საგამოძიებო ჩემოდნის საერთო ხედი

2. საგამოძიებო ჩემოდანი გახსნილ მდგომარეობაში

მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორია არის ავტომობილის РАФ-ის ან УАЗ-ის ბაზაზე შექმნილი ტექნიკურ საშუალებათა კომპლექტი, რომელიც გამოიყენება საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელების დროს. მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორიის მანქანა შემუშავებულია პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული კრიმინალისტიკური სამეცნიერო ლაბორატორიების მიერ. იგი გამოიყენება აგრეთვე საექსპერტო დაწესებულებების მიერაც. მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორიის დადებითი მხარე ის არის, რომ იგი წარმოადგენს გადააბგილების საშუალებას, მასში მოთავსებულია გაცილებით უფრო მეტი ტექნიკურ-სამეცნიერო საშუალებები, რაც საჭიროა საგამოძიებო და ოპერატიულ მოქმედებათა ჩასატარებლად. მაგალითად, არის ცალკე ფოტოსალონი, სადაც შეიძლება გადაღებული ფოტოსურათების გამომქლაფნება და დაბეჭდვა, არის მაგნიტოფონი, რომელიც საშუალებას იძლევა ჩავატაროთ ჩვენებათა ფიქსირება. მანქანაშივე წარმოებს ამოღებულ ნივთიერ მტკიცებულებათა შეფუთვა, პირებისაგან ახსნა-განმარტების მიღება და სხვა.

მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორია შედგება შვიდი განყოფილებისაგან: სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის; ფოტოგრაფიული; მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრებისა და ამოღების; ხაძარსაწინააღმდეგო; საინსტრუმენტო; დამხმარე ტექნიკური საშუალებების; სპეციალური ტანსაცმლისა და სანიტარული.²

თანამედროვე პირობებში გავრცელებულ ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება კინოგადაღება, მაგნიტოფონი, დიქტოფონი და ვიდეოაპარატურა, რომლებიც გამოიყენება ძირითადად ისეთი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ ღონისძიებათა ჩატარების დროს, როგორებიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, დაკითხვა, დაპირისპირება და მეთვალყურეობა.

დაკითხვის დროს მაგნიტოფონის გამოყენებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს იზოლირებულ ოთახში დაკითხვის წარმოება. დასაკითხავ პირს უნდა განეცხადოს, რომ ჩვენება ფიქსირებული იქნება მაგნიტოფონის ფირზე, ჩვენების ფიქსირება ხდება თავიდან ბოლომდე, დაკითხვის შემდეგ დაკითხულმა პირმა უნდა მოისმინოს ფონოგრამა და დაადასტუროს მისი ჩვენების სრული და ობიექტური ფიქსირების ფაქტი.

დაკითხვის დროს სასურველია, რომ მაგნიტოფონი არ იყოს მოთავსებული თვალსაჩინო ადგილას (მაგიდაზე) და გამოყენებული იყოს ორი მიკროფონი გამომძიებლისათვის და დასაკითხი პირისათვის. იმისათვის, რომ არ მოხდეს ფიქსირებული ხმების არევა ყოველი პირი, ვინც საუბრობს, აძლევს შეკითხვას ან პასუხობს შეკითხვაზე ასახელებს თავის პროცესუალურ მდგომარეობას და შემდგომ იძლევა შეკითხვებს და პასუხებს.

მაგნიტოფონის გამოყენება არც ერთ შემთხვევაში საპოცესო კანონმდებლობით არ არის სავალდებულო, მისი გამოყენება არის ტაქტიკური საკითხი და მას განსაზღვრავს გამომძიებელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი ინიციატივით, ან თვით დასაკითხი პირის შუამდგომლობის საფუძველზე. პრაქტიკამ გამოიჩინა ისეთი შემთხვევები, როდესაც სასურველია მაგნიტოფონის ფირზე ჩვენებათა ფიქსირება. ამ შემთხვევებს მიეკუთვნება: არასრულწლოვანის დაკითხვა, ფსიქიკური და ფიზიკური ნაკლის მქონე პირის დაკითხვა, დაკითხვა თარჯიმნის მონაწილეობით, დაკითხვა ცალკეული დავალების შესრულების დროს, ავადმყოფის დაკითხვა ან იმ პირის დაკითხვა, რომელიც ხანგრძლივი დროით მიემგზავრება საზღვარგარეთ ან შორეულ ადგილას. სასურველია

² Криминалистика, М., 1988, с. 112-113.

მაგნიტოფონის ფირზე ფიქსირებული იყოს იმ პირთა ჩვენებები, რომელთაც აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა საქმისათვის.

მაგნიტოფონისაგან განსხვავებით ვიდეოაპარატურის გამოყენებას ის უპირატესი მნიშვნელობა აქვს, რომ ერთდროულად ხდება ხმისა და გამოსახულების ფიქსირება, შეიძლება კადრის შეჩერება და დაკვირვება, იძლევა კარგ გამოსახულებას, მიუხედავად გადაღების პირობებისა (შედარებით ცუდი განათება, ღრუბლიანი დღე და ა.შ.). ვიდეოაპარატურის გამოყენების დროს უნდა იყოს დაცული ის პროცესუალური წესი (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96-1 მუხლი), რაც დადგენილია მაგნიტოფონის გამოყენებისათვის.

დაკითხვების დროს გამოიყენება აგრეთვე ისეთი ტექნიკური საშუალება, როგორცაა დიქტოფონი. რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ჩვენების ფიქსირება, ხმის რეპროდუქცია და ჩვენების დაბეჭდვა საბეჭდ მანქანაზე. დიქტოფონის დადებითი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ახდენს ხმის ნელ რეპროდუქციას და ჩაწერილი ხმის გამეორებას.


§4 კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ტექნიკური საშუალებები

კრიმინალისტიკური გამოკვლევის პროცესში გამოიყენება როგორც ელემენტარული ტექნიკური საშუალებები (სანტიმეტრი, ფარგალი, ჩაქური და ა.შ.), ისე რთული ხელსაწყოები.


გამადიდებელი ტექნიკური საშუალებებიდან შედარებით ხშირად გამოიყენება გამადიდებელი მინა (ლუპა), როგორც საერთო დანიშნულების, ისე დაქტოლოსკოპიური, ბინოკულარული, ქსოვილების ლუპა. ეს ხელსაწყო საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ გამოსაკვლევ ობიექტს გადიდებული სახით (2-ჯერ – 10-ჯერ).

კრიმინალისტიკური ობიექტების შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა სახის მიკროსკოპები და მათ შორის სპეციალური დანიშნულების: შესადარებელი მიკროსკოპი (МС-51, МИС-10), რომელიც საშუალებას გვაძლევს, მაგალითად, შევადაროთ გამოსაკვლევი ტყვია შესადარებელ ტყვიას, მათი მიკრორელიეფის შესწავლისა და კერძო ნიშნების დადგენის მიზნით; ბინოკულარული მიკროსკოპი (МБС-1, МБС-2); სტერეოსკოპული მიკროსკოპი (МБС). ამ მიკროსკოპების მეშვეობით შეიძლება შევისწავლოთ მიკროკვალი და მიკროობიექტები ორივე თვალით (ბინოკულარული მიკროსკოპი), ან მივიღოთ სტერეოსკოპული გამოსახულება.


კრიმინალისტიკური გამოკვლევს დროს გამოიყენება აგრეთვე მეტალოგრაფიული მიკროსკოპი (МММ-6, МММ-7), რომელიც საშუალებას იძლევა შევისწავლოთ გამოსაკვლევი ობიექტის სტრუქტურა (ლითონის, გრაფიტის, ქაღალდის ზედაპირის და ა.შ.). გამოიყენება აგრეთვე ელექტრომიკროსკოპი მიკროკვალთა (ბოჭკოების, შტრიხების, თმის) შესწავლისათვის. ზოგიერთი სახის მიკროსკოპი, მაგალითად, შესადარებელი მიკროსკოპი გამოიყენება არა მარტო გამოსაკვლევი ობიექტის ვიზუალური დაკვირვებისათვის, არამედ ფოტოგადაღებისათვის (მიკროფოტოგრაფია).




3. მიკროსკოპი



4. სტერეოსკოპული მიკროსკოპი



5. შესადარებელი მიკროსკოპი



6. მიკროსკოპზე მონაესებული ფოტოაპარატი მიკროგადაღებისათვის

ექსპერტ-კრიმინალისტის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად გამოკვლევის პროცესში გამოიყენება უხილავი სხივები (ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენის სხივები).

ულტრაიისფერი სხივები წარმოადგენს უხილავ სხივებს, რომელთაც ერთი მხრივ ესაზღვრება რენტგენის სხივები (ასევე უხილავი), ხოლო მეორე მხრივ იისფერი ხილვადი სხივები.

ულტრაიისფერი სხივები გამოიყენება ლაბორატორიულ პირობებში იმ მიზნით, რომ შესწავლილი იყოს გამოსაკვლევო ობიექტი ამ სხივებში და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მისი ფოტოგადაღება ულტრაიისფერ სხივებში. გამოსაკვლევო ობიექტის შესწავლა ხდება პორტატული ულტრაიისფერი ნათურის გამოყენებით ან ელექტრონულ-ოპტიკური გარდამქმნელი ხელსაწყოთა გამოყენებით. ულტრაიისფერი სხივების დანათებით ადვილად გამოვლინდება ცუდადხილვადი ან უხილავი ლაქები ტანისამოსზე (ზეთის, სპერმის, წებოვანი ნივთიერების და ა.შ.), ცუდადხილვადი და გაუფერებელი ტექსტი სხვადასხვა დოკუმენტზე.

ულტრაიისფერი სხივების დანათების შედეგად გამოსაკვლევ ობიექტზე არსებული ლაქები იწყებს ნათებას (ლუმინესცენცია), ამის გამო ის გამოეყოფა გამოსაკვლევ ზედაპირს და ხდება ხილვადი. საჭიროების შემთხვევაში ხდება გამოსაკვლევო ზედაპირის გადაღება ულტრაიისფერ სხივებში. ამისათვის გამოიყენება ჩვეულებრივი ფოტოაპარატი. გადასაღები ობიექტი უნდა განათდეს ისეთი სხივებით, რომლებიც უხვად შეიცავენ ულტრაიისფერ სხივებს, კეროდ, ვერცხლისწყლოვანი-კვარცხული ნათურით. ფოტოაპარატის ობიექტივს უნდა გაუკეთდეს იისფერი შუქფილტრი და ასეთ პირობებში ხდება გადაღება.

ინფრაწითელი სხივები წარმოადგენს უხილავ სხივებს, რომელიც ერთი მხრივ ესაზღვრება ხილვად წითელ სხივებს, ხოლო მეორე მხრივ უხილავ რადიო ტალღებს.

ინფრაწითელი სხივები გამოიყენება კრიმინალისტიკური ობიექტების გამოკვლევისა და მათი ფოტოგრაფირების მიზნით. ამ სხივების თვისებას ის წარმოადგენს, რომ სხვადასხვაგვარად შთაინთქმება და აირეკლება გამოსაკვლევო ზედაპირიდან. მაგალითად, ინფრაწითელ სხივებს შთაინთქავს (არ ატარებს) სტამბური საღებავი, ტუში, მური, გრაფიტი. ამ სხივებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს და გაჭოლავს ისეთ საგნებს, როგორებიცაა: ქაღალდი, მუყაო, იისფერი მელნის შტრიხები.

ინფრაწითელი სხივების ნათურის ან ელექტრო-ოპტიკური გარდამქმნელის აპარატის გამოყენებით ხდება გამოსაკვლევო ობიექტის ინფრაწითელ სხივებში შესწავლა, რომელიც წარმოქმნის ლუმინესცენციას (ნათებას) და საშუალებას გვაძლევს გამოსაკვლევო ზედაპირიდან გამოვყოთ სხვადასხვა სახის ლაქები,

ჭვარტლი, დენტის ნაწილაკები და ა.შ. ინფრაწითელი სხივები გამოიყენება აგრეთვე დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის დროს ამოშლის ნიშნების, დაფარული ტექსტის გამომჟღავნების მიზნით. მაგალითად, თუ გამოსაკვლევი ტექსტი შესრულებულია შავი მელნით ან ტუშით და შემდგომში მას გადასხმული აქვს სხვა ფერის მელანი ან საღებავი, ტექსტის დადგენა და წაკითხვა ადვილად შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტს გადავიღებთ ინფრაწითელ სხივებში. ინფრაწითელი სხივები შთანთქავს შავ მელანს და სხვა საღებავს კი გააუფერულებს.

ინფრაწითელ სხივებში ფოტოგრაფიული გადაღებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები. ფოტოაპარატის ობიექტივს უნდა გაუკეთდეს წითელი შუქფილტრი და შერჩეული იყოს ისეთი ნეგატიური მასალა, რომელიც მგრძობიარეა წითელი სხივების მიმართ "ინფრაქრომი".

რენტგენის სხივები წარმოადგენს უხილავ სხივებს, რომელთაც ერთი მხრივ ესაზღვრება ულტრაიისფერი სხივები, ხოლო მეორე მხრივ გამა-სხივები. რენტგენის სხივების ძირითად თვისებას წარმოადგენს მისი გამჭოლუნარიანობა. ამ სხივებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს ადამიანს ან ცხოველის სხეული, ქალაღი ან მუყაო, ხეჩანთა ან ჩემოდანი და ა.შ. ცალკეულ შემთხვევაში მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს ლითონის თხელი ფირფიტაც.

კრიმინალისტიკური ობიექტების გამოკვლევის დროს, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისათვის გამოიყენება რენტგენის სხივების აღნიშნული თვისებები იმის დასადგენად, ხომ არ არის გადამალული ძვირფასი ფერადი ლითონები ან იარაღი მგზავრის ბარგში, ადამიანის ტანისამოსში ან სხეულში, ხომ არ არის ლუქის მთლიანობა დარღვეული და ა.შ. რენტგენის სხივებზე უფრო მეტი გამჭოლუნარიანობა აქვს გამა-სხივებს და იგი გამოიყენება გამოსაკვლევი ობიექტების შინაგანი სტრუქტურის შესასწავლად. კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა დროს გამოიყენება აგრეთვე ბეტა-სხივები, რომლებიც აგრეთვე ხასიათდება დიდი გამჭოლუნარიანობით. ბეტა-სხივები გამოიყენება გამოსაკვლევი ობიექტის (ქალაღის, მუყაოს, ქსოვილების) შინაგანი და გარეგანი სტრუქტურის შესწავლის მიზნით.

რენტგენის სხივების მეშვეობით ხდება გამოსაკვლევი ობიექტის უშუალო შესწავლა და დაკვირვება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რენტგენის სხივებში გადაღება, რაც გვაძლევს ჩრდილოვან გამოსახულებას.

სპექტრალური ანალიზი როგორც გამოკვლევის ფიზიკური მეთოდი გამოიყენება კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა დროს ნივთიერების, საღებავის,

ლითონების, ლითონის ფხვნილის, საფანტის, დენტის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრისათვის. სპეციალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს სპექტრის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ გამოსაკვლევი ობიექტის არა მარტო ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი შემადგენლობა.

კრიმინალისტიკური გამოკვლევის დროს ძირითადად გამოიყენება ემისიური სპექტრალური ანალიზი, რომელსაც საფუძველად უდევს ის პრინციპი, რომ სხვადასხვა ობიექტი გამოყოფს სხვადასხვა სახის სინათლის ენერგიის სპექტრს, ან აბსორბციული სპექტრალური ანალიზი, რომელსაც საფუძველად უდევს ის პრინციპი, რომ სხვადასხვა სახის ობიექტი სხვადასხვანაირად შთანთქავს სინათლის ენერგიის სპექტრს.

ემისიური სპექტრალური ანალიზისათვის სპეციალურ ხელსაწყოში – სპექტროსკოპში მოათავსებენ გამოსაკვლევ ობიექტს ან მის ნაწილს, რომელიც დიდი ტემპერატურის ზეგავლენით გადადის გაზისმაგვარ (ორთქლისებურ) მდგომარეობაში და იწყებს შუქფრქვევას (ნათებას). პრიზმაში მოხვედრილი სინათლე იშლება სპექტრად (წარმოიქმნება სხვადასხვა ინტენსივობის ხაზები). ამ სპექტრის ახსნის მიზნით გამოიყენება საცნობარო მასალა, რომლის მიხედვითაც ადგენენ გამოსაკვლევი ობიექტის შემადგენლობას.

აბსორბციული ანალიზის დროს გამოსაკვლევი ობიექტი ან მისი ნაწილი სპექტრომეტრის მეშვეობით დასხივდება. გამოსაკვლევი ობიექტი სხივებს სხვადასხვა ზომით შთანთქავს. სხივები, რომელიც მოხვდება სპექტრომეტრის საანალიზო განყოფილებაში, წარმოშობს სხვადასხვა სპექტრს. შემდგომში საცნობარო მასალის გამოყენებით ხდება სპექტრის ახსნა და გამოსაკვლევი ობიექტის შემადგენლობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა. აბსორბციული ანალიზის მეთოდის გამოყენებით, როგორც წესი, დგინდება სითხეების, ლაქსაღებავების, ნავთპროდუქტების, ზეთების, შხამქიმიკატებისა და სხვა ნივთიერებათა შემადგენლობა.

დოკუმენტის ტექნიკური გამოკვლევის დროს გამოიყენება ეგრეთწოდებული კონტაქტურ-დიფუზიური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვამუღავნოთ ქიმიური ამოშლის შედეგად უხილავი ან ცუდადხილვადი შტრიხები ან სხვა სითხით დაფარული ტექსტი. ამ მეთოდის არსი იმაში გამოიხატება, რომ ფოტოქალაღდს, ფოტოფირს ან ფოტოფირფიტას ასველებენ გამოსხილ წყალში (წითელი შუქით განათებულ ოთახში), რის შემდეგ ემულსიის მხრიდან დაადებენ გამოსაკვლევ დოკუმენტს. ფოტოქალაღდის ემულსია შედის რეაქციაში გამოსაკვლევი დოკუმენტის ზედაპირზე არსებულ

საღებავთან (მელნის შტრიხები). ფოტოქალაღდის გამომჟღავნების, ფიქსირებისა და გარეცხვის შემდეგ მის ზედაპირზე შესაძლებელია ნათლად გამოისახოს ცუდადხილვადი შტრიხები და ასოები.

ნიუმტკიცებაზე ლითონის შეხებისა და მისი კვალის დადგენის მიზნით კრიმინალისტიკაში გამოიყენება ეგრეთწოდებული ელექტროგრაფიული მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენების ტექნიკა იმაში გამოიხატება, რომ ნიუმტკიცებას ასველებენ სპეციალურ ელექტროდენგამტარ სითხეში და გამოსაკვლევ ზედაპირზე აფარებენ სპეციალური რეაქტივით დამუშავებულ ქალაღდს. გამოსაკვლევ ზედაპირს და ქალაღდს მოათავსებენ ალუმინის ფირფიტებს შორის, დაწნებავენ მას და შეუერთებენ მცირე ძაბვის დენს. ქალაღდის გარკვეული რეაქტივებით დამუშავების შემდეგ მასზე დგინდება ლითონის კვალი და შეიძლება განისაზღვროს კიდევ ლითონის სახეც.

დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის ქიმიური რეაქტივები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ მელნის, საღებავის და სხვა ნმეთიერებათა ქიმიური შემადგენლობა. გამოსაკვლევ ნივთიერებათა შემადგენლობის ანალიზისათვის კრიმინალისტიკაში გამოიყენება ქრომატოგრაფიული მეთოდი. ამ მეთოდს შედარებით ხშირად იყენებენ ნავთობპროდუქტების, ლაქსაღებავების შემადგენლობის დადგენისათვის.

კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა დროს აღნიშნული და სხვა მეთოდების გამოყენების დეტალური აღწერა სცილდება სახელმძღვანელოს ფარგლებს.

§5. სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პროცესუალური გაფორმება

სათანადო პროცესუალურ გაფორმებას საჭიროებს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესში, აგრეთვე საექსპერტო გამოკვლევის შედეგად.

საპროცესო კანონით პირდაპირ რეგლამენტირებული არ არის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების დროს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პროცესუალური საკითხი, მაგრამ ამ დროს უნდა გამოვიყენოთ ის წესები, რასაც კანონი ადგენს საგამოძიებო მოქმედებათა განხორციელების დროს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პროცესუალური გაფორმებისათვის (იხ. საქართველოს რესპუბლიკის

სსს კოდექსის 96 და 96-1 მუხლები).

თუ, მაგალითად, ოპერატიული მიზნებისათვის გამოყენებული იყო მაგნიტოფონის ფირზე ხმის ჩაწერა, ამ ოპერატიული მოქმედების ჩატარების შედეგად უნდა შედგეს ოქმი, სადაც აღინიშნება: როდის იყო გამოყენებული მაგნიტოფონი, ვის მიერ იყო იგი გამოყენებული, სად იყო და რა პირობებში იყო იგი გამოყენებული, როდის დაიწყო და დამთავრდა ხმის ჩაწერა, კონკრეტულად ვინ აწარმოებდა ხმის ჩაწერას, როგორი იყო მაგნიტოფონის ტექნიკური მონაცემები. ოპერატიული ღონისძიების განხორციელების შემდეგ უნდა იყოს მოსმენილი ფონოგრამა და მისი ძირითადი შინაარსი გადატანილი იყოს წერილობით ოქმში. ოქმს ხელს აწერს ყველა ის პირი, ვინც მონაწილეობდა ოპერატიული ღონისძიების განხორციელებაში. თვით ფონოგრამა უნდა მოთავსდეს ყუთში და დაერთოს ოქმს. ყუთს უნდა გაუკეთდეს წარწერა, თუ სად, როდის და ვის მიერ იყო გამოყენებული ხმის ჩაწერა, რაც უნდა იყოს დადასტურებული ოპერატიული ჯგუფის წევრთა ხელმოწერით.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო ხშირად გვხვდება ვიდეოაპარატურის, მაგნიტოფონისა და კინოგადაღების შემთხვევები ოპერატიული მიზნებისათვის, ამიტომ ამ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პრცესუალური გაფორმების საკითხებს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.³

საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ საგამოძიებო მოქმედების ოქმში (მუხლი 96-ე) უნდა მიეთითოს: ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების თარიღი; ადგილი; მისი დაწყებისა და დამთავრების დრო; ვინ გამოიყენა იგი გამომძიებელმა თუ სპეციალისტმა (მათი გვარისა და თანამდებობის მითითებით); კონკრეტული ტექნიკური საშუალების დასახელება; მისი გამოყენების წესი და პირობები; იმ ობიექტების დასახელება, რომელთა მიმართ იყო გამოყენებული ტექნიკური საშუალება; მიღებული შედეგები და ცნობა, რომ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირები.

მაგალითად, თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ადგილი ჰქონდა ფოტოგადაღებას, ზემოდ აღნიშნული მონაცემების გარდა ოქმში უნდა მიეთითოს ფოტოაპარატის ტექნიკური დახასიათება, ფირის მგრძნობიარობა, ექსპოზიციის შესახებ, რა ადგილიდან წარმოებდა გადაღება, რა იყო და

³ Гошмаренко В.И., Научно-технические средства в следственной практике. Киев, 1984, с. 52-53.

რამდენჯერ იყო გადაღებული, განათება იყო ხელოვნური თუ ბუნებრივი. რა სახის გადაღებას ჰქონდა ადგილი (საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო, დეტალური და ა.შ.).

საგამოძიებო მოქმედების ოქმს ყველა შემთხვევაში უნდა დაერთოს ფოტოგრაფიული ნეგატივები და სურათები, კინოფირი, დიაპოზიტივები, ფონოგრამები, გეგმები, სქემები, კვალის ტვიფრები და ანაბეჭდები. ყოველივე ის რაც ერთვის საგამოძიებო მოქმედების ოქმს უნდა იყოს აღწერილი ამ პროცესუალურ დოკუმენტში, ხოლო ფოტოსურათებს უკეთდება განმარტებითი წარწერები. ყოველ ამოღებულ ტვიფრს, ანაბეჭდს, ფონოგრამას და ა.შ. უნდა გაუკეთდეს წარწერა, სად და როდის იყო იგი დამზადებული. ამ ცნობას ხელს აწერენ გამომძიებელი, დამსწრეები, რაც დასტურდება გამომძიებლის მიერ ბეჭდის დასმით. წარწერა კეთდება მკვირვ ქალაქდზე ან მუყაოზე, რაც უნდა მივამაგროთ ტვიფრს, ანაბეჭდს ან იგი კეთდება იმ კოლოფის ზედაპირზე, სადაც ინახება ფონოგრამა, კინოფირი და ა.შ.

საგამოძიებო ოქმის დანართი შეადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს და მას ოქმთან ერთად აქვს მტკიცებულების წყაროს მნიშვნელობა (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის მუხლი 61-ე).

გარკვეულ პროცესუალურ გაფორმებას საჭიროებს აგრეთვე საექსპერტო გამოკვლევის პროცესში გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, მარტივი ხელსაწყოები და რთული აპარატურა. ყოველი ტექნიკური საშუალების გამოყენების შესახებ ექსპერტმა თავის დასკვნაში უნდა მიუთითოს: რა სახის ტექნიკური საშუალება იყო გამოყენებული; რომელი ობიექტის შესწავლის დროს და რა მიზნით იყო იგი გამოყენებული; რა კონკრეტული შედეგი იყო მიღებული. იმ შემთხვევაში, როდესაც ფოტოგრაფირებას ჰქონდა ადგილი, ექსპერტის დასკვნაში უნდა მიეთითოს: რა სახის აპარატი იყო გამოყენებული, რა პირობებში იყო იგი გამოყენებული (განათება, ნეგატიური მასალა, შუქფილტრი, ექსპოზიცია და ა.შ.), რა სახის ფოტოგადაღებას ჰქონდა ადგილი (საპროექციო, გამჭოლ შუქზე, დახრილ შუქზე, მიკროგადაღება და ა.შ.) და რა შედეგი იყო მიღებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ექსპერტის დასკვნის ილუსტრირება ფოტოტაბულაზე მოთავსებულ ყველა სურათს უნდა გაუკეთდეს განმარტებითი წარწერები, ისრებით ნაჩვენები უნდა იყოს ზოგად და კერძო ნიშანთა დამთხვევა ან სხვაობა. ყოველივე ეს უნდა დაუკავშირდეს ექსპერტის დაკვნას, ე.ი. ექსპერტის

დასკვნაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რა არის გამოხატული საილუსტრაციო ფოტოსურათზე; ზოგადი და კერძო ნიშნების რა დამთხვევებსა და სხვაობას აქვს ადგილი; მითითებული უნდა იყოს ფოტოილუსტრაციის ნომერი (მაგალითად, მასრის საერთო ხედის ფოტოსურათი მოთავსებულია ფოტოტაბულაზე, ფოტოტაბულას ხელს აწერს ექსპერტი, ხოლო საილუსტრაციო მასალას უკეთდება საექსპერტო დაწესებულების შტამპის ანაბეჭდი). ექსპერტის დასკვნა და მისი დანართი ერთობლივად განიხილება, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო.

IX თავი სასამართლო ფოტოგრაფია

§1 სასამართლო ფოტოგრაფიის არსი

ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის, საგამოძიებო, სასამართლო ორგანოებისა და საექსპერტო დაწესებულებების პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება ზოგადი ფოტოგრაფია ადგილმდებარეობის, კვალთა, ნივთიერ მტკიცებულებათა ფიქსირებისა და გამოკვლევის პროცესში. ზოგადი ფოტოგრაფიის, კინოგადაღებისა და ვიდეოაპარატურისათვის დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: გამოსახულების მიღების სისწრაფე; გამოსახულების სიზუსტე; ფერების გადმოცემის უნარი (ფერადი ფოტოგრაფია); გამოსახული ობიექტების ზომების განსაზღვრა (მასშტაბური გადაღება); მოძრაობისა და ხმის ასახვა. მიუხედავად აღნიშნულისა ზოგად ფოტოგრაფიას არ შეუძლია დააკმაყოფილოს კრიმინალისტიკური პრაქტიკის მოთხოვნები და ყოველთვის ასახოს ის, რაც ხელს უწყობს ჭეშმარიტების დადგენას.

აღნიშნული გარემოების გამო საჭირო გახდა კრიმინალისტიკური ტექნიკის ისეთი დარგის შემუშავება, რომელიც დააკმაყოფილებდა საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის მოთხოვნებს. ამ დარგის სახით ჩამოყალიბდა სასამართლო ფოტოგრაფია. იყენებს რა ზოგადი ფოტოგადაღების მიღწევებს სასამართლო ფოტოგრაფია შეიმუშავებს გადაღებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის სპეციალურ მეთოდებს: ამოსაცნობი სურათების დამზადება, გვამის ფოტოგრაფირება, კვალთა გადაღების თავისებურება, ნივთიერ მტკიცებულებათა და ექსპერტიზის ობიექტების უხილავ სხივებში გადაღება, ფერგაყოფისა და კონტრასტულობის შეცვლა, მაკრო და მიკრო გადაღება და ა.შ.

სასამართლო ფოტოგრაფიის გამოყენებას ადგილი აქვს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს, საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკაში, სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში გადაღებული მასალის ილუსტრაციის მიზნით და კრიმინალისტიკური გამოკვლევის დროს. სასამართლო ფოტოგრაფიის (მათ შორის კინო და ვიდეოგადაღების) სუბიექტებს მიეკუთვნება: ოპერატიული მუშაკი, გამომძიებელი, სპეციალისტი, სასამართლო და ექსპერტი.

არსებობს სასამართლო ფოტოგრაფიის ორი ძირითადი დარგი: სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფია და სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფია. პირველი მათგანი გამოიყენება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში, მეორე კი – ექსპერტიზის ჩატარების დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ფოტოგრაფიის ასეთ დაყოფას აქვს პირობითი ხასიათი, რადგან სასამართლო ოპერატიული ფოტოგრაფიის მეთოდები შეიძლება გამოიყენოს ექსპერტმა გამოკვლევის პროცესში და პირიქით. მაგალითად, უხილავ სხივებში გადაღება შეიძლება აწარმოოს ოპერატიულმა მუშაკმა და გამოძიებულმა.

სასამართლო ფოტოგრაფიის მეთოდები იყოფა ორ სახედ დამაფიქსირებელი და კვლევითი. დამაფიქსირებელი ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება ძირითადად წარმოებს ხილვადი სავსებისა და გარემოებათა ფიქსირების მიზნით. ამ სახეს მიეკუთვნება პანორამული, განზომილებითი, რეპროდუქციული, დედექტური, ამოსაცნობი, რეფლექსური გადაღება. კვლევითი ფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენება წარმოებს, ძირითადად, საექსპერტო გამოკვლევის პროცესში და მის სახეებს მიეკუთვნება მაკრო და მიკროგადაღება, ფერგაყოფითი და კონტრასტულობის შეცვლის მიზნით ფოტოგადაღება, უხილავ სხივებში გადაღება.

სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის გამოყენების ცალკეულ სახეებს მიეკუთვნება ოპერატიულ და საგამოძიებო მოქმედებათა დროს წარმოებული ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება. მაგალითად: შემთხვევის ადგილის გადაღება, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესის გადაღება, ჩხრეკისა და ამოღების შედეგების ფიქსირება, ამოცნობის, შემოწმების, დაპირისპირების, დოკუმენტების გადაღება, ამოსაცნობი ფოტოსურათების დამზადება, გვამის გადაღება და ა.შ. სასამართლო ოპერატიული ფოტოგრაფირების კერძო სახეებს მიეკუთვნება საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური გადაღება.

საგამოძიებო-საექსპერტო პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა გადასაღები აპარატები: მცირეფორმატიანი (16-35 მმ), საშუალოფორმატიანი (61-66 მმ), დიდფორმატიანი (9x12 სმ) ფოტოაპარატები, სტერეოგადაღებისათვის, მიკროგადაღებისათვის და სხვა სპეციალური აპარატები, მაგალითად, ტყვიის გარსის გადაღებისათვის. სასამართლო ფოტოგრაფიის გამოყ-

ენება გარდა სპეციალური ცოდნისა მოითხოვს აგრეთვე ზოგადი ფოტოგრაფიის გამოყენების, ნეგატიური და პოზიტიური პროცესების ცოდნასაც, მაგრამ ამ საკითხების შესწავლა სცილდება კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ფარგლებს და მას ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების დროს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ფოტოგრაფია არის კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგი, რომელიც შეიმუშავებს ზოგადი და სპეციალური ფოტოგრაფირების, კინო და ვიდეოგადაღების ხერხებს, საშუალებებსა და მეთოდებს: ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრების, გამოკვლევის, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებათა პროცესის ფიქსირების მიზნით დანაშაულის გახსნის, გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

§2 სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის სახეები

სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფია, როგორც წესი, გამოიყენება მომკვლევის, გამოძიებლის, ოპერატიული მუშაკის მიერ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების დროს. ამ სახით გადაღების ობიექტები ძალზე მრავალფეროვანია: შენობა, ადგილმდებარეობა, ადამიანი, ცხოველი, გვამი, საგნები, ნივთები, ფასეულობა, დოკუმენტები, კვალი, ანაბეჭდები, გეგმები, სქემები, ტექსტები და ა.შ.

სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის გავრცელებულ სახეებს მიეკუთვნება: რეპროდუქციული, რეფლექსური, დედექტური, განზომილებითი, ამოსაცნობი, პანორამული ფოტოგადაღება.

რეპროდუქციული ფოტოგადაღება წარმოადგენს სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის ყველაზე მარტივ სახეს. იგი გამოიყენება ისეთი საგნების გადასაღებად, რომლებიც ხასიათდებიან გლუვი (ბრტყელი) ზედაპირით, მათ შორის: გეგმების, სქემების, ნახატების, ტექსტების, დოკუმენტების, თითის ანაბეჭდების გადასაღებად. ამ სახის გადაღების შედეგად შეიძლება შევამციროთ, გავადიდოთ, ან თავისივე ზომებით გადავიღოთ საჭირო ობიექტები. რეპროდუქციული გადაღება შეიძლება მოხდეს როგორც პორტატული, ისე სტაციონალური ფოტოაპარატის მეშვეობით. გადაღების

პროცესში ფოტოაპარატი დამაგრებული უნდა იყოს სადგამზე (შტატივზე), რაც უზრუნველყოფს გადასაღები ობიექტის უძრავ მდგომარეობაში ფიქსირებას. რეპროდუქციული ფოტოგადაღება შეიძლება მოხდეს როგორც პორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ მდგომარეობაში. ძირითადი მოთხოვნა ამ შემთხვევაში იმაში გამოიხატება, რომ ფოტოაპარატი და გადასაღები ობიექტი ერთმანეთის მიმართ იყვნენ პარალელურ მდგომარეობაში და არა დახრილი კუთხით, ხოლო გადასაღები ობიექტის ზედაპირი უნდა იყოს განათებული (ბუნებრივი ან ხელოვნური წესით) თანაბრად. იმისათვის, რომ დოკუმენტები, ტექსტები, თითის ანაბეჭდები კარგად იყოს გამოსახული, ფოტოგადაღება და პოზიტივის დამზადება უნდა მოხდეს კონტრასტული ფოტომასალის გამოყენებით.

რეფლექსური გადაღება წარმოადგენს რეპროდუქციული ფოტოგადაღების ერთ-ერთ სახეს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი ხდება ფოტოაპარატის გამოყენების გარეშე. რეფლექსური გადაღება გამოიყენება დოკუმენტების, სქემების, გეგმების, ტექსტების პირის დამზადების მიზნით და ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც გადასაღები ობიექტი არის შავ-თეთრი გამოსახულების. ამ წესით დამზადებული ფოტოსურათი შედარებით უფრო ცუდი ხარისხისაა და ნაკლებად კონტრასტულია, ვიდრე რეპროდუქციული ფოტოგადაღების დროს.

რეფლექსური გადაღებისათვის საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი წესები: ა) გამოყენებული იყოს რეფლექსური ან დიდი კონტრასტულობის ფოტოქალაღი, ბ) გადაღება ხდება ნახევრად დაბნელებულ ოთახში, წითელი ან ყვითელი შუქის გამოყენებით, გ) გადასაღები დოკუმენტი უნდა მოვათასოთ მკვირვ და გლუვ ზედაპირზე, დ) გადასაღებ დოკუმენტზე რეფლექსური ფოტოქალაღი უნდა მოვათავსოთ ემულსიის მხრიდან და დავადოთ მასზე გამჭვირვალე მინა იმ მიზნით, რომ ფოტოქალაღი მკვირვად და თანაბრად შეეხოს გადასაღებ ობიექტს, ე) გადასაღები ობიექტი მინის მხრიდან თანაბრად უნდა განათდეს გარკვეული დროის მანძილზე, რის შედეგადაც რეფლექსურ ფოტოქალაღზე აღიბეჭდება ობიექტის ნეგატიური გამოსახულება, ვ) რეფლექსურ ქალაღზე არსებული ნეგატივიდან ჩვეულებრივი წესით მიიღება პოზიტიური გამოსახულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში რეფლექსურ გადაღებას ვხვდებით შედარებით იშვიათად.

უფრო ხშირად გამოიყენება გასამრავლებელი ტექნიკური საშუალებები (ქსეროქსი და ა.შ.).

დედექტიური ფოტოგადაღება ჩვეულებრივ წარმოებს ოპერატიულ-სამძებრო ლზონისძიებების განხორციელების დროს დანაშაულის შემთხვევისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა ფიქსირების მიზნით. ამ სახის ფოტოგადაღებისათვის დამახასიათებელია ის, რომ გადაღების პროცესი შეუმნეველი უნდა იყოს. ამ მიზნით გამოიყენება პორტატული ფოტოაპარატები შენიღბული ობიექტით.

განზომილებითი ფოტოგადაღება გამოიყენება იმ მიზნით, რომ დაუადგინოთ და განვსაზღვროთ გადაღებული ობიექტის ზომები (სიგრძე, სიგანე) და მათი მდგომარეობის სიღრმეც. ამ სახის გადაღებისათვის გამოიყენება როგორც პორტატული ფოტოაპარატი ("ზენიტი", "ФЭД", "კიევი"), ისე სტაციონალური. რაც უფრო დიდია აპარატის მთავარი საფოკუსო მანძილი, მით უფრო დიდი გამოსახულების მიღება შეიძლება და პირიქით. რაც უფრო მოცილებულია ფოტოაპარატი გადასაღები ობიექტიდან, მით უფრო მცირეა გადაღებული ობიექტის მასშტაბი. განზომილებითი ფოტოგადაღება ხდება როგორც ფოტოაპარატის სადგამზე დამაგრებით, ისე მისი ხელში დაკავებით.

კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში გამოიყენება განზომილებითი ფოტოგრაფიის ორი სახე: მასშტაბური და მეტრული. ძირითადი მათგანია მასშტაბური ფოტოგადაღება.

იმისათვის, რომ ვაწარმოოთ მასშტაბური ფოტოგადაღება, დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები: გადასაღები ობიექტს გვერდით (კვალი, დოკუმენტი, ანაბეჭდი) უნდა მოთავსდეს მასშტაბი (მილიმეტრებად ან სანტიმეტრებად დაყოფილი სახაზავი, რულეტკა, რბილი მეტრი). მასშტაბი უნდა მოთავსდეს გადასაღები ობიექტის გვერდით ისე, რომ არ დაფაროს იგი. მასშტაბი და გადასაღები ობიექტი უნდა იყოს ერთ დონეზე. ფოტოგადაღების შედეგად ფირზე გადასაღებ ობიექტთან ერთად უნდა აღიბეჭდოს მასშტაბიც. რამდენადაც წინასწარ ცნობილია მასშტაბის ზომები, ყველა შემთხვევაში ადვილი დასადგენია გადაღებული ობიექტის სიგრძისა და სიგანის ზომები. თუ ერთდროულად გადაღებული უნდა იყოს რამოდენიმე ობიექტი, თვითოეულის გვერდით თავსდება ცალკე მასშტაბი.

მეტრული ფოტოგადაღება პრაქტიკაში გამოიყენება ძალზე იშვიათად. ამ სახის ფოტოგადაღება გამოიხატება იმაში, რომ ფოტოაპარატის ობიექტივის ქვემოდ იატაკზე ან მიწაზე მოათავსებენ სიღრმის მასშტაბს (ლენტი ან მკვრივი ქალაღდი), რომელიც დაყოფილია ფოტოაპარატის მთავარი საფოკუსო მანძილის მიხედვით შავ და თეთრ დანაყოფებად (თვითოეული დანაყოფი უდრის ერთ მთავარ საოკუსო მანძილს). პორტატული ფოტოაპარატისათვის, როგორც წესი, მთავარი საფოკუსო მანძილი არის 5 სმ, ე.ი. ამ შემთხვევაში თვითოეული დანაყოფის სიგრძე უდრის 5 სმ. სიღრმის მასშტაბს ათავსებენ გადასაღები ობიექტის სიღრმეში ფოტოაპარატის ვერტიკალურად. გადაღება ხდება სიღრმის მასშტაბთან ერთად, რის შედეგადაც შეიძლება განისაზღვროს გადაღებული ობიექტების მდგომარეობის სიღრმის ზომებიც.¹

ამოსაცნობი (სიგნალეტიკური) ფოტოგადაღება. ამ სახის ფოტოგადაღება გამოიყენება სხვადასხვა მიზნით: პირის სისხლის სამართლის რეგისტრაციაში გატარების დროს, მისი დაძებნისათვის, ამოცნობისათვის, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად, გვამის ამოცნობისათვის, ასევე ცხოველთა და საგანთა (ფასეულობათა) ამოცნობისათვის.

ამოსაცნობი ფოტოსურათების მთავარი დანიშნულებაა ის, რომ ზუსტად და ობიექტურად ასახოს გადასაღები ობიექტის ის ნიშან-თვისებები, რომელთა მიხედვით შეიძლება ფოტოგრაფირებული პირის, გვამის, ცხოველის ამოცნობა.

ამოსაცნობი ფოტოგადაღების დროს დაცული უნდა იყოს კრიმინალისტიკურ თეორიაში შემუშავებული და პრაქტიკით შემოწმებული ისეთი წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადასაღები პირის ხარისხოვან და ობიექტურ გამოსახულებას. ამ წესებს მიეკუთვნება შემდეგი:

ა) ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გადაღებული პირის ანფასი და პროფილი. გადაღებული უნდა იყოს მარჯვენა პროფილი, თავის 3/4-ით შემობრუნებით. მარცხენა პროფილი გადაიღება, თუ არსებობს განსაკუთრებული ნიშნები (ხალი, სახის დამახინჯება, ჭრილობა, სვირანგი და ა.შ.). ამავე მიზეზით გადაიღება პიროვნება ამდგარი და მისი სახის ცალკეული ნაწილ-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში მეტრული ფოტოგადაღება არ არის განხილული. ამ საკითხზე დაწერილებით იხ. Селиванов Н.А., Эйсман А.А., Судебная фотография, М., 1965, с. 107-113.

დებიც (ყური, კისერი და ა.შ.). საჭიროების შემთხვევაში გადაიღება აგრეთვე პიროვნება თავსახურითა და სათვალეებით.

ბ) ამოსაცნობი სურათი იღება მასშტაბით 1:7, ე.ი. პიროვნების სახის გამოსახულება უნდა შემცირდეს შვიდჯერ. ამ მიზნის მიღწევისათვის საჭიროა, რომ ფოტოაპარატი მოთავსდეს რვა მთავარ საფოკუსო მანძილზე. თუ გადაღება ხდება მცირეფორმტიან ფოტოაპარატით, იგი უნდა დამაგრდეს სადგამზე და მოხდეს მასშტაბური გადაღება, ე.ი. ადამიანის გულმკერდზე მოთავსდეს მასშტაბი და სურათის დაბეჭდვის დროს გადიდდეს მასშტაბით 1:7-ზე.

გ) გადასაღებ პირს სახე უნდა ეჭიროს სწორ, ვერტიკალურ მდგომარეობაში (ამ მდგომარეობის მიღწევა ხდება სპეციალური სკამის გამოყენებით). ფოტოაპარატი უნდა იყოს მოთავსებული სახის დონეზე.

დ) გადაღება შეიძლება როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განთების პირობებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უფრო ძლიერი შუქი უნდა მოთავსდეს ფოტოაპარატის უკან და ზემოთ, ხოლო უფრო სუსტი შუქი — აპარატის მარჯვნივ.

გვამის გადაღებას, ზოგ შემთხვევაში, წინ უნდა უსწრებდეს გვამის ტუალეტი (დამახინჯებული სახის აღდგენა ექიმ-სპეციალისტის მიერ). გვამის გადაღება ხდება ვერტიკალურ მდგომარეობაში მისი სპეციალურ მაგიდაზე მოთავსებით ან სხვა ამალღებულ საგანზე მისი დადებით. გვამის ამოცნობის გაადვილების მიზნით უნდა იყოს გადაღებული მისი ანთასი, მარჯვენა და მარცხენა პროფილი, აგრეთვე ტანის სხვა ნაწილებიც მასზე არსებული ინდივიდუალური და განსაკუთრებული ნიშნების ფიქსირების მიზნით.

პანორამული ფოტოგადაღება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გადასაღები ობიექტი სიდიდის გამო (შენობა, ადგილმდებარეობა, გზა, ლობე და ა.შ.) ერთი გადაღებით ვერ აისახება. პანორამული გადაღება ხდება გადასაღები ობიექტის ნაწილ-ნაწილად ასახვის გზით, რის შედეგადაც გადაღებული ნაწილები შეერთდება (დამოტაყდება) და მივიღებთ ერთ მთლიან ფოტოსურათს.

განასხვავებენ პანორამული გადაღების ორ სახეს: წრიული და ხაზობრივი პანორამული გადაღება. წრიული პანორამული გადაღება გამოიყენება იმ ობიექტების ასახვის მიზნით, რომლებიც არიან დიდი, მრგვალი,

ოვალური ან ოთხკუთხა (შენობა, ეზო, ადგილმდებარეობა). ხაზობრივი პანორამული გადალებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც გადასაღები ობიექტი არის სიგრძითი მოცულობის (ლობე, კედელი, გზა, მატარებელი, გემი, რკინიგზა, ბაქანი).

პანორამული გადალება ხდება ან სპეციალური აპარატით ("ჰორიზონტი"), ანდა ჩვეულებრივი აპარატით. ყველა შემთხვევაში აპარატი უნდა დამაგრდეს სადგამზე. ყოველი ახალი გადალების დროს გადაღებული კადრის 10-15% უნდა გამეორდეს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ცალ-ცალკე გადაღებული კადრების დროს არ დარჩეს გადაუღებელი სივრცე. ორჯერ გადაღებული კადრის ნაწილი კი ფოტოსურათების გაერთიანების (მონტაჟის) დროს ჩამოიჭრება.

წრიული პანორამული ფოტოგადაღების დროს სადგამზე დამაგრებული ფოტოაპარატი ყოველი გადალების შემდეგ უნდა შემოვაბრუნოთ გარკვეული გრადუსით მანამ, სანამ აპარატი მთლიანად არ გააკეთებს წრეს. ხაზობრივი პანორამული ფოტოგადაღების შემთხვევაში ყოველი გადალების შემდეგ ფოტოაპარატი უნდა გადავაადგილოთ სწორ წარმოსახვით ხაზზე გარკვეული მანძილით და ვაწარმოთ შემდგომი გადალება მანამდე, სანამ არ იქნება ფოტოგრაფირებული გადასაღები ობიექტი მთლიანად.

პანორამული გადალების დროს დაცული უნდა იქნას ის ძირითადი პირობა, რომ ახალი გადალება მოხდეს ზუსტად იგივე პირობებში, როგორც წინა გადალება (ერთნაირი ფოტომასალა, ექსპოზიცია, განათება, მასშტაბი და ა.შ.).

§3 სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის გამოყენება საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების დროს

სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის გამოყენება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს მიზნად ისახავს ასახოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკეული ფრაგმენტები, დააფიქსიროს საგამოძიებო მოქმედების დროს აღმოჩენილი ნივთიერი მტკიცებულებები, სხვადასხვა სახის კვალი, გვაში, დოკუმენტები და ა.შ.

სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფირების შედეგად დამზადებული ფოტოსურათები ნათელ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს არა მარტო

შემთხვევის ადგილის ზოგად პარამეტრებზე, არამედ უნდა ასახავდეს მის დეტალებს, იქ აღმოჩენილ საგანთა და კვალთა ნიშან-თვისებებს.

სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფია შედარებით ხშირად გამოიყენება შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას და იქ აღმოჩენილ კვალთა და საგანთა ფიქსირების მიზნით. იგი გამოიყენება აგრეთვე ჩხრეკის, ამოცნობის, შემოწმების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, გვამთა და დოკუმენტთა გადასაღებად.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის გამოყენება უნდა მოხდეს: საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური ფოტოგადაღების მიზნით.

საორიენტაციო ფოტოგადაღების დროს ასახული უნდა იყოს შემთხვევის ადგილი მის ირგვლივ არსებული გარემოების მოცვით. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, გადაღება ხდება რამოდენიმე ადგილიდან და მზადდება რამოდენიმე ფოტოსურათი. მაგალითად, თუ შემთხვევის ადგილი არის მეორე სართულზე არსებული ბინა, გადაღებული უნდა იყოს: ქუჩა სახლთან ერთად, სადარბაზო შესასვლელი, კიბეები მეორე სართულამდე, დერეფანი და ბინაში შესასვლელი კარები. გადაღება ხდება როგორც რეპროდუქციული, ისე პანორამული ფოტოგადაღების წესით. საორიენტაციო ფოტოგადაღება საშუალებას გვაძლევს სრული და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ შემთხვევის ადგილის გარემოცვაზე.

მიმოხილვითი ფოტოგადაღების დროს ასახული უნდა იყოს უშუალოდ შემთხვევის ადგილი მის გარშემო არსებული ადგილმდებარეობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში გადაღება ხდება რამოდენიმე ადგილიდან, თუ ერთი წერტილიდან გადაღება ვერ ასახავს მთლიანად შემთხვევის ადგილს. შემთხვევის ადგილის თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც წრიული, ისე ხაზობრივი პანორამული გადაღება. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ გადაღებული ფოტოსურათების მეშვეობით ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას უშუალოდ შემთხვევის ადგილზე.

საკვანძო ფოტოგადაღების დროს ასახული უნდა იყოს შემთხვევის ცალკეული ადგილები (კვანძები), კერძოდ ისეთები, სადაც არის ნივთიერი მტკიცებულებები, კვალი, სისხლის ლაქები, გვამი და ა.შ. ცალკეულ კვალთა საკვანძო გადაღება ხდება ახლომდებარე საგნებთან ერთად. ამ გადაღების მიზანია ნათელი და სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ადგილმდებარეო-

ბაზე, სადაც არის დანაშაულის შედეგად დატოვებული კვალი. მაგალითად, თუ იატაკზე აღმოჩენილი იქნა ფეხის ზედაპირული კვალი იგი უნდა იყოს ასახული მის ირგვლივ მდებარე საგნებთან ერთად. გადაღება ხდება, როგორც წესი, რეპროდუქციული და განზომილებითი ფოტოგრაფირების მეთოდის გამოყენებით.

დეტალური ფოტოგრაფირების მიზანია ასახოს ცალკეულ კვალთა, ნივთიერ მტკიცებულებათა თავისებურებანი და მათი ნიშან-თვისებები ახლომდებარე საგნების გარეშე. მაგალითად, გვამზე არსებული ჭრილობა, თითის კვალის ქარგები, ფეხის კვალის ზედაპირი, გატეხის იარაღთა კვალის თავისებურება, სატრანსპორტო საშუალებებზე არსებული დაჯახების კვალი და ა.შ. დეტალური გადაღება ხდება ყოველთვის მასშტაბური წესით. ამ გადაღების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათებას, რომლის მეშვეობითაც უნდა იყოს შესაძლებელი კვალთა ინდივიდუალური ნიშან-თვისებათა ფიქსირება.

საგამოძიებო მოქმედების (შემთხვევის ადგილი, ჩხრეკა, ამოცნობა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემოწმება) გადაღების დროს გამოიყენება საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური გადაღებები იმ მიზნით, რომ ავსახოთ შენობა, ადგილმდებარეობა, ვითარება, როგორც მთლიანად, ასევე მისი დეტალები.

საგამოძიებო მოქმედების ფოტოგრაფირება ასევე მიზნად ისახავს ვისჯელოთ არა მარტო იქ დატოვებულ კვალთა სახეზე, არამედ მის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებზე. საგამოძიებო მოქმედების ობიექტური და დროული ფიქსირება საშუალებას იძლევა ნათლად წარმოვიდგინოთ დანაშაულის ჩადენის ვითარება და დეტალები, ვიმსჯელოთ დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ, ავაგოთ სწორი და დასაბუთებული საგამოძიებო ვერსიები, შევქმნათ პირობები დანაშაულის სწრაფი გახსნისათვის.

შემთხვევის ადგილისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ფოტოგრაფირება შეუძლია უშუალოდ გამოძიებულს ან სპეციალისტს.

შემთხვევის ადგილის ფიქსირების მიზნით გამოყენებული უნდა იყოს საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური გადაღება ისე, რომ იქ არსებული საგნები და კვალი იყოს ხელუხლებელი. მხოლოდ გადაღების შემდეგ შეიძლება ცალკეულ ნივთიერ მტკიცებულებათა, კვალთა და სხვა

საგნების ხელში აღება, მათი დეტალური დათვალიერებისათვის და ამოღების მიზნით.

შემთხვევის ადგილზე არსებული საგნები უნდა იყოს ასახული უფრო დიდი მასშტაბით საკვანძო და დეტალური გადაღების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია მასშტაბური ფოტოგადაღება. გადაღება შეიძლება მოხდეს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების პირობებში, მაგრამ განათების შედეგად კარგად უნდა იყოს გამოსახული გადასაღები საგნის ფორმა, ზედაპირის თავისებურება, საქარხნო ნიშნები და ნომერი (თუ ასეთი არსებობს საგანზე). გადაღება ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილზე. შემდგომში კი შეიძლება საგნების გადაღება ვაწარმოოთ უფრო კარგ, ლაბორატორიულ პირობებში.

შემთხვევის ადგილზე არსებული ყველა სახის კვალი (თითის ანაბეჭდები, ფეხის კვალი, გატეხის იარაღთა და სატრანსპორტო საშუალებათა კვალი) უნდა იყოს ფიქსირებული საკვანძო და დეტალური გადაღების წესების დაცვით. მარტო ამ კვალთა ზოგადი ასახვა მიმოხილვითი ფოტოგადაღების გამოყენებით არცერთ შემთხვევაში არ არის საკმარისი. გადაღების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს განათებას. კვალთა განათების შედეგად (ძირითადი და დამატებითი) უნდა გამოჩნდეს კვალისა და მის ზედაპირზე არსებული ინდივიდუალური ნიშანთვისებები. საჭიროების შემთხვევაში ფოტოგრაფირების დროს გამოყენებული უნდა იყოს შუქფილტრები.

თადაპირველად კვალი უნდა იყოს გადაღებული ისე, როგორც იგი იყო აღმოჩენილი. შემდგომში დასაშვებია კვალის გასუფთავება (ჩხირების, ფოთლების, ქაღალდის ნაგლეჯების, მტვრისა და ტალახის ჩამოცილება), რის შემდეგ კვალი უნდა იყოს ხელახლა გადაღებული.

შემთხვევის ადგილზე არსებული გვამი უნდა აღიბეჭდოს მიმოხილვითი ფოტოგადაღების წესით, რომ ვიმსჯელოთ მის ადგილსამყოფელზე. შემდგომში კი მისი გადაღება უნდა მოხდეს როგორც საკვანძო, ისე დეტალური გადაღების ხერხის გამოყენებით. გვამი უნდა იყოს ფიქსირებული ისე, როგორც იგი იყო აღმოჩენილი, რის შემდეგაც შეიძლება მისი გასუფთავება (სისხლის ლაქების ჩამოცილება, მასზე არსებული ზედმეტი საგნების აღება). გასუფთავების შემდეგ გვამი უნდა იყოს ხელახლა ფოტოგრაფირებული.

გვამის გადაღება ხდება ზემოდან, შემდგომ ორი ან ოთხი კუთხიდან იმ მიზნით, რომ გვამი იყოს მთლიანად ფიქსირებული და კარგად აისახოს

მასზე არსებული საგნები და კვალი. გვამის დეტალური გადაღების დროს უნდა იყოს ფიქსირებული ჭრილობის სახე, ზომა, მიმართულება, სატრანსპორტო საშუალების გვამზე გადავლის ნიშნები, ჩაცმულობა, შიშველ გვამზე არსებული განსაკუთრებული ნიშნები და ა.შ.

ამოუცნობი გვამის გადაღება წარმოებს ამოსაცნობი ფოტოგადაღების წესების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ დანაწევრებულ გვამთან გვაქვს საქმე, ცალ-ცალკე უნდა იყოს გადაღებული გვამის ნაწილები მათი აღმოჩენის ადგილზე, ხოლო შემდეგ გვამის ყველა ნაწილის შეერთების საფუძველზე ხდება მისი ხელახალი ფოტოგრაფირება.

ჩხრეკის დროს სასამართლო ფოტოგრაფია გამოიყენება გასაჩხრეკი ადგილისა და თვით ჩხრეკის შედეგების ფიქსირების მიზნით. საორიენტაციო და მიმოხილვითი ფოტოგადაღების გარდა ყველა შემთხვევაში გადაღებული უნდა იქნას ის ადგილები, სადაც აღმოჩენილი იქნა სამალავები (კედელში, იატაკში, კარადაში, საწოლში და ა.შ.). სამალავების აღმოჩენის შემთხვევაში უნდა დამზადდეს საკვანძო ფოტოსურათი, სადაც აისახება სამალავი აბლომდებარე საგნებთან ერთად. გარდა ამისა უნდა იყოს ფიქსირებული სამალავში აღმოჩენილი ფული, ნივთები, ფასეულობა. გადაღება ხდება მასშტაბური წესით როგორც დღის სინათლეზე, ისე ხელოვნური განათების პირობებში.

ამოცნობის დროს სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფია მიზნად ისახავს დააფიქსიროს ამოცნობის ადგილი, ამოცნობაში მონაწილე პირები (საგნები, ნივთები, ცხოველები, გვამები, ფოტოსურათები), მათი ურთიერთგანლაგება და ამოცნობის შედეგები. ცოცხალ პირთა გადაღება ხდება ამოსაცნობი ფოტოგრაფირების წესით, საგნებისა და ნივთების – რეპროდუქციული და მასშტაბური ფოტოგრაფირების ხერხების გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ამოცნობა ხდება ფუნქციონალური ნიშნებით (სიარულის, მიმიკის თავისებურება), ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს კინო ან ვიდეოგადაღება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას ფიქსირებული უნდა იყოს ექსპერიმენტის ჩატარების ადგილმდებარეობა, მასში მონაწილე პირების ურთიერთგანლაგება, ამ საგამოძიებო მოქმედების შესრულების პირობები. ყოველივე ამის გადაღება წარმოებს ექსპერიმენტის დაწყებამდე საორიენტაციო და მიმოხილვითი ფოტოგრაფირების წესით, ხოლო შემდგომში

ფიქსირდება საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგები (საგნის გატანის შესაძლებლობა გამონგრეულ კედელში, ადამიანის საცავში შესვლის შესაძლებლობა თხრილის მეშვეობით და ა.შ.).

იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერიმენტი დაკავშირებულია მოძრაობასთან, გამოიყენება კინო და ვიდეოაპარატურა.

შემთხვევის ადგილზე გაყვანის (ჩვენების ადგილზე შემოწმების) დროსაც გამოიყენებული უნდა იყოს ფოტოგრაფირება. ამ შემთხვევაში სასურველია ფიქსირებული იყოს ის ადგილი (შენობა, ადგილმდებარეობა), სადაც ჩადენილი იყო დანაშაული, სადაც დამარხული იყო გვამი ან გადამალული ფასეულობა და ნივთები. ამ ადგილების ჩვენების დროს კადრში უნდა აისახოს ის ბრალდებული, მოწმე თუ დაზარალებული, რომელიც იძლევა ჩვენებას და აჩვენებს დანაშაულის ჩადენის ადგილსა და დანაშაულის ჩადენის ხერხს. არცერთ შემთხვევაში გადაღებულ კადრში არ უნდა აისახოს ბადრაგი ცეცხლსასროლი იარაღითურთ, რომელიც თვალყურს ადევნებს ბრალდებულს (ექვმიტანილს) მისი გაქცევის თავიდან აცილების მიზნით.

შემოწმების ჩატარების დროს ფიქსირებული უნდა იყოს შემოწმებაში მონაწილე პირები, შემოწმების ადგილი და შემოწმების შედეგად დადგენილი გარემოება. თუ შემოწმების შედეგად აღმოენილი იქნება დანაშაულის ჩადენის შედეგად მითვისებული და გადამალული საგნები, ფასეულობა, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი, ადამიანის სხეულზე არსებული განსაკუთრებული ნიშნები (ჭრილობა, ხალი, სვირანგი და ა.შ.), ყოველივე ეს უნდა იყოს ფიქსირებული იმ ადგილების ჩვენებით, სადაც ისინი იყო აღმოჩენილი.

§4 კინო და ვიდეოგადაღების საკითხები საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს

საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების პროცესში გამოიყენება ხმის ჩაწერა, კინოგადაღება და ვიდეოაპარატურა. ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენება ხდება საპროცესო კანონის ფარგლებში (საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 96-1 და სხვა მუხლები).

კინო და ვიდეოგადაღება წარმოადგენს ფაქტებისა და გარემოებათა ფიქსირების მეტად ეფექტურ საშუალებას, მაგრამ დამატებით სახეს. საგა-

მოდებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების ფიქსირების ძირითად სახედ მიჩნეულია საგამოძიებო მოქმედების წერილობითი ოქმი. კინო და ვიდეოგადაღება შედარებით ხშირად გამოიყენება ისეთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს, როგორებიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, შემთხვევის ადგილზე პირის გაყვანა (შემთხვევის ადგილზე ჩვენების შემოწმება), საგამოძიებო ექსპერიმენტი, დაკითხვა, დაპირისპირება, ჩხრეკა და ამოცნობა.

კინო და ვიდეოაპარატურა გამოიყენება იმ მიზნით, რომ ფიქსირებული იქნას ფაქტები და გარემოება, მოძრაობის პროცესი, ხმა, დანაშაულის ჩამდენ პირთა მოქმედება და ა.შ. კინო და ვიდეოგადაღებას საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების დროს, როგორც წესი, აწარმოებს სპეციალისტი, მაგრამ იგი შეიძლება გამოიყენოს აგრეთვე მომკვლევმა პირმა და გამოძიებულმაც. ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენების დროს დაცული უნდა იყოს ის რეკომენდაციები, რაც შემუშავებული და დადგენილია სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიისათვის.²

კინო და ვიდეოაპარატის გამოყენების დროს უნდა მოხდეს საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური გადაღებები. ეს აპარატურა გამოიყენება აგრეთვე პანორამული, რეპროდუქციული, ამოსაცნობი გადაღებისათვისაც.

საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს კინო და ვიდეოაპარატურის გამოყენებამდე უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები და შედგეს გარკვეული გეგმა-სცენარი. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება გულისხმობს იმას, რომ შემოწმდეს ამ აპარატების ვარგისიანობა, მომზადდეს შესაბამისი ნეგატიური მასალა, შეირჩეს სპეციალისტი, რომელიც აწარმოებს გადაღებას. გეგმა-სცენარის შედგენა გულისხმობს იმას, რომ წინასწარ განისაზღვროს რა უნდა იყოს გადაღებული, რა თანამიმდევრობით უნდა მოხდეს ფაქტებისა და გარემოებათა ფიქსირება, დაზუსტდეს გადაღების მიზანი და ამოცანა. რა პირობებში უნდა მოხდეს გადაღება: დღის სინათლეზე, თუ ხელოვნური განათების პირობებში.

კინო და ვიდეოგადაღების გამოყენების ფაქტი დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი შესაბამის საგამოძიებო მოქმედების ან ოპერატიულ-

² კინო და ვიდეოაპარატურის გამოყენების ტექნიკური მხარე და ამ აპარატების ტექნიკური დახასიათება სცილდება სახელმძღვანელოს ფარგლებს, ამიტომ არ არის განხილული.

სამძებრო ღონისძიების განხორციელების ოქმში. ამ პროცესუალურ დოკუმენტში უნდა აისახოს: ვინ აწარმოებდა გადალებას (გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა, მისამართი); როდის დაიწყო და დამთავრდა კინო და ვიდეოგადაღება; რა კონკრეტული აპარატურა იყო გამოყენებული და მისი ტექნიკური მონაცემები, ფირის ბრუნვის სიჩქარე და მისი ფერ- და შუქმგრძობიარობა; რა პირობებში მოხდა გადაღება; რა იყო და რამდენ-ჯერ იყო გადაღებული ობიექტი; რა ადგილიდან იყო იგი ფიქსირებული. ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირი.

კინო და ვიდეოფირის მონტაჟის შემდეგ მას უნდა გაუკეთდეს განმარტებითი წარწერები. ფილმი უნდა ნახოს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებმა და დაადასტურონ მასში ფიქსირებული ფაქტებისა და გარემოებათა სისწორე. ფირი ერთვის საგამოძიებო მოქმედების ოქმს და მასთან ერთად წარმოადგენს მტკიცებულების დამოუკიდებელ წყაროს. გამოძიების დამთარების შემდეგ კინო და ვიდეოფირი უნდა შეიფუთოს, დაილუქოს და გაუკეთდეს განმარტებითი წარწერა (რა არის გადაღებული, რომელ საქმეზეა წარმოებული გადაღება).

§5 სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფია

სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფია არის სასამართლო ფოტოგრაფიის ერთ-ერთი მეტად სპეციფიკური დარგი, რომელიც გამოიყენება, ძირითადად, ექსპერტ-კრიმინალისტის მიერ კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა პროცესში. იგი მიზნად ისახავს კვლევითი ხასიათის ფოტოგრაფირების ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით აწარმოოს მაკრო და მიკროგადაღება; შეცვალოს გამოსაკვლევი ობიექტს კონტრასტულობა და მიაღწიოს ფერგაყოფას, უჩინარი და ცუდად ხილვადი ნიშნები გახადოს ხილვადი; აწარმოოს უხილავ სხივებში (ინფრაწითელი, ულტრაიისფერი, რენტგენის, გამა და ბეტა სხივები) გადაღება. ყოველივე ეს კეთდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს გამოსაკვლევი ობიექტის ნიშან-თვისებები, მათი იდენტიფიკაციის მიზნით. სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფიის დროს გამოიყენება აგრეთვე ჩვეულებრივი სახის გადაღებები გამოსაკვლევი ობიექტების საერთო ხედის ფიქსირებისა და მათი ილუსტრაციისათვის.

სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფიის მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების გამოყენება იმდენად თავისებურია და ვიწრო პირთათვის არის

განკუთვნილი, რომ სახელმძღვანელოს ფარგლებში საკმარისია გავამახვილოთ ყურადღება მხოლოდ ზოგად საკითხებზე.

მიკროსკოპული ფოტოგადაღება გამოიყენება გამოკვლევის ობიექტზე უხილავი ან ცუდად ხილვადი ნიშნების გამომჟღავნება-გამოკვლევისათვის. ფოტოგრაფირების ეს მეთოდი თავის გამოყენებას პოულობს დოკუმენტების გაყალბების ნიშნების დადგენისათვის (მექანიკური წესით ამოშლა; ქიმიური რეაქტივების გამოყენებით ტექსტის, ციფრობრივი მონაცემების ამოშლა); ბალისტიკური ხასიათის გამოკვლევების დროს ტყვიაზე და მასრაზე არსებული გასროლის ნიშნებისა და კვალის წარმოქმნის მექანიზმის დადგენისათვის; გამოსაკვლევ ობიექტზე მიკრო კვალისა და ზედაპირის მიკროსტრუქტურის ფიქსირებისათვის და ა.შ.

მიკროფოტოგადაღების დროს განასხვავებენ ორ სახეს: მაკროფოტოგრაფირება და მიკროფოტოგრაფირება. მაკროფოტოგრაფია გამოიყენება აგრეთვე ცუდად ხილვადის და უხილავი ნიშნების გამომჟღავნების მიზნით, მაგრამ ამ შემთხვევაში შედარებით ნაკლებად დიდდება გადასაღები ობიექტი, კერძოდ, შეფარდებით 1:10-მდე.³ მაკროგადაღება წარმოებს ჩვეულებრივი მცირე ფოკუსიანი აპარატით და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება დამაგრძელებელი რგოლები.

მიკროგადაღება წარმოებს მიკროსკოპის გამოყენებით, რომელზეც დამაგრებულია ფოტოაპარატი და ეს ხელსაწყო წარმოადგენს ერთ მთლიანობას (МФН-1, МФН-3) იმისათვის, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე არსებული ნიშნები კარგად იყოს გამოსახული, საჭიროა შერჩეულ იქნას გადასაღები ობიექტს სწორი განათება. ზედაპირის მიკროსტრუქტურის გადასაღებად კარგ შედეგს იძლევა დახრილი ანუ ჩრდილოვანი განათება. გამჭვირვალე საგანზე არსებული ნიშნის დასადგენად – განათება გამჭოლ შუქზე. მაკრო და მიკროგადაღების დროს უნდა იყოს შერჩეული და გამოყენებული შუქფილტრები იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ იმავე ფერის შუქფილტრი ამქრალებს გამოსახულებას, ხოლო სხვა ფერის – დამატებითი ფერის – აძლიერებს (ამუქებს) გამოსახულებას. ამავე პრინციპის შესაბამისად ხდება ნეგატიური მასალის შერჩევა, მათი ფერმგრძნობიარობისა და შუქმგრძნობიარობის მიხედვით.

³ Криминалистика, М., 1990, с. 114.

კონტრასტულობის შეცვლა და ფერგაყოფა. ფოტოგრაფირება კონტრასტულობის შეცვლის მიზნით ამოცანად ისახავს გააძლიეროს გამოსაკვლევი ნიშნის (ობიექტის) ხილვადობა (ფერი) და შეასუსტოს იმ ნიშნის (ობიექტის) ხილვადობა, რომელიც არ ექვემდებარება გამოკვლევას. ფერგაყოფითი ფოტოგრაფირება მიზნად ისახავს მსგავსი ფერების გამიჯვნას (დიფერენციაციას).

კონტრასტულობის შეცვლა და ფერგაყოფა გამოიყენება დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ან ხელნაწერების გამოკვლევის პროცესში, კერძოდ: დოკუმენტში მინაწერისა და ჩამატების დასადგენად; ბეჭდებისა და შტამპელების ანაბეჭდების გაყალბების დროს; ხელმოწერის ტექნიკური გაყალბების დასადგენად; მეღნით ან სხვა საღებავით დაფარული ტექსტის აღსადგენად და წასაკითხად; ამოშლისა და ამოფხეკის ნიშნების გამოსამქლაფნებლად და სხვა.

კონტრასტულობის შეცვლა და ფერგაყოფის მეთოდის გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს ხილვადი გავხადოთ გამოსაკვლევი ობიექტის ის ნიშნები, რომლებიც ვიზუალურად საერთოდ შეუმჩნეველია ან ცუდად ხილვადია; შევამციროთ ან გავზარდოთ კონტრასტულობა; შევასუსტოთ ერთი ფერი და, პირიქით, გავაძლიეროთ მეორე ფერი.

არსებობს კონტრასტულობის შეცვლის ორი ძირითადი მეთოდი. პირველს მიეკუთვნება ის, როდესაც ფოტოგადაღების მეშვეობით შესაბამისი შუქფილტრების გამოყენების, განათებისა და კონტრასტული ნეგატიური მასალის გამოყენებით ვაღწევთ კონტრასტულობის შეცვლას. ამ მეთოდს უწოდებენ კონტრასტულობის გაძლიერების პირველად მეთოდს. კონტრასტულობის გაძლიერებისა და შეცვლის მეორე მეთოდს მიეკუთვნება ის, როდესაც სასურველ მიზანს აღწევენ კონტრატიპირების მეშვეობით. ამ შემთხვევაში მიღებული ნეგატივიდან ამზადებენ პოზიტივს, შემდეგ პოზიტივიდან – ნეგატივს, ნეგატივიდან – ისევ პოზიტივს და ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ არ მიიღებენ სასურველ შედეგს. ამ მეთოდს უწოდებენ კონტრასტულობის გაძლიერების მეორე მეთოდს.

კონტრასტულობის შეცვლისა და ფერგაყოფის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შუქფილტრების შერჩევა. შუქფილტრების შერჩევა ხდება იმ მიზნის გათვალისწინებით, რასაც ისახავს ექსპერტი-კრიმინალისტიკით, მაგალითად, საჭიროა შევასუსტოთ წითელი ფერი, უნდა იყოს გამოყ-

ენებული წითელი ფერის შუქფილტრი, რადგანაც იგი მგრძნობიარეა ამ ფერისადმი. ასეთი შუქფილტრი ატარებს წითელ სხივებს და შთანთქავს სხვა ფერის სხივებს, განსაკუთრებით კი მის დამატებით ფერს – მწვანეს. თუ გვინდა შევასუსტოთ იისფერი, უნდა გამოვიყენოთ ამ ფერის შუქფილტრი და ა.შ. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა უფრო კონტრასტული გაუხადოთ იისფერი შტრიხები, მაშინ უნდა გამოვიყენოთ იისფერის დამატებითი ფერი – ყვითელი შუქფილტრი. ეს ფერი შთანთქავს იისფერ სხივებს და ატარებს სხვა ფერის სხივებს.

დოკუმენტების გამოკვლევის დროს ადგილი აქვს ხოლმე ადრე არსებული ტექსტის ან ციფრობრივი მონაცემების გადახაზვას ან სხვა სითხით დაფარვას. თუ შავი ფერის ტექსტი გადახაზული ან დაფარულია მოწითლო ფერის საღებავით, გამოსაკვლევ ტექსტის თვალსაჩინოებისა და წასაკითხად უნდა იყოს გამოყენებული წითელი შუქფილტრი, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზნის მისაღწევად მარტო შუქფილტრების შერჩევა არ არის საკმარისი. უნდა მოხდეს აგრეთვე ფოტონეგატიური მასალის შერჩევაც. გამოყენებული უნდა იყოს ის ნეგატიური მასალა, რომელიც მგრძნობიარეა წითელ ფერთან, კერძოდ "ინფრაქრომი". ამ ნეგატიური მასალის თვისება იმაში გამოიხატება, რომ ასუსტებს წითელ ფერს, რის შედეგადაც წაკითხული იქნება ადრე არსებული დაფარული ტექსტი ან ციფრობრივი მონაცემები.

კონტრასტულობის შეცვლისა და ფერგაყოფის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გადასაღები ობიექტისა და მის ნიშან-თვისებების განათებას, რომლის მეშვეობით შესაძლებელია კარგად და ნათლად გამოვაჩინოთ მკვლევარისათვის საინტერესო ნიშანი. მაგალითად, გადასაღები ობიექტის რელიეფისა და სტრუქტურის ასახვისათვის უნდა გამოვიყენოთ დახრილი (ჩრდილოვანი განათება). იმისათვის, რომ ბალისტიკური გამოკვლევის პროცესში დავადგინოთ ვაზნის ძირზე დამცემის კვალი და მიკროსტრუქტურა, უნდა გამოვიყენოთ (ძირითადი განათების გარდა) დამატებითი წერტილოვანი (ძლიერი) განათება მხოლოდ დამცემის კვალისა. თუ საჭიროა, მაგალითად, ვაჩვენოთ ქალაქის ფენის გათხელება დოკუმენტის ტექსტის ამოშლის ან ამოფხეკის ადგილზე, უნდა გამოვიყენოთ გამჭოლი განათება. განათების ყველაზე მარტივ სახეს წარმოადგენს გადასაღები ობიექტის ზედაპირის თანაბარი განათება, რომელიც გამოიყენება გამოსაკვლევ ობიექტის საერთო ხედის ფიქსირებისათვის.

ფოტოგრაფირება უხილავ სხივებში. უხილავ სხივებში გადაღება გულისხმობს ინფრაწითელ, ულტრაიისფერ, რენტგენის, გამა და ბეტა სხივებში გადაღებას კრიმინალისტიკური მიზნებისათვის. კრიმინალისტიკური მეცნიერება იყენებს რა უხილავი სხივების თვისებებს: მათ უხილადობას, გამჭოლუნარიანობას, ფერთა დიფერენცირების შესაძლებლობას, ლითონის, სხვა ფხვნილებისა და ლაქების დადგენს, გადამალული საგნების, იარაღის, ფასეულობის აღმოჩენის შესაძლებლობას, გამოიყენებს ამ სხივებს საექსპერტო გამოკვლევათა დროს.

კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა პროცესში უხილავ სხივებში გადაღება გამოიყენება დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ გამოკვლევისას (ამოშლისა და ამოფხეკის ნიშნების დასადგენად, ლაქებით დაფარულ და დამწვარ დოკუმენტზე ტექსტების წასაკითხად); ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს (ლითონის ნაწილაკების, ჭვარტლის, ზეთის ნიშნების დასადგენად ტანისამოსზე და სხვა საგნებზე); ტრასოლოგიური ექსპერტიზის პროცესში (ლუქებისა და პლომბების მთლიანობის დასადგენად) და ა.შ.

საკითხი ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და რენტგენის სხივების გამოყენების, აგრეთვე სასამართლო ფოტოგრაფიის და სხვა ტექნიკური საშუალებების პროცესუალური გაფორმების შესახებ განხილული იყო VIII თავში.⁴

⁴ VIII თავის მე-4 და მე-5 პარაგრაფები.

X თავი ტრასოლოგია

§1 ტრასოლოგიის ცნება და კვალთა კლასიფიკაცია
ტრასოლოგიის ცნება. ტრასოლოგია არის ფრანგული სიტყვა და ნიშნავს სწავლებას (მოძღვრებას) კვალთა შესახებ.

დანაშაულის მზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში რჩება სხვადასხვა სახის კვალი, რომელთა კრიმინალისტიკურ შესწავლასა და გამოკვლევას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

კრიმინალისტიკაში კვალთა ცნება იხმარება ორი გაგებით ფართო და ვიწრო. ფართო გაგებით კვალს მიეკუთვნება ყოველგვარი სახის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის მზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში. აქ იგულისხმება, მაგალითად, ისეთი ცვლილებები, რომელნიც გამოწვეული იყო პირის მოქმედებით, საგნების გადაადგილებით, ამოღებით, სახეცვლილებით, დაზიანებით, ობიექტის ურთიერთმოქმედების დროს ზედაპირის შეცვლით, მიკრონაწილაკების გადასვლით ერთი ობიექტიდან მეორეზე, საგანთა და კვალთა ყოველგვარი სხვა სახეცვლილება მექანიკური, სითბური თუ ქიმიური ზემოქმედების შედეგად.

ამრიგად, ყოველი სახის კვალი, რომელიც გამოიყენება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების დროს შეიძლება იყოს კრიმინალისტიკის გამოკვლევის ობიექტი.

ვიწრო გაგებით კვალს მიეკუთვნება ერთი ობიექტის მატერიალურ-ფიქსირებულ ნიშან-თვისებათა ასახვა მეორე ობიექტზე. აქ იგულისხმება, მაგალითად, ხელის კვალი, ფეხის კვალი, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი, გატეხის იარაღთა და ხელსაწყოების კვალი და ა.შ.

ტრასოლოგია კვალთა გამოკვლევას შეისწავლის ძირითადად ვიწრო გაგებით.

საბჭოთა პერიოდში ტრასოლოგიას როგორც კრიმინალისტიკური ტექნიკის ერთ-ერთ დამოუკიდებელ დარგს საფუძველი ჩაეყარა ი.ნ.იაკიმოვისა და ბ.ი.შეჟენკოს შრომებში.¹

¹ Якимов И.Н. Криминалистика, М., 1938; Б.И.Шевченко, Научные основы современной трассологии, М., 1947.

ობიექტის ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად წყდება ისეთი საკითხები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ დანაშაულის გახსნისა და ჭეშმარიტების დადგენის პროცესში. ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად გადასაწყვეტი საკითხები შეიძლება დაიყოს ჯგუფებად. საკითხების პირველ ჯგუფს განეკუთვნება ისეთები, როდესაც ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად ხდება კონკრეტული ობიექტის დადგენა - ინდივიდუალური იდენტიფიკაცია. მაგალითად: ფეხის კვალი დატოვებულია კონკრეტული პირის მიერ, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი დატოვებულია კონკრეტული საბურავით და ა.შ.

საკითხების მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთები, როდესაც ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად ხდება ჯგუფური კუთვნილების გასაზღვრა. მაგალითად: ფეხის კვალი დატოვებულია 43 ზომის ფეხსაცმლით; თითის ანაბეჭდში ასახულია ხვეული ქარგი.

საკითხების მესამე ჯგუფს განეკუთვნება ისეთები, რომლებიც დამახასიათებელია პიროვნებისათვის. მაგალითად: ფეხის კვალთა მიხედვით სიარულის თავისებურება, სიარულის მიმართულება, ნაბიჯის სიგრძე და ა.შ.

საკითხების მეოთხე ჯგუფს განეკუთვნება ისეთები, რომლებიც განსაზღვრავს კვალის წარმოშობის მექანიზმს. მაგალითად: სითბური კვალი, მექანიკური კვალი, კვალი აღმოცენებულია შეხებით, გადაგდებით, ხახუნით, გაბურღვით და ა.შ.

საკითხების მეხუთე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი კვალები, რომლებიც ადგენენ ან ხსნიან შემთხვევის ადგილის ცალკეულ გარემობას. მაგალითად: პირთა რაოდენობას დანაშაულის ჩადენის დროს, შენობაში შეღწევის ხერხს, კვალის დატოვების დაახლოებით დროს, საკეტების გაღების ხერხს (გარედან თუ შიგნიდან) და ა.შ.

კვალთა ტრასოლოგიური გამოკვლევა შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ მას საფუძვლად უდევს მეცნიერული, პრინციპული სახის დებულებები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა ყველა შემთხვევაში. მათ მიეკუთვნება: კვალთა ინდივიდუალობა, საგნის ნიშან-თვისებათა ასახვის უნარი, კვალთა ნიშან-თვისებათა შედარებითი უცვლელობა, კვალთა კლასიფიკაციის შესაძლებლობა, კვალთა საკმარისობა და ვარგისობა გამოკვლევისათვის, კვალის მიმღებ ობიექტზე ნიშან-თვისებათა შებრუნებული გამოსახულება.

ტრასოლოგიური გამოკვლევა ეფუძნება იმას, რომ ყოველი ცოცხალი არსება, ნივთი, საგანი სამყაროში ინდივიდუალურია და ამავე დროს განსხვავე-

ბულია სხვა საგნისაგან. სერიული წესით დამზადებული საგნებიც კი, მიუხედავად მათი მსგავსებისა, ინდივიდუალურია.

მართო ის ფაქტი, რომ სამყაროში ყველაფერი ინდივიდუალურია, საკმარისი არ არის ტრასოლოგიური გამოკვლევისათვის. ამავე დროს აუცილებელია, რომ კვალის წარმომქმნელი ობიექტის ნიშან-თვისებები გადავიდეს სხვა ობიექტზე (კვალის მიმღებ ობიექტზე) და ჰპოვოს რეალური მატერიალური ასახვა. თუ კვალი არ აისახება, მისი გამოკვლევა შეუძლებელია.

ყოველი კვალი და საგნის ნიშან-თვისება, რომელიც აისახება გამოსაკვლევ ობიექტში, უნდა იყოს შედარებით უცვლელი, ე.ი. გარკვეული დროის მონაკვეთში თვისობრივად არ უნდა იცვლებოდეს. შეიძლება შეიცვალოს ზოგიერთი ზოგადი და ინდივიდუალური ნიშანიც კი, მაგრამ ეს ცვალებადობა გავლენას არ უნდა ახდენდეს კვალსა და ნიშან-თვისებათა არსზე.

ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს უამრავი სახის კვალთან გვაქვს საქმე, ამიტომ საჭიროა მათი სისტემაში მოყვანა და კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნის საფუძველზე, რაც აადვილებს მათ ფიქსირებასა და გამოკვლევას.

კვალი და საგნის ნიშან-თვისება შეიძლება აღიბეჭდოს ობიექტზე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მათი გამოკვლევის საფუძველზე მივიღებთ სასურველ შედეგს. ამავე დროს საჭიროა და აუცილებელია, რომ კვალი იყოს საკმარისი და ვარგისი გამოკვლევისათვის. თუ კვალთა გამოკვლევა შეუძლებელია არსებული მეთოდის გამოყენების საფუძველზე მისი სიმცირისა თუ უვარგისობის გამო, ექსპერტმა უნდა მისცეს დასკვნა მის წინაშე დაყენებული საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ.

ტრასოლოგიური გამოკვლევის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე ისიც, რომ კვალის მიმღებ ობიექტზე გამოსახულება ატარებს შებრუნებულ (ნეგატიურ) გამოსახულებას. მაგალითად, ამობურცული საგანი ტოვებს ჩაღრმავებულ კვალს და ა.შ.

ტრასოლოგია (სწავლება კვალთა შესახებ) კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგია, რომელიც შეიმუშავებს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებსა და მეთოდებს კვალთა აღმოჩენის, ფიქსირებისა და გამოკვლევისათვის იმ მიზნით, რომ დადგენილი იყოს დანაშაულთან და მის ჩამდენ პირთან დაკავშირებული ფაქტები, აგრეთვე კვალის წარმოშობის მექანიზმი.

კვალთა კლასიფიკაცია ტრასოლოგიაში. იმისათვის, რომ განსაზღვრული იყოს კვალთა სახე, მათი ფიქსირების, ამოღებისა და გამოკვლევის

მეთოდები, ტრასოლოგიაში მიღებულია კვალთა კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნების მიხედვით. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს ორი ზოგადი ნიშანი: კვალის წარმოქმნის სახე და კვალის წარმოქმნის მექანიზმი.

კვალის წარმოქმნის სახის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ კვალის წარმოქმნელი ობიექტი და კვალის მიმღები ობიექტი.

კვალის წარმოქმნის პროცესში მონაწილეობს სულ მცირე ორი ობიექტი. ორი ობიექტის შეხების ან ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება კვალი. ამ ობიექტების შეხების ადგილს ეწოდება საკონტაქტო ზედაპირი. ის ობიექტი, რომლის ზემოქმედების შედეგად დატოვებულია კვალი, წოდებულია ტრასოლოგიაში როგორც კვალის წარმოქმნელი ობიექტი. ამ სახის ობიექტებს მიეკუთვნება, მაგალითად: ადამიანის თითები ან ფეხსაცმელი, სატრანსპორტო საშუალების საბურავი, გატეხის იარაღი და ა.შ. ის ობიექტი, რომელზედაც კონტაქტის შედეგად რჩება კვალი წოდებულია ტრასოლოგიაში როგორც კვალის მიმღები ობიექტი. ამ სახის ობიექტებს მიეკუთვნება, მაგალითად: მინა, რომელზედაც დატოვებულია თითის კვალი; მიწა ადამიანის ფეხსაცმლის კვალით ან ავტოსატრანსპორტო საშუალების საბურავის კვალით; კარები, რომელზედაც დარჩენილია გატეხის იარაღის კვალი და ა.შ.

რაც შეეხება კვალთა კლასიფიკაციას მათი წარმოქმნის მექანიზმის მიხედვით, ტრასოლოგიაში მიღებულია შემდეგი დაყოფა: კვალის მიმღები ობიექტის ზედაპირის დეფორმაციის მიხედვით; კვალის წარმოქმნელი ობიექტის მოძრაობის მიხედვით; საკონტაქტო ზედაპირის ცვალებადობის მიხედვით; კვალის მიმღებ ობიექტზე ზემოქმედების სახის მიხედვით.

კვალის მიმღები ობიექტის ზედაპირის დეფორმაციის მიხედვით შეიძლება იყოს მოცულობითი (ჩაღრმავებული) კვალი და ზედაპირული კვალი.

მოცულობითია კვალი, როდესაც იცვლება კვალის მიმღები ობიექტის საკონტაქტო ზედაპირი. მოცულობითი კვალი წარმოიქმნება იმ ძალის შედეგად, რაც განიცადა კვალის მიმღებმა ობიექტმა. მოცულობითი კვალის წარმოქმნისათვის აუცილებელია, რომ კვალის მიმღებ ობიექტს ჰქონდეს უფრო რბილი ზედაპირი, ვიდრე კვალის წარმოქმნელ ობიექტს. მოცულობით კვალს მიეკუთვნება, მაგალითად: ადამიანის ფეხის ჩაღრმავებული (მოცულობითი) კვალი მიწის ზედაპირზე, ადამიანის თითის ანაბეჭდის ჩაღრმავებული კვალი კარაქზე და ა.შ.

ზედაპირულია კვალი, როდესაც კვალის მიმღები ობიექტის საკონტაქ-

ტო ზედაპირი არსებითად არ იცვლება და მასზე აღიბეჭდება კვალი. ზედაპირული კვალი თავისთავად იყოფა ორ ქვესახედ: დაშრევებული და აშრევებული კვალი. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კვალის მიმღებ ობიექტზე აღიბეჭდება კვალი, წოდებულია ტრასოლოგიაში როგორც დაშრევებული კვალი. ამ სახის კვალს მიეკუთვნება, მაგალითად: ადამიანის თითის კვალი, დატოვებული მინაზე ან სხვა გლუვ ზედაპირზე. ამ შემთხვევაში კვალი დაშრევებულია იმიტომ, რომ ადამიანის თითის ბალიშზე არსებული ნასვრეტებიდან (ფორები) გამოიყოფა ოფლი და მარილები, რაც გადადის კვალის მიმღებ ობიექტზე და წარმოქმნის დაშრევებულ კვალს.

როდესაც კვალის მიმღები ობიექტიდან გარკვეული ნაწილაკები ან ფენა გადადის კვალის წარმომქმნელ ობიექტზე, წოდებულია ტრასოლოგიაში როგორც აშრევებული კვალი. ამ სახის კვალს მიეკუთვნება, მაგალითად: ადამიანის თითზე გადასული საღებავი ან სისხლი, როდესაც იგი თითით შეეხო ახლად შეღებილ საგანს ან სისხლში გასვრილ ობიექტს. ამ შემთხვევაში კვალი აშრევებულია იმიტომ, რომ ადამიანის თითზე (კვალის წარმომქმნელ ობიექტზე) გადავიდა ის ნივთიერება, რაც არსებობდა კვალის მიმღებ ობიექტზე.

კვალის წარმომქმნელი ობიექტის მოძრაობის მიხედვით ტრასოლოგიაში განასხვავებენ სტატიკურ და დინამიკურ კვალს.

სტატიკურია კვალი, როდესაც კვალის წარმომქმნელი ობიექტი, როგორც წესი, უძრავ მდგომარეობაში ტოვებს ანაბეჭდს კვალის მიმღებ ობიექტზე. ამ შემთხვევაში კვალის მიმღებ ობიექტზე გარკვევით არის ასახული კვალის წარმომქმნელი ობიექტის ზომა, მისი ნიშან-თვისებები და ინდივიდუალური ნიშნებიც კი. ამ სახის კვალს მიეკუთვნება, მაგალითად: დარტყმის, დაწოლის ზემოქმედების დროს ან დაცემისას წარმოქმნილი კვალი, თითის ანაბეჭდი, ფეხის კვალი ან სატრანსპორტო საშუალების საბურავის კვალი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კვალის წარმომქმნელი ობიექტი ზოგჯერ მოზრაობს კიდევ, მაინც დროის უმცირეს მონაკვეთში, იგი უძრავად შეეხება კვალის მიმღებ ობიექტს და ტოვებს ანაბეჭდს (სტატიკურ კვალს).

სტატიკურ კვალს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იდენტიფიცირების პროცესში, რადგან იგი ანაბეჭდის სახით გადმოგვცემს კვალის წარმომქმნელი ობიექტის როგორც ზოგად, ისე ინდივიდუალურ ნიშნებს.

დინამიკურია კვალი, როდესაც კვალის წარმომქმნელი ობიექტი მოძრაობის დროს ტოვებს კვალს. ამ სახის კვალის წარმოქმნის დროს შეიძლება

მოდრაობდეს ორივე ობიექტი როგორც კვალის წარმომქმნელი, ისე კვალის მიმღები. მაგალითად, ხახუნის შედეგად დარჩენილი დინამიკური კვალი.

დინამიკურ კვალს მიეკუთვნება, მაგალითად: სრიალის დროს წარმოქმნილი კვალი (თხილამურის კვალი), სატრანსპორტო საშუალების საბურავის კვალი, დატოვებული დამუხრუჭების შემთხვევაში (სრიალის დროს), ტყვიაზე დატოვებული კვალი ცეცხლსასროლი იარაღით გასროლის შემთხვევაში, გაჭრის კვალი და ა.შ.

დინამიკური კვალი, როგორც წესი, ხაზობრივი კვალია (მოცულობითი ან ზედაპირული), რომლის მოცულობა, სიღრმე და სიმაღლე სხვადასხვაა. დინამიკურ კვალს ტოვებს ის დეფექტები, რაც გააჩნია კვალის წარმომქმნელ ობიექტს.

იმის გამო, რომ დინამიკურ კვალში აისახება, როგორც წესი, ზოგადი და საერთო და არა ინდივიდუალური და კერძო ნიშნები, ტრასოლოგიური გამოკვლევის პროცესში, სტატიკური კვალისგან განსხვავებით, მას ყოველთვის არა აქვს დიდი იდენტიფიკაციური მნიშვნელობა. ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს დინამიკურ კვალთან შედარებით იშვიათად გვაქვს საქმე. მაგრამ მისი გამოყენება იდენტიფიცირების მიზნებისათვის გამორიცხული არ არის, რადგან საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ კვალის წარმომქმნელი ობიექტის ზომაზე და ფორმაზე, ზოგ შემთხვევაში კი მის ინდივიდუალურ ნიშნებზეც.

საკონტაქტო ზედაპირის ცვალებადობის მიხედვით ტრასოლოგიაში განასხვავებენ ლოკალურ და პერიფერულ კვალს.

ლოკალურია კვალი, როდესაც იცვლება საკონტაქტო ზედაპირი, ე.ი. კვალის მიმღები ობიექტის ის ადგილი, რომელზედაც ზემოქმედება მოახდინა კვალის წარმომქმნელმა ობიექტმა. ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს უმრავლეს შემთხვევებში საქმე გვაქვს ლოკალურ კვალთან, ასეთს მიეკუთვნება ფეხის კვალი, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი და ა.შ.

პერიფერიულია კვალი, როდესაც იცვლება კვალის მიმღები ობიექტის არა საკონტაქტო ზედაპირი, არამედ პერიფერია. ასე მაგალითად, თოვლის მოსვლის ან წვიმის შემთხვევაში იცვლება არა ის ადგილი (საკონტაქტო ზედაპირი), სადაც მანქანა იდგა, არამედ პერიფერია, მზის სხივების ზემოქმედების შედეგად იცვლება არა ის ადგილი სადაც ბოთლი იდგა ქალაქზე (საკონტაქტო ზედაპირი), არამედ პერიფერია. პერიფერია ამ შემთხვევაში გახუნდება მზის სხივების ზემოქმედების შედეგად და კარგავს თავის პირვანდელ სახეს. ეს

კი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა ბოთლის ძირის ფორმისა და დიამეტრის შესახებ.

კვალის მიმღებ ობიექტზე ზემოქმედების სახის მიხედვით კვალი შეიძლება იყოს მექანიკური წარმოშობის, სითბური ან ქიმიური ზემოქმედების შედეგად მიღებული.

ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს შედარებით ხშირად გვაქვს საქმე ისეთ კვალთან, რომელიც წარმოშობილია მექანიკური ზემოქმედების შედეგად. მაგალითად: დაწოლის, დავარდნის, გაბურღვის, გატეხის კვალი და ა.შ. სითბურ კვალს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც წარმოიშვნენ ცხელი საგნების (კვალის წარმომტმნელი ობიექტების) ან მზის სხივების ზემოქმედების შედეგად. ქიმიური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ კვალს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც წარმოიშევიან სხვადასხვა სახის ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, დოკუმენტის ტექსტის ქიმიური წესით ამოშლის დროს და ა.შ.

კვალთა კლასიფიკაციას ტრასოლოგიაში არა მარტო თეორიული, არმედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან საშუალებას იძლევა სწორად შევარჩიოთ კვალის აღმოჩენის, ფიქსირების, ამოღებისა და გამოკვლევის ოპტიმალური ხერხები და მეთოდები.

§2 კვალთა აღმოჩენის, ფიქსირებისა და პროცესუალური გაფორმების ზოგადი წესები

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს შეიძლება აღმოჩენილ იქნას სხვადასხვა საგნებზე (მაგიდა, ბოთლი, მიწა, კარები და ა.შ.) სხვადასხვა სახის კვალი (თითის, ფეხის, კბილების, გატეხის იარაღთა, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი და ა.შ.). აღმოჩენილი კვალი შეიძლება იყოს კარგად ხილვადი, ნაკლებად ხილვადი ან საერთოდ უხილავი, იგი შეიძლება იყოს მოცულობითი ან ზედაპირული, სტატიკური ან დინამიკური, ლოკალური ან პერიფერიული.

კვალთა აღნიშნულ სახეობათა გათვალისწინებით კრიმინალისტიკურმა მეცნიერებამ შეიმუშავა ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები იმ მიზნით, რომ დროის ნაკლები დახარჯვით, ეფექტურად და მიზანსწრაფულად აღმოვაჩინოთ დანაშაულის შედეგად დატოვებული კვალი, მოვახდინოთ მისი ფიქსირება და ამოღება ისე, რომ კვალი არ დაზიანდეს და არ განადგურდეს.

კვალთა აღმოჩენას და ფიქსირებას აწარმოებს. როგორც წესი, გამომძიებელი, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მოიწვიოს სათანადო სპეციალისტი იმ ტექნიკური ხასიათის სამუშაოს შესასრულებლად, რაც საჭიროა კვალთა აღმოჩენასთან, ფიქსირებასა და ამოღებასთან დაკავშირებით.

საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს კვალზე მუშაობა მოიცავს რამდენიმე საფეხურს, რომლებსაც მიეკუთვნება: შემთხვევის ადგილის დაცვა, კვალის აღმოჩენა, კვალის ფიქსირება, კვალის პროცესუალური გაფორმება, კვალის ამოღება და შეფუთვა.

შემთხვევის ადგილის დაცვა გულისხმობს, ჯერ ერთი, გარეშე პირების განდევნას იმ ადგილიდან, სადაც შესაძლებელია არსებობდეს ან არსებობს დანაშაულის შედეგად დატოვებული კვალი, ამ ადგილის საზღვრების განსაზღვრას და მის დაცვას გამომძიებლის ან ოპერატიული მუშაკების მხრივ, შემთხვევის ადგილზე არსებული კვალის უშუალო დაცვას რაიმე საგნების დაფარვით, შემოღობით და ა.შ. შემთხვევის ადგილის სათანადო დაცვა თავიდანვე იძლევა იმის გარანტიას, რომ იქ არსებული კვალი შენარჩუნებული იქნება და აცილებული იქნება მისი დაზიანება ან განადგურება.

კვალის აღმოჩენა. კვალის აღმოჩენა წარმოადგენს ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ამოცანას შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას. კვალის აღმოჩენის რეალურ გარანტიას იძლევა შემთხვევის ადგილის გულდასმითი, სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური დათვალიერება. დათვალიერების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ყველა მნიშვნელოვან გარემოებას, განსაკუთრებით გლუვ ზედაპირიან საგნებს, რაზედაც აღიბეჭდება კვალი. კვალთა აღმოჩენის მიზნით დათვალიერება უნდა ჩატარდეს ყოველგვარი აჩქარების გარეშე.

კვალთა აღმოჩენის ხერხები და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის კვალს ვეძებთ. კვალის აღმოჩენა შეიძლება ვიზუალური დაკვირვების შედეგად, ჩვეულებრივი ან კუთხური განათებით, გამადიდებელი მინის მომაჯვებით, შუქფილტრების, ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი სხივების გამოყენებით, ქიმიური ხსნარების, ფხვნილების (ალუმინის, გრაფიტის, ლითონის), პოლიმერების გამოყენების საფუძველზე.

კვალის აღმოჩენის შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა გადაწყვიტოს ორი საკითხი: აქვს თუ არა კვალს რაიმე კავშირი გამოსაძიებელ საქმესთან, თუ იგი ატარებს შემთხვევით ხასიათს და ვარგისია თუ არა კვალი გამოსაკვლევეად.

კვალის ფიქსირება. კვალის ფიქსირება გულისხმობს უკვე აღმოჩენილი კვალის დამაგრებას, მის დაწვრილებით აღწერას და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მის აღბეჭდვას.

საჭიროების შემთხვევაში კვალი უნდა იყოს გასუფთავებული, თუ მას გადაეფარა შემთხვევითი საგნები (ქაღალდი, ფოთოლი და ა.შ.). მოცულობითი კვალიდან უნდა იყოს ამოღებული გარეშე საგნები (კენჭები, ჩხირები და ა.შ.).

გასუფთავებული კვალის ფიქსირების ერთ-ერთი საშუალებაა სასამართლო ფოტოგრაფიის მეთოდების გამოყენება. უნდა მოხდეს საკვანძო ფოტოგრაფიული გადაღება, ე.ი. აღმოჩენილი კვალი უნდა იყოს ფიქსირებული ახლომდებარე საგნებთან ერთად, რის შემდეგაც უკვე ხდება დეტალური ფოტოგადაღება, ე.ი. გადაიღება უშუალოდ კვალი მასშტაბთან ერთად (მასშტაბური გადაღება). აღნიშნული წესების დაცვით, კვალის ფიქსირების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას კინოგადაღება ან ვიდეოაპარატურა.

კვალის ფიქსირებისათვის გამომძიებელი უფლებამოსილია შეადგინოს შემთხვევის ადგილის სქემა და გეგმა იმ მიზნით, რომ გამოსახოს კვალის ადგილმდებარეობა, უშუალოდ კვალის ზომები და მისი პარამეტრები ახლომდებარე საგნების სისტემაში.

აღმოჩენილი კვალი დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი იმ საგანმძიებო მოქმედების ოქმში, რომლის ჩატარების დროსაც იგი იქნა აღმოჩენილი. კვალის აღწერა უნდა მოხდეს ზოგადი და კერძო ნიშან-თვისებათა მიხედვით და იმდენად დაწვრილებით, რომ პრაქტიკულად გამორიცხული იყოს კვალის შეცვლა ან მისი შერევა სხვა ანალოგიურ ობიექტებთან.

ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება კვალის ფიქსირების მიზნით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის კვალთან გვაქვს საქმე: ზედაპირულ თუ მოცულობით კვალთან. ზედაპირული კვალის ფიქსირების მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს ქიმიური ხსნარი (ნინგიდრინი), იოდის ორთქლი, სხვადასხვა სახის ფხვნილები (ალუმინის, ლითონის, გრაფიტის), სილიკატური პოლიმერები (მაღამო "K"), მასები (პლასტელინი, პარაფინი).

მოცულობითი კვალის ფიქსირების მიზნით, ზოგ შემთხვევაში, გამოიყენება ზემოდ დასახელებული პოლიმერები და მასები, მაგრამ ფიქსირების ძირითად საშუალებას წარმოადგენს მოცულობითი კვალიდან ტვიფრის დამზადება. ტვიფრის დამზადებისათვის, როგორც წესი, გამოიყენება თაბაშირი.

ზედაპირული და მოცულობითი კვალთა ფიქსირების პროცესი ასევე

დაწერილებით უნდა იყოს აღწერილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან სხვა შესაბამის საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

კვალის პროცესუალური გაფორმება. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ ყველა სახის კვალს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა საქმისათვის, როდესაც იგი საპროცესო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არის გაფორმებული.

კვალის პროცესუალური გაფორმება გულისხმობს მის ნიშან-თვისებათა დაწერილებით აღწერას შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან სხვა შესაბამის საგამოძიებო მოქმედების ოქმში. კერძოდ: იმ საგნისა და ადგილის მიითითებას, სადაც კვალი იყო დარჩენილი; ტექნიკურ საშუალებათა (ფოტოგრაფირება, კინოგადაღება, ვიდეოაპარატურა) გამოყენების აღწერას; რა სახის ტექნიკური საშუალება იყო გამოყენებული, ვინ გამოიყენა იგი; რა იყო გადაღებული, გამოყენების პირობები (დრო, ბუნებრივი თუ ხელოვნური განათება, გადასაღები აპარატურის ტექნიკური დახასიათება, ფირის შუქმგრძნობიარობა და ფერმგრძნობიარობა).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში დაწერილებით უნდა იყოს აღწერილი კვალისაგან ტვიფრის დამზადების პროცესი და კვალის სხვა საგანზე (დაქტილოფირზე) გადატანის შესახებ. ყოველივე ის, რაც ერთვის ოქმს დანართის სახით (ფოტოსურათები, სქემები, გეგმები, კვალის ტვიფრი და ა.შ.) უნდა იყოს დაკავშირებული ოქმთან. ოქმში უნდა მიეთითოს, თუ რა ერთვის ოქმს, ხოლო ოქმის დანართებს უნდა ჰქონდეს განმარტებითი წარწერა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენის დროს გამომძიებელმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 179-ე, 182-ე მუხლებით. ხოლო თუ აღმოჩენილი კვალი ან მისგან დამზადებული ტვიფრი საქმეს ერთვის, როგორც ნივთიერი მტკიცებულება უნდა იყოს აგრეთვე დაცული 75-ე მუხლის მოთხოვნაც.

კვალის ამოღება და შეფუთვა. იმ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებელი ჩათვლის, რომ აღმოჩენილ კვალს აქვს გარკვეული მნიშვნელობა საქმისათვის და კავშირშია დანაშაულებრივ ქმედებასთან, კვალი უნდა იყოს ამოღებული. გამომძიებელი უნდა ეცადოს, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, ამოიღოს უშუალოდ ის საგანი, რაზედაც კვალმა დარჩენილი. თუ ეს შეუძლებელია საგნის სიდიდის ან სწრაფადფუჭებადობის გამო, ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს ამოღებული კვალის ტვიფარი. ყოველ ამოღებულ საგანსა და კვალს უნდა გაუკეთდეს სათანადო წარწერა. კვალს ან საგანს უნდა მივაბათ მუყაო ან

მკვრივი ქალღმერთი წარწერით (მაგალითად, "ფეხის კვალის ტვიფარი, დამზადებული შემთხვევის ადგილზე ქ.თბილისში ნუცუბიძის ქ. №17 სახლის წინ ბობოხიძის მკვლელობის ფაქტზე 1994 წლის 3 მარტს. გამომძიებელი ვ.დ.ბარნაბიშვილი, დამსწრეები: მ.დ.კვირიკაძე, ა.კ.მდინარაძე").

ყოველი ამოღებული კვალი უნდა იყოს შეფუთული და დალუქული. კვალის შეფუთვა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ თავიდან იყოს აცილებული კვალისა და კვალზე არსებული ნიშნების დაზიანება.

კვალის ამოღების, შეფუთვისა და დალუქვის შესახებ უნდა გაკეთდეს სათანადო აღნიშვნა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან სხვა შესაბამის საგამომძიებო მოქმედების ოქმში.

ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენება საჭიროა კვალთა აღმოჩენის, ფიქსირებისა და ამოღებისათვის მოთავსებულია საგამომძიებო ჩემოდანში (პორტფელში), ოპერატიულ ხელჩანთაში.

§3 ხელის კვალი (დაქტილოსკოპია)

დაქტილოსკოპიის მეცნიერული საფუძვლები. ადამიანის ხელის კვალი შედარებით ხშირად რჩება შემთხვევის ადგილზე, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ იგი პიროვნების დასადგენად. კრიმინალისტიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის თითის ანაბეჭდების მიხედვით პიროვნების დადგენას წოდებულია დაქტილოსკოპიად. დაქტილოსკოპია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: "daqtilos" - თითს და "skopos" - ცქერას, დაკვირვებას, შესწავლას.

კრიმინალისტიკაში თითის ანაბეჭდები გამოიყენება ორი მიზნის მისაღწევად: პიროვნების დადგენისათვის და კრიმინალისტიკური აღრიცხვისათვის (რეგისტრაციისათვის) ე.წ. დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია. დაქტილოსკოპია არის ტრასოლოგიის ერთ-ერთი დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანის თითის ბალიშებზე მოთავსებული დვრილოვანი ხაზების მიხედვით პიროვნების დადგენისა და დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის საკითხებს, თითის ანაბეჭდების აღმოჩენას, ფიქსირებასა და გამოკვლევას კრიმინალისტიკური მიზნებისათვის.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მოყვანილია მონაცემები, რომლის მიხედვითაც ადამიანის თითის ანაბეჭდები გამოიყენებოდა პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ჩინეთში ჯერ კიდევ VII საუკუნეში. დაქტილოსკოპიის როგორც კრიმინალისტიკის დარგის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მთელი რიგი ავ-

ტორების შრომებმა. იტალიელმა მეცნიერმა მ.მალპინგმა (მე-17 საუკუნე) პირველად აღწერა დვრილოვანი ხაზები. ჩეხმა მეცნიერმა ი.პურკინიემ (მე-19 საუკუნე) განსაზღვრა ადამიანის თითის ბალიშებზე არსებული დვრილოვანი ხაზების თავისებურებები და შეეცადა მათ დაჯგუფებას. ინგლისელმა მეცნიერმა ვ.გერშელმა და ფ.გალტონმა (მე-19 საუკუნე) განსაზღვრეს რა დვრილოვანი ხაზების ინდივიდუალურობა და უცვლელობა, შეეცადნენ მოეხდინათ დვრილოვანი ხაზების კლასიფიკაცია (ჯგუფებად დაყოფა). გარკვეული წვლილი შეიტანეს დაქტილოსკოპიის განვითარებაში ფრანგმა აბერტილიონმა, ინგლისელმა ეპენრიმ და გერმანელმა რ.ჰეინდლმა (XIX-XX საუკუნეები). დასახელებული ავტორების შრომებში კიდევ უფრო დაზუსტდა და დაიხვეწა დვრილოვანი ხაზების ზოგადი და კერძო ნიშნები, მათი კლასიფიკაცია და ფიქსირების საშუალებანი.²

საბჭოთა პერიოდში დაქტილოსკოპიის როგორც ტრასოლოგიის დარგის განვითარებას და შემდგომ მეცნიერულ დამუშავებას ხელი შეუწყო პსემიონოვსკის, ვლებედევის, სპოტაპოვის, ი.ა.კიმოვის, ნტერზიევის, გგრანოვსკის და სხვათა შრომებმა.

თითის ანაბეჭდების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია და დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია შესაძლებელია იმიტომ, რომ თითის ბალიშებზე მოთავსებული დვრილოვანი ქარგები არის ინდივიდუალური. პრაქტიკაში არ შეიძლება ორ ადამიანს, თუნდაც ტყუპისცალებს ჰქონდეს ორი ერთნაირი დვრილოვანი ქარგი. ცნობილი დებულება, რომ სამყაროში ყველაფერი არის ინდივიდუალური, მთლიანად ვრცელდება ადამიანის თითის ანაბეჭდებზეც.

დვრილოვანი ქარგების მეორე თვისებას წარმოადგენს ის, რომ ისინი არიან შედარებით უცვლელი. როგორც დადგენილია დვრილოვანი ქარგები საბოლოოდ ჩამოყალიბდება დედის მუცელში ბავშვის ემბრიოლოგიური განვითარების მეექვსე თვეზე და იგი უცვლელი რჩება ადამიანის გარდაცვალების შემდეგაც, მის სრულ გახრწნამდე. შედარებითი უცვლელობა იმას ნიშნავს, რომ არ იცვლება დვრილოვანი ქარგი სახე, საერთო თუ კერძო ნიშნები და მისი აგებულება. იცვლება მხოლოდ დვრილოვანი ქარგის ზომები პიროვნების გაზრდასთან ერთად.

² აღნიშნულ საკითხზე დაწვრილებით იხ. შთაფთაშვილი, დაქტილოსკოპია, თბილისი, 1969, გვ. 19-44; Крылов И.Ф., Следы на месте преступления, Л., 1961, с. 13-17; Крылов И.Ф., Криминалистическое учение о следах, Л., 1976, с. 12-31.


თითის ბალიშების დაზიანების შემთხვევაში დერილოვანი ქარგები აღსდგება პირვანდელი სახით იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული არ არის დერმა (კანის შიდა შრე).

დერილოვანი ქარგებისათვის დამახასიათებელია მისი ალბეჭდვის უნარი სხვადასხვა საგნის ზედაპირზე. დერილოვანი ქარგების ალბეჭდვას იწვევს ის, რომ ადამიანის ხელზე არსებული ფორებიდან გამოიყოფა ოფლი და მარილები, რაც ხელს უწყობს საგნის ზედაპირზე დარჩეს თითის ანაბეჭდები.

მართო ის ფაქტი, რომ დერილოვანი ქარგები შეიძლება ალბეჭდოს საგნის ზედაპირზე, საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ ეს ანაბეჭდები შენარჩუნებული იყოს გარკვეული დროს განმავლობაში, რომ ისინი არ წაიშალონ, ან არ გაქრნენ. ამრიგად, თითის ანაბეჭდების მიხედვით იდენტიფიკაციისათვის საჭირო და აუცილებელი თვისებაა საგანზე დარჩენილი დერილოვანი ქარგების შენარჩუნების (შენახვის) უნარი.

დერილოვანი ხაზების განლაგება და მიმართულება სხვადასხვაგვარია, ამიტომ კრიმინალისტიკური მიზნებისათვის მათ გამოყენებას აადვილებს ის, რომ ისინი ექვემდებარებიან დაყოფას (კლასიფიკაციას) გარკვეული ნიშნის მიხედვით. დერილოვანი ქარგების კლასიფიკაციის შესაძლებლობა წარმოადგენს ერთ-ერთ თვისებას თითების ანაბეჭდების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციისათვის და დაქტილოსკოპიური რეგისტრაციისათვის.


ადამიანის ხელისგულის აგებულება. ადამიანის ხელისგულის ზედაპირი დაფარულია უამრავი დერილოვანი ხაზებით, ნაოჭებით, საკეცი ხაზებით და ნასვრეტებით (ფორებით). ყოველი მათგანის დანიშნულება სხვადასხვაა. დერილოვანი ხაზები (ამობურცული ხაზები) აღიდებს ხახუნის კოეფიციენტს, ზრდის ხელის ჩაჭიდების უნარს და ხელს უწყობს საგნის ფორმისა და ზედაპირის შეგრძნობას. საკეცი ხაზები (ეგროფორებული თეთრი ხაზები) აადვილებს ხელის მოკეცვის უნარს. ნაოჭები (მცირე თეთრი ხაზები) ასევე ხელს უწყობს ხელის უნარიან მოკეცვას. ნასვრეტები (ფორები) გამოყოფენ ოფლს და მარილებს ადამიანის სხეულიდან. ხელის თითების ფალანგებზე (ბალიშებზე) მოთავსებულია დერილოვანი ქარგები, რომელთაც დერილოვანი ხაზები წარმოქმნიან. დერილოვანი ხაზები ხელისგულზე მიემართებიან სხვადასხვა მიმართულებით და, ძირითადად, პარალელურად. დერილოვანი ხაზები წარმოადგენს ამობურცულ ხაზებს და მათ შორის არსებობს ჩაზნექილი ხაზები ანუ ღარები. დერილოვანი ხაზების სიგანე, როგორც წესი, არის 0,4-0,6 მმ, სიმაღლე 0,1-0,4 მმ. (იხ. სურათი 1).



სურ.1 ადამიანის ხელიაბულის აგებულება
 1. დერილოვანი ხაზები (შავი ხაზები), რომლითაც დაფარულია ადამიანის ხელისგული,
 2. საკეცი ხაზები (თეთრი ხაზები),
 3. ნაოჭები (მცირე თეთრი ხაზები),
 4. დერილოვანი ქარგები.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მიღებულია დებულება, რომ ადამიანის ხელის კანი შედგება ორი შრისაგან: შიდა შრე ანუ დერმა (უშუალო კანი) და გარე შრე ანუ ეპიდერმისი (ზედა კანი). დერმის ზედაპირი წარმოქმნის დერილოვან ხაზებს.

დერილოვან ხაზებზე მოთავსებულია ფორები (ნასვრეტები). ფორების დიამეტრია 0,08-0,25 მმ. (იხ. სურათი 2).



სურ.2 ადამიანის ხელიაბულის კანის აგებულება
 1. უშუალოდ კანი ანუ დერმა (შიდა შრე),
 2. ზედა კანი ანუ ეპიდერმისი (გარე შრე),
 3. დერილოვანი ხაზები,
 4. დერილოვან ხაზებზე მოთავსებული ფორები (ნასვრეტები),
 5. დერილოვანი ხაზის სივანე.



ერთ სანტიმეტრზე მოთავსებულია 8-დან 18 ფორამდე.³ ფორების დიამეტრი და მათი კიდურების მოხაზულობა სხვადასხვაა, ატარებს ინდივიდუალურ და უცვლელ ხასიათს. სწორედ ამიტომ, როდესაც ისინი ასახულია რაიმე საგანზე, შესაძლებელია ფორების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის დადგენა. დაქტილოსკოპიის იმ სახეს, რომელიც ფორების მიხედვით ახდენს პიროვნების იდენტიფიკაციას, ეწოდება ფოროსკოპია (იხ. სურათი 3).

სურ.3. ადამიანის ხელიაბულზე დერილოვან ხაზებზე არსებული ფორები (ნასვრეტები)

³ Криминалистика, том I, М., 1978, с. 284.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ფოროსკოპიის გამოყენებას ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ფრანგმა კრიმინალისტმა ედმონდ ლოკარმა. საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხს არ ექცევა სათანადო ყურადღება. ერთ-ერთ სერიოზულ გამოკვლევას მიეკუთვნება 1975 წელს გამოცემული შრომა.⁴

დვრილოვანი ქარგების სახეები და თავისებურებანი. კრიმინალისტიკაში არსებობს დვრილოვანი ქარგების სამი სახე: ა) რკალისებური ქარგი, 2) მარყუჟისებური ქარგი და გ) ხვეული ქარგი.

რკალისებურ ქარგს მიეკუთვნება დვრილოვანი ხაზების ისეთი განლაგება, როდესაც ისინი იწყებიან თითის ფალანგის (ბალიშის) ერთი გვერდიდან, მიემართებიან ზემოთ (ცენტრში) და ეშვებიან თითის ფალანგის მეორე მხარეს ისე, რომ წარმოქმნიან რკალისმაგვარ გამოხატულებას. სწორედ ამიტომ მას ეწოდება რკალისებური ქარგი (იხ. სურათი 4).



რკალისებური ქარგი თავისთავად იყოფა ორ ქვესახედ: მარტივი რკალისებური ქარგი და კარვისებური ქარგი. მარტივი რკალისებური ქარგისაგან განსხვავებით კარვისებური ქარგი თითის ცენტრში თითქმის ვერტიკალურად არის მიმართული და შემდეგ ეშვება თითის მეორე მხარეს. რკალისებური ქარგს დელტა არა აქვს (იხ. სურათი 5 და 6).

სურ.4. რკალისებური ქარგი.



სურ.5. მარტივი რკალისებური ქარგი.



სურ.6. მარყუჟისებური ქარგი


⁴ Селиванов Н.А., Дворкин А.И., Викторова Е.Н., Возможности пороскопического метода при дактилоскопических исследованиях, М., 1975.



მარყუქისებურ ქარგს მიეკუთვნება დვრილოვანი ხაზების ისეთი განლაგება, როდესაც ისინი წარმოქმნიან თითის ცენტრში მარყუქის გამოსახულებას. დვრილოვანი ხაზები იწყებიან თითის ფალანგის (ბალიშის) ერთ მხარეს, აღიმართებიან თითის ცენტრში, სადაც წარმოქმნიან მარყუქისებურ გამოსახულებას და ეშვებიან თითის მეორე მხარეს (იხ. სურათი 7).

სურ.7. მარყუქისებური ქარგი.

მარყუქისებური ქარგები იყოფიან აგრეთვე ქვესახეებად, რომელთაც მიეკუთვნება ჰორიზონტალური მარყუქი, ვერტიკალური მარყუქი, მარყუქი ჩამოშვებული თავით, შერეული მარყუქი (რაკეტა), შემხვედრი მარყუქი და პარალელური მარყუქი. მარყუქისებურ ქარგში არის ერთი დელტა (იხ. სურათი 8).



სურ.8. მარყუქისებური ქარგების კლასიფიკაცია.

1. ჰორიზონტალური მარყუქი,
2. მარყუქი ჩამოშვებული თავით,
3. შერეული მარყუქი (რაკეტა),
4. შემხვედრი მარყუქი,
5. პარალელური მარყუქი,
6. ვერტიკალური მარყუქი.

მარყუქისებური ქარგები იმის და მიხედვით, თუ საით არის მიმართული მარყუქის ფეხები (მარყუქის დაბოლოება), იყოფა კიდევ ორ სახედ: რადიალურ მარყუქად და ულნარულ მარყუქად. როდესაც მარყუქის დაბოლოება (ფეხები) მიმართულია ცერა თითისკენ. მას ეწოდება რადიალური მარყუქი (ცერა თითზე მდებარე რადიალური სხივის ძვალი). როცა მარყუქის დაბოლოება (ფეხები) მიმართულია ნეკა თითისაკენ, მას ეწოდება ულნარული მარყუქი (ნეკა თითზე მდებარე ულნარული სხივის ძვალი).



ხვეულ ქარგს მიეკუთვნება დერილოვანი ხაზების ისეთი განლაგება თითის ბალიშებზე, როდესაც ისინი თითის ცენტრში წარმოქმნიან ხვეულ გამოსახულებას (იხ. სურათი 9).

სურ.9. ხვეული ქარგი.

ხვეულ ქარგში არის ორი დელტა. როგორც წესი ისინი მდებარეობენ ხვეული ქარგის ფუძეზე. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება იყოს სამი დელტა. მესამე დელტა მდებარეობს ხვეული ქარგის ზემო ნაწილზე. ხვეული ქარგები



1



2



3



4

იყოფა ქვესახეებად იმისდამიხედვით თუ რა სახის ქარგებს წარმოქმნიან დერილოვანი ხაზები. თუ ისინი წარმოქმნიან წრეს, მას ეწოდება წრიული ხვეული ქარგი. თუ წარმოქმნიან ოვალს, მას ეწოდება ოვალური ხვეული ქარგი და ა.შ. განასხვავებენ ხვეული ქარგის შემდეგ ქვესახეებს: წრიული, ოვალური, სპირალისებური, სპირალ-ლოკოკინა, ხვეული ქარგი გაურკვეველი ცენტრით, ტყუპი ხვეული ქარგი. (ზოგიერთი მათგანის გამოსახულება იხ. სურ. 10-ზე).

სურ.10. ხვეული ქარგების ქვესახეები.

- 1 ოვალური ხვეული ქარგი,
- 2 სპირალისებური ხვეული ქარგი,

- 3 სპირალ-ლოკოკინა,
- 4 ტყუპი ხვეული ქარგი.

როგორც აღინიშნა მარყუჟისებურ და ხვეულ ქარგებში წარმოიქმნება დელტა. დელტა არის დვრილოვანი ხაზების განშტოება, რომელიც წარმოიქმნება დვრილოვანი ქარგის ცენტრის ქვეშ, ზემოთ ან გვერდით. განასხვავებენ სამი სახის დელტას: ტიპიური დელტა, როდესაც დვრილოვანი ხაზები შედგება ორი პარალელური ხაზისაგან, რომლებიც განშტოვდებიან დვრილოვანი ქარგის დასაწყისში. გაპობილი დელტა, როდესაც ორ პარალელურ დვრილოვან ხაზებს შორის გადის დვრილოვანი ხაზი. განშტოებული დელტა, როდესაც დვრილოვანი ხაზი განშტოვდება დვრილოვანი ქარგის დასაწყისში (იხ. სურათი 11).



სურ.11. დელტას გავრცელებული სახეები.

1 ტიპიური დელტა, 2. გაპობილი დელტა, 3. განშტოებული დელტა.

დვრილოვანი ხაზების კლასიფიკაციას, მათ დაყოფას სახეებად და ქვესახეებად აქვს დიდი მნიშვნელობა თითის ანაბეჭდების სისტემატიზირებისათვის. რაც აადვილებს მათ გამოკვლევას. დვრილოვანი ქარგების სახეებს მით უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება აქვს, რაც უფრო იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში მიღებულია დვრილოვანი ქარგების შემდეგი სიხშირე. რკალისებური ქარგები გვხვდება 5% შემთხვევაში, ხვეული ქარგები - 30%, ხოლო ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს მიეკუთვნება მარყუჟისებური ქარგები - 65% შემთხვევაში.

ჩვენს მიერ შესწავლილი იყო 500 თითის ანაბეჭდი დვრილოვანი ქარგების სახეების სიხშირის დადგენის მიზნით, რის შედეგადაც, ძირითადად, დადასტურდა კრიმინალისტიკაში მიღებული დვრილოვანი ქარგების სახეების სიხშირე. აბსოლუტურ ციფრებში დვრილოვანი ქარგების შესწავლის შედეგად (500 თითის ანაბეჭდი) რკალისებური ქარგი გამოვლინდა 37 შემთხვევაში, ხვეული ქარგი - 128, ხოლო მარყუჟისებური ქარგი - 335 შემთხვევაში.⁵

დვრილოვანი ქარგების მიხედვით დგინდება თითის ანაბეჭდების ზოგადი და საერთო ნიშნები, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს იდენტიფიკაციისათვის, მაგრამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის (ინდივიდუალური


⁵ Палиашвили А.Я. Идентификационное значение деталей папиллярных узлов в дактилоскопической экспертизе М. 1960.

იდენტიფიკაციისათვის) არ არის საკმარისი. დერილოვანი ხაზების სახეებსა და ქვესახეებს გარდა უნდა განისაზღვროს ცალკეული დერილოვანი ხაზების თავისებურებანი, ე.ი. დადგინდეს დერილოვანი ხაზების კერძო ნიშნები, რის გარეშეც შეუძლებელია თითის ანაბეჭდების მიხედვით პიროვნების დადგენა.

დაქტილოსკოპიაში მიღებული იყო დერილოვანი ხაზების 12-16 თავისებურება (კერძო ნიშანი). ამ დარგში სპეციალური გამოკვლევის შედეგად ჩვენს მიერ დადგენილი იქნა დერილოვანი ხაზების 25 თავისებურება (კერძო ნიშანი). მათ მიეკუთვნება: დერილოვანი ხაზი (დასაწყისი და დაბოლოვება), დერილოვანი ხაზის განშტოება (ორთითა), წერტილები, ყაუჭი, წრიული თვალაკი, ოვალური (წაგრძელებული) თვალაკი, სამკუთხა თვალაკი, ბოგირი, მოკლე დერილოვანი ხაზი, წყვეტილი დერილოვანი ხაზი, შეწყვეტილი დერილოვანი ხაზი, ვიწრო დერილოვანი ხაზი, შემხვედრი დერილოვანი ხაზები, გამკვეთი დერილოვანი ხაზი, განშტოება (ორთითა) შიდა დერილოვანი ხაზით, შეერთებული განშტოებები, შემხვედრი განშტოებები, წყვილი განშტოებები, გაორებული განშტოებები, ჩამოკიდებული განშტოებები, განშტოება თვალაკით, მარყუჭი შიდა დერილოვანი ხაზით, მარყუჭი შიდა ორი დერილოვანი ხაზით, ორმაგი მარყუჭი, ნაძვისებური დერილოვანი ხაზები (იხ. სურათი 12).

თითის ანაბეჭდის მიხედვით პიროვნების იდენტიფიცირებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო დერილოვანი ქარგების სახეებისა და ქვესახეებს დამთხვევა, არამედ დერილოვანი ხაზების თავისებურებათა (კერძო ნიშნების) დამთხვევაც, მათი ურთიერთგანლაგება გამოსაკვლევ და შესადარებელ თითის ანაბეჭდში.

შემთხვევის ადგილზე თითის ანაბეჭდების აღმოჩენა. შემთხვევის ადგილზე შეიძლება იყოს როგორც მოცულობითი ხელის კვალი, ისე ზედაპირული, როგორც ხილვადი და ნაკლებად ხილვადი, ასევე უხილავი თითის ანაბეჭდები. იდენტიფიკაციისათვის ვარგისი თითის ანაბეჭდები რჩება ისეთ საგნებზე, რომელთაც აქვთ გლუვი ზედაპირი ან რომლის ზედაპირის სტრუქტურაც (აგებულება) უფრო მცირეა, ვიდრე ხელის თითის ბალიშისა. ასეთ საგნებს მიეკუთვნება, მაგალითად: მინა და მინის ნაწარმი, პლასტიკატები და მათი ნაწარმი, ფაიფური და მისი ნაწარმი, ლითონი და მისგან დამზადებული საგნები, ლაქით დაფარული ზედაპირი, ავეჯი, ქალაღი, მუყაო, მასები (პლასტილინი, კარაქი, პარაფინი) და სხვა.



სურ.12. დვრილოვანი ხაზების თავისებურებანი (ძირით ნიშნები)

1. დვრილოვანი ხაზი (დასაწყისი და დაბოლოება).
2. დვრილოვანი ხაზის განშტოება.
3. წერტილები.
4. ყაუჭი.
5. წრიული თვალატი.
6. წაგრძელებული (ოვალური) თვალატი.
7. სამკუთხა თვალატი.
8. ბოგირი.
9. მოკლე დვრილოვანი ხაზები.
10. წვეტილი დვრილოვანი ხაზი.
11. შეწყვეტილი დვრილოვანი ხაზი.
12. ვიწრო დვრილოვანი ხაზი.
13. შემხვედრი დვრილოვანი ხაზები.

14. გამკვეთი დვრილოვანი ხაზი.
15. განშტოება შიდა დვრილოვანი ხაზით.
16. შეერთებული განშტოებები.
17. შემხვედრი განშტოებები.
18. წყვილი განშტოებები.
19. გაორებული განშტოებები.
20. ჩამოკიდებული განშტოებები.
21. განშტოება თვალატით.
22. მარუეთი შიდა დვრილოვანი ხაზით.
23. მარუეთი შიდა ორი დვრილოვანი ხაზით.
24. ორმაგი მარუეთი.
25. ნაძვისებური დვრილოვანი ხაზები.

იმისათვის, რომ აღმოვაჩინოთ ნაკლებად ხილვადი და უხილავი თითის ანაბეჭდები, საგნები უნდა დათვალიერდეს დახრილი კუთხით 40-45°, ანდა უნდა განათდეს აღნიშნული კუთხით, ხოლო მეორე (მოწინააღმდეგე) მხრიდან (ამავე კუთხით დახრილი) უნდა ვუცქიროთ საგნის ზედაპირს. ასეთი დათვალიერების შედეგად თითის ანაბეჭდები ხდება შესამჩნევი. თითის ანაბეჭდების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში უნდა იყოს იგი ფოტოგრაფირებული დეტალური და საკვანძო ფოტოგადაღების წესით. თუ თითის ანაბეჭდი დატოლვებულია ისეთ საგანზე, რომლის ამოღებაც პრაქტიკულად შეუძლებელია, იგი უნდა იყოს ამოღებული და სათანადოდ შეფუთული. შემდგომში ამოღებულ თითის ანაბეჭდებს გამოიკვლევს ექსპერტი.

თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნება. უხილავი და ნაკლებად ხილვადი თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ყველა მათგანი იყოფა ორ ჯგუფად: მექანიკური საშუალებები, ე.ი. ფხვნილების გამოყენება, და ქიმიური საშუალებები, ე.ი. ქიმიური ნივთიერებების (იოდის ორთქლი, ნინგიდრინი, პოლიმერები) გამოყენება თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნებისათვის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს ის კონკრეტული საშუალება, რომელიც უფრო ეფექტურს წარმოადგენს თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნებისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კვალის მიმღები ობიექტის ზედაპირი და ფერი. თუ ხორკლიანი ზედაპირია, უმჯობესია გამოვიყენოთ პოლიმერები. თუ თითის ანაბეჭდი დატოვებულია მუქი ფერის გლუვ ზედაპირზე, სასურველია გამოვიყენოთ ისეთი თეთრი ფერის საშუალებანი, რომლებიც უფრო კონტრასტულს გახდის თითის ანაბეჭდს (მაგალითად ალუმინის ფხვნილი). თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე კვალის წარმოქმნის მექანიზმი, დატოვებული თითის ანაბეჭდის ხანგრძლივობა, მისი შენახვის პირობები და სხვა.

მექანიკური საშუალებების გამოყენება თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნებისათვის. მექანიკური საშუალებებით თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნება შედარებით ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. საგამოძიებო ჩემოდანში არსებობს ყველა საჭირო ხელსაწყო, რის მეშვეობითაც ხდება მექანიკური საშუალებებით თითის ანაბეჭდების გამოვლინება. პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ბრინჯაოს, ალუმინის, გრაფიტის, ტყვიის, თუთიის

ზეჟანგისა და ლითონის ფხვნილები. ფხვნილების გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოება. ფხვნილები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ თითის ანაბეჭდი არის სველი, ნოტიო ან დანამული. ასეთი წესი იმით არის განპირობებული, რომ ფხვნილს მიიზიდავს არა მარტო თითის ანაბეჭდი, არამედ საგნის მთელი სველი, ნოტიო ან დანამული ზედაპირი. ფხვნილებით თითის ანაბეჭდების დამუშავება, როგორც წესი, ხდება ახლად დატოვებულ კვალზე, რადგან თითის ანაბეჭდში ჯერ კიდევ არის ადამიანის თითის ფორებიდან გამოყოფილი ოფლი და მრილები. თეთრ ზედაპირზე დატოვებული თითის ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლად გამოიყენება მუქი ფერის ფხვნილები (თუთის ზეჟანგი, გრაფიტის, ლითონის ფხვნილები) და პირიქით მუქ ზედაპირზე დატოვებული თითის ანაბეჭდის გამოსამჟღავნებლად გამოიყენება თეთრი ფერის ფხვნილები (ალუმინის, ბრინჯაოს ფხვნილები).

თითის ანაბეჭდის გამომჟღავნების მიზნით დაქტილოსკოპიური ფუნჯის გამოყენებით ფხვნილით ფრთხილად დაფარავენ თითის კვალის ზედაპირს. ამავე მიზნით გამოიყენება აგრეთვე საგამოძიებო ჩემოდანში მოთავსებული სპეციალური პულვერიზატორი, რომლის მეშვეობითაც ხდება თითის ანაბეჭდის ფხვნილით დამტვერვა. თითის ანაბეჭდზე ზედმეტი ფხვნილის ჩამოცილება ხდება ფუნჯის ფრთხილი ჩამოსმით. იმ შემთხვევაში, როდესაც თითის ანაბეჭდის დამუშავებისათვის გამოიყენება ლითონის ფხვნილი, მას გადაიტანენ თითის ანაბეჭდზე სპეციალური მაგნიტური ფუნჯის მეშვეობით. ზედმეტი ფხვნილის ჩამოცილების შემდეგ საგანზე რჩება მხოლოდ გამომჟღავნებული თითის ანაბეჭდი, რომელიც უნდა იყოს ფოტოგრაფირებული დეტალური ფოტოგრაფირების წესით და გადატანილი დაქტილოსკოპიურ ფირზე.

ქიმიური საშუალებების გამოყენება თითის ანაბეჭდების გამოვლინება-გამომჟღავნებისათვის. ქიმიური საშუალებებიდან თითის ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლად შედარებით ხშირად გამოიყენება იოდის ორთქლი, ნინგიდრინი და პოლიმერები.

იოდის ორთქლი გამოიყენება, როგორც წესი, ქალაქდზე, მუყაოზე, ხის გლუვ ზედაპირზე დარჩენილი უხილავი კვალის გამომჟღავნებისათვის, აგრეთვე ისეთი ძველი თითის ანაბეჭდების გამოვლინებისათვის, როდესაც ფხვნილების გამოყენება არ გვაძლევს სასურველ შედეგს. იოდის ორთქლის გამოყენება კარგ შედეგს იძლევა ჭუჭყით დაფარულ კვალთა გამომჟღავნებისათვის.

იოდის ორთქლის გამოყენების ტექნიკა შემდეგია. საგამოძიებო ჩემოდანში

მოთავსებულია სპეციალური ხელსაწყო - იოდის მილაკი. მასში მოათავსებენ იოდის კრისტალებს. სპირტის ქურის გამოყენების მეშვეობით ან უშუალოდ მილაკის ხელში დაჭერით, სითბოს ზეგავლენით, იოდის კრისტალები იქცევა ორთქლად. ამ ორთქლით დაფარავენ გამოსამქლანებელ თითის ანაბეჭდს. იოდის ორთქლი შეერწყმება თითის ანაბეჭდზე არსებულ ოფლსა და მარილებს, რის შედეგადაც უხილავი თითის ანაბეჭდი გახდება ხილვადი (ყავისფერი). იმის გამო, რომ იოდი მალე ორთქლდება გამომქლანებული თითის ანაბეჭდი სწრაფად უნდა იყოს ფოტოგრაფირებული დეტალური ფოტოგადაღების წესით. იოდის ორთქლის გამოყენებით ერთიდაიგივე თითის ანაბეჭდი შეიძლება გამომქლანდეს რამოდენიმეჯერ.

იოდის ორთქლით გამომქლანებული თითის ანაბეჭდის ფიქსირებისათვის ფოტოგრაფირების გარდა გამოიყენება მისი ფხვნილებით დამუშავება, გამომქლანებული ანაბეჭდის გადატანა ფოტოფირზე ან ფოტოქალაღზე.⁶

პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება თითის ანაბეჭდების გამომქლანების მიზნით ისეთი ქიმიური ხსნარი, როგორცაა ნინჰიდრინი. ნინჰიდრინის გამოყენება ეფექტურ შედეგებს იძლევა ქალაღზე დარჩენილი კვალის გამომქლანებისათვის, ძველი თითის ანაბეჭდების გამოვლენისათვის.

ნინჰიდრინის გამოყენების ტექნიკა გამოიხატება შემდეგში: გამოსამქლანებელ თითის ანაბეჭდს პულვერიზატორის, ფუნჯის ან ბამბის მეშვეობით დაფარავენ ნინჰიდრინის სითხით, რომელიც რეაქციაში შედის თითის ანაბეჭდების ოფლისა და მარილების ნაწილაკებთან. დაფარვიდან გარკვეული დროის მონაგეტში უხილავი თითის ანაბეჭდები მიიღებს იისფერ გამოსახულებას. გამომქლანების დრო დამოკიდებულია სინათლეზე და სითბოზე, რაც უფრო მეტია განათება და სითბო, მით უფრო ჩქარა გამოვლინდება უხილავი თითის ანაბეჭდები. დროის ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს ნახევარი საათიდან ოცდამდე საათამდე. გამოვლენილი უხილავი თითის ანაბეჭდი გადაიღება დეტალური ფოტოგადაღების წესით.

უკანასკნელ პერიოდში მოცულობითი ან ზედაპირული თითის ანაბეჭდიდან ტვიფარის დამზადებისათვის წარმატებით გამოიყენება პოლიმერები, კერძოდ კი სილიკატური მალამო (პასტა) "K". ამ საშუალებას გამოიყენებენ მაშინ, როდესაც თითის ანაბეჭდები (ხილვადი ან ნაკლებად ხილვადი) დამტვერილია, დაფარულია ზეთით ან სხვა სახის ჭუჭყით. სილიკატური მალამოს "K"

⁶ დაწერილებით ამ საკითხზე იხ. ფაფიაშვილი შ.გ., დაქტილოსკოპია, თბილისი, 1969, გვ. 101-102.

გამოყენება შემდეგი წესით ხდება. მალამოს მოსმით ფრთხილად (ისე, რომ კვალი არ დაზიანდეს) დაფარავენ თითის ანაბეჭდის ზედაპირს და შეურევნ მას კატალიზატორის სითხეს (დამაჩქარებელ სითხეს) იმ მიზნით, რომ მალამო "K" შედარებით სწრაფად გადაიქცეს თეთრი ფერის რეზინისმაგვარ მასად (ამას სჭირდება გარკვეული დრო, რაც დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე). რეზინისებურ მასაზე მთლიანად და ზუსტად აისახება თითის ანაბეჭდების დერილოვანი ხაზები და მისი ყველა დამახასიათებელი ნიშანი.

უკანასკნელ პერიოდში მალამო "K"-ს ნაცვლად წარმატებით გამოიყენება ახალი პლასტიკური სოლიკატური საშუალებები: ექსაფლესი, ოპოზილი, პროვილი, რომელთა გამოყენებაც თითის ზედაპირული ან მოცულობითი კვალის ამოღებისათვის იძლევა უფრო ეფექტურ შედეგს და გამოყენების პროცესი არის შედარებით მარტივი.⁷

თითის ანაბეჭდების ამოღება. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი (ხილვადი თუ უხილავი) ყველა შემთხვევაში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი საგამოძიებო მოქმედების ოქმში, ამოღებული და დაერთოს საქმეს ნივთიერი მტკიცებულების სახით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თითის ანაბეჭდიანი საგნის ამოღება შეუძლებელია მისი სიდიდის თუ სწრაფადფუჭებადობის გამო, მოცულობითი თითის ანაბეჭდიდან უნდა დამზადდეს ტვიფარი, ხოლო ზედაპირული გამომჟღავნებული თითის ანაბეჭდი უნდა იყოს გადატანილი დაქტილოსკოპიურ ფირზე.

დაქტილოსკოპიური ფირი მოთავსებულია საგამოძიებო ჩემოდანში. დაქტილოსკოპიური ფირი მზადდება ორი ფერის: გამჭვირვალე და შავი, ზომით 9x12. დაქტილოფირი შედგება ორი ფენისაგან. დაქტილოფირის ერთი ფენა დაფარულია სპეციალური წებოვანი ნივთიერებით, ხოლო მეორე ფენა (დამცველი ფენა) ფარავს წებოვანი ნივთიერებით დაფარულ მხარეს.

დაქტილოსკოპიური ფირის (დაქტილოფირის) გამოყენების ტექნიკა გამოიხატება შემდეგში. კონტრასტულობის გადიდების მიზნით თეთრ საგანზე დარჩენილ თითების ანაბეჭდებისათვის გამოიყენება შავი ფერის დაქტილოფირი და პირიქით. იმისათვის, რომ დაქტილოფირზე გადავიტანოთ თითის ანაბეჭდი, დაქტილოფირს უნდა ავაცალოთ დამცველი ფენა და წებოვანი ნივთიერე-

⁷ იხ. გზახტაძე, ივალცევი, ესიმონიშვილი, კვალის ასაღები ახალი საშუალება, „საბჭოთა სამართალი“, 1989, №6, გვ.47-49.

ბით დაფარული ფენით ერთი შეხებით დაფაროთ თითის ანაბეჭდი ისე, რომ იგი არ დაზიანდეს. დაფარვის შემდეგ უნდა განიდევნოს ჰაერის დარჩენილი ბუშტულები ფენაზე ხელის ერთი გასმით. ამის შემდეგ უნდა ავაცალოთ წებოვანი ნივთიერებით დაფარული ფენა თითის ანაბეჭდს. გადატანილი თითის ანაბეჭდის დაცვის მიზნით ამ ფენას უნდა დაფაროთ დაქტლოფირის მეორე, დაცვითი ფენა და გავდევნოთ ჰაერის დარჩენილი ბუშტულები ისე, რომ არ დაზიანდეს დაქტლოფირზე გადატანილი თითის ანაბეჭდი.

დაქტილოსკოპიური ფირის კიდები სასურველია შეიკეროს, რათა თითის ანაბეჭდი არ დაზიანდეს. დაქტილოფირს უნდა მიეკრას მუყაოს ნაჭერი წარწერით, თუ სად, რომელ საქმეზე, როდის და ვის მიერ იყო ამოღებული თითის ანაბეჭდი. წარწერას ხელს აწერს გამომძიებელი და დამსწრეები. დაქტილოფირი ერთვის საქმეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულება და მასზე ვრცელდება ის პროცესუალური რეჟიმი, რაც საპრცესო კანონით დადგენილია ნივთიერი მტკიცებულების მოპოვებისათვის.

§4 ადამიანის ფეხის კვალი

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს გვხვდება ადამიანის ფეხის კვალი, დარჩენილი შემთხვევის ადგილზე. ფეხის კვალის მეშვეობით დგინდება დანაშაულის ჩადენის გარემოება: ფეხის კვალის დამტოვებლის სქესი; სიმაღლე; პირთა რაოდენობა; დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი; ფეხის კვალის დამტოვებლის სიარლის თავისებურებანი; ფეხსაცმლის ფორმა, ზომა, მისი საერთო და კერძო ნიშნები. ფეხის კვალის საფუძველზე აიგება ვერსიები და ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი. იმ შემთხვევაში, როდესაც კვალი დატოვებულია ადამიანის შიშველი ფეხით მისი გამოკვლევის საფუძველზე ხდება უშუალოდ პიროვნების დადგენა, სხვა შემთხვევებში - ფეხსაცმლის იდენტიფიკაცია.

ადამიანის ფეხის კვალის სახეები. შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილი იქნას როგორც მოცულობითი ფეხის კვალი, ისე ზედაპირული, როგორც სტატიკური, ისე დინამიკური. ფეხის კვალთა ფიქსირებისა და გამოკვლევის თავისებურება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ფეხის კვალთან გვაქვს საქმე.

ადამიანის ფეხის კვალი შეიძლება დარჩენილი იყოს შემთხვევის ადგილზე სხვადასხვა პირობებში. კერძოდ: სიარულის პროცესში, სირბილის შემთხ-

ვევაში, დგომის დროს და გადახტომის შედეგად. ყველა ამ სახის კვალს ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს გამოკვლევის პროცესში.

შემთხვევის ადგილზე გვხვდება ადამიანის ფეხის კვალის შემდეგი სახეები: კვალი, დატოვებული შიშველი ფეხით, კვალი, დატოვებული ფეხსაცმლით და ფეხის კვალი, დატოვებული წინდებით. ამ კვალთა ცალკეული სახეებისათვის დამახასიათებელია სპეციფიური საერთო და კერძო ნიშნები, მათი ფიქსირებისა და გამოკვლევის თავისებურებანი.

შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილი იქნას როგორც ფეხის ერთი კვალი, ისე მრავალრიცხოვანი; როგორც ერთი ადამიანის ფეხით დატოვებული, ისე სხვადასხვა პირთა მიერ დატოვებული. კვალთა ამ სახეთა გათვალისწინებით შეიძლება აიგოს სათანადო ვერსიები და აიხსნას დანაშაულის ჩადენის გარემოება.

ადამიანის ფეხის კვალის მექანიზმის ახსნისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს სხეულის სიმძიმის განაწილებას სიარულისა და ფეხის კვალის წარმოქმნის დროს. ადამიანის სიარული წარმოადგენს მოძრაობის რთულ პროცესს, რომლის დროსაც ადამიანის სხეულის სიმძიმე გადაიტანება წინ გადადგმულ ნაბიჯზე და კერძოდ ფეხის იმ ნაწილზე (როგორც წესი ქუსლით ნაწილზე), რომლითაც ფეხი ეხება კვალის მიმღებ ობიექტს (იატაკი, მიწა და ა.შ.), ხოლო გადაადგილების შემთხვევაში, ფეხის წინა ნაწილზე. ფეხის კვალი ამ ნაწილებში არის უფრო ღრმა (მოცულობითი) და კარგად გამოსახული. ფეხის ასეთ კვალში, როგორც წესი, აღიბეჭდება ინდივიდუალური (კერძო) ნიშნები.

შიშველი ფეხის კვალი. ადამიანის შიშველი ფეხის კვალი რჩება გლუვ ზედაპირზე: ლაქით დაფარულ იატაკზე, მიწაზე და პლასტიკატებზე. ამ სახის კვალი შეილება იყოს როგორც ზედაპირული, ასევე მოცულობითი.

ადამიანის შიშველი ფეხის ძირის აგებულება ისეთივეა, როგორიც ხელის გულისა და თითების ბალიშების. შიშველი ფეხის ძირზე არსებობს დერილოვანი ხაზები და დერილოვანი ქარგები; საკეცი ხაზები და ნაოჭები; ფორები, საიდანაც გამოიყოფა ოფლი და მარილები. ყოველივე ის რაც ითქვა ზემოდ თითის ანაბეჭდების შესახებ, ვრცელდება ადამიანის შიშველი ფეხის ანაბეჭდზეც. შიშველი ფეხის კვალში გამოისახება თითების, ტერფისა და ქუსლითი ნაწილის ანაბეჭდები. აგრეთვე შიშველ ფეხზე არსებული თავისებურებანი (ანატო-



მიური ანომალიები, ჭრილობები და სხვა.).

ადამიანის შიშველი ფეხის კვალი ექვემდებარება ფოტოგადაღებასა და განზომილებას (იხ. სურათი 13).

სურ.13. ადამიანის შიშველი ფეხის კვალი
 აბ-კვალის სიგრძე,
 ბდ-კვალის სიგანე ლანჩით ნაწილში,
 ევ-კვალის სიგანე შუალედ ნაწილში,
 ზმ-კვალის სიგანე ქუსლით ნაწილში.

ადამიანის შიშველი ფეხის კვალი შეიძლება გამოქლავენებულ იყოს ფხვნილებისა და ქიმიური საშუალებების (იოდის ორთქლი, ნინჰიდრინი) გამოყენებით. გამოქლავენებული ფეხის კვალის ანაბეჭდის

გადატანა ხდება დაქტილოსკოპიურ ფირზე. მოცულობითი შიშველი ფეხის კვალიდან შეიძლება დამზადდეს ტვიფარი მალამო "K" -ს გამოყენებით. ადამიანის შიშველი ფეხის კვალის გამოკვლევის შედეგად შეიძლება მოხდეს კვალის დამტოვებელი პიროვნების იდენტიფიკაცია.

წინდებით დატოვებული ფეხის კვალი. ამ სახის კვალი, როგორც წესი, რჩება გლუვ ზედაპირზე ზედაპირული კვალის სახით. იგი შეიძლება იყოს აგრეთვე მოცულობითი კვალიც. წინდებით დატოვებული ფეხის კვალი პრაქტიკაში გვხვდება იშვიათად. ამ სახის კვალს ადამიანი ტოვებს მაშინ, როდესაც იგი, მაგალითად, ქურდობის ჩადენის დროს იხდის ფეხსაცმელს იმ მიზნით, რომ არ გამოიწვიოს ხმაური.

წინდებით დატოვებულ ფეხის კვალში აღიბეჭდება როგორც ზოგადი ნიშნები: ფეხის ზომა, ფორმა, სიგანე, წინდების სტრუქტურა და აგებულება, ასევე კერძო ნიშნებიც: გახევის ადგილი, მისი ფორმა; გახევის ადგილებში; ფეხის თითების დერილოვანი ხაზები და ქარგები; საქარხნო და კუსტარული წესით წარმოქმნილი ნაკერები.

აღნიშნული ზოგადი და კერძო ნიშნების, მათი ურთიერთგანლაგების შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ წინდების იდენტიფიკაცია, ზოგ (იშვიათ) შემთხვევაში კი პიროვნების იდენტიფიკაციაც, თუ ამისათვის არის საერთო და კერძო ნიშანთა საკმარისი ერთობლიობა.

ფეხსაცმლის კვალი. პრაქტიკაში შედარებით ხშირად გვხვდება ფეხსაცმლით დატოვებული კვალი. ასეთი კვალი შეიძლება იყოს ზედაპირული

(როდესაც კვალის მიმღები ობიექტი არ იცვლის ზედაპირს) და მოცულობითი ანუ ჩაღრმავებული (როდესაც კვალის მიმღები ზედაპირი იცვლის თავის პირვანდელ სახეს). უმრავლეს შემთხვევებში საქმე გვაქვს სტატიკურ კვალთან და იშვიათ შემთხვევებში - დინამიკურ კვალთან. ეს უკანასკნელი წარმოიშობა ფეხსაცმლის ნიადაგზე დაცურების შემთხვევაში.

ფეხსაცმლის კვალში განასხვავებენ სამ ნაწილს: ლანჩითი, შუალედი და ქუსლითი. ფეხსაცმლის კვალში უფრო მკაფიოდ აისახება ქუსლითი ნაწილი, შემდგომ ლანჩითი და იშვიათ შემთხვევებში შუალედი ნაწილი.

ფეხსაცმლის კვალის ზოგად ნიშნებს მიეკუთვნება: მისი ზომები; ფეხსაცმლის ძირის საერთო ფორმა; ლანჩითი, შუალედი და ქუსლითი ნაწილის ფორმები; ფეხსაცმლის სახე; კვალში აღბეჭდილი საფაბრიკო ნიშნები; ფეხსაცმლის ძირის დამაგრების ხერხები (მიკერვით, ხრახნილებით, ლურსმნებით მიჭედული, დაწებებული) და სხვა.

ზოგადი ნიშნების შესწავლის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ჯგუფური იდენტიფიკაცია, რაც საშუალებას გვაძლევს შევაფიქროვოთ მოსაძებნი ფეხსაცმლის წრე (გამოვრიცხოთ სხვა ზომის, სახის და ფორმის ფეხსაცმელი).

ზოგადი ნიშნების გარდა ფეხსაცმლის კვალში აისახება კერო (ინდივიდუალური) ნიშნებიც, რომელთაც მიეკუთვნება ფეხსაცმლის ხმარების დროს წარმოშობილი თავისებურებანი: გაცვეთის ადგილის თავისებურება და რელიეფი, ლურსმნის თავების დაზიანების თავისებურება, ფეხსაცმლის ძირის შეკეთების ადგილის თავისებურება, ფეხსაცმლის ძირის დეფექტები, დეფორმაციები და სხვა.

ზოგადი და კერძო ნიშნების დამთხვევის შემთხვევაში, როდესაც მათი ერთობლივობა საკმარისია დასკვნის მისაცემად, ექსპერტი ახდენს იდენტიფიკაციას და ადგენს, თუ რომელი კონკრეტული ფეხსაცმლით იყო შემთხვევის ადგილზე დატოვებული ადამიანის ფეხსაცმლის კვალი.

თანხლებითი კვალი. ზოგ შემთხვევაში ადამიანის ფეხის კვალს ან კვალთა ბილიკს ახლავს ეგრეთწოდებული თანხლებითი კვალი. ამ სახის კვალის სახით შედარებით ხშირად ვხვდებით პრაქტიკაში ყავარჯნის კვალს, პროტეზის კვალს, სხვადასხვა საგნების თრევის ან ნიადაგზე დადების კვალს. ასეთი კვალები არ უნდა დარჩეს გამოძიებლის ყურადღების გარეშე. ყველა შემთხვევაში ისინი უნდა იყოს დადგენილი, ფიქსირებული და დაერთოს საქმეს ფეხის კვალთან ერთად როგორც ნივთიერი მტკიცებულება.

თანხლებითი კვალის მეშვეობით შეიძლება ვიმსჯელოთ იმ საგანზე, რომლითაც დატოვებულია იგი, რომელ ხელში ეჭირა პირს ყავარჯენი თუ სხვა საგანი, ხომ არ სარგებლობდა კვალის დამტოვებელი პირი მარცხენა ხელით, რომელ ფეხზე ჰქონდა ადამიანს პროტეზი და ა.შ.

ფეხის ცრუ კვალი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების სიმულაციისას, ქურდობის დროს, სახელმწიფო საღვრის დარღვევის შემთხვევაში ვხვდებით ეგრეთწოდებულ ფეხის ცრუ კვალს. ერთ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი ხმარობს უფრო დიდი ზომის ფეხსაცმელს, მცირე ზომის ან ქალის ფეხსაცმელს; რომელსაც მიიმაგრებს ფეხზე. მეორე შემთხვევაში ფეხსაცმელს მიიმაგრებს ფეხზე ქუსლითი ნაწილით წინ, რათა შექმნას კვალთა ბილიკის მიმართულების ცრუ წარმოდგენა. მესამე შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი ფეხზე მიიმაგრებს ცხოველის (ცხენის, ძროხის, დათვის) კვალს, რათა არასწორი წარმოდგენა შეუქმნას გამოძიების ორგანოებს და ოპერატიულ მუშაკებს. ამ უკანასკნელ შემთხვევას ადგილი აქვს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შემთხვევაში.

ფეხის ცრუ კვალისათვის დამახასიათებელია თავისებური ნიშნები, რომელთა დადგენა და გამოკვლევა საშუალებას იძლევა გავაკეთოთ სწორი დასკვნა. ასეთი ცრუ კვალისათვის დამახასიათებელია სიარულის დროს ადამიანის სიმძიმის ცენტრის არასწორი გადანაწილება კვალში. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ფეხსაცმელი ამოკრულია ადამიანის ფეხზე ქუსლითი ნაწილით წინ, უფრო ღრმად ადამიანის ფეხის წინა ნაწილის კვალი, ვიდრე ქუსლითი ნაწილის კვალი. ცრუ კვალის დატოვების შემთხვევაში მცირდება ნაბიჯის სიდიდე, უფრო ფართოვდება ნაბიჯის გადადგმის კუთხე, ფეხის ბილიკი ხდება ტეხილი (კლაკნილი), რჩება ფეხსაცმლის თრევის კვალი. ფეხის ცრუ კვალის დადგენისათვის საჭიროლა, რომ შემთხვევის ადგილზე მოხდეს კვალის გულდასმითი დათვალიერება და ფიქსირებული იყოს ფეხის კვალის ყოველი თავისებურება.


ფეხის კვალთა ბილიკი. პრაქტიკაში გვხვდება არამართო ცალკეული ფეხის კვალი, არამედ ფეხის კვალთა ბილიკი, რომელიც მიუთითებს სიარულის მიმართულებაზე. ფეხის კვალთა ბილიკის მეშვეობით შეიძლება ვიმსჯელოთ ადამიანის სქესზე, სიარულის თავისებურებაზე, ნაბიჯის სიგრძეზე, სიგანეზე და კუთხეზე. ყველა ამ ნიშანს გარკვეული როლი ენიჭება კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის დადგენის დროს.

ნაბიჯის სიგრძე განისაზღვრება მარჯვენა და მარცხენა ფეხის ერთი

გადადგმის მანძილით. კრიმინალისტიკაში მიღებულია, რომ ნაბიჯის სიგრძე მამაკაცებისათვის მერყეობს 65-90 სმ ფარგლებში, ხოლო ქალების ნაბიჯის სიგრძე კი 50-70 სმ ფარგლებში. სირბილის შემთხვევაში ნაბიჯის სიგრძემ შეიძლება მიაღწიოს 1 მეტრს. ყოველი ეს მონაცემი არის პირობითი, რადგან ნაბიჯის სიგრძე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: ადამიანის სიმაღლეზე, ასაკზე, ფიზიკურ მდგომარეობაზე, ნიადაგის ზედაპირზე (მშრალი, სველი, ტალახოვანი, მოყინული, თოვლიანი), ნიადაგის დაქანებაზე (აღმართი, დაღმართი), სიარულის სიჩქარეზე, ტვირთის სიმძიმეზე, რომელიც ადამიანს ხელთ აქვს.

ნაბიჯის სიგანე არის მანძილი მარჯვენა და მარცხენა ფეხის ქუსლით ნაწილთა შორის. ნაბიჯის სიგანე მერყეობს 6-12 სმ ფარგლებში.

ნაბიჯის კუთხე არის ის კუთხე, რომელიც წარმოიშობა კვალთა ბილიკის წარმოსახვით სწორ ხაზსა და ფეხის გადადგმის მდგომარეობის ღერძს შორის. მამაკაცების ნაბიჯის კუთხე მერყეობს 18-25° შორის, ხოლო ქალების - 12-20° ფარგლებში. კრიმინალისტიკაში ასევე მიღებულია, რომ ფეხის კვალის სიგრძის შეფარდება ადამიანის სიმაღლესთან შეადგენს 1:7 (იხ. სურათი 14).



სურ.14. ფეხის კვალის ბილიკი
 აბ-მოდრობის მიმართულება.
 ბდ-ნაბიჯის სიგრძე.
 დე-ნაბიჯის სიგანე.
 ბგ-ნაბიჯის კუთხე.

კვალთა აღმოჩენა და ფიქსირება. ფეხის კვალის აღმოჩენა შემთხვევის ადგილზე, როგორც წესი, არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან იგი არის კარგად ხილვადი. კვალის აღმოჩენა ხდება შემთხვევის ადგილას ვიზუალური დათვალიერების შედეგად. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საქმე გვაქვს ნაკლებად ხილვად ან უხილავ ფეხის კვალთან. ასეთებს მიეკუთვნება, როგორც წესი, ადამიანის შიშველი ფეხის კვალი გლუვ ზედაპირზე (მიწაზე, ლაქით დაფარულ საგანზე და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში კვალის აღმოჩენა ხდება კვალის მიმღები საგნის კუთხური განათების (45° კუთხით) შედეგად, ხოლო ამ საგნის ზედაპირის ცქერა უნდა მოხდეს მოპირდაპირე კუთხიდან. ყოველივე აღმოჩენილი კვალი უნდა იყოს დაცული გაფუჭებისა და დაზიანებისაგან.

კვლის აღმოჩენასთან დაკავშირებულია მისი აღწერა და გაზომვა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში დაწვრილებით უნდა აღინიშნოს კვლის აღმოჩენის ადგილი; საგანი, რომელზედაც კვალი იქნა აღმოჩენილი; ფეხის კვლის ზომები; კვალთა ურთიერთგანლაგება; კვალთა ბილიკის მიმართულება და კვალთა რაოდენობა; ნაბიჯის სიგრძე, სიგანე და კუთხე; ფეხის კვლის ფორმა, სიგრძე, სიგანე და სიმაღლე.

ფეხის კვლის სიგრძე იზომება ქუსლითი ნაწილის უკიდურესი წერტილიდან ფეხის კვლის წინა ნაწილის წერტილს შორის. ცალკე იზომება ლანჩითი, შუალედი და ქუსლითი ნაწილების სიგრძე. ამასთანავე გაზომვას ექვემდებარება ფეხის კვლის სიგანე ლანჩითი და ქუსლითი ნაწილის ყველაზე უფრო ფართო ადგილზე და ფეხის კვლის შუალედი ადგილი ყველაზე უფრო ვიწრო ადგილზე. ასევე უნდა იყოს აღწერილი კვლის მიმღები ზედაპირი (იატაკი, კედელი, ფხვიერი ნიადაგი, ტალახი, თოვლი და ა.შ.).

შემთხვევის ადგილის გეგმაზე და სქემაზე ნათლად უნდა იყოს გამოსახული კვლის აღმოჩენის ადგილი, მისი პარამეტრები ახლო მდებარე საგანთა შორის და, განსაკუთრებით, უძრავი საგნების მიმართებით (კედელი, ღობე, კიბე და ა.შ.).

კვლის ფიქსირების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მისი ფოტოგრაფირება. შემთხვევის ადგილზე საორიენტაციო და მიმოხილვითი ფოტოგადაღების გარდა უნდა მოხდეს ფეხის კვლის საკვანძო გადაღება (ახლომდებარე საგანთა შორის) მისი დეტალური (მასშტაბური) გადაღება. ფოტოგადაღებამდე ფეხის კვალი უნდა გასუფთავდეს. ფოტოგადაღების დროს სწორად უნდა იყოს შერჩეული განათების ხერხი, შუქფილტრი, ნეგატიური ფოტომასალა, დიაფრაგმა და გადაღების ექსპოზიცია. გადაღების დროს ფოტოაპარატი უნდა იმყოფებოდეს ფეხის კვალთან შეფარდებით პარალელურ მდგომარეობაში. კვლის ბილიკის გადაღების დროს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იყოს პანორამული სიგრძივი ფოტოგადაღება.

ფეხის კვლის ფოტოგადაღების პირობები დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში.

ფეხის კვლისაგან ტვიფარის დამზადება. ფეხის კვალიდან ტვიფარის დამზადება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია იმ საგნის ამოღება, რომელზედაც ფეხის კვალთა დარჩენილი მისი სიდიდის, სწრაფად ფუჭებადობის, კვლის დამსხვრევისა და გაფუჭების გამო.

ფეხის კვალიდან ტვიფარი მზადდება იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს მოცულობითი (ჩალრმავებული) კვალი. ზედაპირული კვალისაგან ტვიფარი ვერ დამზადდება და ამიტომ ხდება ზედაპირული ფეხის კვალის ფოტოგრაფირება.

ფეხის კვალის თაბაშირის ტვიფარის დამზადების ორი ხერხი არსებობს: თაბაშირის ხსნარის ჩასხმით და თაბაშირის ფხვნილის ჩაყრით.

თაბაშირის ხსნარის ჩასხმის მეშვეობით ფეხის კვალის ტვიფარი მზადდება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მეთოდის გამოყენებით კვალი არ დაზიანდება და არ განადგურდება. ასეთი ტვიფარის დამზადების ტექნიკა გამოიხატება შემდეგში: 1. მოცულობითი ფეხის კვალი უნდა იყოს გასუფთავებული გარეშე საგნებისაგან (კენჭები, ქალაღის ნაგლეჯები, ფოთლები); 2. უნდა მოხდეს ჩალრმავებული ფეხის კვალის დეტალური ფოტოგადაღება; 3. მოცულობით ფეხის კვალს უნდა შემოევლოს ჯებირი (მიწით, თიხით, ფიცრით და ა.შ.); 4. უნდა დამზადდეს არმატურა (მაუთულებით ან ჩხირებით). არმატურის დანიშნულებაა, რომ თაბაშირის ტვიფარს მისცეს სიმკვრივე, რათა იგი არ დაიმსხვრეს ხმარების დროს; 5. უნდა დამზადდეს თაბაშირის ხსნარი ერთი ორთან შეფარდებით (თაბაშირს იღებენ ორჯერ მეტ წონისას, ვიდრე წყალს). იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა თხელი ხსნარის დამზადება, პროპორციას ადიდებენ წყლის დამატებით. თაბაშირის ხსნარის დასამზადებლად ყველა საჭირო ხელსაწყო მოიპოვება საგამომძიებო ჩემოდანში; 6. თაბაშირის ხსნარი უნდა იყოს ჩასხმული ფეხის კვალში ისე, რომ მთლიანად დაფაროს ფეხის კვალის ძირი; 7. ფეხის კვალში მოათავსებენ წინასწარ დამზადებულ არმატურას; 8. ხელმეორედ დაასხავენ თაბაშირის ხსნარს (მეორე ფენას) ისე, რომ მთლიანად დაიფაროს მოცულობითი ფეხის კვალი; 9. ჰაერის ტემპერატურის გათვალისწინებით 20-25 წუთში თაბაშირის ხსნარი გამაგრდება, რის შემდეგ თაბაშირის ტვიფარი უნდა იყოს ამოღებული ფეხის კვალიდან იმდენად ფრთხილად, რომ არ დაზიანდეს ტვიფარი და მასზე არსებული ინდივიდუალური ნიშნები (ამ დროს არ შეიძლება ლითონის საგნების გამოყენება); 10. ამოღებული ფეხის კვალის ტვიფარი უნდა იყოს ხელით ფრთხილად გასუფთავებული ან გარეცხილი; 11. დამზადებულ ფეხის კვალის ტვიფარს უნდა მიემაგროს მუყაო ან მკვრივი ქალაღი წარწერით: სად, რომელ საქმეზე, ვის მიერ და როდის იყო დამზადებული ტვიფარი. ამ მონაცემებს ხელს აწერს გამომძიებელი და დამსწრეები.

თაბაშირის ფხვნილის ჩაყრის მეშვეობით ფეხის კვალის ტვიფარი მზადდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფეხის კვალი დატოვებულია ფხვიერ ნიადაგზე.

ტალახში, სველ ნიადაგზე ან თოვლზე. ყოველივე ის, რაც ითქვა ფეხის კვალის ტვიფარის დამზადების შესახებ თაბაშირის ხსნარის ჩასხმის მეშვეობით, ვრცელდება ამ მეთოდის გამოყენების დროსაც გარდა იმ თავისებურებებისა, რაც ახასიათებს ტვიფარის დამზადებას თაბაშირის ფხვნილის ჩაყრით. ეს თავისებურებები შემდეგია: 1. ფეხის მოცულობით კვალში ჩაყრიან თაბაშირის გაცრილ ფხვნილს ისე, რომ დაიფაროს ფეხის კვალის ძირი; 2. თაბაშირის ფხვნილი უნდა დასველდეს მასზე სველი ჩვრის ან მარლის დადებით; 3. კვალში არმატურის მოთავსების შემდეგ ხელახლა ჩაყრიან თაბაშირის ფხვნილს ისე, რომ კვალი მთლიანად დაიფაროს; 4. ისევ დაასველებენ თაბაშირის ფხვნილს სველი ჩვრის მეშვეობით ან ჩვარზე წყლის თანაბარი დასხმით.

ფეხის კვალის ტვიფარი შეიძლება დამზადდეს აგრეთვე პოლიმერების, კერძოდ კი მალამო "K"-ს გამოყენებით, რის შესახებაც აღინიშნა წინა მე-3 პარაგრაფში.

შიშველი ფეხის, წინდებში ჩაცმული ფეხის და ფეხის კვალის ბილიკის ნიმუშების მიღება ხდება ფეხის, წინდების ან ფეხსაცმლის ძირის სტამბური საღებავის დაფარვით და თეთრ მკვრივ ქაღალდზე ან მუყაოზე გავლით. ნიმუშების მიღება უნდა გამოორდეს, რადგან გამორიცხული იყოს შემთხვევითობა ან ფეხის ნაბიჯის სიგრძის, სიგანისა და ფეხის კუთხის განზრახ შეცვლა.

§5. კბილის კვალი

ადამიანის კბილის კვალის მიხედვით კრიმინალისტიკაში ხორციელდება პიროვნების იდენტიფიცირება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის კბილის კვალი იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში, მისი გამოკვლევის მეშვეობით არაერთი მძიმე დანაშაულია გახსნილი. სწორედ ამიტომ საჭირო და აუცილებელია, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში კბილის კვალის შესწავლის საკითხებს. მეორეც, ოპერატიულმა მუშაკებმა და გამომძიებელმა საჭიროა შემთხვევის ადგილზე გულდასმით და ყურადღებით ეძებონ ადამიანის კბილის კვალი, იცოდნენ მათი ფიქსირება და მისგან ტვიფარის დამზადება.

კბილის (კბილების) კვალი რჩება ცალკეულ საგნებზე, რომელთაც აქვთ რბილი ზედაპირი (შოკოლადი, კამფეტი, მარგარინი, კარაქი, ყველი, ვაშლი, სიგარეტი და ა.შ.). გარდა პროდუქტებისა და საგნებისა კბილის კვალი რჩება ადამიანის სხეულზე (დაზარალებულის და ბოროტმოქმედის ტანზე) ან გვამზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც კბილის კვალი დატოვებულია ადამიანის სხეულზე ან გვამზე, მისი გამოკვლევა შეადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციას, კედოდ კი სტომატოლოგიური ექსპერტიზის შესწავლის საგანს. სხვადასხვა სახის საგნებზე კბილის კვალის გამოკვლევას კი აწარმოებს ექსპერტი-ტრასოლოგი. გარკვეულ შემთხვევებში კბილის კვალის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად ინიშნება კმპლექსური (სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური) ექსპერტიზა.


კბილის კვალის ფიქსირება სხვადასხვა საგნებზე და ადამიანის სხეულზე ხდება ორი გზით: ფოტოგაფიული გზით და კბილის კვალის ტვიფარის დამზადების მეშვეობით. ფოტოგრაფიის გამოყენებით უნდა იყოს ფიქსირებული ყველა სახის კბილის კვალი როგორც ზედაპირული, ისე მოცულობითი. საკვანძო ფოტოგადაღების გარდა ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს დეტალური მასშტაბური გადაღება.

ტვიფარის დამზადება ხდება მოცულობითი (ჩალრმავებული) კბილის კვალიდან. ამ მიზნით გამოიყენება სამედიცინო თაბაშირი, მალამო "K", პარაფინი. ტვიფარის დამზადება ხდება ჩვეულებრივი წესით. უმჯობესია კბილის კვალის ტვიფარი დაამზადოს სპეციალისტ-კრიმინალისტმა ან სპეციალისტ-მედიკოსმა. ტვიფარის დამზადება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კბილის კვალი დატოვებულია სწრაფადფუჭებად საგანზე ან იმ შემთხვევაში, როდესაც საგნის ამოღება და საქმეზე დართვა პრაქტიკულად შეუძლებელია. საგანზე (პროდუქტებზე) დატოვებული კბილის კვალის შენახვის მიზნით ამ საგანს მოათავსებენ მაცივარში ან მას დაამუშავენ ფორმალინის ხსნარში.

კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში შედარებით ხშირად ვხვდებით მოკბეჩის და ჩაკბეჩის კვალს. მოკბეჩის დროს საგანზე რჩება ჩალრმავებული კვალი როგორც ზედა ყბის წინა კბილებისა, ასევე აღიბეჭდება ხოლმე ქვედა ყბის წინა კბილებიც. ჩაკბეჩის კვალი წარმოიშობა ზედა ყბის წინა საჭრელი კბილებით.

ადამიანის კბილის კვალის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია შესაძლებელია იმიტომ, რომ ადამიანის კბილის კვალში აღიბეჭდება როგორც პიროვნებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, აგრეთვე თავისებურებანიც (კერძო ნიშნები). საერთო ნიშნებს მიეკუთვნება ისეთები, როგორებიცაა: კბილის ფორმა, ზომა, მანძილი კბილებს შორის (ვიწრო, ფართო), ზედა და ქვედა ყბის კბილების საერთო აგებულება, კბილების დახრილობა (წინდახრილი, უკანგადახრილი).

ადამიანის კბილის კვალის თავისებურებანი (კერძო ნიშნები) წარმოიშება კბილთა ანომალიის საფუძველზე: კბილთა რაოდენობა (32 კბილზე მეტი ან ნაკლები), ძალზე პატარა ან ძალზე დიდი კბილები, კბილები სხვადასხვა კუთხით დახრილი და ა.შ. კბილთა მექანიკური დაზიანების საფუძველზე: დაცემის, დარტყმის შედეგად, ცალკეულ კბილთა ჩამტვრევა ან ყბის დაზიანება. კბილთა ავადმყოფობის საფუძველზე: დაპლომბილი კბილის თავისებურება, კბილის მთლიანი ან მისი ნაწილის დამსხვრევა, პროტეზის თავისებურება, დაზიანებული კბილის დაფარვის თავისებურება (ფერადი ლითონების გამოყენებით, ფაიფურით ან სხვა საშუალებებით). ადამიანის პროფესიის საფუძველზე: კბილების გარკვეულ თავისებურებებთან შეიძლება გვქონდეს ადგილი ისეთი მუშაკებისა, როგორებიცაა: პოლიგრაფიის თანამშრომლები, მინის ნაკეთობების დამამზადებლები (მინის მბერავები), სპილენძის და სხვა ფერადი ლითონების დამამზადებელი მუშები და ა.შ. (იხ. სურათი 15).



სურ.15 ადამიანის ჯადა ყბა და კბილებისაგან დაგზადებული ტვიფარი

სურ.15 ადამიანის ჯადა ყბა და კბილებისაგან დაგზადებული ტვიფარი

იმისათვის, რომ ადამიანის კბილის კვალის მეშვეობით მოხდეს პიროვნების იდენტიფიკაცია, ექსპერტის მიერ უნდა იყოს დადგენილი კბილთა კვალის საერთო და კერძო ნიშნების საკმარისი და განუმეორებელი ერთობლივობა. ექსპერტს გამოკვლევისათვის უნდა გადაეგზავნოს საგანზე დატოვებული კბილის კვალი და კბილის კვლის ტვიფარი.

§6. სატრანსპორტო საშუალებათა კვალი

ტექნიკური რევოლუციის პირობებში სულ უფრო იზრდება სატრანსპორტო საშუალებათა როლი და მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში და მშრომელთა მომსახურებაში. ეს კი იწვევს საჰაერო, რკინიგზის, საზღვაო და საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებათა ზრდას. შესაბამისად იზრდება საგზაო შემთხვევების რიცხვიც.

სატრანსპორტო საშუალებების რიცხვს მიეკუთვნება საჰაერო ტრანსპორტი; რკინიგზის (მიწის ზედა და მიწის ქვეშ მოსიარულე) ტრანსპორტი;

ზღვის და მდინარეების სატრანსპორტო საშუალებები; სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოროლერები, ტრაქტორები, კომბაინები, ველოსიპედები; სატრანსპორტო საშუალებები, სადაც გამწევ ძალას წარმოადგენს ცხოველები (ცხენი, ხარი, ვირი, აქლემი, ირემი, ძაღლები); თხილამურები, ციგა და სხვა.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში გვხვდება სატრანსპორტო საშუალებათა სხვადასხვა სახის კვალი, რომელთა წარმოქმნის მექანიზმი ასევე სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში გვხვდება მატერიალურ-ფიქსირებული კვალი, რომელთა რიცხვს ხშირად მიეკუთვნება ბორბლებისა და საბურავების კვალი; სატრანსპორტო საშუალების დაჯახების, გადაბრუნების, გადავარდნის კვალი; სატრანსპორტო საშუალების სხვადასხვა საგნებზე, ადამიანებზე და ცხოველებზე გადავლის კვალი. მეორე შემთხვევაში კვალს ტოვებს სატრანსპორტო საშუალებათა ცალკეული ნაწილები, მათი მოწყვეტის, მოგლეჯის ან დამსხვრევის შედეგად. მესამე შემთხვევაში კვალს ტოვებს სხვადასხვა სახის სითხეები (მანქანის ზეთი, ბენზინი, საღებავი, სისხლი და ა.შ.).

სატრანსპორტო საშუალებათა კვალი რჩება გზებზე და ნიადაგზე; საგნებზე, რომლებსაც დაეჯახა სატრანსპორტო საშუალება; ადამიანზე, გვამზე, ტანისამოსზე და ა.შ.

შემთხვევის ადგილზე სატრანსპორტო საშუალებათა კვალის მიხედვით, აგრეთვე თვით სატრანსპორტო საშუალებების გულდასმით დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი კვალის მიხედვით შეიძლება აიხსნას და დადგინდეს ისეთი სახის ფაქტები, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იდენტიფიკაციისათვის და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

სატრანსპორტო საშუალებების კვალისა და მისი წარმოშობის მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს და გაირკვას საგზაო შემთხვევის კონკრეტული გარემოება: სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მიმართულება, მოძრაობის სიჩქარე, სატრანსპორტო საშუალებათა ურთიერთგანლაგება საგზაო შემთხვევის დროს, მათი დაჯახების ადგილი და ა.შ. აიგოს კონკრეტული ვერსიები, რომელთა შემოწმება და ახსნა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ საგზაო შემთხვევის დეტალები და განვსაზღვროთ გამოძიების მიმართულება. შემუშავდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი იმ კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების მოსაძებნად, რომელიც მონაწილეობდა საგზაო შემთხვევაში და იმ პირის დასადგენად, ვინც მართავდა სატრანსპორტო

საშუალებას. განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ჯგუფური კუთვნილება: სამგზავრო, საბარგო, მსუბუქი თუ სპეციალური დანიშნულების მანქანა; სატრანსპორტო საშუალების კონკრეტული სახე, ქარხანა და საქარხნო ნიშნები. დადგინდეს ინდივიდუალური ნიშნები, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კონკრეტული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უშუალო კავშირშია საგზაო შემთხვევასთან (საბურავების დეფექტები, რომლებიც წარმოიშენენ ექსპლოატაციის შედეგად, მათი ადგილმდებარეობა და ზომები; საბურავის გაჭრის, გახეთქვის კვალი, მათი ურთიერთგანლაგება და ა.შ.). აიხსნას ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზები: სამუხრუჭე სისტემის დაზიანება, საჭის გაუმართაობა, სატრანსპორტო საშუალების კოსტრუქციული უარყოფითი მხარეები, გზის სავალი ნაწილის დაზიანება, გაუმართაობა და სხვა.

შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილი იყოს სატრანსპორტო საშუალების მოცულობითი (ჩალრმავებული) კვალი რბილ ნიადაგზე (მიწა, ტალახი, ასფალტი და ა.შ.), ასევე ზედაპირული კვალი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დაშრევებული, ასევე აშრევებული. შემთხვევის ადგილზე ვხვდებით აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების სტატიკურ კვალს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იდენტიფიკაციისათვის, აგრეთვე დინამიკურ კვალს, მაგალითად: საბურავების სრიალის კვალი, დამუხრუჭების კვალი, ნაკაწრები და ა.შ. გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების დროს ავტოსატრანსპორტო საშუალების როგორც ლოკალურ, ისე პერიფერულ კვალს. ყოველი სახის კვალი, რომელიც არსებობს შემთხვევის ადგილზე, უნდა იყოს გამოძიდავენებული, აღმოჩენილი და სათანადოდ პროცესუალურად გაფორმებული.

იმისათვის, რომ დადგენილი იქნას სატრანსპორტო საშუალების სახე (მსუბუქი, საბარგო თუ სპეციალური დანიშნულების) უნდა განისაზღვროს და დადგინდეს მანძილი ორ წინა ბოზალს შორის ე.წ. "კალეია". ამ მანძილის განსაზღვრა ხდება ერთგვაროვან ბორბლებს შორის კვალის გაზომვის შედეგად. გაზომილი უნდა იყოს მანძილი ბორბლების კვალის შუა წერტილებიდან. ამავე მეთოდით უნდა განისაზღვროს მანძილი უკანა ბორბლებს შორის და, თუ მანქანა სამლერძიანია, ასევე მანძილი შუა და ბოლო ბობლებს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც უკანა ღერძზე არსებობს ორ-ორი ბორბალი, უნდა განისაზღვროს მანძილი ორ ბორბალს შუა წერტილებს შორის.

სატრანსპორტო საშუალებების სახის დადგენის მიზნით გაზომილი უნდა

იყოს აგრეთვე მანძილი წინა და უკანა ღერძებს შორის და, თუ მანქანა სამღერძიანია, მანძილი ღერძებს შორის უნდა დადგინდეს ცალ-ცალკე: წინა და შუა ღერძებსა და შუა და უკანა ღერძებს შორის. აღნიშნული განზომილებანი უნდა მოხდეს სტატიკური კვალის ან მანქანის დგომის კვალის შემთხვევაში.

სატრანსპორტო საშუალების სახის განსაზღვრისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე საბურავის პროტექტორის კვალს, საბურავის ნახატს, სახეს, მის დიამეტრს და სიგანეს. აქვე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ ზოგ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებას უყენებენ არა იმ ტიპისა და სახის საბურავს, რომელიც მას უნდა ეყენოს, არამედ სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალების საბურავს.

სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შემთხვევაში წინა საბურავების კვალს მთლიანად ან ნაწილობრივ შლის უკანა საბურავების კვალი. თუ სატრანსპორტო საშუალება სამღერძიანია კვალში აისახება მხოლოდ ბოლო ღერძის საბურავების კვალი.


ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა იყოს შესწავლილი საბურავების კვალის აღნაგობა, ტიპი და სახე. წინა საბურავების კვალის დასადგენად საჭიროა, რომ მოინახოს მანქანის მოხვევის კვალი. სატრანსპორტო საშუალების მოხვევის შემთხვევაში აისახება წინა საბურავების კვალიც, რომელსაც უკავია განაპირა მდგომარეობა, ე.ი. ჯერ განაპირა ნაწილში აისახება წინა საბურავის კვალი, შემდეგ კი (შიგა ნაწილში) უკანა საბურავის კვალი.

ბორბლებისა და საბურავების კვალის აღმოჩენის შემთხვევაში არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ზოგადი ნიშნების დადგენით (საბურავის პროტექტორის ტიპი, სახე, დიამეტრი, სიგანე და ა.შ.). ყველა შემთხვევაში აუცილებელია დაუადგინოთ სატრანსპორტო საშუალების ბორბლის ან საბურავის კვალში ინდივიდუალური ნიშნები, ე.ი. ისეთი თავისებურებანი, რომლებიც წარმოიშვნენ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის პროცესში. მათ მიეკუთვნებათ: დეფექტები, დაზიანებები, გაჭრის ან გახვევის კვალი, ამ კვალთა ურთიერთგანლაგება და ა.შ. ინდივიდუალური ნიშნების ერთობლიობა და საკმარისობა საშუალებას იძლევა დაუადგინოთ კონკრეტული სატრანსპორტო საშუალება.

იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალების გამწვევ ძალას წარმოადგენს ცხოველები, ბორბლის კვალის გარდა ყურადღება უნდა მიექცეს

სატრანსპორტო ცხოველთა ფეხების კვალის შესწავლას. ამ სახის კვალთა აღმოჩენა, ფიქსირება, ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების განსაზღვრა ხდება იმ მეთოდის საფუძველზე, რაც დადგენილია ადამიანის ფეხის კვალისათვის.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების განსაზღვრასაც. არსებობს მთელი რიგი ისეთი ნიშნებისა, რომლებიც მიუთითებენ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მიმართულებას. კერძოდ: დამუხრუჭების შემთხვევაში დამუხრუჭების კვალის ბოლო ხაზზე წარმოიშობა გარკვეული ამაღლება, რომელსაც წარმოქმნის მტვერი, ტალახის ნაწილაკები, კენჭები და ა.შ. ეს ამაღლება არის მანქანის მოძრაობის მიმართულებით. თუ მანქანამ გაიარა ტალახში, თოვლში, წყალში კვალის ფერის ინტენსიურობის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ სატრანსპორტო საშუალების მიმართულებაზე: კვალი ნაკლებად ინტენსიური ხდება მოძრაობის მიმართულებით. სითხეები (ზეთი, სისხლი, სხვადასხვა საღებავები), რომლებიც წვეთავს სატრანსპორტო საშუალებიდან, წაწვეტებული თავებით იქნებიან განლაგებული მოძრაობის მიმართულებით. ჩხირები, რომელსაც გადაუვლის სატრანსპორტო საშუალება გახსნილი თავებით იქნებიან განლაგებული მოძრაობის მიმართულებით. სატრანსპორტო საშუალება ტალახის, თოვლის შხეფებს და სხვა სითხეების ნაწილაკებს ისვრის გვერდით და წინ მოძრაობის მიმართულებით. დამუხრუჭების კვალის მიხედვით ექსპერტს შეუძლია განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სიჩქარე (იხ. სურათი 16).



სურ.16. სატრანსპორტო საშუალების კვალის მოძრაობის მიმართულების განსაზღვრა.
ჩხირები გახსნილი თავებით განლაგებულია მანქანის მოძრაობის მიმართულებით.

საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სატრანსპორტო საშუალების ცალკეული დეტალების კვალს ან თვით დეტალების აღმოჩენას შემთხვევის ადგილზე. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შეიძლება აღმოჩენილი იქნას მინის ნასხვრევები, კარების სახელური, ჭანჭიკები, სხვადასხვა ნაწილების მონატეხები. დაჯახების ან გადაბრუნების შემთხ-

ვევაში აგრეთვე - მანქანის ნაწილებით დატოვებული კვალი, რაც მოითხოვს დაწვრილებით აღწერას და ფიქსირებას. დათვალიერების შედეგები უნდა იყოს აღწერილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. შემთხვევის ადგილზე უნდა შედგეს შემთხვევის ადგილის სქემა და გეგმა. შემთხვევის ადგილი უნდა იყოს ფოტოგრაფირებული საორიენტაციო და მიმოხილვითი წესით, რაც შეეხება ცალკეულ კვალსა და დაჯახების ადგილს, ისინი უნდა იქნას გადაღებული საკვანძო და დეტალური ფოტოგადაღების გამოყენებით. ყველა მოცულობითი კვალისაგან უნდა იყოს დამზადებული ტვიფარი, თუ ამ კვალის უშუალო ამოღება პრაქტიკულად შეუძლებელია.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება, კვალთა აღმოენა და ფიქსირება, როგორც წესი, უნდა მოხდეს სპეციალისტის მონაწილეობით.

§7. გატეხის იარაღთა კვალი

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების, პირადი ქონების ქურდობის და გაძარცვის დროს ხშირ შემთხვევებში გამოიყენება გატეხის იარაღები და ხელსაწყოები, რომელთა კვალის მიხედვით შეიძლება დადგინდეს დანაშაულის ჩადენის გარემოება, ჯგუფური კუთვნილება, მოხდეს გატეხის იარაღთა და პიროვნების იდენტიფიკაცია.

გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა კვალთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ბოროტმოქმედი დაკეტილი ან დახურული საცავეების მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების შედეგად შეაღწევს საცავეში დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მიზნით. ამ დროს შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილი იქნას მექანიკური ზემოქმედების როგორც მოცულობითი, ისე ზედაპირული, ასევე სტატიკური და დინამიკური კვალი. შეიძლება აღმოჩენილი იქნას აგრეთვე თვით გატეხის იარაღები, სითხეები, ნივთიერებანი, ფხვნილები და ა.შ.

გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა კვალის მიხედვით შეიძლება დადგინდეს ისეთი ფაქტები და გარემოებანი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ჩადენილი დანაშაულის გახსნისათვის და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. კერძოდ, გატეხის იარაღთა კვალთა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ პიროვნების ფიზიკურ შესაძლებლობებზე, მის პროფესიულ ჩვევებზე, პირთა რაოდენობაზე, წინალობის გადალახვისა და საცავეში შეღწევის ხერხებზე. ამ კვალთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევა-

ში ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის ინსენირებას (სიმულაციას). შესაძლოა აგრეთვე აიგოს გამოძიების რეალური ვერსიები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების კონკრეტული გზები. გატეხის იარაღთა კვალის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ კონკრეტულ გატეხის იარაღებზე და ხელსაწყოებზე, რომლებიც იყო გამოყენებული. იმ შემთხვევაში, როდესაც ეჭვმიტანილის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ნახერხის ან ლითონის ფხვნილი, საღებავის კვალი და ასეთივე კვალი არსებობს შემთხვევის ადგილზეც, შესაძლებელია მოხდეს პიროვნების იდენტიფიკაციაც.

გატეხის ობიექტები სხვადასხვაა. ყველა მათგანის ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია. პრაქტიკაში შედარებით ხშირად გვხვდება გატეხის ისეთი ობიექტები, როგორებიცაა: ბოქლომები, შინაგანი და გარეგანი საკეტები, სპეციალური შესანახები (რკინის ყუთი, რკინის კარადა, სეიფი და ა.შ.), სხვადასხვა სახის ნაშენები წინააღმდეგობის (ფანჯარა, კარები, კედელი, იატაკი, ჭერი და ა.შ.).

ასევე სხვადასხვაა გატეხის იარაღები და ხელსაწყოები. ერთ შემთხვევაში გამოიყენება გატეხის ისეთი იარაღები, რომელთაც საყოფაცხოვრებო, სამეურნეო-საწარმოო დანიშნულება აქვთ: საზეინკლო ან სადურგლო ინსტრუმენტები (ჩაქურჩი, ურო, დანა, ნაჯახი, ქსოვილისა და თუნუქის საჭრელი მაკრატელი, აღმასი, მინის საჭრელი, ბრტყელტუჩა, სახრახნი, კვნეტელა, ძალაყინი, ლურსმნის ამოსაღები, ხისა და ლითონის ხერხი, ავტოგენური და ელექტროშემდუღებელი აპარატი, ფეთქებადი ნივთიერებანი). მეორე შემთხვევაში გამოიყენება შემთხვევითი საგნები. კერძოდ, დანაშაულის ადგილზე მდებარე ლითონის ნაჭერი, ლითონის მილი, მავთული, ჯოხი, ქვა, აგური, სატრანსპორტო საშუალებანი და ა.შ. მესამე შემთხვევაში გამოიყენება გატეხის ისეთი სპეციალური იარაღები, რომლებიც საქარხნო ან ხელოვნური წესით არის დამზადებული წინააღმდეგობის გადასალახად. ასეთს მიეკუთვნება, მაგალითად, მრგვალტუჩა (უისტიტტი), ძალაყინი ბრტყელი დაბოლოებით, საკეტის უნივერსალური გასაღები და ა.შ.

კრიმინალისტიკაში მიღებულია გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა კვალთა დაყოფა მათი წარმოშობის მექანიზმისა და მექანიკური ზემოქმედების მიხედვით. განასხვავებენ შემდეგი სახის კვალებს: დაწოლის (დარტყმის) და გაწევის კვალი; სრიალის (დაცურების) და ხახუნის კვალი; გაჭრის, გახერხვისა და გაბურღვის კვალი. დაწოლის (დარტყმის) და გაწევის კვალი. ამ სახის კვალი წარმოიქმნება წინააღმდეგობაზე დაწოლის ან დარტყმის შედეგად: ხელის ან ფეხის

დარტყმით, სხეულის დაწოლით, მყარი იარაღების დარტყმით (ჩაქურჩი, ურო, ნაჯახი) ან გაწევის საფუძველზე. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ძალაყინს წაწვეტებული ან ბრტყელი თავით შედებენ ფანჯრის ან კარების ჩარჩოს შროის არსებულ ნაპრალში ან ორ კარს (ფანჯარას) შორის და ძალაყინზე დაწოლის შედეგად საკეტი მოწყობილობა ამოვარდება ბუდიდან და კარები (ფანჯარა) გაიღება.

დაწოლის (დარტყმის) და გაწევის კვალში, როგორც წესი, აისახება ზოგადი ნიშნები (ფორმა, ზომა, ნაკაწრები) ამიტომ მათ საფუძველზე, როგორც წესი, შესაძლებელია ჯგუფური კუთვნილების დადგენა და არა ინდივიდუალური იდენტიფიკაცია.

სრიალის (დაცურების) და ხახუნის კვალი. სრიალისა და ხახუნის კვალი წარმოიშობა წინალობის ზედაპირზე გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა მოძრაობის საფუძველზე (სრიალი, დაცურება, ხახუნი). ამ სახის კვალთან შედარებით ხშირად გვაქვს საქმე მორგებული გასაღების გამოყენების დროს. კვალი გამოიხატება ნაკაწრების, ღარებისა და ლილვაკების სახით. ამ სახის კვალის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, ისიც იშვიათ შემთხვევაში, მხოლოდ გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა ჯგუფური კუთვნილება.

გაჭრის, გახერხვისა და გაბურღვის კვალი. საჭრელი ხელსაწყოების გამოყენებით (ნაჯახი, დანა, ქსოვილისა და თუნუქის მაკრატელი, ალმასი, მინის საჭრელი, კვნეტელა), ხერხის (ხისა და ლითონის) მეშვეობით და ბურღვის შედეგად წარმოიშობა შესაბამისი კვალი, რომელსაც აქვს კრიმინალისტიკური მნიშვნელობა. ამ სახის კვალი წარმოიშობა წინალობის ზედაპირზე საჭრელი (სახერხი, საბურღავი) ხელსაწყოს მჭრელი ნაწიბურების ზემოქმედების შედეგად.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ხისაგან დამზადებული დაკეტილი საცავის გაღებისათვის ამოჭრიან ან ამოხერხავენ ხის კარებს საკეტის ირგვლივ მისი გაღების მიზნით. გამოიყენება აგრეთვე საკეტის ირგვლივ გაბურღვა რამოდენიმე ადგილზე შემდგომში მისი ამოხერხვის მიზნით.

ლითონისაგან დამზადებული საცავეების გაღების მიზნით (კარები, ცეცხლგამძლე ყუთები, კარადა, სეიფი) გამოიყენება ლითონის ხერხი, ელექტროშემდუღებელი და ავტოგენური ხელსაწყოები. ლითონის ხერხის მეშვეობით ხდება აგრეთვე საცავზე დაკიდული ბოქლომების გადახერხვა.

მინიდან დამზადებული საცავეების (ფანჯარა) ამოჭრა ხდება ალმასის ან

მინის საჭრელი ხელსაწყოს გამოყენებით. ზოგ შემთხვევაში ხდება მინის შემტვრევა. ხმაურის აცილების მიზნით მინაზე გააკრავენ წებოვან ქსოვილს ან მკვრივ ქაღალდს, რის შემდეგაც ხდება მინის შემტვრევა. გაჭრის, გახერხვისა და გაბურღვის შედეგად შემთხვევის ადგილზე გვხვდება სხვადასხვა სახის კვალი: ჟანგისა და საღებავის კვალი, რომლებიც ჩამოსცილდა გამოყენებულ ხელსაწყოებს; ლითონის ფხვნილი; ხის ნაფოტები; ხის და ლითონის ბურბუშელები; გამოყენებული ხელსაწყოს საჭრელი ზედაპირის ნაწიბურების კვალი ტრასების, ნაკაწრებისა და ღარების სახით. გაჭრის, გახერხვისა და გაბურღვის შემთხვევაში, როგორც წესი, გვხვდება დინამიკური კვალი, რომელსაც აქვს ნაკლები იდენტიფიციური მნიშვნელობა, ვიდრე სტატიკურ კვალს.

დაკეტილი კარების შემტვრევის, საკეტის ამოჭრის გარდა, არსებობს აგრეთვე სხვა ხერხებიც დაკეტილი საცავის გაღებისათვის. ერთ შემთხვევაში დაკეტილი კარები იღება თავისივე გასაღებით, რომელიც აღმოჩნდა ბოროტ-მოქმედის მფლობელობაში ან იგი დამზადებული იყო საგანგებოდ. მეორე შემთხვევაში საკეტები იღება მორგებული გასაღებით, ან ლითონის მავთულის მოღუნული თავის გამოყენებით. მესამე შემთხვევაში, თუ გასაღები დატოვებულია საკეტის ხერხელში, მისი შემობრუნება შეიძლება გარე მხრიდან. ამ მიზნით გამოიყენება სპეციალურად დამზადებული ლითონის მილი ან მრგვალტუჩა (უისტითი). მრგვალტუჩის ოვალურ ნაწილს ჩასჭიდებენ საკეტის ხერხელში დატოვებული გასაღების ბოლო ნაწილს და შემობრუნებენ გასაღებს, რითაც მიაღწევენ კარის გაღებას.

გარკვეული თავისებურება ახასიათებს კედლის გამონგრევას. ამ მიზნით ზოგჯერ გამოიყენება საგანგებო სანგრევი ხელსაწყოები ან ხდება კედლის დაშლა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კედლიდან გამოიღებენ ერთ აგურს ან ქვას, შემდეგ კი ძალაყინის მომარჯვებით შლიან კედელს.

დალუქული, დაპლომბილი საცავეების გაღება ხდება ზემოთ მოყვანილი ხერხების გამოყენებით, მას შემდეგ, რაც ლუქი და პლომბი იქნება მოჭრილი, მოკვეთილი ან მოხერხილი. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დარღვეული პლომბის მთლიანობა სათანადოდ ინიღბება.

პლომბებისა და ლუქის დათვალეირების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მასალის სახეობაზე (ტყვია, თუნუქი, პლასტიკური ნივთიერებანი); მათ ზომებზე (დიამეტრი, სისქე, სიგანე); შემაერთებელი მასალის სახეზე (კანაფი, მავთული). უნდა დადგინდეს აგრეთვე თუ რა საგანზეა გამობმული პლომბი ან

ლუქი (კარის სახელურზე, საკეტზე, რგოლზე). საჭირო და აუცილებელია წაკითხული იქნას ტექსტი, რომელიც არსებობს პლომბის ან ლუქის ზედაპირზე. ყოველივე აღნიშნული, ასევე კვალის კერძო ნიშნები ფიქსირებული იქნას შეთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში.

გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა მიერ დატოვებული კვალი შემთხვევის ადგილზე უნდა იყოს ფოტოგრაფირებული სასამართლო ფოტოგრაფიის ხერხების გამოყენებით და დაწვრილებით აღწერილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. კვალთა აღწერის დროს უნდა აღინიშნოს მათი აღმოჩენის ადგილი; საგანი, რაზედაც დატოვებულია იგი; ამ საგნის ზედაპირი; კვალის ფორმა, სახე, სიგანე, სიგრძე, დიამეტრი. კვალის ასეთი ზოგადი დახასიათების საფუძველზე შემდგომში დგინდება გატეხის იარაღთა ჯგუფური კუთვნილება.

გატეხის იარაღთა და მათი კვალის აღმოჩენის დროს არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ზოგადი ნიშნების აღწერით. ყველა შემთხვევაში უნდა მიეთითოს კვალის ინდივიდუალურ (კერძო) ნიშნებზეც, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს კვალში: გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა დაზიანებანი, წარმოშობილი მათი ექსპლოატაციის შედეგად; საჭრელი, სახერხი ნაწილის თაფისებურებანი; გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა სამუშაო ზედაპირის აგებულების დამახასიათებელი ნიშნები და სხვა.

გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა კვალის კერძო ნიშნების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს კონკრეტული გატეხის იარაღი; მოხდეს პიროვნების იდენტიფიცირება, რაც ხელს უწყობს საქმის გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევას და ჭეშმარიტების დადგენას.

შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად გატეხის იარაღთა კვალთა გამოკვლევისათვის ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს საგანი მთლიანად ან საგნის ის ნაწილი, რომელზედაც დრჩენილია გატეხის კვალი; თვით გატეხის იარაღი და ხელსაწყო, თუ ისინი ამოღებული იყო შემთხვევის ადგილზე ან ჩამოერთვა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს. იმ დროს, როდესაც გამოსაკვლევად არ შეიძლება გადაეგზავნოს გატეხის იარაღის კვალი, ამ კვალისაგან უნდა დამზადდეს ტვიფარი და იგი გადაეცეს ექსპერტს გამოკვლევის მიზნით.

თუ გამოსაკვლევია ბოქლომი ან საკეტი მექანიზმი ექსპერტს გამოკვლევისათვის უნდა გადაეგზავნოს აგრეთვე შესაბამისი გასაღები ან მორგებული გასაღები.

პლომბების ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში შესადარებელი მასალის სახით იგზავნება ანალოგიური პლომბები, საპლომბო ხელსაწყოები, დასაპლომბი მავთული, ძაფი, კანაფი. თუ ამის პრაქტიკული საშუალება არსებობს გამოსაკვლევად უნდა გადაიგზავნოს აგრეთვე საეჭვო ხელსაწყოები (ბრტყელტუჩა, კვნეტელა, მაკრატელი), რომლითაც შესაძლებელია მოჭრილი ან მოკვნეტილი იქნა პლომბი.⁸

§8. სხვადასხვა სახის კვალი, როგორც ტრასოლოგიური გამოკვლევის ობიექტი

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს ტრასოლოგიური გამოკვლევის საგანი შეიძლება გახდეს სხვადასხვა სახის ობიექტი, რომელთა აღმოჩენას, ფიქსირებასა და გამოკვლევას შეუძლია ხელი შეუწყოს დანაშაულის გარემოებათა დადგენას და საქმეზე ჭეშმარიტების მიღწევას. გარდა წინა პარაგრაფებში დასახელებული ტრასოლოგიური გამოკვლევის ობიექტებისა პრაქტიკაში გვხვდება ცხოველთა ფეხის კვალი, ადამიანის ფრჩხილების კვალი, მიკროკვალი და მიკრონაწილაკები, აგრეთვე ნაკეთობის დამზადების წყაროს დადგენა კვალის მეშვეობით და მთელის იდენტიფიკაცია მისი ნაწილების მიხედვით.

ცხოველის ფეხის კვალი. ცხოველების ფეხის კვალი, როგორც ტრასოლოგიური გამოკვლევის ობიექტი, ძირითადად გვხვდება ორ შემთხვევაში: როდესაც ცხოველები წარმოადგენენ სატრანსპორტო საშუალებათა გამწვევ ძალას და როდესაც ცხოველების ქურდობასთან გვაქვს საქმე.

ცხოველის ფეხის კვალი შეიძლება იყოს როგორც მოცულობითი, ისე ზედაპირული.

იდენტიფიკაციის დასადგენად, როგორც წესი, გამოიყენება ცხოველთა ფეხის მოცულობითი კვალი, ვინაიდან მასში აისახება ცხოველთა ფეხის ინდივიდუალური ნიშნები. პრაქტიკაში გვხვდება ცხოველთა ჩლიქების ან ნალის კვალი.

ცხოველთა ფეხის კვალის მეშვეობით შეიძლება ვიმსჯელოთ მოძრაობის მიმართულებაზე, კვალის ბილიკზე, ნაბიჯის სიგრძეზე, სიგანესა და კუთხეზე

⁸ იხ. „ინსტრუქცია საქართველოს სსრ ოქსტოციის სამინისტროს ცენტრალური რუსულბლიკური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიაში კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, თბილისი, 1986, გვ.25-26.

და ცხოველთა სახეზე. ყოველივე ამ მონაცემს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრისათვის. ინდივიდუალური იდენტიფიკაციისათვის კი საჭირო და აუცილებელია დადგინდეს ჩლიქების ან ნალის კერძო ნიშნები, რომელთაც მიეკუთვნება: ნალის ძირის თავისებურება, დეფექტები, ნალის დასამაგრებელი ლურსმნების თავების კონფიგურაცია, ჩლიქების დეფორმაცია, მასზე წარმოშობილი ამალლებანი და ჩაზნექილობა (მათი ფორმა და ადგილი), ჩლიქების გაპობის ან გაბზარვის ადგილი და ფორმა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ოქმში სხვა მონაცემებთან ერთად დაწვრილებით უნდა აისახოს ცხოველთა ფეხის კვალის როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური ნიშნები. ექსპერტს გამოსაკვლევად ეგზავნება უშუალოდ კვალი ან მისგან დამზადებული ტვიფარი და ცხოველის ფეხის კვალის ექსპერიმენტული ნიმუშები. ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად წყდება შემდეგი საკითხები: რომელი ცხოველის მიერ არის დატოვებული ფეხის კვალი; დატოვებულია თუ არა იგი მოცემული კონკრეტული ცხოველის მიერ; კვალი დატოვებულია თუ არა მოცემული ნალით.

ფრჩხილების კვალი. ადამიანის ფრჩხილის კვალი შედარებით იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში. ამ სახის კვალი უნდა ვეძიოთ ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც მიმართულია პიროვნების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ (მკვლელობა, გაუპატიურება). მიუხედავად იმისა, რომ ფრჩხილების კვალი ბოროტმოქმედის ან დაზარალებულის სხეულზე არ გამოდგება ინდივიდუალური იდენტიფიკაციისათვის, მასზე ინდივიდუალური ნიშნების არარსებობის გამო, მის აღმოჩენას და ფიქსირებას აქვს გარკვეული მნიშვნელობა დანაშაულის ჩადენის გარემოებათა დასადგენად.

ზოგ შემთხვევაში ადამიანის ფრჩხილებში რჩება დაზარალებულის სხეულის ნაწილაკები, კანი და თმები. ყოველივე ეს უნდა იყოს დადგენილი პიროვნების, გვამის ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, სათანადოდ გაფორმდეს და გადაეგზავნოს ექსპერტს გამოკვლევისათვის.

მიკროკვალი და მიკრონაწილაკები. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილზე, დაზარალებულის ან ბრალდებულის სხეულზე, სხვადასხვა საგნებზე მიკროკვალისა და მიკრონაწილაკების აღმოჩენასა და გამოკვლევას. კრიმინალისტიკაში მიკრონაწილაკი ეწოდება მყარ მატერიალურ სხეულს, რომლის ზომა არ აღემატება 1 მმ, ხოლო მიკროკვალი არის სხვადასხვა სითხეების შედეგად დატოვებული

კვალი, რომლის წონა არ აღემატება 1 მგ.⁹

პრაქტიკაში შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის და დაზარალებულის სხეულზე, ტანსაცმელზე, გვამზე, ფეხსაცმელზე შეიძლება აღმოჩენილი იქნას სხვადასხვა წარმოშობის მიკრონაწილაკები. მაგალითად: ოქროს, ვერცხლის, თითბერის, სპილენძის, ლითონის, ტყვიის; სამშენებლო მასალის: ცემენტის, კირის, თაბაშირის, გაჯის, აგურის; ქსოვილების ბოჭკოების: ნართი, ძაფი, თოკი, ბამბის ბოჭკოები; ნარკოტიკული საშუალებების, ქიმიური, მინერალური და ბიოლოგიური მიკრონაწილაკები, მცენარეთა მიკრონაწილაკები და ა.შ.

შეხების შედეგად მიკრონაწილაკები შეიძლება გადავიდეს ერთი საგნიდან მეორეზე, დაზარალებულის ტანისამოსიდან ბრალდებულის ტანისამოსზე და პირიქით. ასევე მიკრონაწილაკები შეიძლება დარჩეს შემთხვევის ადგილზე და გვამზე.

ასეთივე ვითარებაში გვხვდება მიკროკვალიც. პრაქტიკაში შედარებით ხშირად გვხვდება ნაუთობპროდუქტების მიკროკვალი, ადამიანის გამონაყოფის მიკროკვალი (სისხლი, ნერწყვი, ოფლი, სპერმა, შარდი და ა.შ.).

მიკროკვალისა და მიკრონაწილაკების გამოკვლევა ხდება შესაბამისი სპეციალობის ექსპერტების მიერ კრიმინალისტიკური, სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, მეტალოგრაფიული, ქიმიური და ა.შ., მაგრამ მათი აღმოჩენა, ფიქსირება და ამოღება ყველა შემთხვევაში შედის გამომძიებლის კომპეტენციაში, შესაბამისი სპეციალისტის მონაწილეობითა და დახმარებით. ყოველი მიკროკვალი და მიკრონაწილაკი შემთხვევის ადგილზე ადამიანის სხეულზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე აღმოჩნდება ან ვიზუალური წესით, ანდა ტექნიკური და ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენებით (გამადიდებელი მინა, მიკროსკოპი, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენის სხივები და ა.შ.).

მიკროკვალისა და მიკრონაწილაკების გამოკვლევის შედეგად შეიძლება შუქი მოეფინოს დანაშაულის ჩადენის გარემოებას, დადგინდეს ბრალდებულის პიროვნება, მისი პროფესია, აიგოს შესაბამისი ვერსიები და განხორციელდეს სწორი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი. ყოველივე აღნიშნულის გამო იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მიკრონაწილაკებისა და მიკროკვალის გამომჟღავნება-გამოკვლევას უნდა მიექცეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სისხლის

⁹ Криминалистика, М., 1988, с. 197; Крылов И.Ф., В мире криминалистики, Ленинград, 1989, с. 194-195.

სამართლის საქმეთა გამოძიებისა და დანაშაულის გახსნის დროს.

ნაკეთობის დამზადების წყაროს დადგენა. პრაქტიკაში წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, დამზადებულია თუ არა გარკვეული ნაკეთობა მოცემულ ქარხანაში (ფაბრიკაში), გარკვეულ პერიოდში და გარკვეულ დანადგარზე; ნაკეთობანი, აღმოჩენილი სხვადასხვა ადგილას, დამზადებულია თუ არა ერთდროულად საწარმოო მექანიზმით, ე.ი. დგინდება ნაკეთობის დამზადების წყარო. ამას კი საფუძვლად უდევს იდენტიფიკაცია კვალის მიხედვით.

ნაკეთობის დამზადების წყაროს ობიექტები სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში ესენი არიან ცალკეული დეტალები (ავტოსატრანსპორტო საშუალებების, დაზგებისა და დანადგარების, ცალკეული საგნებისა და ნივთების). მეორე შემთხვევაში მათ მიეკუთვნება დამზადებული ნაწარმი (ქსოვილები, მოხმარების საგნები, საამშენებლო მასალა, დასამაგრებელი საშუალებანი). მესამე შემთხვევაში - ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებანი, ნარკოტიკული საშუალებები და ა.შ.

ყოველი საწარმოო მექანიზმი, რომელზედაც მზადდება ნაკეთობანი, საგნები, დეტალები, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებანი ტოვებს დამზადებულ საგნებზე გარკვეულ კვალს, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქარხნისათვის (ფაბრიკისათვის). ნაწარმზე აღიბეჭდება აგრეთვე საფაბრიკო (საქარხნო) ნიშნები. ნაწარმი მზადდება გარკვეული ხერხებით და პირობებში, გარკვეული დროის მანძილზე. ყოველივე აღნიშნული საშუალებას იძლევა დავადგინოთ ნაკეთობის დამზადების კონკრეტული წყარო, მისი ადგილი, დამზადების დრო, ნაკეთობისა და ნივთიერების შემადგენლობა.

აღნიშნულ გარემოებათა და ფაქტების დადგენას ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა ისეთ დანაშაულთა გამოძიების დროს, როგორებიცაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, ავტოსაგზაო შემთხვევები, აკრძალული კერძომევაკუთრული მოღვაწეობა, არასტანდარტული და უკომპლექტო საგნებისა და საქონლის დამზადება.

მთელის იდენტიფიკაცია ნაწილების მიხედვით. მთელის იდენტიფიკაციას ნაწილაკების მიხედვით საფუძვლად უდევს კვალის მიხედვით ერთი მთლიანი ობიექტის დადგენა-განსაზღვრა. იდენტიფიკაცია ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული ერთი მთლიანი ობიექტის ნაწილები, ნახევები ან ნამსხვრევები აღმოჩენილია სხვადასხვა ადგილზე: შემთხვევის ადგილზე ან დაზარალებულის ბინაში. იშვიათ შემთხვევაში ნაწილების მიხედვით მთელის იდენტიფიკაციის

საკითხი შეიძლება დაისვას მაშინ, როდესაც ნამსხვრევები, ნახევები, ნაწილები აღმოჩენილია ერთ ადგილზე. ამ სახის იდენტიფიკაციას ადგილი აქვს ისეთ დანაშაულთა გამოძიების დროს, როგორებიცაა: სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების გატაცება, მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა და ძარცვა, ავტოსაგზაო შემთხვევები და სხვა.

გამოკვლევის ობიექტებად ხშირად გვევლინება სხვადასხვა ხასიათის დახეული საბუღალტრო დოკუმენტები, ხელნაწერები, დამსხვრეული ხის ნაკეთობანი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები, გატეხის იარაღები, მინა და ავტომანქანის ფარები, დაჭრილი ქსოვილები და ა.შ.

მთელის იდენტიფიკაცია ხდება ნაწილების (ნამსხვრევების, ნახევების) კვალის შეთავსების მიხედვით. ზოგ შემთხვევაში ასეთი იდენტიფიკაციის დადგენისათვის საჭირო არ არის ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ტრასოლოგიური ექსპერტიზა ნაწილების მიხედვით მთელის იდენტიფიკაციის მიზნით ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და საჭიროა ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენება.

მოქ. ბ-ს ბინის გაძარცვის ადგილზე აღმოჩენილი იქნა ნაჯახის ნატეხი (ნაჯახი გამოყენებული იყო კარის გასაღებად). ეჭვმიტანილ ა-ს ბინის ჩხრეკის დროს ნახული იქნა ნაჯახი, რომელსაც ჩამოტეხილი ჰქონდა საჭრელი პირის ნაწილი. ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნაჯახის ჩამოტეხილი საჭრელი ნაწილი და ეჭვმიტანილის ბინაში ნახული ნაჯახი შეადგენდა ერთ მთლიანობას. ექსპერტის ასეთმა დასკვნამ ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

§9. ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საკითხები

ტრასოლოგიური ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვის დროს აღმოცენდება ისეთი სპეციალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს ექსპერტ-ტრასოლოგის სპეციალური ცოდნის გამოყენებას. ამ სახის ექსპერტიზის მთავარი მიზანი ის არის, რომ კვალთა გამოკვლევის საფუძველზე დადგინდეს მისი წარმოშობის მექანიზმი, მოხდეს ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრა და ინდივიდუალური იდენტიფიკაცია.

ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის ყველა შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ის გამოსაკვლავი ობიექტები და შესადარებელი მასალა, რომელიც

გადაეცემა ექსპერტს გამოსაკვლევის ჩატარებისათვის.

ამ ობიექტებს მიეკუთვნება გამოსაკვლევი ობიექტები: თითის ანაბეჭდი, ფეხის, კბილის კვალი, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი, გატეხის იარაღის კვალი და ა.შ. ყოველი გამოსაკვლევი ობიექტი უნდა გადაეცეს ექსპერტს იმ საგანთან ერთად, რაზედაც იგი იყო დატოვებული. თუ ასეთი ობიექტის ამოღება და ექსპერტისათვის გადაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია მისი სიდიდის ან სწრაფადფუჭებადობის გამო, მაშინ ექსპერტს ეგზავნება გამოსაკვლევი ობიექტის ტვიფარი ან კვალიდან დამზადებული დეტალური ფოტოსურათი.

გამოსაკვლევი ობიექტის გარდა ექსპერტს ეგზავნება შესადარებელი მასალა - ნიმუშები. მაგალითად: იმ პირის თითის ანაბეჭდები, ვის მიერადაც შესაძლებელი იყო შემთხვევის ადგილზე ხელის კვალის დატოვება. ფეხის კვალის დატოვების შემთხვევაში - ეჭვმიტანილის ფეხსაცმელი ან ცხოველის ფეხის კვალი, სატრანსპორტო საშუალების საბურავები, გატეხის იარაღები და ა.შ. თუ ამ სახის შესადარებელი ობიექტების ექსპერტისათვის გადაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია, მათგან უნდა დამზადდეს ექსპერიმენტული ნიმუშები და ტვიფარები.

ექსპერტ-ტრასოლოგის განკარგულებაში გამოსაკვლევი ობიექტისა და ნიმუშების გარდა უნდა გადაიგზავნოს ყველა ის მასალა, რომელიც დაკავშირებულია გამოსაკვლევი ობიექტის აღმოჩენასთან, ამოღებასთან და ფიქსირებასთან. ასეთ მასალებს მიეკუთვნება: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების ოქმი; გეგმები და სქემები; დადგენილება ნივთმტკიცების სახით გამოსაკვლევი ობიექტის საქმეზე დართვის შესახებ; იმ პირთა დაკითხვის ოქმები, რომელთა ჩვენებებიდან ვლინდება ისეთი გარემოებანი, რაც დაკავშირებულია გამოსაკვლევ ობიექტთან. თუ ტრასოლოგიური ექსპერტიზა ტარდება განმეორებით, ექსპერტს უნდა გადაეცეს აგრეთვე პირველადი ექსპერტიზის დასკვნაც.

დადგენილებაში (განჩინებაში) ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ოფიციალური მონაცემების გარდა აღინიშნება სპეციალური ცოდნის გამოყენების აუცილებლობის თაობაზე; გამოსაკვლევი ობიექტებისა და ნიმუშების აღმოჩენისა და მიღების ადგილზე და პირობებზე; იმ დამატებითი მასალების შესახებ, რომლებიც ეგზავნება ექსპერტს. დადგენილებაში (განჩინებაში) ნათლად და გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ექსპერტის მიერ გადასაწყვეტი საკითხები, რომლებიც განეკუთვნება ექსპერტ-ტრასოლოგის

კომპეტენციას და იმის შესახებ, თუ ვის ევალება ტრასოლოგიური გამოკვლევის ჩატარება.

საკითხები, რომლებიც გადაწყდება ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად მრავალფეროვანია იმისდამხედვით, თუ რა სახის კონკრეტულ გამოკვლევასთან გვაქვს საქმე.

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შეიძლება გადაწყდეს შემდეგი საკითხები: დატოვებულია თუ არა საგანზე თითის ანაბეჭდები; ვარგისია თუ არა იგი გამოკვლევისათვის; რა სახის დერილოვანი ქარგია გამოსახული თითის ანაბეჭდში; რომელი თითით არის იგი დატოვებული; კონკრეტულად ვის მიერ არის დატოვებული; რამოდენიმე საგანზე დატოვებული თითის ანაბეჭდები მიეკუთვნება ერთ თუ სხვადასხვა პირს.

ფეხის კვალის გამოკვლევის შედეგად გადაწყდება შემდეგი ძირითადი საკითხები: კვალი დატოვებულია თუ არა ადამიანის შიშველი ფეხით, წინდებით თუ ფეხსაცმლით; ვარგისია თუ არა კვალი გამოკვლევისათვის; რა ზომის და ფორმის ფეხსაცმლით არის დატოვებული კვალი; დატოვებულია თუ არა იგი კონკრეტული ფეხსაცმლით, წინდებით თუ შიშველი ფეხით; ერთიდაიგივე ფეხსაცმლით არის თუ არა დატოვებული ფეხის სხვადასხვა კვალი; ხომ არ არის ფეხის კვალი პროტეზით დატოვებული; რა მიმართულებით მიდიოდა პიროვნება; ხომ არ არის დატოვებული კვალი ყავარჯნით ან ფეხის პროტეზით.

კბილის კვალის ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შეიძლება გადაწყდეს საკითხები: წარმოადგენს თუ არა კვალი ადამიანის კბილის ან ცხოველის კბილის კვალს; რომელი კბილით ან კბილებით არის იგი დატოვებული; სხვადასხვა საგნებზე (სხეულზე) დატოვებული კვალი ხომ არ წარმოადგენს ერთიდაიგივე პირის კვალს; დატოვებულია თუ არა კვალი პროტეზით.

სატრანსპორტო საშუალებათა კვალთა ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შეიძლება გადაწყდეს საკითხები: რომელი სახის, მოდელის სატრანსპორტო საშუალებით არის დატოვებული კვალი; რომელი კონკრეტული სატრანსპორტო საშუალებით არის დატოვებული კვალი; სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მიმართულება; რომელ მანქანას მიეკუთვნება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სატრანსპორტო საშუალების ნაწილები და დეტალები; სატრანსპორტო საშუალებათა ურთიერთგანლაგება შემთხვევის ადგილზე; სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული ჩაჭეჭვილობა, დაზიანებანი, ნაკაწრები

წარმოქმნილია თუ არა სხვა სატრანსპორტო საშუალების დაჯახების შედეგად ან გადაბრუნების დროს.

გატეხის იარაღთა და ხელსაწყოთა კვალთა გამოკვლევის შედეგად შეიძლება დადგინდეს შემდეგი საკითხები: რა ხერხით არის წინალობა გატეხილი; რომელი კონკრეტული გატეხის იარაღი ან ხელსაწყო იყო გამოყენებული; გატეხის იარაღის გამოყენების მიმართულება და თანმიმდევრობა; გატეხის იარაღის სახე; რომელი მხრიდან იყო გატეხილი წინალობა; შემთხვევის ადგილზე არსებული გატეხის კვლები დატოვებულია ერთი თუ სხვადასხვა გატეხის იარაღით ან ხელსაწყოთი; გამართულია თუ არა მოცემული საკეტი ან ბოქლომი; რა ხერხით არის იგი გაღებული; რომელი კონკრეტული ხელსაწყო იყო გამოყენებული ბოქლომის ან საკეტის გასაღებად ან გასატეხად; პლომბის, ლუქის მთლიანობა რა ხერხის გამოყენებით იყო დაზიანებული; მოცემული დასაპლომბი ხელსაწყოთი იყო თუ არა გადატანილი ტექსტი პლომბზე.

ყოველი დასახელებული საკითხის ჩამოთვლა არის სანიმუშო, ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შეიძლება გადაწყდეს სხვა საკითხებიც.

ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მეთოდთა შეესატყვისება კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების საერთო მეთოდებს. პირველ რიგში ექსპერტი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მას გადაეცა ნამდვილი გამოსაკვლევი ობიექტები და შესადარებელი მასალა, რომ ეს ობიექტები შეესაბამება მათ აღწერას ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში. ექსპერტიზის კვლევით ნაწილში აღინიშნება გამოსაკვლევი ობიექტი და შესადარებელი მასალა, რის შემდეგ ცალკე იქნება შესწავლილი გამოსაკვლევი ობიექტის საერთო და კერძო ნიშნები და ცალკე - შესადარებელი ობიექტების.

ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს შედარებითი გამოკვლევა, რომლის დროსაც ჯერ დარდება ზოგადი და საერთო ნიშნები, ხოლო შემდეგ კერძო და ინდივიდუალური ნიშანთვისებები. შედარების შედეგები ექსპერტის მიერ უნდა შეფასდეს სრულყოფილად და ობიექტურად. შედეგების კრიტიკული შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ნიშანთვისებათა დამთხვევა, ასევე მათი განსხვავებაც. კატეგორიული დასკვნის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც დადგენილი დამთხვევები ან სხვაობანი მათ ერთობლიობაში არის სისტემური და განუმეორებელი სხვა შემთხვევაში.

ექსპერტ-ტრასოლოგის დასკვნა (საკითხის დადებით, თუ უარყოფით გადაწყვეტის შემთხვევაში) უნდა იყოს ილუსტრირებული ფოტოსურათებით, სქემებით, გეგმებით და ა.შ. ასეთი წესის დადგენა იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი თვალსაჩინოს ხდის ექსპერტის დასკვნას და აადვილებს მის კრიტიკულ შეფასებას საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების მხრივ და პროცესის სხვა შესაბამის მონაწილეთა მიერ.¹⁰

¹⁰ ტრასოლოგიის შესახებ დაწერილებით იხ: ფაფიაშვილი შ.გ., დაქტილოსკოპია, თბილისი, 1969; Шевченко Б.И., Теоретические основы трассологической идентификации в криминалистике, М., 1975; Турчин Д.А., Теоретические основы учения о следах в криминалистике, Владивосток, 1983; Крылов И.Ф. Следы на месте преступления, Ленинград, 1961; Крылов И.Ф. Криминалистическое учение о следах, Ленинград, 1976; Зуев Е.И., Трассологическая экспертиза следов обуви, М., 1964; Селиванов Н.А., Дворкин А.И., Викторова Е.Н., Возможности пороскопического метода при дактилоскопических исследованиях, М., 1975; Дактилоскопическая экспертиза, Красноярск, 1990.

XI თავი სასამართლო ბალისტიკა

§1. სასამართლო ბალისტიკის არსი და ობიექტები

ბალისტიკა არის სამხედრო-ტექნიკური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ჭურვის მოძრაობას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ხოლო სასამართლო ბალისტიკა არის კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ცეცხლსასროლ იარაღებს, მათი ნაწილების მიერ დატოვებულ კვალს, სროლის დროს წარმოშობილ მოვლენებს, სროლის ტექნიკურ პირობებს, ტყვიის ტრაექტორიას და საბრძოლო მასალას დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

სასამართლო ბალისტიკა გარდა ცეცხლსასროლი იარაღებისა, მათი საბრძოლო მასალებისა და ფეთქებადი ნივთიერებებისა განიხილავს ისეთ საკითხებს, რაც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენებასთან. აღნიშნულს იგი შეისწავლის მომიჯნავე მეცნიერებების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. სროლის კვალი ხშირად შეისწავლება კომპლექსურად სასამართლო სამედიცინო, ფიზიკო-ქიმიურ და სხვა ექსპერტებთან ერთად სპექტრალური, რენტგენოლოგიური, ქრომატოგრაფიული, ინფრაწითელი, სპექტრომეტრული და სხვა მეთოდების გამოყენებით.

ბალისტიკის ერთი ნაწილი შეისწავლის ჭურვის მოძრაობას ლულის შიგნით, რასაც შიდა ბალისტიკა ეწოდება, მეორე შეისწავლის ჭურვის მოძრაობას ლულის გარეთ, რასაც გარე ბალისტიკა ეწოდება.

ვინაიდან სასამართლო ბალისტიკის ინტერესი განისაზღვრება მხოლოდ იმ კვლების და მოვლენების შესწავლით, რომლებიც გვეხმარება დანაშაულის გახსნასა და გამოძიებაში, ამდენად ცეცხლსასროლი იარაღები, საბრძოლო მასალა და ფეთქებადი ნივთიერებები განიხილება მხოლოდ ამ ინტერესითა და თვალსაზრისით.

ცეცხლსასროლი იარაღები დაკავშირებულია დენტის გამოგონებასთან. უძველესი ფეთქებადი ნივთიერება შავი დენთი პირველად მიღებულ იქნა ჩინეთში, სადაც მას სადღესასწაულო შუშხუნების სახით იყენებდნენ, ხოლო სამხედრო მიზნებისათვის იგი პირველად არაბებმა გამოიყენეს XI საუკუნეში. XIV საუკუნიდან შავი დენთი გავრცელდა დასავლეთ ევროპაში და დამზადებული იქნა პირველყოფილი, პრიმიტიული თოფი და ამის შემდეგ დამბაჩა, რამაც

განიცადა რა ევოლუცია მოვიდა დღევანდელ სხვადასხვა დანიშნულების ავტომატურ იარაღებამდე.

პირველყოფილი თოფი წარმოადგენდა ლითონის ცალ მხარეს დახურულ ლულას, რომელშიაც ჩაყრილი დენთი ფეთქდებოდა მის ძირთან ზევიდან გაკეთებულ ნახვრეტთან ცეცხლის მიტანით.

XV საუკუნის პირველი ნახევრიდან თანდათან გაუმჯობესდა თოფების აგებულება, დაგრძელდა ლულა და თოფის ხის ნაწილმა, რაზედაც დამაგრებული იყო ლულა, მიიღო თანამედროვე თოფის კონდახის მსგავსი ფორმა.

ცეცხლსასროლი თოფები, თავისი სიმძიმის, დამუხტვისათვის საჭირო დიდი დროის, მოქმედების მცირე მანძილის და ცუდი მიზანში მოხვედრის გამო ჯერ კიდევ ეფექტურ კონკურენციას ვერ უწევდა მშვილდისარს და არბალეტს.

გასული საუკუნის შუა წლებში გამოჩნდა ორღარიანი თოფის ლულები და მრგვალი ტყვია, რომელსაც ღარის სიფართის სიმეტრიული რგოლი ჰქონდა. ამით გაიზარდა ტყვიის ფრენის სიშორე და მიზანში მოხვედრა. შემდეგში მრგვალი ფორმის ტყვია შეიცვალა წაგრძელებული კონუსის ფორმის ტყვიით, რაც თავისი აეროდინამიკური თვისებით უკეთესი იყო.

გლუვლულიანი თოფით შეიძლებოდა მიზანში სროლა მხოლოდ 300 ნაბიჯამდე, მაშინ როდესაც ხრახნიანი თოფები 1200 ნაბიჯზე ისროდა ტყვიას.

აღნიშნული ტექნიკური გაუმჯობესების შემდგომი საფეხური იყო ქაღალდის ვაზნების გამოგონება, რაც წინაპარი იყო თანამედროვე ვაზნებისა.

თოფების შემდგომი გაუმჯობესება მდგომარეობდა იმაში, რომ გამოიგონეს თოფები, რომელებიც იტენებოდა არა ლულის ბოლოდან, არამედ თავიდან. ლულაში იდებოდა ქაღალდის ვაზნა, რის შემდეგაც ლულა იკეტებოდა და სროლა სწარმოებდა ჩახმახის ფისტონზე დაცემით.

შემდგომ დადგა საკითხი სროლის სიჩქარის გაზრდაზე. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა სროლის ორგანიზაციით. ვაზნები მსროლელს წელზე კი არ ეკიდა არამედ 10 ვაზნა ერთად შეკრული მაგრდებოდა თოფზე სატყვიის გვერდით, რაც წარმოადგენს მჭიდვს თავდაპირველ ჩანასახს. ამის შემდეგ დამზადებული იყო მუდმივად მიდგმული მჭიდვე, რაც შედარებით უკუთესი იყო, მაგრამ ასევე დიდ დროს მოითხოვდა დასამუხტავად.

შემდეგში ჩქარი სროლის საკითხის გადაჭრაში დიდი როლი ითამაშა ტყვიების ყალიბის შემცირებამ და აქედან გამომდინარე მჭიდვეში მეტი რაოდენ-

ნობის ვაზნების მოთავსებამ.

თოფისაგან განსხვავებით მოკლე, ერთი ხელით სასროლი ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ XVI საუკუნეში გამოჩნდა და მის გამომგონებლად ითვლება იტალიის ქ.პისტოლაში მცხოვრები ოსტატი კამალ ვეტელი. ასეთ ცეცხლსასროლ იარაღს პისტოლეტი ეწოდა.

რევოლვერის განვითარების ისტორიაში მეტად მოხერხებული გამოდგა ამერიკელ სამუელ კოლტის მიერ 1836 წელს შემოთავაზებული კონსტრუქცია, რაც დასაწყისი გახდა დღევანდელი აგებულების რევოლვერებისათვის. დღეისათვის ოფიციალურად რევოლვერების უშუალო წინაპარია 1870-74 წლებში ბელგიელ ლეონ ნაგანის მიერ გამოგონებული რევოლვერი, რაც ნაგანად იწოდება.

სასამართლო ბალისტიკის ობიექტის გარკვევისათვის საჭიროა დავადგინოთ თუ რას წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღი და რა ნიშნებია მისთვის დამახასიათებელი.

უპირველეს ყოვლისა ცეცხლსასროლ იარაღს ახასიათებს ფეთქებადი ნივთიერების გამოყენება ჭურვის გასატყორცნად. მეორე, აქვს ლულა ან სხვა საშუალება ჭურვის მიმართულების მისაცემად. მესამე, მუხტის ასაფეთქებელი მოწყობილობა. მეოთხე, ჭურვის საკმაო სიმძლავრე და ბოლო მეხუთე კონსტრუქციის საკმაო სიმყარე.

ლულა ჭურვის მიმართულების მიმცემია, გარდა ამისა ჭურვის მიმართულების მიმცემია დანადგარი რაზუდაც ჭურვი დგას. რაკეტის მიმართულების მიმცემია სტაბილიზატორი, მაგრამ ეს უკანასკნელი დამახასიათებელია საარტილერიო და სარაკეტო იარაღებისაღვის, რაც მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს შესწავლის ობიექტს.


მოწყობილობა თუ ცეცხლსასროლია, მას უნდა გააჩნდეს კიდევ საამისო სათანადო სისტემა, რათა იგი იწოდებოდეს ცეცხლსასროლ იარაღად.

ჭურვის მოქმედების სიძლიერე განისაზღვრება კვადრატულ მილიმეტრზე მოქმედი კინეტიკური ძალით, რაც მოცემულ შემთხვევაში უნდა იყოს არანაკლები 0,05 კილოგრამისა, მრგვალი ფორმის ჭურვისათვის, ხოლო კონუსის მაგვარი ჭურვისათვის უფრო ნაკლები. რაც შეეხება კონსტრუქციის სიმყარეს, იგი უნდა ვარგოდეს ერთზე მეტი გასროლისათვის.

ცეცხლსასროლი იარაღები თავისი პირდაპირი ფუნქციით მხოლოდ ვაზნების საშუალებით ტოვებს საჭირო კვალს. ვაზნა წარმოადგენს ცეცხლსასროლი

იარაღის საბრძოლო მასალას, რაც ორ ჯგუფად იყოფა: ვაზნა ხრახნიანი იარაღებისათვის და ვაზნა გლუვლულიანი იარაღებისათვის.

ვაზნა შედგება სამი ნაწილისაგან: ტყვიისაგან, მასრისაგან და ღენტისაგან. ვაზნების ძირითადი ნაწილების დასახელება (იხ. სურ. 1).



სურ. 1 ვაზნების ძირითადი ნაწილების დასახელება

ა. შაშხანის ვაზნა

ბ. გლუვლულიანი
თოფის ვაზნა

გ. მცირეკალიბრიანი
თოფის ვაზნა

1. ვაზნის კორპუსი
2. მასრის ძირითადი არხი
3. მასრის ძირი
4. ფისტონი
5. მასრის ყელი
6. მასრის დაქანება
7. ღენთი
8. ტყვიის გულა
9. ტყვიის გარსი
10. ტყვიის არხი

1. ვაზნის კორპუსი
2. მუყაოს მასრის ლითონის ნაწილი
3. მასრის ძირი
4. ფისტონი
- 5-6. ტიზები (ქერის და მუყაოს, კონცენტრატორ-კონტეინერთან ერთად)
7. ღენთი
8. საფანტი
9. მასრის ვარსკვლავებური თავშეხვევა


1. ვაზნის კორპუსი
- 2.-3. ვაზნის ძირი
4. ჩაწნეხილი ღენთი (ფისტონი)
5. ღენთი
6. ტყვია
7. არხები და ტყვიის სამაგრი

ტყვიის დანიშნულებაა სამიზნე ობიექტის დაზიანება. ტყვიები გარდა ყალიბისა, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით, აგებულებით და დანიშნულებით.

ფორმის მიხედვით ტყვიები არის: ნახევრადსფეროსებური, წაგრძელებული, კონუსის მაგვარი და ბრტყელი თავით (იხ. სურ. 2).

ტყვიას ბოლოში გააჩნია მისი მასრაში ჩამაგრების კვალი, რომელიც არის წერტილოვანი, შემოჭერილი და წრიული (იხ. სურ. 3).


ტყვია აგებულების მიხედვით არის სამნაირი: უგარსო, ნახევრადგარსიანი და გარსიანი. უგარსო არის მცირეყალიბიანი შაშხანის, სპორტული რევოლვერის და პისტოლეტის, რომელიც მხოლოდ ტყვიის ლითონისაგან შედგება. ასეთივეა გლუვლულიანი სანადირო თოფების ტყვიები. ნახევრადგარსიანია ზოგიერთი სანადირო თოფის ტყვიები, რომლებიც ნაწილობრივ დაფარულია ლითონის გარსით. გარსიანია საბრძოლო იარაღების ტყვიები, რომლებსაც შიგნიდან ტყვიის ლითონის სხმული აქვს, ხოლო გარედან კი ლითონის გარსი (იხ. სურ. 4).



სურ. 2

ფორმის მიხედვით ტყვიები არის:


1. ნახევრადსფეროსებური
2. წაგრძელებული
3. კონუსისმაგვარი
4. ბრტყელთაყიანი



სურ. 3

პისტოლეტის ვაზნები, ტყვიის მასრაში ჩამაგრების სხვადასხვა სახეებით.

1. წერტილოვანი
2. შემოჭერილი
- 3.-5. წრიული (ორმაგი სამაგრი)




სურ. 4

ტყვიები აგებულების მიხედვით არის:

1. უგარსო
2. ნახევრადგარსიანი
3. გარსიანი

დანიშნულების მიხედვით ტყვიები იყოფა: მსუბუქ ანუ ჩვეულებრივად და სპეცდანიშნულების ტყვიებად.


მსუბუქი ტყვიები მარტივი აგებულებისაა და შედგება ტყვიის გულით და მაგარი ლითონის გარსისაგან. მძიმე ანუ სპეცდანიშნულების ტყვიებია: ჯავშანმჭრელი (წვეტზე შავი საღებავით), მანათობელი (წვერზე მწვანე საღებავით) და ცეცხლწამკიდი (წვეტზე წითელი საღებავით). (იხ. სურ. 5).




სურ. 5
სხვადასხვა დანიშნულების ტყვიები და მათი აგებულება
1 ჩვეულებრივი, ფოლადის გულით
2. მანათობელი
3. ჯავშანმჭრელი და ცეცხლწამკიდი

მასრა არის ვაზნის მეორე ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ტყვიის, დენტის და დეტონატორის ერთობლიობას. მასრის დანიშნულებაა ტყვიისათვის კინეტიკური ენერჯის მიცემა ე.ი. გასროლა.

მასრა არის სამი ფორმის: წაკვეთილი კონუსის მაგვარი, ბოთლის მაგვარი და ცილინდრისებური (იხ. სურ. 6).



სურ. 6
მასრის ფორმები
1 წაკვეთილი კონუსის მაგვარი
2. ბოთლის მაგვარი
3. ცილინდრისებური



სურ. 7
მასრები ძირის მიხედვით არის:
I - ცილინდრის მაგვარი გამოწეული ძირით
II - ბოთლის მაგვარი გამოწეული ძირის გარეშე

მასრაზე არის მასში ტყვიის ჩამაგრების კვალი. ძირის მიხედვით განასხვავებენ მასრებს გამოწეული და შეჭრილი ძირით (იხ.სურ. 7).

მასრების ძირზე არის ქარხნის, გამოშვების თარიღის, ყალიბისა და სხვა ინფორმაციული ხასიათის მონაცემები.

სანადირო გლუვლულიანი თოფის მასრა არის მოკლე 65 მმ-იანი და გრძელი 70 მმ-იანი. ზოგიერთ მათგანს, განსხვავებით ხრახნიანი იარაღების მასრებისა, გარდა ძირისა გვერდებზეც გააჩნია ინფორმაციის შემცველი წარწერები და ისინი სხვადასხვა ფერისანი არიან.

სანადირო თოფის ვაზნა შედგება მასრისაგან, დეტონატორ-ფისტონისაგან და ტყვიაწამლისაგან. მასრაში პირველ ფენად იყრება დენთი, შემდეგ მას ეხურება მუყაოს საფენი, ქერის საფენი და კვლავ მუყაოს საფენი, რის შემდეგაც მასრაში თავსდება საფანტი და იფარება მუყაოს საფენით. ბოლო დროს ქარხნული წესით დამზადებულ ვაზნებში საფანტი მოთავსებულია პოლიეთილენის კონტეინერში, რაც ხელს უწყობს საფანტის შორს და შემჭიდროვებულად წაღებას.

§2. ცეცხლსასროლი იარაღების კლასიფიკაცია

ხელით სასროლი იარაღები მრავალსახეობისაა. ისინი განსხვავდებიან სიგრძის, ყალიბის, ვაზნებისა და სხვა ნიშნების მიხედვით, ამიტომ საჭიროა მოხდეს მათი კლასიფიკაცია ჯგუფური ნიშნების მიხედვით, კერძოდ ხელის სასროლი იარაღები იყოფა შემდეგი ჯგუფური ნიშნების მიხედვით:

1. იარაღის დანიშნულება. რაც შეიძლება იყოს საბრძოლო, სანადირო და სპორტული. ეს იარაღები, თავის მხრივ, იყოფა საბრძოლო - სამხედრო, სამოქალაქო და საპოლიციო სახეობად. სანადირო იარაღები - სარეწაო, სამხედრო-სამონადირეო და სპორტულ-სამონადირეო იარაღებად. სპორტული იარაღებია: სავარჯიშო და სპეცდანიშნულების.

2. ავტომატურობა. ავტომატურობის მიხედვით შეიძლება იყოს: არაავტომატური, ავტომატური და თვითტენადი.

3. ვაზნათა რაოდენობა. ვაზნათა რაოდენობის მიხედვით იარაღებია: ერთვაზნიანი და მრავალვაზნიანი.

4. დატენვის წესი. პირველყოფილი იარაღები იტენებოდა ლულიდან, მასში დენთისა და საფანტის ან ტყვიის ჩატენვით, ხოლო შემდეგ კი განვითარებასთან დაკავშირებით თოფები იტენება სატყვიედან.

5. ლულათა რაოდენობის მიხედვით თოფები იყოფა ერთლულიანად, ორლულიანად და მრავალლულიანად.

6. ყალიბის მიხედვით იარაღები იყოფა სამ ჯგუფად: მცირე ყალიბიანი, რომლებსაც აქვთ ყალიბი 6.5 მმ-მდე, საშუალო ყალიბიანი 6.5 მმ-დან 9 მმ-მდე და მსხვილ ყალიბიანი - 9 მმ-ზე მეტი ყალიბის იარაღი.

7. ლულის სიგრძის მიხედვით იარაღები იყოფა: გრძელლულიან, საშუალოლულიან და მოკლელულიან იარაღებად.

გრძელლულიანია: შაშხანები და სანადირო თოფები. საშუალო სიგრძის ლულიანი იარაღებია ხელის ტყვიამფრქვევები და ავტომატები, ხოლო მოკლელულიანი იარაღებია ყველანაირი პისტოლეტი და რევოლვერი (იხ. სურ. 8).




გრძელლულიანი შაშხანა




საშუალო ლულიანი ავტომატები
„აქს“



„აქს-უ“



მოკლელულიანი
„გაპაროვი“
„სტაჟინი“
„ასმ“



სურ 8
ცაცხლსასროლი იარაღების
კლასიფიკაცია ლულის
სიგრძის მიხედვით


8. ლულის შიდა ზედაპირის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღები არის ხრახნიანი, გლუვლულიანი და ნაწილობრივ ხრახნიანი. ნაწილობრივ ხრახნიანია ისეთი იარაღები, რომლებსაც ლულა აქვთ გლუვი და მხოლოდ ბოლოში აქვს ხრახნი. აღნიშნული იარაღი ძველებურია და მას "პარადოქსი" ეწოდება.

9. დამზადების წესის მიხედვით იარაღები იყოფა: ქარხნულ, კუსტარულ და თვითნაკეთ იარაღებად.

გადაკეთებული იარაღი ითვლება ქარხნული წესით დამზადებულად, ვინაიდან თავიდან იგი ქარხნული წესით იყო დამზადებული (იხ. სურ. 9).

10. კონსტრუქციის თავისებურება გულისხმობს იარაღის სტანდარტულობას, რომელსაც განეკუთვნება შაშხანა და კარაბინი.

11. წყობის მიხედვით იარაღები სპეციალურ ლიტერატურაში იყოფა: რევოლვერებად და პისტოლეტებად.




სურ. 9

1. ქარხნული წარმოების პისტოლეტები „მაუზერი და პარაბელუმი“

2. თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღები
I II - თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი
III - კუსტარული იარაღი

რევოლვერებში ვაზნები თავსდება მბრუნავ დოლში, ხოლო პისტოლეტში კი მჭიდში, რომელიც შედის სახელურში ან სავაზნის დასაწყისის ქვეშ. მოკლე იარაღების კლასიფიკაცია წყობის მიხედვით იყოფა: დამბაჩებად, რევოლვერებად და პისტოლეტებად (იხ. სურ. 10).



სურ. 10 სხვადასხვა წყობის შოკლე ცეცხლსასროლი იარაღები
დაშაჩა, რევოლვერი და პისტოლეტი

ცეცხლსასროლი იარაღების აღნიშნული კლასიფიკაცია პირობითია და იგი შეიძლება გაგრძელდეს სასურველი ნიშნების მიხედვით.

ცეცხლსასროლი იარაღები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიძლიერითაც, რაც განისაზღვრება სხვადასხვა პარამეტრებში, როგორცაა ჭრა, დამანგრეველი ძალა, მოქმედების სიშირე და სხვა.

ჭრის სიძლიერე განისაზღვრება ტყვიის ლულიდან გამოსვლის დროს არსებული სიჩქარით მ/წმ. ტყვიის დამანგრეველი ძალა განიზომება ტყვიის ფორმით, ტყვიის მოქმედების სიშირე - ტყვიის საწყისი სიჩქარითა და ფორმით.


ტყვიის ჭრის სიძლიერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტყვიის ბრუნვის სიჩქარეს თავისი ღერძის გარშემო, რასაც იგი ღებულობს (გარდა სხვა პირობებისა) ხრახნის დახრის კუთხის გაზრდით. ასეთი ტყვია სხეულში შეჭრის შემდეგ მცირე წინააღმდეგობაზე შეხვედრისთანავე იცვლის მიმართულებას, რის გამოც იგი უფრო აზიანებს წინალობას, ვიდრე გამჭოლი ტყვია.

ტყვიის დამანგრეველ თვისებაზე გავლენას ახდენს მისი ფორმა. რამდენადაც ტყვია ბლაგვია და არასწორი ზედაპირისაა იმდენად დამანგრეველია, მაგალითად, "ნაგანის" ბრტყელთაფიანი ტყვიის გულას გაცილებით მეტი დამანგრეველი ძალა აქვს ვიდრე იგივე ყალიბის პისტოლეტის "ტტ" ტყვიის გულას, თუმცა ჭრის ძალა ამ უკანასკნელს უფრო მეტი აქვს.

§3. კვალთა წარმოშობის მექანიზმი

ვინაიდან ბალისტიკა გვანტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად დანაშაულის ჩადენის ადგილზე ტოვებს კვალს, უნდა განვიხილოთ კვალთა სახეები და მათი წარმოშობის მექანიზმი. ვაზნაზე კვალის დატოვების პროცესი უნდა განვიხილოთ საფეხურების მიხედვით, ვაზნის მჭიდვეში მოთავსებიდან ტყვიის მოძრაობის დასასრულამდე, კერძოდ: 1. ტყვიაზე და მასრაზე იარაღის სხვადასხვა ნაწილების მიერ დატოვებული კვალი სროლამდე, 2. ტყვიაზე და მასრაზე იარაღის სხვადასხვა ნაწილების მიერ დატოვებული კვალი სროლის შემდეგ, 3. კვლები, რომლებიც წარმოიშობა ტყვიაზე და მასრაზე, მათი იარაღთან შეუთავსებლობის, იარაღის მთლიანობის ან მოქმედების შეზღუდვის შედეგად, 4. კვალი, რომელიც წარმოიშობა მისი წინალობაზე მოხვედრის შედეგად, 5. კვლები, რომლებიც წარმოიშობა თვით იარაღის, ტყვია-წამლის და მისი მასალების თავისებურებით.

1. ტყვიაზე და მასრაზე სხვადასხვა ნაწილების მიერ დატოვებული კვალი სროლამდე. ვაზნის მჭიდვეში ჩადების დროს მასრაზე რჩება მჭიდვეს გვერდების სიგრძივი პარალელური ხაზები (დინამიკური კვალი). ასეთივე კვალი წარმოიშობა მასრაზე ვაზნის სატყვიეში გადატანის დროს ან მჭიდვედან ვაზნის ხელით ამოღების შემთხვევაში. აღნიშნული წარმოადგენს მჭიდვის კვალს მასრაზე და საიდენტიფიკაციო ნიშნების გამო ისინი ვარგისია მხოლოდ ვაზნის მჭიდვეში ყოფნის დასადასტურებლად და არა იდენტიფიკაციისათვის. ვაზნის სატყვიეში მიწოდებისას, სროლამდე მასზე რჩება ამომგდების პირველადი კვალი. ტყვიაზე რჩება ლულის ხრახნის პირველადი, ტყვიის ძირის მიმართ ვერტიკალური კვალი. (იხ. სურ. 11)




სურ. 11 ტყვიაზე დატოვებული ხრახნის კვალი

1. პირველადი კვალი
2. მეორადი კვალი
3. ხრახნის სიფართოე



2. ტყვიაზე და მასრაზე იარაღის სხვადასხვა ნაწილების მიერ დატოვებული კვლები სროლის შემდეგ. სროლის შემდეგ ტყვიაზე რჩება ლულის ხრახნის დახრილი კვალი, რომელსაც მეორადი კვალი ეწოდება (იხ სურ. 11).

სროლის შემდეგ მასრაზე რჩება ჩამკეტის ზედაპირის, დამცემის, ამომგდებისა და ამსხლეტის კვალი (იხ. სურ. 12)



სურ. 12


- 1 ჩამკეტის ზედაპირის
 - 2 დამცემის
 - 3 ამომგდების
 - 4 ამსხლეტის
- მოქმედებათა სქემატური გამოსახულება და მათი კვალი მასრის ძირზე



ჩამკეტის ზედაპირის დამუშავების სხვადასხვა სახეები და მათი კვლები მასრებზე

დამცემის კვალი მცირე ყალიბიან სპორტული იარაღის მასრებზე

ჩამკეტის ამომგდებისა და ამსხლეტის ურთიერთმდებარეობა და მათი სიმეტრიული კვალი მასრის ძირზე



აღნიშნულ კვლებს გააჩნიათ როგორც გვაროვნული, ასევე კერძო საიდენტიფიკაციო ნიშნები და ვარგისი არიან იდენტიფიკაციისათვის. ტყვიაზე კიდევ რომ არ დარჩეს გამოკვეთილი მიკრორელიეფური კვალი და ხრახნის ინდივიდუალური ნიშნები, თვით ხრახნის რელიეფური კვალის არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ხრახნის რაოდენობის, ხრახნის სიფართის, ხრახნის დახრის კუთხით და ხრახნის მიმართულებით დადგინდეს იარაღების ჯგუფი, რაც სხვა მონაცემებთან ერთად გამოდგება იდენტიფიკაციისათვის (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1 ხრახნის ზომიერითი მონაცემები

	იარაღის დასახელება	ხრახნის სიფართი	ხრახნის დახრა	ხრახნის რაოდენობა და მიმართულება
1	„ვალტერი-პ“	0.70-0.79	3.82	6 მარჯ.
2	„ტიტანიკი“	0.75-0.89	3.85	6 მარჯ.
3	„სტარ“	0.54-0.63	4.49	6 მარჯ.
4	„ვებლერ-სკოტი“	0.93-1.00	5.41	6 მარჯ.
5	„ვიქტორია“	0.91-0.96	4.85	6 მარჯ.
6	„ასტრა“	0.84-0.94	5.55	4 მარჯ.
7	„მაიარდი“	0.89-0.91	5.67	6 მარჯ.
8	„ვალტერი“	1.65-1.70	5.48	4 მარჯ.

3. კვლები, რომლებიც წარმოიშობა ტყვიაზე და მასრაზე, მათი იარაღთან შეუთავსებლობის, იარაღის მთლიანობის ან მოქმედების შეზღუდვის შედეგად.

ლულაგადაჭრილი თოფიდან სროლის დროს, თუ კი დარღვეულია გადაჭრის წესი, შესაძლებელია გარსაცმიანი ტყვიის მთლიანობის დარღვევა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სატყვიეს ფორმა ზუსტად არ შეესატყვისება მასრის ზომას და ფორმას, ხდება მასრის გასკდომა. აღნიშნულ მოვლენას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც მასრისა და ცეცხლსასროლი იარაღის ყალიბი სხვადასხვაა ან როდესაც მუყაოს მასრა უხარისხოა და ერთ სიბრტყეზე არაა მასრის ლითონისა და მუყაოს ნაწილების ზედაპირი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება მასრის ძირისა და მუყაოს ნაწილის განცალკევება.

აღნიშნულ შემთხვევაში წარმოშობილ კვალს არ გააჩნია ინდივიდუალური ნიშნები, მაგრამ მისი მეშვეობით დგინდება მასრის მთლიანობის დარღვევის მიზეზი.

არის ხოლმე შემხვევები, როდესაც იარაღის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლის დროს, ან მისი ჯიბიდან სროლის შემთხვევაში, რაიმე წინალობა ხელს უშლის ამოგდებულ მასრას, რის გამოც იგი მოყვება ჩამკეტის სახურავის სარკმელში. ამ შემთხვევაში მასრაზე რჩება სარკმლის შიდა ზედაპირის ჩაღრმავებული კვალი. ლულაში რაიმე მყარი ნაწილაკის არსებობის შემთხვევაში სროლის შედეგად ხდება ლულის გაბერვა.

როგორც წესი, სატყვიე არ წარმოადგენს იარაღის კვალის დამტოვებელ ნაწილს, მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც რჩება სატყვიეს კვალი. აღნიშნული კვალი წარმოადგენს სატყვიეს იმ ადგილის კვალს, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო დარღვეული იყო სატყვიეს შიდა ზედაპირის სიბრტყე და მაზე არსებობდა ზედაპირიდან ამოწეული ბორცვები. აღნიშნული კვალი შეიძლება გამოდგეს იდენტიფიკაციისათვის.

4. კვლები, რომლებიც წარმოიშობა ტყვიაზე, ლულიდან გასვლის შემდეგ და წინალობაზე მოხვედრის შედეგად.

აღნიშნული პროცესი გულისხმობს ტყვიის ასხლეტვასა და პირდაპირი ტრაექტორიიდან გადახრას. ტყვიის ფრენის ბუნების გარკვევას მნიშვნელობა აქვს ტყვიის ფრენის ტრაექტორიის დადგენისათვის.

ტყვიას ფრენის კინეტიკურ ენერგიას აძლევს სატყვიეში დენტის აფეთქების შედეგად წარმოშობილი ჰაერის ძალაღობა, რაც ტყვიას აიძულებს იმოძრაოს წინ. ტყვიის ფრენის ტრაექტორიაზე გავლენას ახდენს დედამიწის გრავიტაციული მიზიდულება ვერტიკულურ სიბრტყეზე და დერივაციული ძალები, რაც გულისხმობს ჭურვის დაბლა და გვერდით გადაადგილებას. გრავიტაციული მიზიდულობა ჭურვს ფრენის ვერტიკალურ ტრაექტორიაზე გადაადგილებს ქვევით დედამიწისაკენ, ხოლო დერივაციული ძალა (ქარის ძალა), კი ქარის მიმართულებით, რაც შეიძლება იყოს ყოველმხრივი. გარდა გრავიტაციული მიზიდულობისა ჭურვის ფრენის სიშორეზე გავლენას ახდენს ჰაერის წინააღმდეგობა, რომლის ნაწილობრივად გადასალახავად ტყვიას მიეცა კონუსის მაგვარი ფორმა, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ხრახნის საშუალებით, ტყვიას მიეცა თავისი სიგრძივი ღერძის გარშემო ბრუნვითი მოძრაობა. აღნიშნული ჭურვს აძლევს გიროსკოპულ ეფექტს და ტყვია მოძრაობს ისრის მაგვარად გატყორცნის მიმართულებით, რაც მას ხელს უწყობს ჰაერის წინააღმდეგობის ნაწილობრივად გადალახვაში და მიზანში მოხვედრაში.


ტყვიის სიგრძივი ღერძის გარშემო ბრუნვა მას გადაადგილებს ხრახნის

მიმართულების მხარეზე, რაც თავის აშკარა გამოხატულებას ღებულობს რაიმე ზედაპირზე გვერდითი მოხვედრისა და ასხლეტის დროს.

ყველა იარაღის ტყვიებს თავისებური ფრენის ბუნება აქვთ, რაც ერთდ-
აგივე ტექნიკურ და ბუნებრივ პირობებში დამოკიდებულია ტყვიის ფორმაზე,
წონაზე, საწყის სიჩქარეზე, ტრაექტორიის ვერტიკალური სიბრტყისადმი დახრაზე
და ხრახნის დახრის კუთხეზე. ამდენად ტყვიის ასხლეტის შემთხვევაში იგი
სხვადასხვანაირად აირეკლება, რაც კიდევ თავისთავად დამოკიდებულია წინ-
ალობაზე, მოხვედრის კუთხეზე და წინალობის რაობაზე. მარჯვნივ დახრილი
ხრახნიანი ლულიდან ნასროლი ტყვია აირეკლება მარჯვნივ, ხოლო მარცხნივ
დახრილი ხრახნიანი ლულიდან კი მარცხნივ.

წინალობის გახვრეტის შემთხვევაში, თუ წინალობის სიბრტყე ტყვიის
ფრენის ვერტიკალურია, მაშინ წინალობაზე წარმოიშობა ძაბრის მაგვარი ხვრელი,
ფართო ნაწილით ტყვიის ფრენის მიმართულებით.

ტყვიის წინალობაზე კუთხით მოხვედრის შემთხვევაში, თუ ტყვიამ გააგრ-
ძელა მოძრაობა, იგი შემხვედრი სიბრტყის წინალობის გამო ტრაექტორიას
შეიცვლის შემხვედრი სიბრტყის მიმართ მახვილი კუთხის მხარეს, მარჯვნიდან
მოხვედრის შემთხვევაში მარჯვნივ, ხოლო მარცხნიდან მოხვედრის შემთხვევა-
ში კი მარცხნივ (იხ. სურ. 13).



სურ. 13

ტყვია წინალობაში კუთხით მოხვედრის
შემთხვევაში გადაიხრება წინალობაში მოხვედრის
კუთხის მხარეს, რაც მეორდება შემდგომი წინ-
ალობების გადალახვისას

I - პირველი წინალობა

II - მეორე წინალობა

აღნიშნული მეორდება ყველა ახ-
ალი წინალობის გადალახვის დროს. ამ
შემთხვევაში ვიზირების დროს რამოდენ-


იმე წინალობის გადალახვისას ნატყვიარები ერთმანეთში არ გამოჩნდება. ამდენ-
ად ვიზირების მეთოდი გამოსადეგია მხოლოდ სროლისა და წინალობის სი-
ბრტყეების ვერტიკალური მდგომარეობის დროს.

5. კვალი, რომელიც ახასიათებს თვით იარაღს და ტყვია-წამალს.

ცეცხლსასროლი იარაღები მრავალნიაირია, რომლებისთვისაც გამოიყენება შედარებით მცირე დასახელების ვაზნები. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1972 წლის გამოშვების ავტომატური პისტოლეტების კატალოგებში განხილულია 379 დასახელების იარაღი, რომლებსაც აქვთ 15 სხვადასხვა ყალიბის და თვრამეტნაირი ფორმის და ზომის ვაზნები.¹

ამდენად, ვაზნის ან მისი რომელიმე ნაწილის აღმოჩენის შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ იარაღის ჯგუფური კუთვნილების შესახებ. ასევე ჯგუფურ ნიშნებს მიეკუთვნება დაცემის, ამოგდების, ასხლეტის ფორმები, მათი ადგილები, ურთიერთგანლაგება და ჩამკეტის ძირის ზედაპირის გამოსახულება.

დამცემი ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი კვალის დამტოვებელი ნაწილია, რომელსაც გარდა საიდენტიფიკაციო მიკრორელიეფური კვალისა ზოგჯერ თავისი ფორმის შესაბამისად იძლევა დამატებით გვაროვნულ ნიშანს. მაგ: პისტოლეტ "ტტ"-ს დაცემის კვალი ყოველთვის მსხლისებრი ფორმისაა (იხ. სურ. 14).



სურ 14

პისტოლეტ „ტტ“-დან ნასროლი ვაზნის დამცემის მასრის ძირზე დარჩენილი მსხლისებური ტიპური კვალი

გლუვლულიანი სანადირო თოფების ვაზნაში ქარხნული წესით დამზადებული მუყაოს, ქერის და პოლიეთილენის საფენი და საფანტის კონტეინერი (გარდა ჩატენილი ქალაღდისა) გამოიყენება თოფის დანიშნულებითი ყალიბის დასადგენად.

საფანტები სროლის შემდეგ ეჯახება ერთმანეთს, ეხახუნება ლულის შიდა ზედაპირს და რჩება მასზე კვალი, რაც იმდენად დიდი ზედაპირისაა, რამდენედაც მსხვილია საფანტი ან ტყვია. საფანტები სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის არიან და ქარხნული წესით დამზადებული განსხვავდება ხელოვნურად დამზადებულისაგან.

¹ Автоматические пистолеты и следы их на пулях и гильзах, Судебно-баллистический справочник, изд. ВНИИ МВД СССР, М., 1972.

ცეცხლსასროლ იარაღებში გამოიყენება სხვადასხვა სახის დენთი. სროლის შედეგად ლულაში, მასრაში, ტყვიის ძირზე, დენთის საფენებზე ან წინალობაზე რჩება დენთის დამწვარი ან დაუმწვარი ნაწილები და მური, რაც გამოიყენება დენთის სახეობის დასადგენად.

§4. შემთხვევის ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის დათვალიერება

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან მათი მოქმედების შედეგების აღმოჩენის შემთხვევაში გამომძიებელი თვითონ ან სპეციალისტის დახმარებით დათვალიერებს მათ. საბრძოლო მასალის და ცეცხლსასროლი იარაღის დათვალიერების დროს არ უნდა წაიშალოს ან დაზიანდეს მათზე არსებული კვალი და არ უნდა დარჩეს ახალი კვალი. დათვალიერების დროს გამომძიებელს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ შემთხვევის ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღის დათვალიერების დროს შეიმჩნევა ორი მცდარი ხერხი. ერთი, იარაღის ვარგისიანობის ადგილზე შემოწმება მისი გასროლით და მეორე, მოკლულულიანი იარაღის ხელში ალების და დათვალიერების მიზნით ლულაში რაიმე საგნის ჩადება (ხშირ შემთხვევაში ლულაში დებენ ფანქარს). ასევე არასწორია თოფის ლულაში არსებული ნაწილაკების დაცვის მიზნით მასში ქალაღდის ჩატენა. თოფის ლულის შიდა ზედაპირის დაცვის მიზნით მას გარედან უნდა შემოეხვიოს ქალაღდი. ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი უნდა შეიფუთოს ისე, რომ არ წაიშალოს და არ დაზიანდეს მასზე არსებული კვალი (იგი უნდა შეიფუთოს და ჩამაგრდეს გადატანისათვის უძრავ მდგომარეობაში). სროლისათვის ვარგისიანობის გარკვევის მიზნით იარაღის ადგილზე სროლა შლის არსებულ ძველ კალს და უვარგისად ხდის იარაღის შემდგომ გამოკვლევას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მისი განმუხტვა. თუ ეს გამომძიებელს არ შეუძლია, მან უნდა მოიწვიოს სპეციალისტი. ამასთანავე იარაღის საწყისი მდგომარეობა დაწვრილებით უნდა იქნას აღწერილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში. ოქმში აღინიშნება რამდენი და რომელი დამცემია საბრძოლო მდგომარეობაში, რა სახის ვაზნაა, რა მდგომარეობაშია და რომელ ლულაშია იგი. შემდეგ აღიწერება თოფის გარეგანი ქარხნული ნიშნე-

ბი (ნომრები, დამლები, ლულების რაოდენობა, განლაგება, ყალიბი, სიგრძე და სხვა) და მისი ექსპლოატაციისაგან შექნილი ნიშნები (დაზიანებები, წარწერები, შეკეთების კვალი და სხვა).

სპეციალისტის დახმარებით და მისგან კონსულტაციის მიღების შედეგად გამოძიებული ოქმში მიუთითებს ახლად გასროლის სუნის არსებობაზე, დაზეთილია თუ არა ცეცხლსასროლი იარაღის ლულა და სხვა ნაწილები. აუცილებელია ოქმში აღინიშნოს იარაღის ნაწილებზე, რაც იარაღის დაშლის გარეშე მოსჩანს, ნომრების არსებობის შესახებ. ყოველივე აღნიშნულის მიუთითება მით არის გამოწვეული, რომ ბოროტმოქმედები ხანდახან ცვლიან კვალის დამტოვებულ ნაწილებს, იმ მიზნით რომ გამოძიებამ ვერ დაადგინოს დანაშაულის ჩადენის იარაღი.

ვაზნების დათვალიერება შეიძლება მოხდეს როგორც შემთხვევის ადგილზე, ასევე ექვმიტანილის ბინაში ჩხრეკის დროს. გარდა ვაზნის აღმოჩენის ადგილის აღნიშვნისა ოქმში იწერება ვაზნის ფორმა, ზომები, მასზე არსებული წარწერები, ნიშნები, დაზიანებები, ფისტონის მდგომარეობა, ფერი და სხვა.

ტყვიის ან მისი ნაწილების შემთხვევის ადგილზე ან გვამში აღმოჩენის შემთხვევაში, გარდა მისი აღმოჩენის ადგილისა, დათვალიერების ოქმში აღინიშნება: ფორმა, მასზე სროლის კვალი (ხრახნის კვალი), მათი ადგილი, დეფორმაცია, ნამსხვრევების რაოდენობა, ფერი, ტყვიის ძირის ფორმა, ძირის ზედაპირის მდგომარეობა, ტყვიის მასრაში ჩამაგრების კვალი და სხვა.

ტყვიის ნაწილები (რამდენიც არ უნდა იყოს იგი), აღიწერება და გაიზომება ცალ-ცალკე და იგზავნება გამოსაკვლევად მათი მთლიანობის დასადგენად (ვინაიდან ყველა ტყვიას თავისი მუდმივი წონა აქვს, მისი ნაწილების მიხედვით შეიძლება მთლიანობის დადგენა). ტყვიის აღმოჩენის ადგილი შემთხვევის ადგილის სქემაზე აღინიშნება სხვა საგნებთან ურთიერთკავშირში.


მასრა შეიძლება აღმოჩნდეს იარაღში, სროლის ადგილზე, ექვმიტანილთან და სხვა ადგილზე. მასრის აღმოჩენის შემთხვევაში, გარდა აღმოჩენის ადგილისა, დათვალიერების ოქმში იწერება მასრის ფორმა, მისი ძირის ფორმა, სიდიდე, ძირზე აღნიშნული წარწერები, ფისტონის მდგომარეობა, მასში ტყვიის ჩამაგრების კვალი, დენტის სუნი, ლითონის ფერი და სხვა. ასევე დგება მასრის აღმოჩენის ადგილის სქემა სხვა საგნებთან ურთიერთკავშირში.

საფანტი შეიძლება აღმოჩნდეს თოფის ლულაში, როდესაც ვაზნა არასწორადაა დამუხტული ან ძველია. ასევე ამავე მიზეზით შეიძლება საფანტი

გამოიყაროს ლულიდან ახლო მანძილზე ან იგი აღმოჩნდეს წინალობაში.

არსებობს პრაქტიკულად გამომუშავებული წესი, რომლის საშუალებითაც საფანტის გაშლის მიხედვით ადგენენ სროლის მანძილს, რაც პირობითადაა მისაღები, ვინაიდან საფანტის შორ მანძილზე წაღება და გაშლა დამოკიდებულია ვაზნის დატენის სიმჭიდროვეზე (ან მასში პოლიეთილენის კონტეინერის არსებობაზე). ამდენად, საფანტის სროლის მანძილის გარკვევა მისი გაშლის მიხედვით მისაღებია მხოლოდ ერთნაირად დამუხტული ვაზნებისათვის და ერთნაირი ლულების არსებობის შემთხვევაში. გარდა ამისა სანადირო გლუვი ლულიანი თოფების ლულები ზოგი ჩვეულებრივად ცილინდრისებურია, ზოგი კი ბოლოში შევიწროვებულია, რასაც ჩოკი ეწოდება. ერთი და იგივე თოფიდან ნასროლი ერთნაირი ვაზნები ცილინდრისებური და ჩოკისებური ლულიდან სხვადასხვა მანძილზე და სვადასხვა გაშლით მიდის. კერძოდ, ჩოკისებური ლულიდან ნასროლი საფანტი უფრო გვიან იშლება და შორ მანძილზე მიდის.

საფანტის გაშლის ფართობის შედარება სროლის მანძილთან გამოსახულა 15 სურათზე.



სურ. 15 საფანტის გაშლის ფართობის შედარება მანძილთან საფანტის გაშლა ადამიანის სხეულზე 5, 10, 15 და 20 მეტრის მანძილზე

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში აღიწერება საფანტების ურთიერთგანლაგება, მისი განლაგების საერთო ფართობი, საფანტების რაოდენობა, ფორმა და ზომა (აუცილებელია ფოტოსურათის გადაღება). ამოღებული საფანტი გაიგზავნება ექსპერტიზაზე, ტყვიის შემადგენლობის, დამზადების და ნომრის დადგენის მიზნით.

დენტის კვალი შეიძლება იყოს ლულაში, მასრაში, ტყვიაზე, საფენებში, ტიზებში და წინალობაში. დენტის დაუწვავი და დამწვარი მარცვლებით შეიძლება დადგინდეს გამოყენებული დენტის სახეობა, ე.ი. გვაროვნული ნიშნები, ვინაიდან ყველა სახის ვაზნას თავისი დენტი გააჩნია.

მუყაოს საფენი და ქერის ტიზი შეიძლება აღმოჩენილ იქნას სროლის მიმართულებით (მანძილი დამოკიდებულია სროლის და გარემო პირობებზე), მგრამ გარდა აღნიშნულისა შესაძლებელია მუყაოს საფენის და ქერის ტიზის მაგივრად გამოყენებულ იყოს უბრალო, გაზეთის ან სხვა ქაღალდი, პოლიეთილენის საფენი ან საფანტის კონტეინერი.

საფენად და ტიზად ქაღალდის ნახევის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ქაღალდის ნახევი გამოდგეს ქაღალდის დანარჩენი ნაწილის აღმოსაჩენად. ამიტომ საჭიროა, რომ ოქმში დაწვრილებით აღინიშნოს ქაღალდის ფორმა, ზომა, სახეობა და მასზე არსებული ტექსტის შინაარსი.

შემთხვევის ადგილზე ცუცხლსასროლი იარაღის გამოყენების რაიმე კვალის აღმოჩენის შემთხვევაში შემთხვევის ადგილის სქემაში აღინიშნება კვალის აღმოჩენის ადგილი და სროლის კვალის ურთიერთმდებარეობა, რის მიხედვითაც ხდება შემთხვევის ადგილის გარემოებისა და ვითარების აღდგენა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტყვია წინალობაში გავლის შედეგად წინალობაში სტოვებს ძაბრისებურ ხვრელს, რომლის ფართო ნაწილიც მიმართულია ტყვიის მოძრაობის მიმართულებით. აღნიშნულის მიხედვით დგინდება სროლის მიმართულება. სროლის ადგილზე მიუთითებს მსროლელის ფეხის კვალი, იქ არსებული მასრები მუყაოს და ქაღალდის საფენები, ქერის ტიზი, პოლიეთილენის საფენი და საფანტის კონტეინერი.

მსროლელის ადგილის მიმართულების დასადგენად გარდა ძაბრისებური ნატყვიარისა იყენებენ ვიზირების მეთოდს. თუ აღმოჩნდება მსროლელის ნათეხურები და მასრები, შესაძლებელია დადგინდეს გამოყენებული იარაღი მოკლე ლულიანი იყო თუ არა. მოკლე ლულიანი იარაღის სროლის დროს მარჯვენა ფეხის კვალი წინა მარცხენაზე, ხოლო გრძელლულიანი იარაღით სროლის დროს კი პირიქით.

ახლო მანძილიდან ან მიბჯნით სროლის დროს შესაძლებელია წინალობაში აღმოჩნდეს ტყვია, საფანტი, ქაღალდის საფენი, ქერის ტიზი, დენტის დამწვარი ან დაუმწვარი მარცვლები, მური, დამწვრობა და ლულიდან გამოსული მაღალი წნევის გაზის მოქმედების კვალი.

ექვმიტანილის ბინაში ფალასკის აღმოჩენის შემთხვევაში ოქმში მიეთითება ფალასკა შევსებული იყო თუ არა. ექსპერტს გამოსაკვლევად ეგზავნება ყველა ის ქარხნული და ვაზნების ხელით დასამზადებელი ხელსაწყოები და ზეთი, რაც აღმოჩენილი იყო დათვალიერების ან ჩხრეკის დროს. შემთხვევის ადგილზე თუ აღმოჩნდება კუსტარულად დამუხტული ვაზნები, საჭიროა სპეციალისტის დახმარებით მისი გახსნა და საფენების გასინჯვა. თუ საფენი თვითნამზადია ხელთ არსებული ქალაქისაგან, საჭიროა მსგავსი ქალაქის მოძებნა, რაც ასევე ეგზავნება ექსპერტს გამოსაკვლევად.

ექვმიტანილის ბინის დათვალიერების ან ჩხრეკის დროს ყურადღება ექცევა ყველა იმ საგნებს და მათ აღწერას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულიყო საფენის, ტიზის და საფანტის კუსტარულად დასამზადებლად.

ამოღებული ტანისამოსი თუ კი იგი სველია, აუცილებლად უნდა გაშრეს ჩრდილში იმ ვარაუდით, რომ არ ჰქონდეს მას კონტაქტი შესაბამისი ქალაქის გარდა სხვა ზედაპირთან. ტანისამოსის დაკეცვის დროს გვერდები არ უნდა შეეხოს ერთმანეთს, ამიტომ საჭიროა მათ შორის ქალაქის ან სუფთა ქსოვილის ჩატანება. ტანისამოსი იფუთება ცალ-ცალკე შესაბამის ქალაქში ან უკიდურეს შემთხვევაში გაზეთში. არ შეიხლება ტანისამოსის ჩადება პოლიეთილენის პარკში, სადაც იგი ორთქლდება და უვარგისი ხდება ექსპერტიზისათვის.

§5. ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა და მისი ჩატარების მეთოდის ძირითადი საკითხები

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის არსებობის შემთხვევაში სპეციალისტის მიერ ადგილზევე ხდება ხილული კვლების ფიქსაცია, რაც შემდეგ ექსპერტს სხვა გამოკვლევებთან ერთად საშუალებას აძლევს გამოიტანოს კვალიფიციური დასკვნები სროლის მანძილის შესახებ, მაგალითად: ჭრილობაზე მექანიკური და დამწვრობის კვალი მიუთითებს ცეცხლსასროლი იარაღის 5-10 სმ-მდე სროლის ფაქტზე. ჭვარტლი რჩება 30-40 სმ-ზე, დენტის ერთეული მარცვლები რჩება 80-100 სმ-მდე ან უფრო შორს. თუ სანადირო თოფის ვაზნა დამუხტული იქნება ბოლიანი დენტით, დამწვრობა შეიძლება იყოს 50-100 სმ-მდე, ჭვარტლი 150-170 სმ-მდე, დენტის მარცვლები 2-3 მეტრზე. უბოლო დენტის შემთხვევაში დამწვრობა და ჭვარტლი უფრო მცირეა. აღნიშნული მონაცემები ზუსტდება ექსპერტის მიერ ექსპერიმენტული სროლით, თუ კი იქნება გამოსაკვლევო ცეცხლსასროლი იარაღი.

ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება გავყოთ ორ საფეხურად: ერთი, გამომძიებლის მიერ მასალების შეგროვება ექსპერტიზისათვის და მეორე, ექსპერტის მიერ მასალის მიღება და ექსპერტიზის ჩატარება.

გამომძიებელი გაერკვა რა არსებულ სიტუაციაში, რომ წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა სპეციალური ცოდნა და ექსპერტიზის ჩატარება, აგროვებს გამოსაკვლევ და შესადარებელ მასალებს, რის შემდეგაც გამოაქვს დადგენილება, სადაც იგი აღწერს ფაქტიურ გარემოებას და ასახულებს კონკრეტული ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას. შემდეგ გამომძიებელი, ამოიჩევს რა საექსპერტო დაწესებულებას, ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში აღნიშნავს ექსპერტიზის მიმართ გადასაწყვეტად დადგენილ საკითხებს და ბოლოს მიუთითებს გამოსაკვლევ ობიექტებსა და შესადარებელ მასალაზე.

ექსპერტის მიერ ექსპერტიზის ჩატარების პროცესი მასალების მიღებიდან საექსპერტო დასკვნის მიცემამდე, შეიძლება დაგვით შემდეგ საფეხურებად:

1. მასალების გაცნობა, რაშიც შედის როგორც დადგენილების გაცნობა და მისი შესწავლა, ასევე თუ საჭირო იქნება საგამომძიებო საქმის მასალების გაცნობა. აღნიშნულში შედის წარდგენილი ობიექტების შეფუთვის შესწავლა და ფიქსირება, დაცულია თუ არა შეფუთული მასალების მთლიანობა, არის თუ არა მასზე, გარდა მასალის კუთვნილების და თარიღის აღნიშვნისა, დამსწრეების და გამომძიებლების ხელმოწერა, რასაც პროცესუალური მნიშვნელობა აქვს.

2. ექსპერტიზის მიმდინარეობის მეორე საფეხურია მასალების შესწავლა, რა დროსაც ექსპერტი საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს ექსპერიმენტულ სროლებს და აკეთებს სათანადო დასკვნებს და ღებულობს ექსპერიმენტულ ნიმუშებს გამოსაკვლევი იარაღის ტყვიის დამჭერში სროლით.


3. ექსპერტი, შეისწავლის რა მასალებს, იდენტიფიკაციის მიზნით ადარებს მათ ერთმანეთს, რის შემდეგაც ხდება მიღებული შედეგების შეფასება.

4. ექსპერტიზის ბოლო საფეხურია დასკვნის ჩამოყალიბება, რაც გამომძიებლის მიერ მიიღება კრიტიკულად და მას ისეთივე მტკიცებითი ძალა აქვს რაც სხვა მტკიცებებს.

შემთხვევის ადგილზე მასრის აღმოჩენის შემთხვევაში ტარდება ბალისტიკური ექსპერტიზა მასზე დარჩენილი დამცემის, ამომგდების, ამსხლეტის და

ჩამკეტის ძირის და სხვა კვალის დამტოვებელი ნაწილების მიერ დატოვებული კვლების შესასწავლად. აღნიშნული კვლები შეისწავლება შესადარებელ მიკროსკოპ "МБС-5" საშუალებით, სადაც გამოსაკვლევი და შესადარებელი გადიდებული ტრასების ურთიერთდამთხვევით დგინდება მათი იგივეობა.

ტყვიის გამოკვლევა სწარმოებს ჯერ მათი ფოტოდანადგარ "რფ-4"-ის საშუალებით, სადაც სასაგნე მაგიდაზე ათავსებენ ტყვიას, რომელიც ტრიალებს თავისი სიგრძივი ღერძის გარშემო და ხდება მისი პანორამული ფოტოგადაღება, შემდეგ აღნიშნული წესით მიღებულ გამოსაკვლევ და შესადარებელ პანორამულ ფოტოსურათებს ადარებენ ერთმანეთს. მსგავსი ტრასების დამთხვევის შემთხვევაში დგინდება იგივეობა (იხ. სურ 16).



სურ.16 ტყვიან ხრახნის ანაბეჭდის მიერ დატოვებული ტყვიის ზედაპირზე არსებული ხრახნის კვალის დამთხვევა მიკროსკოპში
1. გამოსაკვლევი კვალი
2. შესადარებელი კვალი

ტყვია თუ დეფორმირებულია, აჭრიან მას თავს და დარჩენილს ახურებენ ტყვიის შიდასხმულის მოსაცილებლად, შემდეგ გარსი გაიჭრება შუაზე სიგრძივი ღერძის მიმართ, გასწორდება იგი და მისი შემდგომი გამორკვევა სწარმოებს უკვე აღნიშნული წესით.

სროლის კვალის დასადგენად ტარდება ექსპერტიზა კონტაქტურ-დიფუზიური მეთოდით, რაც მდგომარეობს შემდეგში: ცეცხლსასროლი იარაღის ტყვია არის გარსიანი, რის დამახასიათებელიც არის მასში აუცილებლად სპილენძის არსებობა და მეორე უგარსო, რაც წარმოადგენს ლითონ ტყვიის სხმულს. გარდა ამისა სროლის დროს იარაღის ლულიდან გამოიფრქვევა სროლის პროცესის მონაწილე ვაზნის ნაწილებისა და მისი შემადგენლობის ხილული და უხილავი ნაწილაკები. ამდენად მათი აღმოჩენისათვის საჭიროა ისეთი მეთოდი, რომელიც დაადგენს სროლის პროდუქტის არსებობას.

სპილენძის მიკრონაწილაკების აღმოსაჩენად იყენებენ კონტაქტურ-დიფუზიურ მეთოდს. გამომელაზნებულ ფოტოქალაქს 2-3 წუთით ათავსებენ 12% ამიაკის ხსნარში. დამუშავებულ ფოტოქალაქს ემულსიის მხრიდან ადებენ გამოსაკვლევ ზედაპირზე და ათავსებენ წნეხში 10-15 წუთის განმავლობა-

ში, რის შემდეგაც ასხავენ მასზე რუბიან-წყალბადმეყვას და სპირტის ნაჯერ ხსნარს. ფოტოქალაღზე სპილენძის ნაწილაკების არსებობის შემთხვევაში გამოჩნდება მწვანე ფერის წერტილები და მისი ინტენსიურობის მიხედვით მის ექსპერიმენტულ ნიმუშთან შედარებით დგინდება სროლის მანძილი.

ტყვიის მიკრონაწილაკების აღმოსაჩენად იღებენ გამქლავებულ ფოტოქალაღს, 3-5 წუთით ათავსებენ მას 25% ძმარმეყვას ხსნარში, რის შემდეგაც მას ადებენ გამოსაკვლევ ფართობზე და ათავსებენ წნეხში 10-15 წუთის განმავლობაში. შემდეგ ფოტოქალაღზე ასხავენ 0,2% ნატრიუმის როდიზონატის ხსნარს. ფოტოქალაღზე თუკი ტყვიის ნაწილაკები იქნება, გამოჩნდება მოწითალო იისფერი წერტილოვანი კვლები და მისი ინტენსივობის ექსპერიმენტულ ნიმუშთან შედარებით დგინდება სროლის მანძილი.

ცეცხლსასროლი იარაღის სროლის პროდუქტების სიმცირის გამო თუკი ზემოაღნიშნული მეთოდი დადებით შედეგს ვერ გამოიღებს, ატარებენ ემისიურ სპექტრალურ ანალიზს, რისი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ ლითონების ნათებად გაცურების შემთხვევაში მისი ატომების ელექტრონები გადაადგილდება მათი მიძრაობის ორბიტაზე და ხდება გამოსხივება. მათი გამოსხივების სპექტრი ყველა ნივთიერებას ინდივიდუალური აქვს, რაც გამოიყენება კრიმინალისტიკური მიზნებისათვის და საჭირო ლითონის დასადგენად.

ემისიური სპექტრალური ანალიზის დროს ხდება გამოსაკვალევი მცირე ნაწილაკების გაცურება ნათებად ვოლტას რკალის საშუალებით, რის გრაფიკულ გამოსახულებას ღებულობენ სპექტროგრაფის საშუალებით. მიღებულ გამოსახულებას ადარებენ ქიმიურ ელემენტთა ეტალონს და ადგენენ გამოსაკვალევი ლითონის არსებობას გამოსაკვალევ მასალაში.

სპექტრალური ანალიზი არის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი. ხარისხობრივი ანალიზის მიზანია მხოლოდ საინტერესო ქიმიური ნივთიერების არსებობის დადგენა გამოსაკვალევ მასალაში, ხოლო რაოდენობრივი ანალიზის დროს კი დგინდება საინტერესო ქიმიური ნივთიერების ინტენსივობა გამოსაკვალევ მასალაში.

გამოსაკვალევ საგნებზე სროლის კვალის ე.ი. ლითონის აღმოსაჩენად ტარდება შედარებით ახალი ექსპერტიზა აქტივაციური მეთოდით. გამოსაკვალევ საგანს ათავსებენ რეაქტორში, სადაც სწარმოებს მისი ნეიტრონის სხივებით დაბომბვა, რისი შეწყვეტის შემდეგაც აღიგრძნება გამოსაკვალევი საგნის ატომები და იწყებენ მასში არსებული ლითონების გამოსხივებას. გამოსხივება

თზომება გეიგერის მრიცხველით და დგინდება გამოსაკვლევ საგანში არსებული ლითონები და მათი პროცენტული შემადგენლობა.

რენტგენის სხივების მყარ ნიუთიერებაში გამჭოლი თვისების გამო, იგი გამოიყენება კრიმიანლისტიკაში, კერძოდ კი ბალისტიკაში ცეცხლსასროლი იარაღებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის გასასინჯად, იარაღებში დაზუ-
რული დაზიანების და ასაფეთქებელი მოწყობილობის დაუშლელად და მასში არსებული ნაწილების დასათვალიერებლად.

რენტგენის სხივებზე კიდევ უფრო მეტი შეღწევის უნარი გააჩნია გამა-
სხივებს, რომლებიც იგივე მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც რენტგენის სხივები.

ნივთმტკიცებათა წინასწარი გამოკვლევისა და საექსპერტო მიზნები-
სათვის ფართოდ გამოიყენება ყველასათვის ხელმისაწვდომი ულტრაიისფერი სხივების აპარატი, რომლის სხივებსაც ზოგიერთი ნიუთიერება შთანთქავს, ზოგი არეკლავს, ზოგი კი მისი გავლენით იწყებს ფლუორენცირებას (ნათებას) და კარგად მოსჩანს შეუიარაღებული თვალით.

ინფრაწითელი სხივები გამოიყენება ახლო მანძილიდან სროლის კვალის აღმოსაჩენად. ინფრაწითელი სხივები თბური სხივებია და იგი ადამიანის თვალ-
ისათვის უხილავია. მისი გამოყენებისათვის აუცილებელია ელექტრო-ოპტიკური გარდამქმნელის გამოყენება, რომელიც ინფრაწითელ სხივებს გარდამქმნის ხი-
ლულ სხივებად.

ვინაიდან ბალისტიკური გამოკვლევა რთული პროცესია, ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად ხშირად ტარდება კომპლექსური ხასია-
თის გამოკვლევა. ტრასოლოგიური, პიროტექნიკური, ქიმიური, ფიზიკური და სხვა კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება საშუალებას იძლევა დასაბუთებუ-
ლი და სრულყოფილი გამოკვლევა ჩატარდეს და გადაწყდეს ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები.

ბალისტიკური გამოკვლევის შედეგად შესაძლებელია გადაწყდეს საკ-
ითხები, რომლებიც განეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას და სროლის კვალს.

ცეცხლსასროლი იარაღების გამოკვლევის შედეგად შეიძლება გადაწყ-
დეს შემდეგი საკითხები: 1. გამოსაკვლევად წარმოდგენილი საგანი არის თუ არა ცეცხლსასროლი იარაღი. დადებით შემთხვევაში რა წესითაა იგი დამზადე-
ბული, 2. რა დანიშნულების და რომელი დასახელებისაა გამოსაკვლევად წარ-

მოდგენილი იარაღი, 3. ჭარგისია თუ არა სროლისათვის, თუ უვარგისია რა არის ამის მიზეზი, 4. რომელი ნაწილი აქვს ცეცხლსასროლ იარაღს გამოცვლილი, 5. შესადარებლად წარმოდგენილი თოფის ნაწილები ეკუთვნის თუ არა გამოსაკვლევ იარაღს, 6. როგორია გამოსაკვლევად წარმოდგენილი იარაღის მოქმედების მანძილი, 7. შესაძლებელია თუ არა თვითგავარდნა, დადებით შემთხვევაში რა ვითარებაში, 8. ბოლო სროლის შემდეგ ლულა გაწმენდილია თუ არა, დადებით შემთხვევაში რომელი ზეთით, 9. წაშლილია თუ არა გამოსაკვლევ იარაღზე რომელიმე დამლა, დადებით შემთხვევაში რა წესით და რა არის წაშლილი, 10. რომელი დენთით, ფისტონით და ტყვიით იყო დატენილი ბოლო ნასროლი ვაზნა, 11. რა დრო გავიდა ბოლო სროლიდან, 12. რამ გამოიწვია გამოსაკვლევი თოფის გასკდომა, 13. გამოსაკვლევი თოფი ინახებოდა თუ არა შესადარებლად წარმოდგენილ ბუდეში, 14. შეიძლებოდა თუ არა გამოსაკვლევი თოფის თვითდაზიანება და თუ შეიძლებოდა როგორ.

საბრძოლო მასალების გამოკვლევის შედეგად შეიძლება გადაწყდეს შემდეგი საკითხები: 1. რა სახეობისაა გამოსაკვლევი ვაზნა, მასრა, ტყვია, საფანტი, დენთი, საფენი და ფისტონი, 2. ქარხნული წესითაა თუ არა იგი დამზადებული, 3. რომელი ყალიბის იარაღიდანაა ნასროლი საბრძოლო მასალის წარმოდგენილი ნიმუშები, 4. ერთნაირია თუ არა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული და ეჭვიმტანილის ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული საბრძოლო მასალა, 5. გამოსაკვლევად და შესადარებლად წარმოდგენილი საბრძოლო მასალა ერთი და იგივე დროს ერთი და იგივე ქარხნის მიერაა თუ არა დამზადებული, 6. შესადარებლად წარმოდგენილი საგანი არის თუ არა გამოსაკვლევი მასალის ნაწილი, 7. გამოსაკვლევი ვაზნა დამუხტულია თუ არა შესადარებელი ხელსაწყოებით, 8. გამოსაკვლევად წარმოდგენილი ტყვია ან სხვა მასალა ნასროლია თუ არა ნიშანდობლივი იარაღით, 9. გამოსაკვლევი ტყვია და მასრა სროლამდე წარმოადგენდნენ თუ არა ერთ მთლიანს, 10. რა იარაღიდანაა ნასროლი გამოსაკვლევი ტყვია და მასრა, 11. გამოსაკვლევი ტყვია ნასროლია თუ არა მასზე მეტი ყალიბის ლულიდან ან გადაკეთებული თოფიდან, 12. გამოსაკვლევი ლითონის ნაჭერი არის თუ არა ტყვიის ნაწილი, დადებით შემთხვევაში რომელ ტყვიას მიეკუთვნება, 13. გამოსაკვლევი ტყვია ანასხლეტია თუ არა რაიმე საგანზე, 14. რამ გამოიწვია გამოსაკვლევი ტყვიის ან მასრის დეფორმირება, 15. გამოსაკვლევ ვაზნაზე არის თუ არა ფისტონზე დაცემის კვალი, 16. რა სახის დენთით იყო დამუხტული გამოსაკვლევი ტყვია


და მასრა, 17. გამოსაკვლევი ტყვიებიდან რომელია პირველად ნასროლი, 18. გამოსაკვლევი მასალა დამზადებულია თუ არა შესადარებელი ხელსაწყოთი, 19. ერთნაირი ქიმიური შედგენილობისაა თუ არა წარმოდგენილი მასალები, 20. ერთი და იგივე ნომრისაა, ერთი და იგივე წესით არის დამზადებული და ერთნაირი შემადგენლობისაა თუ არა წარმოდგენილი საბრძოლო მასალა, 21. წარმოდგენილი საგანი ნახმარია თუ არა ტიზის სახით, 22. რა ყალიბის თოფიდანაა ნასროლი გამოსაკვლევი ტიზი, 23. რა მასალითაა დამზადებული გამოსაკვლევი ტიზი, 24. გამოსაკვლევი ტიზი ნაწილია თუ არა შესადარებელი საგნისა და წარმოდგენილი ტიზი დამზადებულია თუ არა წარმოდგენილი ხელსაწყოთი, 25. რა წესითაა დამზადებული ტიზი, ჩატენით, გამოჭრით თუ შაბლონით.

სროლის კვალის გამოკვლევის შედეგად შეიძლება გადაწყდეს შემდეგი საკითხები: 1. გამოსაკვლევი დაზიანება ცეცხლსასროლი იარაღით არის თუ არა მიყენებული, 2. რით არის მიყენებული დაზიანება ტყვიით, ნამსხვრევით თუ სხვა რამით, 3. რა სახის ცეცხლსასროლი იარაღით არის მიყენებული გამოსაკვლევი დაზიანება, 4. რა მანძილიდან არის მომხდარი სროლა, 5. არის თუ არა ახლოდან სროლის შედეგები ტანისამოსზე, 6. როგორია ნატყვიარის მიმართულება, 7. რა მხრიდან და რა კუთხით მოხდა სროლა, 8. არსებული დაზიანებები ერთი ტყვიით არის თუ არა წარმოშობილი, 9. რა ადგილიდან მოხდა სროლა, 10. დაზიანების მხედველობაში მიღებით როგორი თანმიმდევრობითაა მომხდარი სროლა, 11. რომელი დაზიანებაა პირველი, 12. რა ყალიბის ტყვიითაა მომხდარი დაზიანება, 13. რომელია შემავალი და გამავალი ხვრელები, 14. დაზიანება მომხდარია თუ არა ასხლეტილი ტყვიით, 15. როგორი იყო იარაღისა და დაზიანების ურთიერთმდებარეობა სროლის დროს.

§6. ფეთქებად ნივთიერებათა გამოკვლევის კრიმინალისტიკური საკითხები

ტრადიციულად, კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში და სერთოდ სასამართლო ბალისტიკაში განიხილება მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღები და მათი საბრძოლო მასალა, მაგრამ ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის სსკ 238 მუხლში გარდა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალისა აღნიშნულია ფეთქებადი ნივთიერებაც, საჭიროა მოკლედ მაინც განვიხილოთ ფეთქებად ნივთიერებასთან დაკავშირებული კრიმინალისტიკური საკითხები.

ფეთქებადი იარაღი დამზადების მიხედვით არის ქარხნული და კუსტარული, ხოლო დანიშნულების მიხედვით - სასწავლო და საბრძოლო (იხ. სურ.17).



სურ. 17.

მსხვერველადი საბრძოლო ხელყუმბარები

ა. „რგ-5“

ბ. „რგ-42“

გ. „მ-1“

პირველი ორი საიერიშოა ხოლო მესამე თავდაცვითი

სასწავლო ხელყუმბარები

ა. „ურგ-5“

ბ. „ურგ“

გ. „უპგ-8“

ფორმა, ზომა და წონა მსგავსია საბრძოლო ნიშნისა, აქვს იგივე ხმოვანი და ბოლის გამოყოფა

აფეთქებაში ყოველთვის არ მონაწილეობს ასაფეთქებელი ნივთიერება. აფეთქება შეიძლება იყოს ფიზიკური ან ქიმიური ხასიათის. ფიზიკურ აფეთქებაში არ მონაწილეობს ფეთქებადი ნივთიერება და იგი არის ფეთქების ეფექტის მქონე ფიზიკური ხასიათის მოვლენა. მაგალითად, მეტეორიტის ჩამოვარდნა დედამიწაზე, ვულკანის ამოფრქვევა და სხვა. რაც შეეხება ფეთქებადი ნივთიერების აფეთქებას, იგი წარმოადგენს ქიმიურ პროცესს და ზოგიერთი ნივთიერების წვის ერთ-ერთ სახეს.

წვის პროცესის ნელა მიმდინარეობა დამახასიათებელია უბრალო ჟანგვადი პროცესისათვის, ხოლო ჟანგვის უმცირეს დროში მოხდენა კი აფეთქებაა.

აფეთქებისათვის დამახასიათებელია შემდეგი აუცილებელი ნიშნების კომპლექსი: 1. სიბზოს გამოყოფა, 2. აირების გამოყოფა, 3. რეაქციის უსწრაფესი მიმდინარეობა და 4. თვითგაფრცელების უნარი. აღნიშნული ოთხი თვისებიდან ერთიც რომ არ იყოს, არ გვექნება აფეთქება.


აფეთქება შეიძლება ადამიანისათვის მომაკვდინებელი იყოს არა მარტო ჰერის დარტყმის ძალით, არამედ აფეთქების შედეგად გამოყოფილი მომწამვლელი ნივთიერებითაც.

აფეთქება შეიძლება მოხდეს სპეციალური ფეთქებადი ნივთიერებით, რომლებიც არიან: თხევადი, პლასტიკური, ფხვიერი და მყარი. თხევადი ფეთქე-

ბადი ნივთიერება არის ნიტროგლიცერინი, ნიტროგლიკოლი და სხვა. პლასტიკურია "გ-75" და სხვა. ფხვიერია ამონიტი, ჰექსოგენი, ტენი, დენთი, ტროტილი² და სხვა. მყარია "ტბ", ალუმატორი, დინამიტი და სხვა. დინამიტი არის ფხვიერიც.

ფეთქებადი ფივთიერება თავისით არ ფეთქდება. მის ასაფეთქებლად აუცილებელია აფეთქებისათვის საჭირო იმპულსის მიცემა, რასაც დეტონაცია ეწოდება. არსებობს სპეციალური დეტონატორები და დეტონატონური მოვლენები. სპეციალური დეტონატორებიც მოითხოვს მასში არსებული მცირე ოდენობის მაღალმგრძნობიარე ფეთქებადი ნივთიერებისათვის დეტონატორული მოვლენის წარმოშობას, რაც ხდება დარტყმით ან მაღალი ტემპერატურით.

ფეთქებადი ნივთიერების დეტონატორი (ასაფეთქებადი საშუალება) არის ორნაირი: სპეციალური დეტონატორი ე.ი. კაქსულდეტონატორი, მუყაოს ან ლითონის კორპუსით და ელექტრო დეტონატორი (იხ. სურ. 18).



სურ 18 მუყაოს და ელექტრო დეტონატორი

ხოლო გამტარი საშუალება კი არის ცეცხლგამტარი ბიკფორდის ზონარი და სადეტონაციო ზონარი (ბრტყელი ფორმის).³

დეტონატორების აფეთქება⁴ ხდება მექანიკური გზით ე.ი. დარტყმით (მაგ. ფისტონზე დარტყმით) და მაღალი ტემპერატურით (მაგ. ელექტროდეტ-


² ტროტილი არის მყარ მდგომარეობაშიც.

³ ბრტყელი ფორმის სადეტონაციო ზონარი საგამოძიებო პრაქტიკაში არ გვხვდება.

⁴ დეტონატორების აფეთქების შედეგად გამოიყოფა ვერცხლისწყალი და ტყვია მცირე რაოდენობით. ასეთ დახურულ გარემოში ადამიანის დიდი ხნით უფნა იწვევს ცენტრალური ნერვიული სისტემის, საქმელმომწელებელი ორგანოებისა და ფილტვების ქრონიკულ მოწამელას.

ონატორით). მექანიკური გზით აფეთქებისათვის საჭიროა დეტონატორზე მექანიკური დარტყმა. მაღალი ტემპერატურის დეტონატორებისათვის კი - ელექტრონაპერწყალი, რაც ელექტრო სადენებით მიიტანება. ასევე შეიძლება ცეცხლის მიტანა ცეცხლგამტარი ზონარით, დეტონაციის მიტანა სადეტონაციო ბრტყელი ზონარით და ცეცხლის მიტანა საწვავში დასველებული კანაფით.

საგამოძიებო პრაქტიკაში გვხვდება მხოლოდ ბიკფორდის ზონარი, რომელიც შესახედავად წააგავს შავი ფერის ქსოვილის გუდრონით გაყენთილ საფარის ელექტრო სადენს, მაგრამ მისგან გარეგნულად განსხვავდება იმით, რომ



ბიკფორდის ზონარის გარსაცავი შედარებით მკვრივად ნაქსოვია, არა აქვს მავთული, შუაში აქვს დენთი და ამასთან ერთად მოქნილია (იხ. სურ. 19).

სურ. 19 „ბიკფორდის“ ცეცხლგამტარი ზონარი

აფეთქების კვალი სამნაირია: ხილვადი, ნაკლებად ხილვადი და უხილავი. ხილვადია ფეთქებადი ნივთიერების სახვევი, ჭურჭლის ნამსხვრევები და სხვა. ნაკლებად ხილვადია, ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაწილები, ბიკფორდის ზონარის ნამწვავი, საათის ნამსხვრევები, ელექტრო ამაფეთქებლის სადენი, ელექტრო ბატარეის ნაწილები და სხვა. უხილავია აფეთქების ადგილიდან ამოღებულ მტვერში აღმოჩენილი ლითონის და სხვა მიკროსკოპული ნაწილაკები და აფეთქების სავარაუდო ადგილიდან აღებულ ნაცხში აღმოჩენილი ლითონის უმცირესი ნაწილაკები.

საგამოძიებო პრაქტიკაში არსებული ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომელშიაც შედის ფეთქებადი ნივთიერება და დეტონატორი არის ოთხნაირი, ასაფეთქებელი მექანიკური მოწყობილობა, ქიმიური, ელექტრო და საათის მექანიზმი (ელექტრო კონტაქტისათვის).

აფეთქებასთან დაკავშირებით ტარდება პიროტექნიკური, ფიზიკო-ქიმიური და სხვა სახის ექსპერტიზები.

ექსპერტიზების ჩატარების შედეგად შეიძლება გადაწყვეტილი იქნას შემდეგი საკითხები:

1. შემთხვევის და აფეთქების შესაძლო ადგილიდან აღებულ ნაცხებსა და ნიმუშებზე არის თუ არა ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი, დადებით შევთხ-

ვევაში რა ნივთიერებაა იგი და რა სახის აფეთქებაა ქიმიური თუ ფიზიკური, 2. სად მდებარეობს აფეთქების კერა, რამდენია იგი და როგორია მათი აფეთქების თანმიმდევრობა, 3. რაში იყო შეხვეული ასაფეთქებელი ნივთიერება და როგორი იყო მისი გარსაცმი, 4. რა ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო გამოყენებული, 5. რა რაოდენობის ნივთიერება აფეთქდა, 6. მომხდარი აფეთქება რა მანძილზე იყო ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში, 7. რა იყო აფეთქების გამომწვევი მიზეზი, 8. როგორი კონსტრუქციის იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, მისი ფორმა, ზომა და მოქმედების პრინციპი, 9. ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვის, გადატანის, ექსპლოატაციის და სხვა რა წესი იყო დარღვეული, 10. როგორია აფეთქების ტალღის პრაქტიკული გავრცელების მიმართულება და მისგან გამომწვეული შედეგი. 11. აფეთქებულია თუ არა ქარხნული წესით დამზადებული ასაფეთქებელი იარაღი (ჭურჭი, ნალმი, ხელყუმბარა და სხვა), 12. როგორი წესითაა დამზადებული ასაფეთქებელი ნივთიერება ქარხნული თუ ხელოვნური, 13. ასაფეთქებელი მოწყობილობა პროფესიონალის მიერ იყო დამზადებული თუ არა, 14. რა საგანი იყო გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერების კორპუსად, 15. რა მასალისაგან იყო დამზადებული ნივთიერების კორპუსი, 16. რას წარმოადგენს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნამსხვრევები, 17. ადგილიდან და გვამიდან ამოღებული ნამსხვრევები იყო თუ არა ასაფეთქებელი ნივთიერების კორპუსის ნაწილები, 18. ასაფეთქებელ ნივთიერებაში იყო თუ არა შერეული ლითონის საგნები, 19. რომელი ფეთქებადი ნივთიერება აფეთქდა, ქარხნული წარმოების თუ ხელოვნურიად გაკეთებული. 20. ტექნიკის რა დარგში გამოიყენება აფეთქებული ნივთიერება, 21. შემთხვევის ადგილზე გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერება და ექვივალენტის ბინიდან ამოღებული ნივთიერება ერთი და იგივეა თუ არა, 22. როგორი საშუალებით მოხდა ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქება, ცეცხლგამტარი ზონარით, დეტონაციის გამტარი ზონარით, ელექტრული, მექანიკური, კომბინირებული თუ კიდევ სხვა საშუალებით.

პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ექსპერტის წინაშე გამოძიებლები და მოსამართლეები სვამენ კითხვებს არა საჭიროების მიხედვით, არამედ მექანიკურად, ყოველგვარი გააზრების გარეშე.

ექსპერტის მიერ გადასაწყვეტი ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები სანიმუშოა და არა ამომწურავი. ექსპერტის წინაშე შეიძლება დაისვას სხვა სპეციალური საკითხებიც, სიტუაციისა და საჭიროების მიხედვით.

XII თავი

ხელწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა

§1 ხელნაწერისა და ხელის ცნება კრიმინალისტიკაში

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა არის კრიმინალისტიკური ტექნიკის დამოუკიდებელი დარგი და ყველაზე უფრო გავრცელებული პრაქტიკაში. ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მიზანია მოახდინოს პიროვნების იდენტიფიკაცია, ე.ი. დაადგინოს გამოკვლევის ობიექტის (ხელნაწერის, ხელმოწერის, ციფრობრივი მონაცემების) შემსრულებელი პირი.

ხელწერას¹ და ხელს (почерк) შეისწავლის სხვადასხვა მეცნიერება: ისტორია, პედაგოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, კრიმინალისტიკა. ყველა ეს მეცნიერება შეისწავლის რა ხელწერას და ხელს (წერაში) ისახავს სხვადასხვა მიზანს. მაგალითად, ისტორია შეისწავლის ხელწერას მისი ისტორიულად ჩამოყალიბებისა და ისტორიულად განვითარების თვალსაზრისით. პედაგოგია მიზნად ისახავს ხელწერის შესწავლის დროს გამოიძუშავოს ხელწერის მეთოდოლოგია. ფსიქოლოგია შეისწავლის ხელწერასა და ხელს, როგორც ფსიქოფიზიოლოგიურ მოვლენას. ფსიქიატრია სწავლობს სულით დაავადებულ პირთა ხელწერის თავისებურებებს. სასამართლო ხელმცოდნეობა, როგორც კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგი სწავლობს ხელწერასა და ხელს, მათ ინდივიდუალობასა და შედარებით უცვლელობას პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით.

თანამედროვე სასამართლო ხელმცოდნეობა ხელწერასა და ხელს განიხილავს აკადემიკოს ი.პ.პავლოვის სწავლების საფუძველზე "უმაღლესი ნერვიული მოქმედების შესახებ".

ხელწერა (ნაწერი) და ხელი (წერაში) არის ურთიერთდაკავშირებული ცნებები, მაგრამ მათი სიცხადის თვალსაზრისით მიზანშეწონილია ხელწერისა და ხელის ცალ-ცალკე განხილვა.

ხელწერის ცნება. ტერმინს "ხელწერა" აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. მაგალითად, ხელწერა გაგებულა როგორც მწერლობა, ე.ი. გარკვეული ისტორიული განვითარების საფეხურზე ჩამოყალიბებული გრაფიკული ნიშნების სისტემა, რომელიც გამოხატავს ასოებს, ციფრებს, სიტყვებსა და ცნებებს. ნაწენის ქვეშ იგულისხმება თვით წერის პროცესი, ე.ი. ადამიანის აზრების ჩამოყალიბება ქალაქდზე ან სხვა საგანზე, შესრულებული როგორც ხელწერის საფუძველზე, ისე საბეჭდ მანქანაზე, სტამბური წესით და სხვა მექანიკური

¹ ტერმინები "ხელნაწერი" და "ხელწერა" ნახმარია იდენტური მნიშვნელობით.

საშუალებების გამოყენებით. ტერმინი "ხელწერა" გამოიყენება აგრეთვე, როგორც ადამიანთა ურთიერთობისა და ურთიერთგაგების საშუალება.

სასამართლო ხელმცოდნეობის ფარგლებში ნაწერის ცნება გულისხმობს მხოლოდ ხელწერას (ადამიანის მიერ ხელით ნაწერს), შესრულებულს როგორც ქალაქში, ისე სხვა საგანზე (ხე, ლითონი, ტყავი და ა.შ.). ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს არა წერის პროცესი, არამედ ამ პროცესის შედეგი - ხელნაწერი.

ხელწერის ცნების განსაზღვრისათვის უნდა მიუთითოთ იმ ძირითად ნიშნებზე, რაც დამახასიათებელია ნაწერისათვის.

ხელწერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული გრაფიკული ნიშნების სისტემა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ადამიანის აზრი გამოიხატებოდა ხოლმე საგნებით, ცნებებით, თანამედროვე საფეხურზე კი - გრაფიკული ნიშნებით.

იყო დრო, როდესაც არ არსებობდა დამწერლობა. დამწერლობა, როგორც ზეპირი სიტყვიერების გამოხატვის ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთან, ადამიანის აზროვნებისა და ენის განვითარებასთან. საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანებს წარმოეშვათ მოთხოვნილება არა მარტო ზეპირსიტყვიერად გამოეხატათ თავიანთი აზრები, არამედ დაეფიქსირებინათ ისინი რომელიმე საგანზე აზრების შენარჩუნებისა და სხვა ადგილზე გადაცემის მიზნით.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ენა და აზრები წარმოიშვა უფრო ადრე, ვიდრე დამწერლობა. ხელწერა არის ენობრივი მოვლენა. ადამიანის აზრები ენის მეშვეობით განვითარების თანამედროვე საფეხურზე შეიძლება გადაეცეს ტელეფონით, რადიოთი, ტელევიზიით და ა.შ. დამწერლობის ის თვისება, რომ იგი წარმოადგენს ადამიანის ზეპირი აზროვნების გამოხატვის საშუალებას, წარმოადგენს ნაწერის ცნების დამახასიათებელ ნიშანს.

იმისათვის, რომ ადამიანის აზრები გამოხატული ყოფილიყო ხელწერის მეშვეობით, საჭირო გახდა პირობითი ნიშნების (გრაფიკული ნიშნების) სისტემის შექმნა, რომლის მიხედვითაც ადამიანებს შეეძლოთ თავიანთი აზრები გამოეხატათ ასოებით, საგნებით, სიტყვებით.

დამწერლობის ისტორიულ განვითარებაში ცნობილია წერის ჩამოყალიბების ხუთი ისტორიული საფეხური: 1) ხატოვანი ანუ პიქტოგრაფიული (აზრის

გადაცემა ნახატების მეშვეობით); 2) იდეოგრაფიული (აზრის გამოხატვა სახვითი ელემენტებით, რომლის დროსაც ნახატი აღნიშნავს არა მარტო საგანს, არამედ იდეებსაც); 3) სიტყვიერ-მარცვლოვანი (ლოგოგრაფიული); 4) მარცვლოვანი ანუ სილაბური (გრაფიკული ნიშანი აღნიშნავს არა მთელ სიტყვას, არამედ გარკვეულ ბგერას - მარცვალს); 5) ანბანური (ანბანური სისტემა შეიცავს ასოებს).²

დამწერლობის ხუთი საფეხურიდან კრიმინალისტიკური გამოკვლევის ობიექტს თანამედროვე პირობებში შეადგენს ანბანური წერა. მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზეა შესრულებული ხელნაწერი (ქართულად, რუსულად და ა.შ.) და დამწერლობის განვითარების რომელ საფეხურთან გვაქვს საქმე (იდეოგრაფიული, ანბანური და ა.შ.) ნაწერი ყოველთვის იყო და არის ადამიანთა ურთიერთობისა და ურთიერთგაგების საშუალება. ის ფაქტი, რომ წერა არის ადამიანთა ურთიერთგაგების საშუალება საზოგადოებრივ-შრომით მოღვაწეობაში, მიუთითებს წერის როლზე და განიხილება მის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ დამწერლობასთან გვაქვს საქმე, ნაწერის მიზანია მოახდინოს აზროვნების (მეტყველების) ფიქსირება ინფორმაციის დროთა განმავლობაში შესანახად და სხვა ადგილზე გადასაცემად. ნაწერის ეს ნიშანი მიუთითებს მის მიზნობრივ დანიშნულებაზე.

ნაწერი შეიძლება შესრულებული იყოს ორი ძირითადი საშუალებით:

1) მექანიკური გზით (ნაწერი, შესრულებული საბეჭდ მანქანაზე, სტამბური წესით, გასამრავლებელი საშუალებით);

2) შესრულებული ხელით (ხელნაწერი).

ხელის კრიმინალისტიკური გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ხელწერა. მექანიკური საშუალებებით შესრულებული ტექსტების გამოკვლევა განეკუთვნება კრიმინალისტიკური ტექნიკის სხვა დარგს, კერძოდ დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ გამოკვლევას.

ბოლოს, ხელნაწერის ცნების განსაზღვრისათვის საჭიროა მივუთითოთ კიდევ ერთ ნიშანზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ხელწერა როგორც ადამიანის მეტყველების ფიქსირების საშუალება რთული აზროვნებითი პროცესია. სირთულე გამოიხატება იმაში, რომ ხელწერაში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა კომპონენტი: ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ანატომიური და, მეორე მხრივ, ხელწერა არის ჩვევის გამომუშავების შედეგი, რომელსაც წინ უსწრებს ხელწ-

² იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.3, თბილისი, 1977, გვ. 360-362.

ურის (ასოების და სიტყვების) გამოსახულების შესწავლა შეგნებული ვარჯიშის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა მიეთითოს ხელწერის იმ დამახასიათებელ ნიშნებზე, რომელთა ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს განვმარტოთ ნაწერის (ხელწერის, წერის) ცნება. მათ მიეკუთვნება შემდეგი: 1) წერა არის ისტორიულად ჩამოყალიბებული გრაფიკული ნიშნების სისტემა; 2) წერა ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ ენასთან; 3) ნაწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა (სასამართლო ხელმცოდნეობა) ყოველთვის გულისხმობს ადამიანის ხელით შესრულებული ტექსტების, ხელმოწერების, ციფრობრივი მონაცემების გამოკვლევას; 4) ხელწერა არის ზეპირსიტყვიერი აზროვნების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა (სახე); 5) ხელწერა არის შეგნებული და რთული პროცესი, რომლის დროსაც ადამიანის აზროვნების შედეგი ფიქსირებულია ქაღალდზე ან სხვა საგანზე; 6) ხელწერის როლი გამოიხატება იმაში, რომ იგი წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობისა და ურთიერთგაგების საშუალებას; 7) ხელწერის მიზანია ის, რომ იგი აფიქსირებს ადამიანის აზროვნების (მეტყველების) შედეგს დროთა განმავლობაში შესანახად ან სხვა ადგილზე გადასაცემად.

ამრიგად, სასამართლო ხელმცოდნეობაში ხელწერის ცნება უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: ნაწერი როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობისა და ურთიერთგაგების საშუალება არის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გრაფიკულ ნიშანთა სისტემა ხელწერის სახით, შესრულებული კონკრეტულ ენაზე. იგი როგორც ზეპირსიტყვიერი აზროვნების ფიქსირების ერთ-ერთი სახე წარმოადგენს შეგნებულ და რთულ პროცესს ადამიანის აზროვნების დროთა განმავლობაში შესანახად ან სხვა ადგილზე გადასაცემად.

ხელის (წერაში) ცნება. ხელის ცნება იხმარება რამოდენიმე გაგებით. განიხილება როგორც წერის ფორმა, ე.ი. ასოებისა და სიტყვების დაწერა ადამიანისათვის ჩვეული ხერხით. ხელი წარმოადგენს აგრეთვე ნაწერის გარეგან ფორმას, დამახასიათებელს გარკვეული პირისათვის.

საბჭოთა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში სმპოტაჰოვის, ა.ი.ვინბერგის, ბ.ბ.ხარაზიშვილის, ვ.ფ.ორლოვას მიერ განსაზღვრული იყო ხელის ცნება კრიმინალისტიკაში, რომელიც ძირითადად სწორად ხსნის ხელის არსსა და აღნიშნულებას სასამართლო ხელმცოდნეობაში.

ხელის ცნება, მისი ფორმირების პროცესი, განვითარება და ცვლილებები კრიმინალისტიკაში შეისწავლება გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგის ი.პ.პავლოვის სწავლების საფუძველზე. ი.პ.პავლოვისა და მისი თანამოაზრეების მიერ დამუშავებულია ისეთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ადამიანის ხელის ფორმირებასთან. მათ მიეკუთვნება სწავლება: პირობითი რეფლექსების, დროებითი კავშირების, დინამიკური სტერეოტიპის ჩამოყალიბებისა და ჩვევების გამომუშავების შესახებ.

ი.პ.პავლოვი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ჩვევების ჩამოყალიბება პირობითი რეფლექსის გამომუშავების შედეგია. რამდენადაც ხელის ჩამოყალიბება წარმოადგენს ჩვევის შედეგს, წარმოქმნილს ადამიანის ინდივიდუალური მოღვაწეობის შედეგად, მას საფუძველად უდევს ადამიანის შეგნებული ვარჯიში წერის და ხელის გამომუშავების მიზნით.³

წერის სწავლის პროცესი იმდენად რთული ჩვევაა, რომ ხელის ჩამოყალიბების პროცესში საჭიროა რამოდენიმე დამოუკიდებელი ჩვევის ათვისება. ჯერ ერთი, წერის სწავლის პროცესში საჭიროა, რომ ადამიანმა გამოიმუშავოს საწერი ხელსაწყოების სწორი სარგებლობის ჩვევა, ხელის მოძრაობის სწორი კოორდინაცია წერის დროს, ე.ი. გამოიმუშავოს ტექნიკური ჩვევა. შემდეგ საჭიროა, რომ ადამიანმა სწორად განსაზღვროს სიტყვების ბგერითი შემადგენლობა, ე.ი. გამოიმუშავოს ორთოგრაფიული ჩვევა და ბოლის საჭიროა, რომ ადამიანმა წერის დროს გამოიმუშავოს ასოებისა და სიტყვების გრაფიკული გამოსატყულების სწორი ჩვევა, ე.ი. გრაფიკული ჩვევა.

მიუხედავად იმისა თუ ზემოაღნიშნულიდან რომელი ჩვევის გამომუშავებაზეა გადატანილი ადამიანის ყურადღება, წერის პროცესში განასხვავებენ ოთხ დამოუკიდებელ საფეხურს: ელემენტარულს, ბგერითს, ბგერების გადაბმვისა და ჩქარი წერის საფეხურებს.

წერის ელემენტარულ საფეხურზე ადამიანის ყურადღება ძირითადად გადატანილია იმაზე, რომ სწორად მოიმარჯვოს საწერი ხელსაწყო, სწორად განსაზღვროს ხელის მოძრაობის კოორდინაცია, სწორად შეასრულოს ასოების ცალკეული ელემენტები.

წერის ბგერით საფეხურზე ადამიანის ყურადღება ძირითადად გადატანილია არა იმაზე, რომ სწორად გამოსახოს ბგერის ცალკეული ელემენტები, არამედ იმაზე, რომ სწორად დაწეროს ასოები მთლიანად.

³ Павлов И.П., Полное собрание трудов, 1949, т. 4, с. 327.

ბგერების გადაბმის საფეხურზე ადამიანის ყურადღება გადატანილია არა იმაზე, რომ სწორად გამოხატოს ასოების ცალკეული ელემენტები და თვით ბგერები, არამედ იმაზე, რომ სწორად შეაერთოს ცალკეული ასოები და სიტყვები.

წერის ბოლო საფეხურზე (გადაბმითი ჩქარი წერის საფეხური) დამწერის ძირითადი ყურადღება გადატანილია არა ასოების, სიტყვების შესრულებაზე და გადაბმაზე (ეს უკვე ხდება ავტომატურად), არამედ ჩქარ წერაზე.⁴

ყველა ამ საფეხურის ათვისების შემდეგ დამწერის ყურადღება კონცენტრირებულია წერის შეგნებულ შესრულებაზე და მისი შინაარსის სწორად ჩამოყალიბებაზე. ამ დროს დამწერი უკვე აღარ ფიქრობს, როგორ შეასრულოს ასოები, სიტყვები, როგორ გადააბას ისინი, რომ ასოები იყოს თანაბარი სიმაღლის, გასაგები და ა.შ. ყველაფერი ეს კეთდება ავტომატურად უკვე წერის გამომუშავებული ჩვევის საფუძველზე. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გრაფიკული, ორთოგრაფიული და ტექნიკური ჩვევები სრულდება მექანიკურად. წერის პროცესში ყოველთვის მოქმედებს ვიზუალური კონტროლი და წერისადმი შეგნებული დამოკიდებულება.

აღნიშნული ჩვევების ათვისების შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანის ხელი, რომელიც ინდივიდუალურია მოცემული პიროვნებისათვის. ხელის ინდივიდუალობა შეიძლება იყოს სხვადასხვა ხარისხის, მაგრამ იგი ყოველთვის დამახასიათებელია ხელისათვის. ადამიანის ხელისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მისი შედარებითი უცვლელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გარკვეული პერიოდის მანძილზე ასოებისა და სიტყვების გრაფიკულ გამოსახულებას ასრულებს ერთგვარად.

ი.პ.პავლოვის სწავლება უმაღლესი ნერვიული მოქმედების შესახებ ხსნის ჩვევების ჩამოყალიბების რთულ ფიზიოლოგიურ ბუნებას. წერის ჩვევების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის დიდი ტვინის ქერქში დროებითი ნერვიული კავშირების ჩამოყალიბება. ი.პ.პავლოვის სწავლების თანახმად ეს ჩამოყალიბებული დროებითი ნერვიული კავშირები წარმოადგენს წერის ჩვევის ფიზიოლოგიურ საფუძველს. დროებითი ნერვიული კავშირები ადამიანის დიდი ტვინის ქერქში ჩამოყალიბდება შეგნებული ვარჯიშის საფუძველზე გრაფიკული ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს დროებითი ნერვიული კავ-

⁴ Гурьянов Е.В., Щербак М.К., Психология и методика обучения письму в буквенный период М., 1952, с. 9.

შირების შექმნის შედეგს.

წერის პროცესში შეგნებული ვარჯიშის საფუძველზე დროებითი ნერვიული კავშირების ჩამოყალიბება გამოიწვევს დინამიური სტერეოტიპის შექმნას. დინამიური სტერეოტიპის ჩამოყალიბების უშუალო შედეგს კი წარმოადგენს წერის ავტომატიზაცია, რომლის დროსაც დამწერის ყურადღება გადატანილია წერის აზრობრივ საკითხზე. ამ დროს ყოველი ადამიანი გამოიმუშავებს მისთვის ხელსაყრელ და დამახასიათებელ ხელის მოძრაობის კოორდინაციას წერის პროცესში. სხვანაირად რომ ვთქვათ, პიროვნებას ჩამოუყალიბდება მისთვის დამახასიათებელი წერიტი ჩვევა, ე.ი. ხელი (წერაში).

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე უნდა მივუთითოთ იმ ძირითად ნიშნებზე, რომელთა ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ხელის არსი და მნიშვნელობა კრიმინალისტიკაში. ამ ნიშნებს მიეკუთვნება შემდეგი: 1) ხელი ჩვევათა სისტემაა, გამომუშავებული ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად; 2) ხელი ავტომატური და მიზნობრივი წერის პროცესის შედეგია; 3) ხელი ინდივიდუალური და შედარებით უცვლელი წერის სისტემაა ცალკეული ადამიანისათვის; 4) ხელის გამოკვლევა კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში წარმოებს პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ხელი როგორც გარკვეული დროის მანძილზე ვარჯიშის შედეგად გამომუშავებული წერის სისტემა არის ინდივიდუალური და შედარებით უცვლელი, ავტომატიზირებული და მიზნობრივი წერა, რომელიც კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში გამოიყენება პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

ხელწერა და ხელი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, მაგრამ ასეთი კავშირი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ამ ცნებების გაიგივება. ხელწერა და ხელი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვაობა გამოიხატება შემდეგში. ჯერ ერთი, ხელწერის ცნება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ხელისა. ხელწერა ყოველთვის არ მოიცავს ხელს, რადგან ხელწერაში ყოველთვის არ აისახება ადამიანისათვის დამახასიათებელი ხელის მოძრაობის სისტემა, ე.ი. ხელი. მეორე, ხელის ჩამოყალიბება ყოველთვის დაკავშირებულია და არის პირდაპირი შედეგი ადამიანის დიდი ტვინის ქერქში დინამიური სტერეოტიპის ჩამოყალიბებისა, რომელსაც საფუძველად უდევს დროებითი ნერვიული კავშირები, წარმოშობილი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად. ყოველივე ზემოაღნიშნული არ არის სავალდებულო ხელწერისათვის. წერის დამწყები პირისათვის

დამახასიათებელია ასოების ნიმუშების გადახატვა და არა მიზნობრივი და ავტომატური ხელის მოძრაობა წერის დროს.

ხელის ინდივიდუალობა და შედარებითი უცვლელობა. ხელის ინდივიდუალობა გამოიხატება იმაში, რომ ყოველი დამწერისათვის დამახასიათებელია ხელის მოძრაობის ისეთი ინდივიდუალური სისტემა წერის პროცესში, რომელიც არ შეიძლება გამეორდეს სხვა შემთხვევაში, ე.ი. სხვა პირის ხელში. ხელის ინდივიდუალობა გამომდინარეობს ცნობილი დებულებიდან, რომ სამყაროში ყოველივე არის ინდივიდუალური და განსხვავებული სხვა ანალოგიური მოვლენებისაგან.

ხელის ინდივიდუალობის შესახებ აღნიშნავენ რევოლუციამდე ცნობილი კრიმინალისტები ე.ფ.ბურინსკი, ს.ნ.ტრეგუბოვი. ასე მაგალითად, ე.ფ.ბურინსკი მიუთითებდა, რომ ყოველი პიროვნებისათვის დამახასიათებელია თავისებური ხელი, განსხვავებული ყველა სხვა პირის ხელისაგან და, საჭიროების შემთხვევაში, ხელი წარმოადგენს სარწმუნო წყაროს პიროვნების დადგენისათვის.⁵

მარტო იმის მითითება, რომ ხელი ინდივიდუალურია ყველა პირისათვის, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იდენტიფიკაციისათვის. პიროვნების გაიგივებისათვის საჭირო და აუცილებელია, რომ ხელში აისახოს მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშანთა სისტემა, საკმარისი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

ხელის ინდივიდუალობა ყოველთვის თანაბრად არ არის გამოხატული ხელწერაში. ასე მაგალითად, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ხელწერაში ხელის ნიშნები ან სულ არ არის, ანდა იმდენად მცირეა, რომ საკმარისი არ არის პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ზოგი ავტორი დაუსაბუთებლად უკავშირებს პიროვნების ხელის ჩამოყალიბებას გარკვეული ასაკის დადგომას. მაგალითად ს.ნ.ტრეგუბოვი წერდა, რომ პიროვნების ხელის გამომუშავება საბოლოოდ ხდება 30-40 წლის ასაკში. ამის შემდეგ იგი რჩება უცვლელი.⁶ ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა ნ.დ.ვორონოვსკიც.⁷ ცნობილი კრიმი-

⁵ Буринский Е.Ф., Судебная экспертиза документов, производство ея и пользование ею, М., 1903, с. 177.

⁶ Трегубов С.Н., Основы уголовной техники, 1915, с. 195.

⁷ Вороновский Н.Д., Уголовная техника, М., 1931, с. 110.

ნალისტი ვ.ნ. ტერზიევი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში აღნიშნავდა, რომ მყარი ხელი პიროვნებას ჩვეულებრივ გამოუმუშავდება 20-25 წლის ასაკში.⁸

აღნიშნული მოსაზრება მიგვაჩნია არასწორად. არც ერთი ავტორი არ მიუთითებს თუ რატომ ჩამოუყალიბდება პიროვნებას ხელი გარკვეული ასაკის დადგომისას. ხელის ჩამოყალიბება დაკავშირებულია არა გარკვეული ასაკის დადგომასთან, არამედ ხელის გამომუშავებასთან და წერის ავტომატიზაციის პროცესთან. ყოველივე ეს დაკავშირებულია ვარჯიშთან, წერის პრაქტიკის სიხშირესთან და ადამიანის დიდი ტვინის ქერქში ხელის დინამიკური სტერეოტიპის გამომუშავებასთან.

ინდივიდუალობის პრინციპიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ არა მარტო ხელნაწერი მთლიანად არის ინდივიდუალური, არამედ ცალკეული ასოებისა და სიტყვების შესრულებაც წარმოადგენს ინდივიდუალურს. მაგრამ ასოებისა და სიტყვების მიხედვით ყოველთვის ვერ ხერხდება პიროვნების იდენტიფიკაცია, რადგან ხელისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ არის საკმარისი, ვერ დგინდება მათი სისტემა, კერძო ნიშნების გამეორებისა და კანონზომიერების ფაქტი.

იმისათვის, რომ ხელის მიხედვით მოვახდინოთ პიროვნების იდენტიფიკაცია, საჭიროა ორი აუცილებელი პირობა. ჯერ ერთი, ადამიანისათვის დამახასიათებელი ხელი და მისი ინდივიდუალური ნიშნები უნდა აისახოს ხელწერაში და მეორე, უნდა იყოს ხელის ინდივიდუალურ ნიშანთა გარკვეული სისტემა და კანონზომიერება. თუ გამოსაკვლევ ტექსტში არ არის ასახული ასოები, სიტყვები, ციფრობრივი მონაცემები და არის მხოლოდ შტრიხები (როგორც ეს ხელწერის დროს არის) ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია პიროვნების გაიგივება.

ხელის შედარებითი უცვლელობა. ხელის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალობის გარდა პიროვნების ხელს არ ექნებოდა მისთვის დამახასიათებელი მეორე თვისება - შედარებითი უცვლელობა. ზოგ შემთხვევაში ხელწერის გამოკვლევა ხდება მისი შესრულებიდან გარკვეული დროის შემდეგ. ეს დრო განისაზღვრება ხოლმე წლობით. ასეთ შემთხვევაში იდენტიფიკაცია იქნებოდა შეუძლებელი, რომ პიროვნების ხელს არ ახასიათებდეს შედარებითი უცვლელობა. ადამიანის ხელი წლების განმავლობაში უცვლელია. უფრო ზუსტად, ადამიანის ხელის

⁸ Терзиев В.Н., см. "Криминалистика", М., 1950, с. 191.

ცვლილება იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი გავლენას არ ახდენს ხელის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციაზე. ცვლილებებს განიცდის არა ადამიანის ხელი მთლიანად, არამედ მხოლოდ გარკვეული საერთო და კერძო ნიშნები.

ხელის შედარებით უცვლელობასაც საფუძვლად უდევს ი.პ.პავლოვის მოძღვრება ადამიანის დიდი ტვინის ქერქში დინამიკური სტერეოტიპის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების შესახებ. სწორედ ამიტომ დამწერს არ შეუძლია მექანიკურად შეცვალოს მისთვის დამახასიათებელი და გამომუშავებული მოძრაობის სისტემა წერის პროცესში. ხელის შეცვლისათვის საჭიროა ერთი მხრივ გამომუშავებული სტერეოტიპისა და ჩამოყალიბებული დროებითი ნერვიული კავშირის დაშლა. მეორე მხრივ, წერითი ვარჯიშის საფუძველზე ახალი დროებითი ნერვიული კავშირების შემუშავება და ხელის ახალი დინამიკური სტერეოტიპის ჩამოყალიბება ადამიანის დიდი ტვინის ქერქში.

აღნიშნული სრულიად არ ნიშნავს, რომ დინამიკური სტერეოტიპი უცვლელია. თუ ადამიანის ახალი ხელის ჩამოყალიბებას სჭირდება ხანგრძლივი ვარჯიში, მის ნაწილობრივ შეცვლაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ სხვადასხვა გარემოებებს. ყველა გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის ხელის ნაწილობრივ შეცვლაზე, პირობითად შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად:

1. ხელის შეცვლა უჩვეულო პირობებში წერის გამო: ამდგარი, დაწოლილი, კედელზე დოკუმენტის მოთავსებით, მატარებელში, თვითმფრინავში და ა.შ.

2. ხელის შეცვლა დროის განმავლობაში. ადამიანის ხელი იცვლება დროის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო: შრომითი მოღვაწეობის საფუძველზე, ასაკის გამო და ა.შ.

3. ხელის შეცვლა შემთხვევითი პირობების გამო: ქალაქის ხარისხი, განათება, დოკუმენტის მიზნობრივი დანიშნულება, საწერი ხელსაწყო და ა.შ.

4. ხელის შეცვლა დამწერის განზრახვის საფუძველზე. პიროვნებას შეუძლია თავისი ხელი შეცვალოს განზრახ ხელის გაუარესების ან ხელის უკეთესობის გათვალისწინებით, ანდა სხვისი ხელის დამსგავსების მიზნით.

5. ხელის შეცვლა დამწერის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მდგომარეობის გამო: ფსიქიკური დაავადება, ხელის დაზიანება, შიში, დაღლილობა, სიმთვრალე, ავადმყოფობა, პათოლოგიური აფექტი და ა.შ.

ამ პირობების ზეგავლენის გამო ადამიანის ხელი შეიძლება შეიცვალოს დროებით ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ნაწილობრივ ან მთლიანად. ცვლილება შეიძლება განიცადოს როგორც ხელის საერთო, ისე კერძო ნიშნებ-მაც. სწორედ ამიტომ ხელნაწერების გამოკვლევის დროს ექსპერტმა უნდა იცოდეს დოკუმენტის შესრულების პირობები და ის მიზეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ადამიანის ხელის შეცვლაზე.⁹

§2. ხელნაწერის საიდენტიფიკაციო ნიშნები

ხელნაწერის საიდენტიფიკაციო ნიშნები გამოსაკვლევია ტექსტის, ხელმოწერების, ციფრობრივი მასალის ისეთი დამახასიათებელი ნიშნებია, რომლებიც მიუთითებენ და განსაზღვრავენ ხელნაწერის ინდივიდუალობას, მისი შემსრულებელი პირისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ცალკეული საიდენტიფიკაციო ნიშნები სხვადასხვა ზომით და ხარისხით ახდენენ ხელნაწერის ინდივიდუალიზაციას, მაგრამ მათი ერთობლიობა, სისტემურობა და განუმეორებლობა საშუალებას იძლევა დავადგინოთ ხელნაწერის შემსრულებელი პირი.

ხელნაწერის საიდენტიფიკაციო ნიშნები შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: მეტყველების წერილობითი ნიშნები, ტოპოგრაფიული ნიშნები, საერთო (ზოგადი) ნიშნები და კერძო ნიშნები. პირველი და მეორე ნიშნები დაკავშირებულია მეტყველების წერილობით ნიშნებთან, ხოლო მესამე და მეოთხე ჯგუფის ნიშნები - წერის ხელთან.

1. მეტყველების წერილობითი ნიშნები. მეტყველების წერილობითი ნიშნები მიუთითებს და განსაზღვრავს აზრის გადმოცემის თავისებურებას, მისი გადმოცემის ხერხსა და სტილს, ფრაზების აგებულებას, წერის კულტურას, წერის ათვისებისა და სიტყვების მარაგის დონეს.

მეტყველების წერილობითი ნიშნები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ლექსიკური, სტილისტიკური და გრაფიკული.

ლექსიკური ნიშნები მიუთითებს დამწერის სიტყვების მარაგზე, პიროვნების პროფესიაზე და დიალექტურ თავისებურებებზე. ლექსიკური ნიშნების შესწავ-

⁹ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ხელწერისა და ხელის (წერაში) ცნებები ძირითადად სწორად არის გაგებული. ამ საკითხზე იხ. ხარაზიშვილი ბ., კრიმინალისტიკა, თბილისი, 1969, გვ. 90-104; Палиашвили А., Понятие письма и почерка "Труды Тбилисского гос. университета", т. 89, 1960, с. 145-155; Техника экспертизы рукописных документов, исполненных на грузинском языке, Тбилиси, 1970, с. 11-21; Криминалистика (учебник), М., 1988, с. 269-272; Криминалистика, М., 1980, с. 172-174; Криминалистика, М. 1993, с. 247-249.

ლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიონალიზმს, ე.ი. სიტყვებისა და ფრაზების ხმარებას, რომელიც დაკავშირებულია დამწერის პროფესიასთან. ასევე გამახვილებული უნდა იყოს ყურადღება დიალექტურ გამოთქმებთან, რომელიც მიუთითებს, თუ რომელი რეგიონიდან (რაიონიდან) არის დამწერი. ამ ნიშნების საფუძველზე ვიწროვდება ის წრე, სადაც უნდა ვეძებოთ დაწერილი ტექსტის ავტორი. ლექსიკურ ნიშნებს მიეკუთვნება აგრეთვე ტექსტში უხეში სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება (ვულგარიზმი), ჟარგონი, არქაიზმი (ძველი სიტყვების ხმარება), ნეოლოგიზმი (ახალი სიტყვების გამოყენება), ვარვარიზმი (მშობლიური სიტყვების ნაცვლად უცხო სიტყვების ხმარება).

ლექსიკური ნიშნების გამოკვლევასა და დადგენას აქვს გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა გამოსაკვლევი ტექსტის დამწერი პირის იდენტიფიკაციისათვის.¹⁰

სტილისტური ნიშნები მიუთითებს აზრის გადმოცემის სტილზე, მისი გამოსატვის საშუალებაზე და კონკრეტულ ფორმაზე. სტილისტური ნიშნები ხშირად დაკავშირებულია დოკუმენტის (ხელნაწერის) მიზნობრივ დანიშნულებაზე. ასეთი ნიშნების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რა ხასიათს ატარებს გამოსაკვლევი ხელნაწერი: საყოფაცხოვრებოს, პუბლიცისტურს, მეცნიერულს, საწარმოო-სამსახურებრივს და ა.შ.

გრაფიკული ნიშნების შესწავლა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ და ვადადგინოთ ხელნაწერის შემსრულებელი პირის განათლების დონე. სიტყვებისა და ფრაზების შესრულების დროს დაშვებული ტიპიური სინტაქსური და ორთოგრაფიული შეცდომები, სასვენი ნიშნების ხმარების დროს დამახასიათებელი შეცდომები, სიტყვების გადატანის დროს დაშვებული შეცდომები და ა.შ.

2. ხელნაწერის ტოპოგრაფიული ნიშნები. ხელის ტოპოგრაფიული ნიშნები მიუთითებენ ტექსტის განლაგების თავისებურებებზე გამოსაკვლევ დოკუმენტში. ამ ნიშნებს მიეკუთვნება: ტექსტის არე (გვერდით, ზემოთ, ქვემოთ); მისი ზომა (არის გარეშე, საშუალო, დიდი); გვერდების დანომვრის თავისებურება (მარცხნივ, შუაში, მარჯვნივ); აბზაცის ზომა (აბზაცის გარეშე, მცირე ან დიდი); სტრიქონების მიმართულება (პორიზონტალური, ქვემოთ ან ზემოთ გადახრილი, ოვალური, ხაზზე, ხაზის ზემოთ ან ქვემოთ); სათაურის, ქვესათაუ-

¹⁰ Леонтьев М.М., Шахнарович А.М., Батов В.И., Речь в криминалистике и судебной психологии, М. 1977.

რის, თარიღისა და ხელმოწერის ურთიერთგანლაგების თავისებურება; სიტყვების გადატანის თავისებურება (გადატანის ნიშნის გარეშე, გადატანის ორი ნიშანი); გადატანის ნიშნის ზომა (მცირე, საშუალო, დიდი, ზემოთ ან ქვემოთ გადახრილი, ოვალური); სიტყვების გადატანის თავის არიდება, რის გამოც სიტყვების დაბოლოება სტრიქონზე ქვემოთ ან ზემოთ არის გადახრილი; საწერი ხელსაწყოს დაწოლის თავისებურება; ინტერვალების ზომა სტრიქონებსა და სიტყვებს შორის (მცირე, საშუალო, დიდი).

ქართული დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ქართულმა დამწერლობამ ისტორიულად განიცადა ცვლილებები, რომლებიც იყოფა სამ საფეხურად: მრგვლოვანი (IX საუკუნემდე), რომელსაც ახასიათებდა, ძირითადად რგოლური და ვერტიკალური შტრიხებით ასოების აგებულება; ნუსხური (IX-XI საუკუნეები), რომელსაც ახასიათებდა, ძირითადად, ვერტიკალური და კუთხოვანი შტრიხებით ასოების შესრულება და ბოლოს თანამედროვე ქართული დამწერლობა - მხედრული (XI საუკუნიდან დღემდე). ამ დამწერლობისათვის დამახასიათებელია ასოების შესრულება, ძირითადად, ოვალური-რგოლური შტრიხებით. თანამედროვე ქართული ალფაბეტი შედგება 33 ასოსაგან.

ტოპოგრაფიული თვალსაზრისით ქართული ასოები შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ასოები, რომლებიც სრულდებიან სტრიქონის ხაზზე (მაგალითად: ა, ი, ო, თ). მეორე ჯგუფს შეადგენს ისეთი ასოები, რომლებსაც აქვთ სტრიქონის ხაზის ზედა ნაწილიც (მაგალითად: ს, ხ, შ, წ, ჰ). მესამე ჯგუფისათვის დამახასიათებელია ის, რომ ასოებს აქვთ სტრიქონების ხაზის ქვედა ნაწილი (მაგალითად: ე, ვ, ტ, ფ, ც). მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ქართული ალფაბეტის ისეთი ასოები, რომელთაც ერთდროულად აქვთ სტრიქონის ხაზის ზემო და ქვემო ნაწილები (მაგალითად: ქ, ჳ). ქართული ასოების უმრავლესობა სრულდება ხელის მარჯვნივ შემოვლებული მოძრაობით. ასეთი ასოებია 16 (მაგალითად: თ, ფ, ვ, ი). ქართული ალფაბეტის 6 ასო სრულდება ხელის მარცხნივ შემოვლებული მოძრაობით (მაგალითად: ა, პ, ჰ), ხოლო 11 ასო კი - ხელის შერეული მოძრაობით (მარჯვნივ და მარცხნივ შემოვლებული). ასეთ ასოებს, მაგალითად, მიეკუთვნება დ, ზ, გ, უ. ზოგიერთი ქართული ასო სრულდება ორ ვარიანტად. ასეთ ასოებს მიეკუთვნება ოთხი დ, ლ, ო, რ.

მეტყველების წერილობითი ნიშნებიდან ქართული დამწერლობისათვის უნდა გამოიყოს ლექსიკური ნიშნები, რომელთათვისაც დამახასიათებელია სხ-

ვადსხვა დიალექტები, მათ შორის: კახური, ქართლური, ფშავ-ხევსურული, იმერული, გურული, მეგრული, რაჭა-ლეჩხუმური, აჭარული, აფხაზური და აგრეთვე სიტყვებისა და ფრაზების გამოთქმისა და ჩამოყალიბების თავისებურებანი.¹¹

3. ხელის საერთო (ზოგადი) ნიშნები. ხელის საერთო ნიშნებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ხელნაწერის (მთლიანად) ზოგადი დახასიათება. საერთო ნიშნების დადგენა-განსაზღვრა წარმოადგენს იდენტიფიკაციის პროცესის აუცილებელ პირობას.

ხელის ზოგად (საერთო) ნიშნებს მიეკუთვნება: ხელით გამომუშავება, რომელიც შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი. ხელის საერთო აგებულება (კონსტრუქცია) შეიძლება იყოს: მოსწავლის ხელის მსგავსი; ასოებისა და სიტყვების გამარტივებული შესრულება (მაგალითად, ასოს ელემენტის უქონლობა; ასოებისა და სიტყვების გართულებული შესრულება (ძნელად წასაკითხი ტექსტი). ხელის მოძრაობის საერთო მიმართულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ასოების შესრულება უფრო ჭარბობს გამოსაკვლევ ტექსტში: ხელის მარჯვნივ შემოვლებით, თუ ხელის მარცხნივ შემოვლებით შესრულებული ასოები. ხელის გაქანება, როგორც საერთო ნიშანი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის შესრულებული ხელნაწერი: შემჭიდროებული ასოებით და სიტყვებით, საშუალო შემჭიდროებით, თუ ხელის დიდი გაქანებით. სტრიქონების შესრულების ხერხი შეიძლება იყოს: პორიზონტალური, ქვემოთ ან ზემოთ გადახრილი, ხაზზე მოთავსებული, ხაზის ზემოთ ან ქვემოთ არსებული, ოვალური. საწერი ხელსაწყოს დაწოლა, როგორც ხელის ზოგადი ნიშანი მიუთითებს იმაზე, თუ რა ძალის დაწოლით არის შესრულებული გამოსაკვლევ ტექსტი: დაწოლის გარეშე, საშუალო თუ ძლიერი დაწოლით. ასოების ზომა შეიძლება იყოს მცირე 2 მმ-მდე, საშუალო 3-4 მმ, დიდი 5 მმ და მეტი. ასოების დახრილობა განსაზღვრავს იმას, თუ ასოების შესრულების დროს რა სახის დახრილობა უფრო დამახასიათებელია გამოსაკვლევი ხელნაწერისათვის: მარჯვნივდახრილი, მარცხნივდახრილი თუ დაუხრელი (პირდაპირი). ასოების განლაგება შეიძლება იყოს ვიწრო, საშუალო და ფართო. ასოების გადაბმა, როგორც ზოგადი ნიშანი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენი ასოს გადაბმა უფრო

¹¹ აღნიშნულ საკითხზე იხ. ბხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბილისი, 1969, გვ. 108; Абазадзе М. Н., Мгеладзе О. М., Особенности исследования рукописей, выполненных на грузинском языке, сб. "Криминалистическое исследование рукописей, выполненных на некоторых языках народов СССР, М., 1973, с. 193-104.

ჭარბობს გამოსაკვლევ ხელნაწერში. მიღებულია, რომ თუ ასოების გადაბმა არ აღემატება 2 ასოს, იგი არის მცირე; 3-4 ასოს გადაბმა - საშუალო; 5 და მეტი ასოს გადაბმა - დიდი. წერის ტემპი შეიძლება იყოს ნელი, საშუალო და ჩქარი. მანძილი ასოებსა და სტრიქონებს შორის შეიძლება იყოს მცირე, საშუალო და დიდი.

ხელის საერთო ნიშნების აღნიშნული კლასიფიკაცია ზოგადია და იგი მეტნაკლებად დამახასიათებელია ყველა ხელნაწერისათვის მიუხედავად იმისა, თუ რომელ ენაზეა შესრულებული გამოსაკვლევი ტექსტი.

4. ხელის კერძო ნიშნები. ხელის საერთო ნიშნებისგან განსხვავებით კერძო ნიშნები მიუთითებს ცალკეული ასოებისა და მისი ელემენტების შესრულების თავისებურებაზე, ასოების შესრულების დროს საწყისი და დამთავრებელი წერტილების სპეციფიურობაზე და მათ ურთიერთობაზე, ასოების ცალკეული ელემენტებისა და ასოების გადაბმის თავისებურებაზე. კერძო ნიშნების დამთხვევას აქვს დიდი მნიშვნელობა შემსრულებელი პირის დადგენისათვის, იგი საფუძვლად უდევს ხელნაწერის მიხედვით პიროვნების გაიგივებას (იდენტიფიკაციას).

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში და კერძოდ ქართველი კრიმინალისტების მიერ შემუშავებული და გაანალიზებულია ხელის კერძო ნიშნები და მათი გამოორების სიხშირე.¹²

¹² იხ. ვსმათიაშვილის, გადოვლათბეგოვის, ომბგელაძის, ობ-ელენტის, მნაბაზაძის და სხვა ავტორთა გამოკვლევები, განზოგადებული შრომაში "Техника экспертизы рукописных документов, исполненных на грузинском языке" (под редакцией А.Я.Палиашвили), Тбилиси, 1970.

ხელის კერძო ნიშანთა შორის უნდა გამოიყოს შემდეგი:

ჭ ჭ ჭ ჭ ჭ ჭ ჭ ჭ ჭ

ქ ე ო ო ო ო

პ პ პ პ პ პ

რ რ რ რ რ რ

ს ს ს ს ს ს

ტ ტ ტ ტ ტ ტ

წ წ წ წ წ წ

ა) მოძრაობის მიმართულების თავისებურება ასოებისა და მისი ელემენტების შესრულების დროს:

ბ) მოძრაობის ფორმა ასოებისა და მისი ელემენტების შესრულების დროს (კუთხური, სწორხაზოვანი, ოვალური, მარყუჟისებური):

გ) საწყისი წერტილის მდგომარეობა ასოს შესრულების დროს (სტრიქონის ხაზზე, სტრიქონის ზემოთ, წერტილი, წინასწარი შტრიხი, წინასწარი მარყუჟი):

დ) დამთავრების წერტილის მდგომარეობა ასოს შესრულების დროს (სტრიქონის ხაზზე, სტრიქონის ზემოთ, წერტილი, დამატებითი შტრიხი, დამატებითი მარყუჟი):

ე) საწყისი და დამთავრების წერტილების ურთიერთშეფარდება ასოს შესრულების დროს:

ვ) ასოებისა და მისი ელემენტების შესრულების თავისებურება:

ზ) ასოების გადაბმის თავისებურება:

ხელის კერძო ნიშნების დადგენისა და შესწავლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს მათ სისტემატურობასა და განმეორებადობას. კერძო ნიშნის ამთხვევა არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს, არამედ უნდა იყოს დახასიათებელი მოცემული ხელნაწერის შემსრულებლისათვის. მხოლოდ ასეთ ითარებაში კერძო ნიშნებს აქვს საიდენტიფიკაციო მნიშვნელობა და სხვა იშანთა (საერთო ნიშნები, ტოპოგრაფიული ნიშნები, მეტყველების წერიტი იშნები) ერთობლიობაში საშუალებას იძლევა დაგადგინოთ ხელნაწერის შემსრულებელი პირი.

§3. მასალების მომზადება ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ექსპერტს გადაეგზავნება ერთი მხრივ გამოსაკვლევ დოკუმენტი (ხელით შესრულებული ტექსტი, ხელმოწერა, ციფრობრივი მონაცემები) და მეორე მხრივ ეჭვმიტანილი პირის მიერ შესრულებული ხელნაწერები (ნიმუშები). გამოსაკვლევ დოკუმენტი უნდა იყოს გაფორმებული პროცესუალურად იმ წესებისა და პირობების დაცვით, რასაც საპროცესო კანონი ადგენს ნივთიერი მტკიცებულებისათვის.

ხელნაწერის ნიმუში არის გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ საგანგებოდ ამოღებული ან მიღებული ეჭვმიტანილი პირის მიერ შესრულებული ხელნაწერი კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის. ხელნაწერის ნიმუშები შეიძლება ჩამოერთვას ეჭვმიტანელს და ბრალდებულს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, დაზარალებულს ან მოწმეს (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 186-ე მუხლი).

ხელნაწერის ნიმუშების სამი სახე არსებობს: თავისუფალი, პირობითად თავისუფალი და ექსპერიმენტული.

თავისუფალი ნიმუშებია ისეთი შესადარებელი მასალა, რომელიც შესრულებულია გარკვეული პირის მიერ მიცემულ სისხლის ან სამოქალაქო საქმის აღძვრამდე და უშუალო კავშირში არ არის მიცემულ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საქმესთან. ხელნაწერის თავისუფალი ნიმუშების სახით უნდა იყოს ამოღებული მოცემული პირის მიერ შესრულებული ხელნაწერები: ავტობიოგრაფიისა და კადრების აღრიცხვის ბარათის სახით, კერძო და სამსახურეობრივი მიმოწერები, ახსნა-განმარტებანი და განცხადებები, ხელმოწერები და ანდერძები. თავისუფალი ნიმუშების ამოღების ყველა შემთხვევაში გამომძიებელი და სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ხელნაწერები ეკუთვნის მხოლოდ იმ პირს, ვინც ეჭვმიტანილია გამოსაკვლევ ხელნაწერების შესრულებაში.

პირობითად თავისუფალი ნიმუშებია ისეთი ხელნაწერები, რომლებიც მიღებულია სისხლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, მაგრამ არა სპეციალურად ექსპერტიზის ჩატარებისათვის. ამ სახის ნიმუშების სახით ხშირად გვევლინება საქმეში არსებული დაკითხვის ოქმები, ახსნა-განმარტებები, განცხადებები, შესრულებული იმ პირის მიერ, ვისაც ეჭვი ედება

გამოსაკვლევი ხელნაწერების შესრულებაში.

ექსპერიმენტული ნიმუშებია ისეთი ხელნაწერები, რომლებიც სპეციალურად არის მიღებული ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის იმ პირისაგან, ვისაც ეჭვი ედება გამოსაკვლევი ხელნაწერების შესრულებაში. ამ შემთხვევაში პირმა იცის, რომ მის მიერ შესრულებული ხელნაწერები გადაეცემა ექსპერტს, როგორც შესადარებელი მასალა გამოკვლევის ჩატარებისათვის.

ექსპერიმენტული ნიმუშების მისაღებად გამოძიებულმა უნდა გამოიტანოს შესაბამისი დადგენილება, სასამართლომ - განჩინება. ექსპერიმენტული ნიმუშების მისაღებად შეიძლება მოწვეული იყოს სპეციალისტი. ხელნაწერების ნიმუშების მიღების რამოდენიმე ხერხი არსებობს. პირს, რომელსაც უნდა ჩამოერთვას ხელნაწერების ექსპერიმენტული ნიმუშები, შესთავაზებენ დაწეროს ახსნა-განმარტება, ავტობიოგრაფია, განცხადება ან სხვა ნებისმიერი ტექსტი. ნიმუშების მიღება ხდება აგრეთვე გადაწერის მეშვეობით. ამ შემთხვევაში გამოძიებელი შესთავაზებს პირს გარკვეულ ან ნებისმიერ ტექსტს. ბოლოს, ექსპერიმენტული ნიმუშების მიღებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს კარნახის მეშვეობით. თუ გამოძიებელი მივა დასკვნამდე, რომ პირი ცდილობს საკუთარი ხელის შეცვლას ან სხვა პირის ხელის მიმსგავსებას, მას შეუძლია, ჯერ ერთი, უფრო ჩქარი ტემპით უკარნახოს ტექსტი და, მეორეც, ხელმოწერების ნიმუშები მიიღოს რამოდენიმეჯერ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ორივე შემთხვევაში ექსპერიმენტული ნიმუშები უნდა იყოს საკმარისი, რამოდენიმე ფურცელზე შესრულებული. კარნახის დროს გამოძიებელი უნდა ეცადოს, რომ შეძლებისდაგვარად ნიმუშებში გვხვდებოდეს ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც არის გამოსაკვლევ დოკუმენტში.

ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშების მიღების დროს პირს შესთავაზებენ მოაწეროს თავისი გვარი და იმ პირის გვარი, ვისი სახელითაც გამოსაკვლევ დოკუმენტზე არის ხელმოწერა. ასეთი ხელმოწერები უნდა შესრულდეს რამოდენიმე გვერდზე.

ხელწერის ექსპერიმენტული ნიმუში უნდა შესრულდეს იგივე პირობებში, როგორც გამოსაკვლევ ხელწერა. მაგალითად, თუ ცნობილია, რომ გამოსაკვლევ ტექსტი შესრულებულია მარცხენა ხელით, დაწოლილ ან ამდგარ მდგომარეობაში, ფანქრით და ა.შ., ასეთივე პირობებში უნდა შესრულდეს ხელწერის ექსპერიმენტული ნიმუშიც.

ექსპერტს გამოსაკვლევად უნდა გადაეგზავნოს ხელწერის როგორც თავისუფალი, ისე ექსპერიმენტული ნიმუშები, რადგან ისინი ავსებენ ერთმანეთს და ექსპერტს ადვილად შეუძლია გააანალიზოს გამოსაკვლევ ტექსტის საერთო და კერძო ნიშნების კანონზომიერება. ხელწერის თავისუფალი ნიმუშების დადებითი მხარე ის არის, რომ იგი მიღებულია თავისუფალ პირობებში და მისი შემსრულებელი პირი არ იცვლის თავის ხელს, არ ამსგავსებს მას სხვის ნაწერს. ექსპერიმენტული ნიმუშების დადებითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ხელნაწერები ისეთ პირობებში შესრულებული, როგორც გამოსაკვლევ ტექსტი. სწორედ ამიტომ ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს ყველა სახის ნიმუში (თავისუფალი, პირობითად თავისუფალი, ექსპერიმენტული). მხოლოდ თავისუფალი ან ექსპერიმენტული ნიმუშების გადაგზავნა გამოკვლევისათვის დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს პრაქტიკული შესაძლებლობა ყველა სახის ნიმუშების მიღებისათვის. ექსპერიმენტული ნიმუშების მიღების პროცესი დაწერილებით უნდა იყოს აღწერილი ნიმუშების მიღების ოქმში. ნიმუშების შესახებ ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში უნდა აღინიშნოს შემდეგი: ნიმუშების შემსრულებელი პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, განათლება, პროფესია, ისეთი ფიზიკური ნაკლის შესახებ, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ხელწერის ხარისხზე, ნიმუშების მიღების პირობები, რაოდენობა, სახე, დრო, ნიმუშების შემსრულებელი პირის პროცესუალური მდგომარეობა.

ხელწერის ნიმუშების მიღება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: საპროცესო კანონის ნორმათა დაცვა, ობიექტურობა, ოპერატიულობა, ნიმუშების სისრულე და მათი მიღება ისეთივე პირობებში, როგორც გამოსაკვლევ ხელნაწერი (ტექსტი, ხელმოწერა, ციფრობრივი მონაცემები).

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს შემდეგი საკითხები: ვის მიერ არის შესრულებული გამოსაკვლევ ტექსტი, ხელმოწერა, ციფრობრივი მონაცემები; შესრულებულია თუ არა ერთი პირის მიერ სხვადასხვა დოკუმენტის ტექსტები, ხელმოწერები, ციფრობრივი მონაცემები; შესრულებულია თუ არა გამოსაკვლევ დოკუმენტის ტექსტი ერთი პირის მიერ, თუ მისი ცალკეული ფრაგმენტები შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ; შესრულებულია თუ არა გამოსაკვლევ ხელნაწერი უჩვეულო პირობებში (მარცხენა ხელით, ფეხზე დგომით, დაწოლილ მდგომარეობაში, საკუთარი ხელის შეცვლით, სხვისი ხელისადმი მიმსგავსებით); ვინ

არის გამოსაკვლევ ტექსტების შინაარსის ავტორი; შესრულებულია თუ არა გამოსაკვლევ ტექსტი მამაკაცის თუ ქალის მიერ.

§4. ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის ზოგადი მეთოდოლოგია

კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ფარგლებში შეუძლებელია ხელნაწერების გამოკვლევის მეთოდოლოგიის დაწვრილებითი გაშუქება, იგი სპეციალური გამოკვლევის საგანს წარმოადგენს, ამიტომ ყურადღებას გაუამახვილებთ ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიის ზოგად და ელემენტარულ საკითხებზე.

გამოკვლევის მეთოდოლოგიის პირველი საფეხური გულისხმობს საექსპერტო მასალების გულდასმით გაცნობასა და შესწავლას. გამოკვლევის ამ ეტაპზე ექსპერტი უნდა გაეცნოს ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების (განჩინების) შინაარსს და გადაწყვიტოს საკითხი, თუ რამდენად კანონიერად არის დანიშნული ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა, გამოტანილია თუ არა დადგენილება (განჩინება) პროცესუალური კანონის შესაბამისად, წარმოდგენილია თუ არა გამოსაკვლევ საბუთები და რამდენად შეესაბამება ისინი დადგენილებაში (განჩინებაში) მათი რეკვიზიტების აღწერას. ექსპერტი ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილია მხოლოდ ის ხელნაწერი დოკუმენტები, რომლებიც გამოკვლევას ექვემდებარებიან.

საექსპერტო მასალების გაცნობის დროს ექსპერტი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მას გადაეცა შესადარებელი მასალის სახით ხელნაწერების ნამდვილი ნიმუშები, რომ ისინი საკმარისი არიან გამოკვლევის ჩასატარებლად, რამდენად შეესაბამება ნიმუშები (თავისუფალი, პირობითად თავისუფალი, ექსპერიმენტული) დადგენილებაში (განჩინებაში) მათ აღწერას.

დადგენილების (განჩინების) გაცნობის საფუძველზე ექსპერტი რწმუნდება, რომ მის წინაშე გადასაწყვეტი საკითხები სწორად, თუ უსწოროდ არის ჩამოყალიბებული, შედის თუ არა დასმული საკითხების გადაწყვეტა მის კომპეტენციაში, აქვს თუ არა მას საკმარისი განათლება და გამოცდილება მის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად.

ბოლოს ექსპერტი უნდა გაერკვეს წარმოდგენილია თუ არა ყველა ის დამატებითი მასალა და ცნობები, რასაც უშუალო კავშირი აქვს ხელნაწერების გამოკვლევის ხარისხიანად ჩატარებისათვის (გამოსაკვლევ დოკუმენტის შეს-

რულების პირობები, ტექსტის საგარეოდო შემსრულებელი პირის შესახებ ცნობები: ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა და ა.შ.).

აღნიშნული საკითხების გარკვევის შედეგად ექსპერტი იღებს სამიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: შეუდგება ხელნაწერების კრიმინალისტიკურ გამოკვლევას; დაუბრუნებს ექსპერტიზის მასალებს გამომძიებელს ან სასამართლოს შეუსრულებლად (კოკნკრეტული მიზეზის აღნიშვნით); გამოითხოვს ექსპერტიზის დამნიშნავი პირისაგან დამატებით მასალებს და ცნობებს.

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეთოდის მეორე საფეხური გულისხმობს გამოსაკვლავი ხელნაწერისა და შესადარებელი ნიმუშების ცალ-ცალკე შესწავლას მეტყველების, ტოპოგრაფიული, საერთო და კერძო ნიშნების დადგენის მიზნით. გამოკვლევის ამ ეტაპზე ექსპერტმა ვიზუალურად ან ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენების მეშვეობით უნდა დაადგინოს ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, მათი გამეორების კანონზომიერებისა თუ შემთხვევითობის ფაქტი.

ხელნაწერების გამოკვლევის მესამე საფეხურისათვის დამახასიათებელია შედარებითი მეთოდი. ხელის ნიშნების ცალ-ცალკე შესწავლა გამოსაკვლევ დოკუმენტში და შესადარებელ ნიმუშებში ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს, თუ ეს დადგენილი ნიშნები არ შედარდება ერთმანეთს მათი დამთხვევის თუ სხვაობის დადგენის მიზნით. შედარების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ხელის ნიშნების აბსოლუტურ დამთხვევას შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს, რადგან ადამიანის ხელისათვის დამახასიათებელია ვარიაციულობა.

ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეოთხე საფეხური გულისხმობს გამოკვლევის შედეგად ხელის ნიშნების დამთხვევებისა და სხვაობათა შეფასებას. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც შედარების შედეგად ძირითადად დგინდება ხელის ნიშანთა მხოლოდ დამთხვევები ან სხვაობები. ასეთ შემთხვევაში მათი შეფასება არ წარმოადგენს სირთულეს, მაგრამ უნდა გადაწყდეს საკითხი ამ დამთხვევათა თუ სხვაობათა საკმარისობის შესახებ კატეგორიული დასკვნის მისაცემად.

დადგენილ ნიშანთა შეფასება რთულდება იმ შემთხვევაში, როდესაც შედარების შედეგად ერთი და იმავე დროს დგინდება საერთო და კერძო ნიშანთა დამთხვევები და სხვაობანი. ყველა ამ ნიშანთა შეფასება უნდა მოხდეს კრიტიკული თვალსაზრისით, ყოველმხრივად, სრულყოფილად და ობიექტურად.

ყველა შემთხვევაში ექსპერტი უნდა დარწმუნდეს რა სახის ნიშნები უფრო კანონზომიერია მოცემულ შემთხვევაში, რომელი მათგანი ატარებს სისტემურ ხასიათს და რომელი შემთხვევითს, რომელი მათგანი არის განუმეორებელი კომპლექსი. ამ საკითხის დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტის საფუძველზე ექსპერტი მიდის დადებით ან უარყოფით დასკვნამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტი იძლევა დასკვნას საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევის შედეგად ხელის დადგენილ ნიშანთა შეფასებას გარკვეულად საფუძველად უდევს სუბიექტური მომენტიც და ექსპერტის პრაქტიკული გამოცდილებაც. კრიტიკული შეფასების შედეგად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხელის იმ კერძო ნიშანს, რომელიც უფრო იშვიათად გვხვდება პრაქტიკაში. იმ მიზნით, რომ განისაზღვროს თითოეული კერძო ნიშნის პრაქტიკული ღირებულება ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის პროცესში უკანასკნელ პერიოდში დაინერგა პრაქტიკაში მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრო-გამოთვლითი მანქანების გამოყენება. ქართული ხელნაწერების კერძო ნიშნების სიხშირე და გამოვლენა გამოთვლილია მათემატიკურად და გადაყვანილია პროცენტებში, რაც საშუალებას აძლევს ექსპერტ-ხელმცოდნეს უფრო ობიექტურად შეაფასოს თითოეული კერძო ნიშნის პრაქტიკული ღირებულება გამოკვლევის პროცესში.¹³ ამავე მიზანს ემსახურება ელექტრო-გამომთვლითი მანქანების გამოყენება ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის დროს.¹⁴

ხელნაწერების გამოკვლევის ბოლო, მეხუთე საფეხურს წარმოადგენს დასკვნის ჩამოყალიბება. გამოკვლევის შედეგად ხელნაწერების საერთო და კერძო ნიშანთა დადგენა და შეფასება იმ მიზანს ისახავს, რომ ექსპერტმა ჩამოაყალიბოს დასკვნა, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულების დამოუკიდებელ წყაროს.

¹³ Техника экспертизы рукописных документов, исполненных на грузинском языке (составитель Довлатбегов Г.С., под общей редакцией Палиашвили А.Я.), Тб., 1970.

¹⁴ Соколовский З.М., Процессуальные и криминалистические вопросы использования математических методов в судебном почерковедении, Киев, 1970; Компаниец А.М., Исследование количественных характеристик признаков почерка с помощью ЭВМ, Киев, 1977.

გამოკვლევის შედეგად ექსპერტმა-ხელმოცოდნემ შეიძლება გააკეთოს შემდეგი სახის დასკვნები. კატეგორიული დადებითი ან უარყოფითი დასკვნა. მაგალითად: გამოსაკვლავი დოკუმენტის ტექსტი (უნდა იყოს მითითებული დოკუმენტის რეკვიზიტები) შესრულებულია დ.ი.ბადაშვილის მიერ ან გამოსაკვლავი დოკუმენტის ტექსტი შესრულებულია არა დ.ი.ბადაშვილის, არამედ სხვა პირის მიერ. დასკვნა საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში ექსპერტი მიუთითებს იმ მიზეზს, რამაც გამოიწვია აღნიშნული დასკვნის მიცემა. მაგალითად: საკითხის გადაწყვეტა შესრულებულია თუ არა გამოსაკვლავ დოკუმენტზე სიტყვების შემდეგ "მთავარი ბუღალტერი" ა.ვ. პეტრიაშვილის ხელმოწერა დ.ვ.ანდრიაძის მიერ შეუძლებელია ხელმოწერაში კრაფიკული მასალის სიმცირის გამო.

ცალკეულ შემთხვევაში ექსპერტი იძლევა სავარაუდო (აღბათობით) დასკვნას. მაგალითად "... გამოსაკვლავი ხელმოწერა შეეძლო შეესრულებინა ვ.პეტროვს". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის ასეთ დასკვნას არა აქვს მტკიცებულების წყაროს მნიშვნელობა, რადგან ექსპერტი ვერ ადგენს ფაქტს, არამედ გამოთქვამს ვარაუდს ფაქტის შესახებ. ცალკეულ შემთხვევაში ხელნაწერების გამოკვლევის შედეგად შეიძლება მიცემულ იყოს დასკვნა ჯგუფური კუთვნილების შესახებ. ასეთი სახის დასკვნას მიეკუთვნება, მაგალითად, შემდეგი: "... გამოსაკვლავი ტექსტი შესრულებულია მარცხენა ხელით".

ექსპერტის ყოველი დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული და თვალსაჩინო. ექსპერტის დასკვნის თვალსაჩინოება გულისხმობს მის ილუსტრაციას. ამ მიზნით ფოტო-ტაბულაზე ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები და აღნიშნული ხელნაწერის კერძო ნიშნების დამთხვევის თუ სხვაობის ფაქტები, რაც უნდა იყოს ნაჩვენები დანომრილი ისრების მეშვეობით. დასკვნის თვალსაჩინოება საშუალებას აძლევს გამომძიებელს, სასამართლოს, ბრალდებულს, დაზარალებულს და პროცესის სხვა შესაბამის მონაწილეს უშუალოდ დარწმუნდეს ხელნაწერების საერთო და კერძო ნიშნთა დამთხვევების თუ სხვაობის ფაქტზე.

XIII თავი

დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა

§1. დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის ცნება და სახეები

დოკუმენტის გაყალბებას ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აღგ-ილი აქვს ისეთ დანაშაულთა ჩადენის დროს, როგორებიცაა: სახელმწიფო დან-აშაული, ცილისწამება, შეურაცყოფა და სხვა.

დოკუმენტი არის საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიერ გაცემული ან შედგენილი საბუთი, რომელშიც ასახულია ისეთი ფაქტები და გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის საქმისათვის და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენი-სათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტი წარმოადგენს დანაშაულის ჩადე-ნის საგანს, ხერხს, საშუალებას, ობიექტს ან მასზე დარჩენილია დანაშაულის ჩადენის კვალი (საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 74-ე მუხლი), პრო-ცესუალური გაგებით იგი წარმოადგენს არა დოკუმენტს, არამედ ნივთიერ მტკიცებულებას და მასზე ვრცელდება ის პროცესუალური რეჟიმი, რომელიც დადგენილია კანონით ნივთიერ მტკიცებულებათა მოპყრობისათვის.

დოკუმენტის ცნება კრიმინალისტიკაში იხმარება ორი გაგებით: ფართო და ვიწრო მნიშვნელობით.

ფართო გაგებით დოკუმენტი არის არა მარტო წერილობითი საბუთი, არამედ სქემები, გეგმები, ფოტოსურათები, კინოფირები, ვიდეოფირები.

ვიწრო გაგებით დოკუმენტი არის წერილობითი საბუთი: ხელით შეს-რულებული, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი, სტამბური წესით დამზადებული, თვითნაკეთები (ხელით დახატული, ფოტოგრაფიული წესით დამზადებული) და ა.შ.

დოკუმენტები შეიძლება იყოს სტანდარტული და არასტანდარტული. პირველს მიეკუთვნება ისეთი საბუთები, რომლებიც აკმაყოფილებენ დოკუმენ-ტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. არასტანდარტულს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც არ არის დოკუმენტის შედგენისათვის გამიზნული. მაგალითად, გარკვეული ტექსტის ან ციფრობრივი მონაცემების არსებობა ფანერაზე, ხეზე, ლითონის ფირფიტებზე, ქსოვილზე და ა.შ.

დოკუმენტი შეიძლება შედგენილი იყოს სხვადასხვა საშუალებით: მელნით, ბურთულოვანი საწერით, ფანქრით, ტუშით, სტამბური საღებავის გამოყენებით, ცარცით, ნახშირით, საბეჭდ მანქანაზე და ა.შ. დოკუმენტები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა და დანიშნულების: პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პასპორტი, მოწმობა), ცნობა, საბუღალტრო-სააღრიცხვო დოკუმენტები, ფასიანი ქაღალდები, ხელწერილები, ატესტატები, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული, ცალკეულ მოქალაქეთა მიერ შედგენილი. დოკუმენტად შეიძლება განხილული იყოს არა მარტო საბუთის ორიგინალი, არამედ მისგან დამზადებული პირები, მიღებული სხვადასხვა გასამრავლებელი საშუალებებით.

დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა არის დოკუმენტების გამოკვლევის ერთ-ერთი სახე და კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დოკუმენტის გაყალბების ხერხებს და ადგენს ფაქტებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის შედეგად შეიძლება მოხდეს იდენტიფიკაცია და ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრა; დადგინდეს დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ფაქტი; ბეჭდებისა და შტემპელების გაყალბება; ტექსტის შესრულება კონკრეტულ საბეჭდ მანქანაზე; ხელმოწერების ტექნიკური გაყალბება; დოკუმენტის შედგენის მასალა, დრო, ხერხი და დოკუმენტის ტექსტის აღდგენის ფაქტი.

აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე განასხვავებენ დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის შემდეგ ძირითად სახეებს: ა) დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა; ბ) საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტების გამოკვლევა; გ) ბეჭდებისა და შტემპელების ანაბეჭდების გაყალბების დადგენა; დ) ხელმოწერების ტექნიკური გაყალბების დადგენა; ე) დოკუმენტის მასალის დადგენა; ვ) დოკუმენტის ტექსტისა და შინაარსის აღდგენა.

§2. დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის დადგენა

დოკუმენტების შინაარსში ცვლილებების შეტანა გულისხმობს მისი ტექსტის, ციფრობრივი მონაცემების, ხელმოწერის და სხვა რეკვიზიტების შეცვლას იმ მიზნით, რომ გამოყენებული იყოს დოკუმენტი არამართლზომიერი ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის.

დოკუმენტის შინაარსში ცვლილებების შეტანის სხვადასხვა ხერხები არსებობს, რომელთა შორის შედარებით გავრცელებულია შემდეგი: ამოფხეკა, ქიმიური რეაქტივების გამოყენებით ამოშლა, ჩამატება, ჩაბეჭდვა, ჩამორეცხვა, ფოტოსურათების, ტექსტის, ციფრობრივი მონაცემების ან მარკების გადაწევა, გვერდების გამოცვლა და ხელმოწერების გამოყენება ახალი ტექსტის შედგენის მიზნით.

ამოფხეკა. ამოფხეკა არის მექანიკური საშუალებების გამოყენებით დოკუმენტის ტექსტის მთლიანი ან ნაწილობრივი გაუფერულება მისი პირველდაწყებითი შინაარსის შეცვლის მიზნით.

ამოფხეკისათვის გამოყენება ბასრი და წაწვეტებული საგნები (დანა, მაკრაქტელი, ლეზვიე) ან ტექსტის წასაშლელი საშუალებები (საშლელი რეზინა). დოკუმენტის ტექსტში ცვლილებების შეტანის მიზნით შეიძლება ამოფხეკილი იქნას ცალკეული სიტყვები, ასოები, ციფრობრივი მონაცემები, თარიღები, ხელმოწერები და დოკუმენტის სხვა რეკვიზიტები.

ძირითადი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ ამოფხეკაზე შემდეგია: ა) დოკუმენტის ზედაპირის სტრუქტურის (მთლიანობის) დარღვევა; ბ) ქალაქის ფენის გათხელება ამოფხეკის ადგილზე; გ) ქალაქის ზედაპირის სიკრიალის დაკარგვა; დ) ქალაქის ზედაპირის ბოჭკოების აბურძგნა; ე) დოკუმენტის დაცვითი ბადეების, ხაზებისა და ახლომდებარე ტექსტის შტრიხების დაზიანება; ვ) არსებული ტექსტის შტრიხების დარჩენა; ზ) ამოფხეკის ადგილზე, ახალი ტექსტის დაწერის შემთხვევაში, მელნის, ტუშის ან სხვა საღებავის შტრიხების განთხევა; თ) საშლელი რეზინის ნაწილაკების დარჩენა დოკუმენტის ზედაპირზე.

ამოფხეკის ნიშნების დადგენა, როგორც წესი, არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. მათი შემჩნევა შეიძლება ვიზუალური დაკვირვებით, გამაღიანებელი მინის ან მიკროსკოპის გამოყენებით. იმისათვის, რომ ადვილად შევამჩნიოთ ქალაქის ზედაპირზე ბოჭკოების აბურძგნა, საჭიროა ზედაპირი გაეანათოს დახრილი კუთხით. ამ შემთხვევაში აბურძგნული ბოჭკოები წარმოშობენ ჩრდილოვან გამოსახულებას, რაც საშუალებას გვაძლევს ადვილად შევამჩნიოთ ბოჭკოების აბურძგნა და მოვახდინოთ მათი ფოტოგრაფირება ამოფხეკის ფაქტის ილუსტრაციის მიზნით. თუ საჭიროა დავადგინოთ ქალაქის ფენის გათხელება ამოფხეკის ადგილზე, იგი უნდა განათდეს გამჭოლ შუქზე. ამ შემთხვევაში ნათლად შევამჩნევთ ქალაქის ფენის გათხელებას (გათხელებული ადგილი იქნება უფრო ღია ფერის). ასეთივე პირობებში ხდება ფოტოგრაფირება აღნიშ-

ნული ნიშნის ილუსტრირების მიზნით. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დადაგინოთ დოკუმენტზე ადრე არსებული ტექსტის შტრიხებისა და შემდგომ შესრულებული ტექსტის შტრიხებს შორის ფერთა სხვაობა, უნდა იყოს გამოყენებული ფერგაყოფითი ფოტოგრაფირება (სათანადო შუქფილტრებისა და ნეგატიური მასალის შერჩევის გზით). ამოფხეკის ადგილის ილუსტრაციისა და მისი დადგენის მიზნით გამოიყენება უხილავ სხივებში ფოტოგრაფირება (ულტრაისფერი და ინფრაწითელი სხივები). ამავე მიზნით გამოიყენება აგრეთვე ულტრაისფერი და ინფრაწითელი სხივების გარდამქმნელი აპარატი, რომლის დანათებით ამოფხეკის ადგილები განათდება (ლუმინისცენცია) და იგი ადვილი შესამჩნევი ხდება.

ქიმიური რეაქტივებით ამოშლა. ამოშლა არის შესაბამისი ქიმიური რეაქტივების გამოყენებით დოკუმენტის ტექსტის ან სხვა რეკვიზიტის მთლიანი ან ნაწილობრივი გაუფერულება მისი პირველდაწყებითი შინაარსის შეცვლის მიზნით.

პრაქტიკაში შედარებით უფრო ხშირად გამოიყენება ამოშლის მიზნით ისეთი ქიმიური რეაქტივები, როგორებიცაა: მარილმჟავა, ლიმონმჟავა, მჟაუნმჟავა, აზოტმჟავა, სოდა, ნატრიუმის ტუტე, კალიუმის ტუტე, ნიშადურის სპირტი, კალიუმის პერმანგანატი, წყალბადის ზეჟანგი, ქლორამინი, ქლორიანი კირი.

ძირითადი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ ქიმიური რეაქტივების გამოყენებით ამოშლის ფაქტზე ისეთივეა, როგორც ამოფხეკის დროს, მაგრამ არის ისეთი ნიშნებიც, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ამოშლისათვის. ამოშლის ნიშნებს მიეკუთვნება: ა) ამოშლის ადგილის ფერის შეცვლა (ამოშლის ადგილი შედარებით უფრო ყვითელია, ვიდრე ქალაქის ზედაპირი); ბ) ქალაქის ზედაპირის გაუხეშება; გ) ქალაქის ზედაპირის წებოვანობისა და სიკრიალის დაკარგვა; დ) ამოშლის ადგილზე ნასფრეტების წარმოქმნა; ე) ქალაქის ზედაპირის მსხვრევადობა ამოშლის ადგილზე; ვ) დოკუმენტის დაცვითი ბადის, ხაზებისა და ახლომდებარე ტექსტის შტრიხების დაზიანება; ზ) ქალაქის ფენის გათხელება; თ) ქალაქის ზედაპირის ბოჭკოების აბურძგვნა; ი) ადრე არსებული ტექსტების შტრიხების დარჩენა; კ) ამოშლის ადგილზე ახალი ტექსტის შტრიხების განთხევა; ლ) ქიმიური რეაქტივების ნაწილაკების დარჩენა დოკუმენტის ზედაპირზე (იხ. სურათი 1-2).

ამოშლის ნიშნების დადგენისა და ფიქსირებისათვის გამოიყენება ისეთივე ტექნიკური საშუალებები, როგორც ამოფხეკის შემთხვევაში.

ჩარეცხვა. დოკუმენტის მთლიანი ტექსტის, მისი ნაწილის, ციფრობრივი მონაცემების ან სხვა რეკვიზიტების ჩარეცხვა ხდება ზემოთ დასახელებული ქიმიური რეაქტივებისა და სარეცხის ფხვნილების გამოყენებით. ტექსტის ჩარეცხვა ისევე როგორც ამოფხეკა და ამოშლა მიზნად ისახავს დოკუმენტის შინაარსის შეცვლას.

დოკუმენტის ტექსტის ჩარეცხვისათვის დამახასიათებელია ისეთივე ნიშნები, როგორც ამოშლისათვის ქიმიური რეაქტივების გამოყენებით. ამ ნიშნების დადგენისა და ილუსტრირებისათვის გამოიყენება ისეთივე მეთოდები და ტექნიკური საშუალებები, როგორც ამოფხეკისა და ამოშლის დროს.

მიწერა. მიწერა არის დოკუმენტის ტექსტში ახალი სტრიქონების, სიტყვების, ციფრობრივი მონაცემების, ხელმოწერის დამატება მისი პირველდაწყებითი შინაარსის შეცვლის მიზნით.

ძირითადი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ მიწერაზე შემდეგია: ა) ტოპოგრაფიული ნიშნების შეცვლა (ტექსტის განლაგება დოკუმენტში); ბ) მანძილის შემცირება სტრიქონებს, სიტყვებსა და ასოებს შორის; გ) ტექსტის რედაქციისა და სტილისტიკის შეცვლა; დ) სიტყვების გაუმართლებელი შეკვეცა; ე) ტექსტის შტრიხების სხვადასხვა ფერი (ძირითად და მიწერილ ტექსტებს შორის); ვ) ასოების სხვადასხვა ზომა, დახრილობა და შესრულების თავისებურება; ზ) ხელის გამომუშავების სხვადასხვა ხარისხი; თ) სხვადასხვა სახის მელნის, ფანქრის და სხვა საწერი საშუალებების გამოყენება ძირითადი და მიწერილი ტექსტების შესრულებისას; ი) შტრიხების განთხევა, თუ მიწერას ადგილი ჰქონდა იქ, სადაც იყო ქალაქის ნაკვეთის კვალი; კ) ციფრობრივი მონაცემების, ასოების ან ტექსტების გადასწორება.

მიწერის ფაქტის დადგენისათვის ხშირად გამოიყენება კომპლექსური გამოკვლევა ექსპერტ-კრიმინალისტიკისა და ექსპერტ-ქიმიკოსის სპეციალური ცოდნის გამოყენებით. პირველის კომპეტენციაში შედის მიწერის ნიშნების დადგენა და ხელწერების გამოკვლევის ჩატარება. ექსპერტ-ქიმიკოსი კი განსაზღვრავს და გადაწყვეტს საკითხს: დოკუმენტის ტექსტი შესრულებული იყო თუ არა ერთიდაიგივე მელნით, ფანქრით და ერთიდაიგივე დროს. ორივე ექსპერტი წყვეტს ერთ საკითხს: ჰქონდა თუ არა მიწერას ადგილი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

მიწერის ნიშნების დადგენისათვის ზოგ შემთხვევაში საკმარისია ვიზუალური დაკვირვება. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება გამადიდებელი

მინა, მიკროსკოპი. შტრიხების ფერის სხვაობის დადგენისა და ილუსტრაციის მიზნით გამოიყენება ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივების გარდამქმნელი აპარატი და ამავე სხივებში ტექსტის ფოტოგრაფირება. გამოიყენება აგრეთვე ფერგაყოფითი ფოტოგრაფია შტრიხების სხვაობის დადგენის მიზნით.


ჩაბეჭდვა. ჩაბეჭდვისათვის ძირითადად დამახასიათებელია ის ნიშნები და გამოკვლევის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მიწერის დადგენა-გამოკვლევის დროს. დამატებით ამ შემთხვევაში დოკუმენტის ზედაპირზე შეიძლება აღმოჩენილი იყოს საბეჭდი მანქანის გადასაღები ქაღალდის ნიშნები და ნაწილაკები.

გადაწებება. საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში გადაწებებას ადგილი აქვს ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა პასპორტი, პირადობის მოწმობა ან საშვი, სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა. ამ შემთხვევებში, როგორც წესი, ადგილი აქვს ფოტოსურათის გადაწებებას. პრაქტიკაში გვხვდება აგრეთვე სიტყვების, ასოების, ციფრების გადაწებება ობლიგაციებში, ლატარიის ბილეთებში და სხვა დოკუმენტებში იმ მიზნით, რომ ამ დოკუმენტების ნომერი და სერია გახადონ მომგებიანი ან დამზადდეს ახალი (ყალბი) დოკუმენტი. ცალკეულ შემთხვევებში ვხვდებით აგრეთვე სხვადასხვა სახის მარკების გადაწებებასაც (იხ. სურათი 3-4).

ძირითადი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ გადაწებების ფაქტზე შემდეგია: ა) გადაწებებულ ფოტოსურათზე ბეჭდის ანაბეჭდის არსებობა; ბ) ფოტოსურათსა და დოკუმენტზე ბეჭდის ანაბეჭდის შეუთავსებლობა: წრიული ხაზების, სტყვების, ასოებისა და ციფრობრივი მონაცემების; გ) ბეჭდის ანაბეჭდის საღებავის სხვადასხვა ფერი და შემადგენლობა ფოტოსურათსა და დოკუმენტზე; დ) ფოტოსურათსა და დოკუმენტზე მოთავსებულ ბეჭდის ანაბეჭდში ასოების, ციფრებისა და ტექსტების სხვადასხვა ფორმა, ზომა და დახრილობა; ე) ორი სხვადასხვა წებოვანი ნივთიერების არსებობა; ვ) გადაწებებული ფოტოსურათის, მარკების, ციფრების დაზიანება (განსაკუთრებით კიდურების); ზ) თვით დოკუმენტის ქაღალდის ზედაპირის დაზიანება; თ) გადაწებებული ციფრების და ძირითადი ციფრების კონფიგურაციის, ფერისა და ზომის სხვაობა.

ამ ნიშნების დადგენის მიზნით ვიზუალური მეთოდის გარდა გამოიყენება გამადიდებელი მინა, მიკროსკოპი, უხილავ სხივებში ფოტოგრაფირება, ფერგაყოფითი ფოტოგრაფირება, წებოვან ნივთიერებათა სხვადასხვაობის განსაზღვრა ქიმიური გამოკვლევის ჩატარებით.

მლეთოდინმა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სიტყვებით და ასოებით შეადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწმობა. სამხედრო პირის ფოტოსურათი ასევე ამოჭრა ჟურნალიდან, მაკრატლით მოაჭრა ფოტოსურათს სამხედრო მოსამსახურის თავი და მის ნაცვლად მოათავსა თავისი ფოტოსურათი. ასეთი მონტაჟის შემდეგ დაამზადა მოწმობის ახალი ფოტოსურათი.



სურ.3. პრეზიდიუმის დამადასტურებელი საბუთი (გამოსაკვლავი დოკუმენტი) ფოტოსურათზე ჩანს ასოების სხვადასხვა ზომა და ფორმა, სტრიქონის სიმეტრიის დარღვევა.



სურ.4. ასპრობში გადაწვებული ფოტოსურათი (გამოსაკვლავი დოკუმენტი გადაწვულია დახრილი შუქის გამოყენებით) ფოტოსურათზე ნათლად ჩანს ასოებისა და ბუქდის ანაბუქდების შეუთავსებლობა

გვერდების შეცვლა. გვერდების შეცვლა დოკუმენტებში გამოიყენება მისი შინაარსის შეცვლის მიზნით. დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გაყალბების ამ სახეს შედარებით იშვიათად ვხვდებით საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში.

ძირითად ნიშნებს, რომლებიც მიუთითებენ დოკუმენტებში გვერდების შეცვლას მიუკუთვნება შემდეგი: ა) გვერდების (ქაღალდის) სხვადასხვა ხარისხი,

სისქე, ზომა და ზედაპირის აგებულება; ბ) გვერდების ჩაკერვის სხვადასხვა ხერხი; გ) სხვადასხვა სახის შრიფტი (კონფიგურაცია, დახრილობა, ფორმა, მანძილი ასოებს, სიტყვებსა და სტრიქონებს შორის); დ) სხვადასხვა საწერი საშუალებებით შესრულება; ე) სხვადასხვა ხელით შესრულება; ვ) გვერდების დანომვრის არასისწორე.

დოკუმენტის დამზადება ხელმოწერის გამოყენებით. კრიმინალისტიკურ პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთი დოკუმენტიდან მზადდება სულ სხვა ხასიათისა და შინაარსის საბუთი დოკუმენტზე არსებული ნამდვილი ხელმოწერის გამოყენებით. ასეთი დოკუმენტი მზადდება შემდეგი გზით. თუ დოკუმენტის ტექსტსა და მასზე არსებულ ხელმოწერას შორის არსებობს შედარებით დიდი მანძილი, დოკუმენტის ტექსტი მოიჭრება. ასეთ შემთხვევაში დაგვრჩება დოკუმენტზე არსებული ნამდვილი ხელმოწერა და ხელმოწერის ზევით თავისუფალი ადგილი. ქალაქის ამ თავისუფალ ადგილზე შეიძლება დაიწეროს ნებისმიერი ტექსტი. პრაქტიკაში შედარებით ხშირად ვხვდებით ისეთი ტექსტების შედგენას, რომლებიც წარმოშობენ გარკვეულ ვალდებულებას (ხელწერილი ფულის სესხების შესახებ; ხელწერილი ნივთების მიბარების ან გაყიდვის უფლების მინიჭების თაობაზე; ხელწერილი იმის შესახებ, რომ პირს არა აქვს არავითარი პრეტენზია ბინის გამოყოფის საკითხში ან სხვა ფასეულობის მიღებასთან დაკავშირებით და სხვა).

დოკუმენტის შინაარსის შეცვლის ამ სახისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ა) დოკუმენტის სიმცირე; ბ) დოკუმენტის კიდეების არასისწორე, ტალღისებური ან კუთხური ფორმა; გ) ძველ (გადაჭრილ) დოკუმენტზე არსებული ასოების შტრიხების დარჩენა; დ) ახლად შედგენილი ტექსტისა და ხელმოწერის შეუთავსებლობა; ე) ტექსტისა და ხელმოწერის შესრულება სხვადასხვა პირების მიერ; ვ) ტექსტისა და ხელმოწერის შესრულება სხვადასხვა სახის მელნით, ფანქრით და სხვა საწერი საშუალებებით; ზ) დოკუმენტის ტექსტისა და ხელმოწერის შესრულება სხვადასხვა დროს; თ) წინათ შედგენილ დოკუმენტზე არსებული ნაკევების შეუთავსებლობა ახლად შედგენილი დოკუმენტის ფორმატთან.

დოკუმენტის შინაარსის შეცვლისა და გაყალბების აღნიშნული ხერხი კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პირველად დამუშავებული იყო ჩვენს მიერ.¹

¹ Палиашвили А.Я., Признаки подделки документа, изготовленного из другого документа, содержащего подлинную подпись, "Теория и практика криминалистической экспертизы", сборник I, М., 1955, с. 139-145.

§3. საბეჭდო მანქანაზე შესრულებული ტექსტების გამოკვლევა

საბეჭდო მანქანაზე შესრულებული ტექსტების კრიმინალისტიკური გამოკვლევა წარმოადგენს დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს. თანამედროვე პირობებში სულ უფრო ხშირად გვხვდება საბეჭდო მანქანაზე შესრულებული ტექსტები (ხელწერილები, ცნობები, ანგარიშები, სააღრიცხვო-საფინანსო საბუთები, ბრძანებები, ინსტრუქციები, განკარგულებები, ოქმები, დადგენილებები, წარდგინებები, დასკვნები, სხვადასხვა სახის ანგარიშები, სამსახურებრივი და პირადი ხასიათის მიმოწერები, შრომები და ა.შ.), რაც პერსპექტიულს ხდის აღნიშნული სახის კრიმინალისტიკურ გამოკვლევას.

საბეჭდო მანქანები სხვადასხვა ხასიათისაა და სისტემის: მექანიკური და ელექტრული, შრიფტის გადასაადგილებელი ბერკეტით და ბერკეტის გარეშე, საკანცელარიო და პორტატული, იმპორტული და სამამულო და სხვა.

უმრავლეს საექსპერტო კრიმინალისტიკურ დაწესებულებებში არსებობს სამამულო და იმპორტული საბეჭდო მანქანების კატალოგები და ალბომები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია გავერკვიოთ საბეჭდო მანქანის სახესა და სისტემაში, მათ ტექნიკურ დახასიათებაში, დანიშნულებაში და ზოგად ნიშნებში. ყოველივე ეს აადვილებს გამოსაკვლევ საბეჭდო მანქანათა თავისებურებათა სწრაფად და ოპერატიულად დადგენას.

იმისათვის, რომ ჩატარდეს საბეჭდო მანქანაზე შესრულებული ტექსტების გამოკვლევა, საჭიროა და აუცილებელი ამ სახის გამოკვლევის მომზადება, რაც გულისხმობს საექსპერტო საბეჭდო მანქანაზე შესრულებული ტექსტების თავისუფალი და ექსპერიმენტული ნიმუშების მიღებას. მასალების მომზადებას აწარმოებს ექსპერტიზის დამნიშნავი პირი (მომკვლევნი, გამომძიებელი, სასამართლო) როგორც უშუალოდ, ისე სპეციალისტის დახმარებით.

ტექსტების თავისუფალი ნიმუშების მიღების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი წესი. რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, უნდა იყოს ამოღებული ისეთი თავისუფალი ტექსტების ნიმუშები, რომლებიც განეკუთვნებიან იმავე დროს, როდესაც შესრულებული იყო გამოსაკვლევნი ტექსტი. ტექსტები შესრულებული უნდა იყოს იმავე პირობებში (ქალაქის იგივე ხარისხი, გადასაღები ქალაქის იგივე ფერი და გაცვეთილობა); თავისუფალი ნიმუშების რაოდენობა უნდა იყოს საკმარისი (რაც უფრო მეტია ასეთი ნიმუშები, მით უფრო ადვილია დამახასიათებელი ნიშნების კანონზომიერების განსაზღვრა).

საექვო საბეჭდ მანქანაზე უნდა იყოს შესრულებული ტექსტების ექსპერიმენტული ნიმუშები. ამ შემთხვევაშიც უნდა იყოს დაცული ზემოთ აღნიშნული პირობები. თუ გამოსაკვლევი ტექსტის შესრულების მომენტიდან ექსპერიმენტული ნიმუშების მიღებამდე საბეჭდი მანქანა იყო შეკეთებული ან გამოიცვალა მისი რომელიმე ნაწილი, ამის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს ექსპერტს.

საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტების გამოკვლევის შედეგად შეიძლება გადაწყვეტილი იქნას შემდეგი საკითხები: რომელი სისტემის საბეჭდ მანქანაზეა შესრულებული გამოსაკვლევი ტექსტი; შესრულებულია თუ არა გამოსაკვლევი ტექსტი მოცემულ საბეჭდ მანქანაზე, თუ სხვა საბეჭდ მანქანაზე იგი შესრულებული; გამოსაკვლევი ტექსტი მთლიანად არის შესრულებული ერთ საბეჭდ მანქანაზე, თუ მისი გარკვეული ნაწილი (ფრაგმენტი) შესრულებულია სხვა საბეჭდ მანქანაზე; ხომ არ ჰქონდა ადგილი გარკვეული სიტყვების ჩამატებას (ჩაბეჭდვას); როდის იყო შესრულებული გამოსაკვლევი ტექსტი (დროის განსაზღვრა); ვის მიერ იყო დაბეჭდილი გამოსაკვლევი ტექსტი.

აღნიშნული საკითხების განსაზღვრისა და ექსპერტიზის მასალების მომზადების შემდეგ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება (სასამართლოს - განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

გამოკვლევის პროცესში ექსპერტმა უნდა დაადგინოს და განსაზღვროს საბეჭდი მანქანის ზოგადი და კერძო ნიშნები, რომელთა მიხედვით წყდება იდენტიფიკაციის საკითხი.

ზოგადი ნიშნები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საბეჭდი მანქანის სისტემა (სახე, ტიპი). ზოგად ნიშნებს მიეკუთვნება: საბეჭდი მანქანის მექანიზმის ნაბიჯი, საბეჭდი მანქანის კლავიატურის ტიპი, შრიფტის ტიპი, მანძილი სტრიქონებს შორის, სტრიქონების სიგრძე.

საბეჭდი მანქანის მექანიზმის ნაბიჯი არის საბეჭდი მანქანის კლავიშზე ხელის ერთი დარტყმით გადაადგილებული მანძილი. სხვადასხვა ტიპის საბეჭდი მანქანისათვის ნაბიჯი სხვადასხვაა, იგი მერყეობს 2-დან 3 მმ-მდე. საბეჭდი მანქანის კლავიატურის ტიპი გულისხმობს კლავიატურაზე კლავიშების ოდენობას (42-46) და ამ კლავიშებზე ნიშნების ოდენობას (ასოები, ციფრები, სასვენო ნიშნები). ეს ნიშნები შეიძლება იყოს 84-92. შრიფტის ტიპი გულისხმობს ასოების, ციფრების, სასვენო ნიშნების ფორმას, ზომას (დიდი, საშუალო,

მცირე), დახრილობას (მარჯვნივ დახრილი, მარცხნივ დახრილი, დაუხრელი). მანძილი სტრიქონებს შორის გულისხმობს ორ მეზობელ სტრიქონს შორის მანძილს, რომელიც სხვადასხვა ცალკეული სახის საბეჭდი მანქანისათვის. ინტერვალის შეიძლება იყოს 1, 1.5, 2, 3. სტრიქონების სიგრძე არის აგრეთვე სხვადასხვა ცალკეული სახის (ტიპის) საბეჭდი მანქანისათვის.

ზოგადი ნიშნების სხვაობის დადგენა საკმარისია იმისათვის, რომ კატეგორიულად გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, რომ გამოსაკვლევ ტექსტები შესრულებულია სხვადასხვა საბეჭდ მანქანაზე. ზოგადი ნიშნების დამთხვევის შედეგად შეიძლება გადაწყდეს საკითხი, თუ რომელი სისტემის (ტიპის, სახის) საბეჭდ მანქანაზე შესრულებული გამოსაკვლევ ტექსტი, ე.ი. განისაზღვროს ჯგუფური კუთვნილება. იმისათვის, რომ დადგინდეს იდენტიფიკაცია, საჭიროა და აუცილებელი აგრეთვე კერძო ნიშნების დამთხვევა.

საბეჭდი მანქანის კერძო ნიშნებს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც დამახასიათებელია ცალკეული ასოებისათვის, საბეჭდი მანქანისათვის, განსაზღვრავს და ადგენს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თავისებურებებს და დეფექტებს. კერძო ნიშნები წარმოიშობა თვით საბეჭდი მანქანის დამზადებისა და ექსპლოატაციის პროცესში, მისი ტრანსპორტირების დროს ან შეკეთების შედეგად.

კერძო ნიშნები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. საბეჭდი მანქანის მექანიზმის დეფექტები და შრიფტის დეფექტები. საბეჭდი მანქანის მექანიზმის დეფექტებს მიეკუთვნება ისეთები, როგორებიცაა: ასოების, ციფრების, სასვენო ნიშნების გადაადგილება მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ ან ქვემოთ; ასოების სიმეტრიის დარღვევა, რაც გამოწვეულია ასოების ღერძის გადახრით; არათანაბარი მანძილი სტრიქონებს, სიტყვებსა და ასოებს შორის, რაც გამოწვეულია საბეჭდი მანქანის ინტერვალის მექანიზმის დაზიანებით; საღებავის არათანაბარი განაწილება ასოებზე; ასოების და სხვა ნიშნების ჩაუარდნა; ასოების შეთავსება (ერთი ასოს მეორეზე შეთავსება); სტრიქონების მიმართულების სისწორის დარღვევა.

შრიფტისათვის დამახასიათებელ კერძო ნიშნებს მიეკუთვნება: შრიფტის (ასოების, ციფრების, სასვენო ნიშნების) დეფექტები: ცალკეული ელემენტების უქონლობა ან დაზიანება; შრიფტის გაცვეთის ხარისხი; "ბრმა" შრიფტი (ასოების ოვალური ნაწილების ამოვსება მტვრით, გარეშე ნაწილაკებით); ასოების გამოსახვის გაორება, რაც გამოწვეულია ვიბრაციით.

დაშვებული დამახასიათებელი შეცდომები, დაშვებული შეცდომების გადასწორების ხერხი, გვერდების დანომვრის თავისებურება, სიტყვების შემოკლების ხერხი, სათაურებისა და ქვესათაურების განლაგების თავისებურება. ყველა ამ ნიშანთა განუმეორებელი ერთობლიობა საშუალებას იძლევა დავადგინოთ გამოსაკვლევი ტექსტის შემსრულებელი პირი.

საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტების იდენტიფიკაციის შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტის დასკვნის სიცხადეს, დამაჯერებლობასა და ილუსტრირებას. ამ მიზნით საბეჭდ მანქანაზე შესრულებული ტექსტები (გამოსაკვლევი ტექსტი და ნიმუშები) უნდა იყოს ფოტოგრაფირებული და გადიდდეს ისინი 3-4-ჯერ. კერძო ნიშნების დამთხვევები უნდა აღინიშნოს ერთიდაიგივე ნომრის ისრებით. ილუსტრაციის მიზნით გამოიყენება აგრეთვე შეთავსების მეთოდი, რომლის დროსაც შესადარებელი ტექსტები გადაიღება გამჭვირვალე დიაპოზიტიურ ფირზე და ხდება მათი ერთიმეორეზე შეთავსება.

§4. ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების გაყალბების დადგენა

ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების გაყალბების დადგენა წარმოადგენს დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთ სახეს. დოკუმენტის გაყალბების აღნიშნული სახე ხშირად გვხვდება პრაქტიკაში სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ გაცემულ ისეთ დოკუმენტებში და პირადობის დამადასტურებელ საბუთებში, სადაც უნდა იყოს დასმული ბეჭედი, შტამპი ან ორივე ერთდროულად. ბეჭდებსა და შტამპებში მოცემულია სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების სრული დასახელება (რუსულ და რესპუბლიკების ენებზე ან მხოლოდ ერთ ენაზე). ბეჭდის ცენტრში გამოსახულია სახელმწიფო გერბი ან ორგანიზაციის დანაყოფის დასახელება. მაგალითად, "კადრების განყოფილება", "კანცელარია", "პაკეტების სათვის" და ა.შ.

ბეჭდები და შტამპები, როგორც წესი, მზადდება ლითონისგან და კაუჩუკისაგან. პრაქტიკაში შედარებით ხშირად გვხვდება ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების გაყალბების სამი სახე: 1) გადახატვა უშუალოდ დოკუმენტზე, გადახატვა ცალკე ქაღალდზე კლიშეს დამზადებით; 2) გადატანა ფოტოქაღალდის გამოყენებით; 3) თვითნაკეთი ხერხით კლიშეს დამზადება.

ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების უშუალოდ დახატვა გამოსაკვლევ დოკუმენტზე, როგორც წესი, ხორციელდება იისფერი საღებავის (მელანი, პასტა) გამოყენებით. გადახატვის დროს გამოიყენება სახაზავი, ფარგალი ან მაკრატული სწორი და ოვალური ხაზების სწორად გამოსახვისათვის. ზოგ შემთხვევაში ბეჭდისა და შტამპის დახატვა ხდება ცალკე ქალაღზე (მზადდება შუალედი კლიშე). ამ ხერხით გაყალბების დროს შუალედი კლიშე მზადდება ასოების სარკისებური (პირუკუ) გამოსატულებით. შემდეგ დამზადებული კლიშე სველდება (უშუალოდ ან სველი ჩვარის, სველი ქალაღის დაფარებით), რის შემდეგაც დანამული კლიშე იძენს ალბეჭდვის უნარს და გადააქვთ იგი გამოსაკვლევ დოკუმენტის შესაბამის ადგილზე.

ამ წესით გაყალბების დროს საჭიროა გარკვეული გამოცდილება და ხატვის უნარის გამომჟღავნება. დახატული ბეჭდებისა და შტამპების დადგენისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული ამ ხერხით გაყალბების დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაც მიეკუთვნება: ერთიდაიგივე ასოების სხვადასხვა სიმაღლე და სიგანე, ასოების მიხატვის ან გადასწორების ნიშნები, არათანაბარი ინტერვალი ასოებს, სიტყვებსა და სტრიქონებს შორის, საღებავის არათანაბარი განაწილება და განხეთქვა სიტყვებსა და ასოებში, სახელმწიფო გერბის არასწორი გამოსახულება, სწორი და ოვალური ხაზების ასიმეტრია, ცალკეული ასოების სარკისებური (პირუკუ) გამოსახულება, ფარგალის ან მაკრატლის გამოყენების შემთხვევაში - ნასვრეტები ქალაღზე, ქალაღზე დაწოლის კვალი, გრამატიკული შეცდომები, ტოპოგრაფიული წესების დარღვევა, ცალკეული სიტყვების შეუსაბამობა სინამდვილესთან (იხ. სურათი 7-8).

ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების გადატანა გამოსაკვლევ დოკუმენტზე, შედარებით ხშირად, ხორციელდება ფოტოქალაღის, გადასაღები ქალაღის გამოყენებით ან გადატანა გამჭოლ შუქზე. გაყალბების ამ ხერხის გამოყენების შემთხვევაში დასველებულ (დანამულ) ფოტოქალაღს ემულსიის მხრიდან შეახებენ ნამდვილი ბეჭდის ან შტამპის ანაბეჭდს, ხელის გასმით დაათოვებენ ფოტოქალაღს, რათა მიიღონ ანაბეჭდის კარგი გამოსახულება. შემდეგ ფოტოქალაღზე გადატანილ ანაბეჭდს გადაიტანენ გამოსაკვლევ დოკუმენტის შესაბამის ადგილზე და ხელის გასმით ისევ დაათოვებენ ანაბეჭდის კარგი გამოსახულების მისაღებად. ფოტოქალაღის გარდა შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა ქალაღიც, თუ მას ახასიათებს გამოსახულების გადატანის უნარი.

აქვეს დამთხვევებსაც: ასოების, სიტყვების ფორმასა და ზომას, ინტერვალებს, ასოებს, სიტყვებსა და სტრიქონებს შორის, ტექსტის შინაარსს. სწორედ ამიტომ გამოკვლევის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც დამთხვევები, ისე ამ წესით გაყალბებისათვის დამახასიათებელი ნიშნები და უნდა მიიყვას შეფასება ყველა აღნიშნულ ნიშანს.

ბეჭდებისა და შტამპების კლიშეს თვითდამზადების (კუსტარული წესით) დროს ბეჭდის (შტამპის) შინაარსი, გამოსატყულება და ფორმა გამოისახება კაუჩუკზე, რეზინზე, ლინოლიუმზე, რბილ ლითონზე. ამ შემთხვევაში ზედაპირზე ამოიკვეთება ცალკეული ასოები ანდა გამოიყენება სტამბაში არსებული ასოები, ციფრები კლიშეს დამზადების მიზნით. ამ ხერხით ბეჭდებისა და შტამპების დამზადება ხდება, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც გაყალბებული ბეჭდები (შტამპები) გამოყენებული უნდა იყოს არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ.

კლიშეს თვით დამზადების შემთხვევაში უნდა გავამახვილოთ ყურადღება ისეთ საერთო და კერძო ნიშნების დადგენაზე, როგორებიცაა: ასოების, სიტყვების, ტექსტის და გერბის გამოსახულების არასიმეტრიულობა, ერთიდაიგივე ასოების სხვადასხვა ფორმა, სიმაღლე და სიგანე, საღებავის არათანაბარი განაწილება ანაბეჭდში, ასოების სარკისებური (პირუკუ) გამოსახულება, მოვალური და სწორი ხაზების ასიმეტრია, გრამატიკული შეცდომები და ტოპოგრაფიული წესების იგნორირება, ასოებში შტრიხების ტეხილობა და სხვა.

იმისათვის, რომ ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების გამოკვლევა ჩატარდეს ხარისხიანად, საჭიროა ექსპერტს წარედგინოს საკმარისი ნიმუშები როგორც თავისუფალი, ისე ექსპერიმენტული. ბეჭდებისა და შტამპების თავისუფალი ნიმუშები უნდა იყოს ამოღებული წარმოება-დაწესებულებებიდან იმ დოკუმენტებზე, რომლებიც განეკუთვნებიან იმ დროის მონაკვეთს, როდესაც შესრულებული იყო გამოსაკვლევ დოკუმენტი. ექსპერიმენტული ნიმუშების მიღება ხდება ექსპერტიზის დანიშვნის მომენტში. ბეჭდებისა და შტამპების ნიმუშები უნდა იყოს მიღებული იმავე პირობებში, იმავე ხარისხისა და ფერის ქაღალდზე, იმავე ხარისხისა და ფერის საღებავით, როგორც ეს არის გამოსაკვლევ დოკუმენტზე.

ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შესაძლებელია შემდეგი ტიპური საკითხების გადაწყვეტა: გამოსაკვლევ დოკუმენტზე ანაბეჭდი შესრულებულია თუ არა ნამდვილი ბეჭდით ან შტამპით; გამოსაკვლევ დოკუმენტზე არსებული

ანაბეჭდი შესრულებულია თუ არა იმ ბეჭდით (შტამპით), რომლის ნიმუშები წარედგინა ექსპერტს; რა ხერხით არის დამზადებული ბეჭედი (შტამპი): დახატვით, გადახატვით, გადაღებით, თვითნაკეთები თუ საფაბრიკო წესით დამზადებული კლიშეთი; გამოსაკვლევ დოკუმენტზე არსებულ ანაბეჭდზე არის თუ არა ამოშლის, გადასწორების, ჩამატების ან ამოფხეკის ნიშნები; რა სახის კლიშე იყო გამოყენებული რეზინის, კაუჩუკის, ლინოლიუმის, რბილ ლითონზე თუ სხვა საგანზე დამზადებული.

ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების გამოკვლევა ტარდება ვიზუალური მეთოდით, გამადიდებელი მინის ან მიკროსკოპის გამოყენებით. ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება აგრეთვე ქიმიური მეთოდები იმ მიზნით, რომ დადგინდეს გამოსაკვლევ დოკუმენტზე გადასაღები ქალაქის ნაწილაკები და ფოტოემულსიის ნიშნები.

გამოკვლევის შედეგების ილუსტრაციისა და თვალსაჩინოების მიზნით გამოიყენება ანაბეჭდების ცალკეული ფრაგმენტების ფოტოგრაფირება 3-4-ჯერ გადიდებული ან გამოსაკვლევი ანაბეჭდისა და ნიმუშების გადაღება გამჭვირვალე ფირზე მათი ურთიერთ შეთავსების მიზნით. დამთხვევისა და სხვაობის ყველა ნიშანი ფოტოტაბულაზე უნდა აღინიშნოს ერთიდაიგივე ნომრის ისრებით.

§5. ხელმოწერების ტექნიკური გაყალბების დადგენა

ხელმოწერების ტექნიკური გაყალბების დადგენა ზოგ შემთხვევაში ატარებს კომპლექსური გამოკვლევის ხასიათს. ერთი მხრივ გამოკვლევას ატარებს ექსპერტი-ხელმოწერის (ხელნაწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა), რომელიც წყვეტს საკითხს, თუ ვის მიერ არის შესრულებული გამოსაკვლევი ხელმოწერა. მეორეს მხრივ, გამოკვლევას ატარებს ექსპერტი ხელმოწერების ტექნიკური ხერხით გაყალბების დარგში (დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა).

ხელმოწერების ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაყალბების სხვადასხვა ხერხი არსებობს. ძირითადი მათგანი პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: ა) ხელმოწერების დახატვა გამოსაკვლევ დოკუმენტზე, ბ) ხელმოწერების გადატანა დოკუმენტზე, გ) ხელმოწერების დასმა დოკუმენტზე კლიშეს (ფაქსიმილეს) გამოყენებით.

ხელმოწერების დახატვა გამოსაკვლევ დოკუმენტზე ხდება ნამდვილი

ხელმოწერის ცქერის მეშვეობით ან, იშვიათ შემთხვევაში, ნამდვილი ხელმოწერის დამახსოვრების საფუძველზე. ორივე შემთხვევაში ხელმოწერის დახატვას გამოსაკვლევ დოკუმენტზე წინ უსწრებს ვარჯიში, რომლის დროსაც პიროვნებას ჩამოუყალიბდება ნამდვილი ხელმოწერის სტერეოტიპი.

ხელმოწერის დახატვა გამოსაკვლევ დოკუმენტზე შეიძლება მოხდეს როგორც ფანქრით, ისევე მელნის (პასტის), ტუშის გამოყენებით. იშვიათ შემთხვევაში გამოსაკვლევ დოკუმენტზე ხელმოწერა იხატება ფანქრით, რის შემდეგ ფანქრის შტრიხებს შემოავლებენ მელანს.

აღნიშნული ხერხით ხელმოწერის გაყალბების შემთხვევაში გამოსაკვლევ ხელმოწერაში შეიძინება ხელის ნული მოძრაობის ნიშნები; ტუხილი შტრიხები; ხელის მოძრაობის შეჩერების წერტილები; მიხატვის ნიშნები; შტრიხების ბლაგვი დაბოლოებები; შტრიხების გაორებები; ფანქრისა და მელნის შტრიხების შეუთავსებლობა და ა.შ.

ხელმოწერის გადატანა გამოსაკვლევ დოკუმენტზე ხდება სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, რომელთა შორის გავრცელებულია გამოსაკვლევ დოკუმენტზე ნამდვილი ხელმოწერის გადატანა. ამ შემთხვევაში ნამდვილ ხელმოწერას მოათავსებენ გამოსაკვლევი დოკუმენტის შესაბამის ადგილზე, რის შემდეგ ხელმოწერის შტრიხებზე ფანქრის დაწოლითი შემოვლებით გადაიტანენ ნამდვილი ხელმოწერის კონტურებს გამოსაკვლევ დოკუმენტზე. დაწოლის შედეგად წარმოშობილ ხელმოწერის კონტურებს შემოავლებენ მელანს (პასტას), ტუშს ან სხვა საღებავს.

ხელმოწერის გადატანის დროს გამოსაკვლევ დოკუმენტზე ფანქრის გამოყენების გარდა გვხვდება აგრეთვე წაწვეტებული საგნის გამოყენებაც (მაკრატელი, ლითონიდან დამზადებული სხვა წაწვეტებული საგანი).

ნამდვილი ხელმოწერის გადატანა გამოსაკვლევ დოკუმენტზე გვხვდება აგრეთვე გადასაღები ქალაღდის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ნამდვილ ხელმოწერას შეუთავსებენ გამოსაკვლევი დოკუმენტის შესაბამის ადგილს, მათ შორის მოათავსებენ გადასაღებ ქალაღდს და ნამდვილი ხელმოწერის შტრიხების შემოვლებით (როგორც წესი ფანქრით ან საწერი კალმით) გადაიტანენ ხელმოწერას გამოსაკვლევ დოკუმენტზე.

ნამდვილი ხელმოწერის გადატანა გამოსაკვლევ დოკუმენტზე გვხვდება აგრეთვე გამჭოლ შუქზე. ამ დროს ნამდვილ ხელმოწერას შეუთავსებენ გამოსაკვლევი დოკუმენტის შესაბამის ადგილს და შუქის დანათების მეშვეობით

(როგორც წესი დოკუმენტები არის ვერტიკალურ მდგომარეობაში, იშვიათად კი ჰორიზონტალურად განლაგებული) ნამდვილი ხელმოწერის შტრიხებს შემოავლებენ ფანქრით ან საწერკალმით და გადაიტანენ ხელმოწერას გამოსაკვლევ დოკუმენტზე.

ზოგ შემთხვევაში ნამდვილი ხელმოწერის გადატანა გამოსაკვლევ დოკუმენტზე ხდება ფოტოქალაღდის ან ფოტოფირის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ფოტოქალაღდს ემულსიის მხრივ დაასველებენ და ამ დანამულ ზედაპირს დააფარებენ ნამდვილ ხელმოწერას. ხელით დააუთოვებენ, რის შემდეგაც ხელმოწერის კონტურები გადავა ფოტოქალაღდზე და წარმოიშობა ხელმოწერის კლიშე, რომელსაც გადაიტანენ გამოსაკვლევ დოკუმენტზე.

ცალკეულ შემთხვევაში ხელმოწერების გაყალბებას ადგილი აქვს გასამრავლებელი ხელსაწყოს (ელექტროფოტოგრაფიული ხერხი) გამოყენებით.

ნამდვილი ხელმოწერის გამოსაკვლევ დოკუმენტზე გადატანის შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: შტრიხების ტეხილობა, შენელებული მოძრაობის და შეჩერების ნიშნები, გადასაღები ქალაღდის ნაწილაკები, ქალაღდის ზედაპირზე დაწოლის კვალი (ფანქრის, წაწვეტებული ლითონის საგნის, საწერკალმის), დაწოლის კვალისა და საწერკალმის შტრიხების შეუთავსებლობა, შტრიხების ბლაგვი დაბოლოება. ფოტოგრაფიული ქალაღდის ან ფირის ხერხის გამოყენების შემთხვევაში - ფოტოემულსიის ნაწილაკები, შტრიხების სიმკრთალე, მათი ინტენსიურობის არათანაბრობა, საღებავის განთხევა და სხვა.

ხელმოწერის დასმა გამოსაკვლევ დოკუმენტზე ფაქსიმილეს (კლიშეს) გამოყენებით გამოიხატება იმაში, რომ წინასწარ მზადდება რეზინის ან კაუჩუკის ზედაპირზე ნამდვილი ხელმოწერიდან კლიშე (ფაქსიმილე) და შემდგომში კლიშეს გამოყენებით ხელმოწერას გადაიტანენ გამოსაკვლევ დოკუმენტზე. ამ წესით ხელმოწერის გაყალბების შემთხვევაში აღინიშნება ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: საღებავის არათანაბარი განაწილება ხელმოწერაში, საღებავის განთხევა, შტრიხების ბლაგვი დაბოლოება, ხელმოწერის შტრიხების დეფორმაცია, ტეხილობა და შტრიხების შეჩერების ნიშნები.

ხელმოწერის ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში გამოსაკვლევ დოკუმენტის გარდა ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს ყველა სხვა ისეთი მასალა, რომელიც კავშირშია ექსპერტიზის საგანთან (ფაქსიმილე, გადასაღები ქალაღდი, ფოტოქალაღდი, თუ ასეთები არის გამოძიებ-

ლის განკარგულებაში). ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს აგრეთვე გამოსაკვლევი ხელმოწერის ნიმუშები როგორც თავისუფალი, ისე ექსპერიმენტული. გამოკვლევის შედეგად შეიძლება დადგენილი იქნეს საკითხები: ვის მიერ არის შესრულებული ხელმოწერა; შესრულებულია თუ არა ხელმოწერა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; ტექნიკური გაყალბების რომელი სერსი იყო გამოყენებული; რომელი ნამდვილი ხელმოწერა იყო გამოყენებული გამოსაკვლევ დოკუმენტზე ხელმოწერის გადატანისათვის თუ დასატვისათვის.

ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოიყენება გამაღივებელი მინა, მიკროსკოპი, ფერგაყოფითი ფოტოგრაფირება, ელექტრო-ოპტიკური გარდამქმნელი ხელსაწყო ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი სხივებისათვის. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ქიმიური მეთოდები გამოსაკვლევ დოკუმენტზე გადასაღები ქაღალდის ან ფოტოქაღალდის (ფოტოოფირის) ნაწილაკების დადგენის მიზნით.

§6. დოკუმენტის მასალის დადგენა

დოკუმენტის მასალის დადგენის დროს პრაქტიკაში შეიძლება ხშირად გვხვდება დოკუმენტის შესრულების ხელსაწყოთა დადგენა (ფანქარი, მელანოტუში, პასტა, გადასაღები ქაღალდი, საბუჯდი მანქანის ლენტი) და თვით დოკუმენტის მასალის განსაზღვრა (ქაღალდის სახე, ფერი, დამზადების დრო ადგილი და ა.შ.).

დოკუმენტის მასალის გამოკვლევა, როგორც წესი, აღარებს კომპლექსურ ხასიათს. ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ფიზიკო-ქიმიური მეთოდების გამოყენება. დოკუმენტის მასალის განსაზღვრა ხშირად ხდება შედარებითი გამოკვლევის საფუძველზე. სწორედ ამიტომ ექსპერტს გამოსაკვლევ დოკუმენტის გარდა უნდა გადაეგზავნოს უწყობილობის პირის ბინიდან ან სამუშაო ადგილიდან ამოღებული დოკუმენტები, საწერი ხელსაწყოები (ფანქარი, საწერკალამი), გადასაღები ქაღალდი, საბუჯდი მანქანის ლენტი და ა.შ.

დოკუმენტის მასალის გამოკვლევას შესთავაზებაში ექსპერტის წინაშე შეიძლება დაისვას შემდეგი საკითხები: ერთდროულად სახის მასალისგან არის თუ არა დამზადებული შესაძარბიელი ობიექტები (უგუყუყური კუთვნილებას დადგენა); ხომ არ არის გამოსაკვლევ დოკუმენტის მასალა და წარმოდგენილი ნიმუშები ერთდროულად (ინდივიდუალური კუთვნილებას დადგენა); რადაც,

სად, და რომელ წარმოებაში იყო დამზადებული დოკუმენტის მასალა (ქალაქი, მელანი, ტუში, პასტა, ფანქარი); როგორია დოკუმენტის მასალის შემადგენლობა ან დამზადების ხერხი.

დოკუმენტის მასალის დადგენის დროს გამოიყენება ფიზიკური და ქიმიური მეთოდები: ქრომატოგრაფია, სპექტრალური ანალიზი, მიკრომეტრი. ქალაქის სისქისა და სტრუქტურის დასადგენად, გამადიდებელი მინა და მიკროსკოპი, ელექტრომიკროსკოპი, ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივები, ფერგაყოფის ფოტოგრაფიული მეთოდი, გამოსაკვლევი ობიექტის დახრილი და გამჭოლი განათება, ქიმიური რეაქტივები (საღებავისა და შტრიხების ანალიზისათვის).

გამოკვლევის შედეგად, როგორც წესი, დგინდება ჯგუფური კუთვნილება: დოკუმენტის მასალის ჯგუფი, სახე, სისტემა, ფერი, სისქე, შემადგენლობა, დამზადების ხერხი, დრო, დამამზადებელი საწარმო. მიუხედავად ამისა დოკუმენტის მასალის გამოკვლევას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

§7. დოკუმენტის ტექსტისა და შინაარსის აღდგენა

დოკუმენტის ტექსტისა და შინაარსის აღდგენა არის რა დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთი სახე, გვხვდება საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკაში. ამ სახის გამოკვლევასთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში: როდესაც გამოსაკვლევი ტექსტი დაფარულია მელნით, ტუშით, პასტით, ფანქრით ან სხვა საღებავის გამოყენებით; როდესაც გამოსაკვლევი ტექსტი გადაშლილია; როდესაც გამოსაკვლევი ტექსტი გაუფერულებულია (ცუდად ხილვადი ან უხილავია); როდესაც იგი დამწვარია ან დოკუმენტი, რომელზედაც გამოსაკვლევი ტექსტია მოთავსებული, დახეულია.

ამ სახის გამოკვლევის მიზანია აღდგენილი იქნას გამოსაკვლევი დოკუმენტის ტექსტი და შინაარსი, რომლებიც განზრახ იყო დაზიანებული ან დაზიანდა შემთხვევით (ატმოსფერული პირობების, შენახვისა და დროის განმავლობაში).

დაფარული ტექსტი. გამოსაკვლევი ტექსტი შეიძლება იყოს დაფარული ან გადაშლილი მელნით, პასტით, ტუშით, ფანქრით, სტამბური საღებავით, შტამპების ან სხვა საღებავით. ტექსტის დაფარვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნაწილობრივ ან მთლიანად.

დაფარული ტექსტის აღდგენისათვის გამოიყენება სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური მეთოდები, რომლებიც მიზნად ისახავენ გამოსაკვლევ ტექსტის აღდგენას.

ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდები. ფერგაყოფის მეთოდი გამოიხატება იმაში, რომ გამოსაკვლევ დოკუმენტს გადაიღებენ იმ ფერის შუქფილტრისა და ნეგატიური მასალის გამოყენებით, რომელიც მგრძნობიარეა ტექსტის დამფარავი საღებავის მიმართ. მაგალითად, თუ საღებავი არის მოწითალო ფერის, ფოტოგადაღება ხდება წითელი შუქფილტრის გამოყენებით და ინფრაწითელი ფოტონეგატიური მასალის მეშვეობით. ასეთი გადაღების დროს ტექსტის დამფარავი საღებავის ფერი ან საერთოდ გაქრება, ან მნიშვნელოვნად გაუფერულდება, რაც საშუალებას მოგვცემს წავიკითხოთ ადრე დაფარული ტექსტი.

იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი შესრულებულია შავი ფერის მელნით ან საღებავით და იგი დაფარულია იისფერი საღებავით, ასეთ შემთხვევაში მეტად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ფოტოგადაღება ულტრაიისფერ სხივებში, რაც იძლევა სასურველ შედეგს. დაფარული ტექსტების გადაღება ხდება აგრეთვე ინფრაწითელი სხივების გამოყენებით. კარგ შედეგს იძლევა უხილავი სხივების ელექტრო-ოპტიკური გარდამქმნელი, რომლის გამოსაკვლევ დოკუმენტზე დანათების შედეგად წარმოიშობა ლუმინისცენცია (ნათება) დოკუმენტზე არსებული ტექსტისა. გამოიყენება აგრეთვე დიფუზიურ-პირგადაღების მეთოდიც, რომლის დროსაც საღებავი (რომლითაც დაფარულია გამოსაკვლევ ტექსტი) გადააქვთ ფოტოქალაღდის ემულსიის ზედაპირზე, რის შედეგადაც ნაწილობრივად გაუფერულდება საღებავი. ზოგ შემთხვევაში საღებავის გაუფერულება ხდება ქიმიური რეაქციების გამოყენებითაც. გარკვეულ პირობებში ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე გამოსაკვლევ დოკუმენტის გადაღება გამჭოლ შუქზე ან დახრილი შუქის გამოყენებით იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევ ტექსტის შტრიხები ქალაღდზე წარმოშობს დაწოლის კვალს.

გაუფერულებული ტექსტი. გამოსაკვლევ ტექსტი შეიძლება იყოს გაუფერულებული (ცუდად ხილვადი, ან უხილავი) როგორც ატმოსფერული პირობების ზეგავლენით, ისე დოკუმენტის შენახვის პირობების შედეგად. მიუხედავად გამოსაკვლევ ტექსტის გაუფერულების მიზეზისა ყველა შემთხვევაში უნდა გაძლიერდეს გამოსაკვლევ ტექსტის კონტრასტულობა და გახდეს

იგი შედარებით ხილვადი.

გამოკვლევის დროს გამოიყენება ისეთი ფიზიკო-ქიმიური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება დაფარული ტექსტის აღდგენისათვის.

დამწვარი ტექსტი. მაღალი ტემპერატურის მოქმედების შედეგად გამოსაკვლევი დოკუმენტი შეიძლება მთლიანად დაიწვას და დაიფერფლოს. ასეთ შემთხვევაში დამწვარი ტექსტის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია და ფიზიკო-ქიმიური მეთოდების გამოყენება, როგორც წესი, ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

დამწვარი ტექსტების აღდგენა და წაკითხვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევი დოკუმენტი მთლიანად არ არის დამწვარი და დაფერფლილი.


გამოკვლევის დროს ზედმიწევნით ფრთხილად და ფაქიზად უნდა იყოს ამოღებული დამწვარი დოკუმენტი და მოთავსდეს იგი მაგიდაზე. გამოსაკვლევი დოკუმენტი უნდა დასველდეს პულვერიზატორის გამოყენებით გლიცერინის 10-20%-იანი ხსნარით, ქელატინის 1%-იანი ხსნარით, წყლის ორთქლით, წყალმჟავის ხსნარით ქალაღის სიმკვრივისა და ელასტიურობის მინიჭების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ სტამბური საღებავი, ტუში, გრაფიტი უფრო მდგრადია ტემპერატურის მიმართ, ვიდრე ქალაღი, ეს თვისება ზოგ შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს წავიკითხოთ ტექსტი, თუ იგი შესრულებულია ზემოთ მითითებული საღებავებით. ამ შემთხვევაშიც გამოიყენება ფერგაყოფის მეთოდი, ფოტოგადაღება უხილავ სხივებში, დახრილ და გამჭოლ შუქზე.

ტექსტის აღდგენა დახეულ დოკუმენტზე. დოკუმენტისა და შინაარსის გაცნობამდე, დახეული დოკუმენტი უნდა იყოს აღდგენილი. დოკუმენტის აღდგენა ხდება მისი ნახევების, ნაკეცების, ტექსტის, დოკუმენტზე არსებული სტამბური ხაზებისა და სხვა გამოსახულებათა შეთავსების მიხედვით, მთელის იდენტიფიკაცია მისი ნაწილების მიხედვით ამ შემთხვევაში მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექსტისა და შინაარსის გაცნობას (იხ. სურათი 9-10).



სურ.9. შაბთხავევის აღგილზე აღმოჩენილი დახაული წერილის ფრაგმენტები



სურ. 10 აღგენილი წერილი

აღდგენილი დოკუმენტი უნდა მოთავსდეს ორ გამჭვირვალე მინას შორის და მინები დამაგრდეს ისე, რომ არ მოხდეს მათი ცოცვა და გადაადგილება. ტექსტისა და შინაარსის გაცნობა საკმარისი არ არის. ყველა შემთხვევაში გამოსაკვლევ დოკუმენტი უნდა იყოს ფოტოგრაფირებული.

**წმ.დოკუმენტის გაყალბების ნიშნების დადგენა
საგამოძიებო დათვალეობების შედეგად**

საგამოძიებო პრაქტიკაში გვხვდება სხვადასხვა სახისა და დანიშნულების დოკუმენტები: ხელით დაწერილი, სტამბური წესით დაბეჭდილი, საბეჭდო მანქანაზე დამზადებული, გასამრავლებელი ხელსაწყოებით შესრულებული, ფოტოსურათები, მაგნიტოფონის და ვიდეოფირზე ფიქსირებული კინოფირები,

ფოტოგრაფიული წესით დამზადებული, ხელით დახატული და ა.შ. დანიშნულების მიხედვით დოკუმენტები შეიძლება იყოს პირადობის დამადასტურებელი, პირადი და სამსახურებრივი მიმოწერა, ცნობები და ხელწერილები, საბუღალტრო-სააღრიცხვო და საფინანსო მნიშვნელობის და ა.შ.

დოკუმენტის დათვალიერება როგორც ცალკე, დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება-დაწესებულებებში ხდება მათი ამოღება, ანდა როდესაც დოკუმენტებს თავისი ინიციატივით წარმოადგენენ საგამოძიებო ორგანოებში სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციები ან ცალკეული მოქალაქეები.

დოკუმენტის დათვალიერებას ადგილი აქვს აგრეთვე სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩხრეკის, კორესპონდენციაზე ყადაღის დადების შემთხვევაში.

როდესაც დოკუმენტები შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოების მონაცემებს, მათი დათვალიერებისათვის სავალდებულოა პროკურორისაგან სანქციის იღება და სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელთან საკითხის შეთანხმება (აქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 167-ე მუხლი).

დოკუმენტის დათვალიერებას ახდენს უშუალოდ გამომძიებელი. საჭიროების შემთხვევაში ამ მიზნით შეიძლება მოწვეული იყოს სპეციალისტი. დოკუმენტის საგამოძიებო დათვალიერება მისი გაყალბების ნიშნების დადგენის მიზნით ვერ შეცვლის ექსპერტიზის ჩატარებას. ყველა საეჭვო შემთხვევაში გამომძიებელი ნიშნავს დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას, რის შედეგადაც წყდება მხოლოდ სპეციალური საკითხები. დოკუმენტის გაყალბება წარმოადგენს იურიდიულ საკითხს, ამიტომ ექსპერტი არ წყვეტს გაყალბების ფაქტს. დოკუმენტის გაყალბების შესახებ გამომძიებელი აკეთებს დასკვნას საქმის მასალებისა და ექსპერტის დასკვნის შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

დოკუმენტის საგამოძიებო დათვალიერება გაყალბების შესაძლო ნიშნების დადგენის მიზნით უნდა ხდებოდეს გარკვეული სისტემის მიხედვით. დათვალიერების შედეგად უნდა დადგინდეს, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია: სინამდვილეში არსებობს თუ არა ის დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელმაც გასცა დოკუმენტი; შეესაბამება თუ არა ბეჭდის, შტამპის ანაბეჭდი ან დოკუმენტის ბლანკზე აღნიშნული წარმოების დასახელება მოცემუ-

ლი ორგანიზაციის დასახელებას; ხომ არ არის შტამპის, ბეჭდის ანაბეჭდში ან დოკუმენტის შინაარსში ფაქტიური შეცდომები და რაში გამოიხატება ისინი; ხომ არ არის ტექსტში გადასწორების, მიხატვის ნიშნები, ტექსტის და ხელმოწერის შტრიხებში შენელებული მოძრაობის ნიშნები, შეჩერებები ან შტრიხების ტეხილობა და გაორება; შეესაბამება თუ არა დოკუმენტის შინაარსი და ფორმა ერთმანეთს; ხომ არ არის დოკუმენტზე გადასაღები ქალაქის ან ფოტოქალაქის ემულსიის ნიშნები; ხომ არ შეიმჩნევა ხელმოწერაში ტექნიკური საშუალებების გამოყენების გზით გაყალბების ნიშნები და ა.შ.

გაყალბების შესაძლო ნიშნები დოკუმენტში შეიძლება დადგინდეს როგორც მისი ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ისე ტექნიკური საშუალებების გამოყენების გზით: გამადიდებელი მინა, ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი სხივები, ელექტრო-ოპტიკური გარდამქმნელი ხელსაწყოთა გამოყენება, შუქფილტრების შერჩევა, დახრილ და გამჭოლ შუქზე დოკუმენტის დათვალიერება და ფოტოგადაღება.

საგამოძიებო დათვალიერების შედეგად დადგენილი ნიშნები, ისე როგორც მთლიანად დოკუმენტი და მისი რეკვიზიტები დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი დოკუმენტის დათვალიერების ოქმში ან იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმში (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება), რომლის დროსაც მოხდა დოკუმენტის დათვალიერება. ოქმში აღინიშნება აგრეთვე იმ ტექნიკურ საშუალებათა შესახებ, რომლებიც გამოიყენებულა გამოიყენა დოკუმენტის დათვალიერების დროს. დოკუმენტის საგამოძიებო დათვალიერების შემდეგ იგი უნდა მოთავსდეს კონვერტში ისე, რომ თვით დოკუმენტზე არ იყოს არავითარი დამატებითი აღნიშვნები და ნაკეცები. საგამოძიებო დათვალიერების შემდეგ ამოღებული დოკუმენტი ინახება საქმეში.

XIV თავი

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია (სიტყვიერი პორტრეტი)

§1 გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის ცნება

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია არის კრიმინალისტიკური ტექნიკის ერთ-ერთი დარგი, რომელიც გამოიყენება საგამოძიებო-სასამართლო, საექსპერტო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების დროს პიროვნების დასადგენად და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციას პრაქტიკულად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყველა სახის დანაშაულთა გამოხიება-განხილვის დროს, მაგრამ პრაქტიკაში იგი შედარებით ხშირად გამოიყენება ისეთ დანაშაულთა გამოძიება-განხილვისას, როგორცაა: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, თაღლითობა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების გატაცება.

პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია მისი გარეგნობის ნიშანთა მიხედვით. ამ სახის გამოკვლევის მეთოდის შემუშავებაში და გარეგნობის ნიშანთა კლასიფიკაციის მეცნიერულად დამუშავებაში დიდი როლი მიუძღვის ფრანგ კრიმინალისტს ალფონს ბერტილიონს, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს (1885 წელს) მეცნიერულად დაამუშავა და განაზოგადა მანამდე არსებული ცნობები სიტყვიერი პორტრეტის შესახებ. საბჭოთა პერიოდში ამ პრობლემას მიუძღვნა დისერტაციები და მონოგრაფიული გამოკვლევები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ა.ა. გუსევის, ი.ნ. იაკიმოვის, ზ.ი. კირსანოვის, ი.ფ. პანტელეევის, ზ.გ. სამოშინას, ვ.ა. სტენკოვის, ნ.ვ. ტერზიევის, პ.პ. ცვეტკოვის შრომები. გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციას საფუძვლად უდევს კრიმინალისტიკური სწავლება ობიექტებისა და მოვლენების ინდივიდუალობისა და შედარებითი უცვლელობის შესახებ. ადამიანის გარეგანი სახე (კანი) ფარავს მის ინდივიდუალურ ძვლის-ხრტილოვან გამოსახულებას და წარმოქმნის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშნებს (თავის ფორმა, შუბლის გამოხატულება, ცხვირის ზურგისა და ფუძის

თავისებურება და ა.შ.). ეს ინდივიდუალური ნიშნები, ბევრ შემთხვევაში, იმდენად მკაფიოდ არის გამოსახული და შესამჩნევი, რომ საშუალებას გვაძლევს მათ საფუძველზე მოვახდინოთ პიროვნებს დადგენა.

პიროვნების გარეგნობის ნიშნები შრომითი განხორციელების პროცესში, ასაკთან დაკავშირებით, ტრამვის მიღების შედეგად განიცდის ცვლილებას, მაგრამ ეს ცვლილებები ბევრ შემთხვევაში იმდენად უმნიშვნელოა, რომ გავლენას არ ახდენს პიროვნების ინდივიდუალურ ნიშანთა არსებით სახეცვლილებაზე. გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს ნიშანთა ისეთი სისტემა, რომელიც მათ ერთობლიობაში განუმეორებელი იქნება ყველა სხვა შემთხვევაში. სწორედ ასეთ პირობებში გარეგნობის ნიშანთა საფუძველზე შეიძლება მოხდეს კონკრეტული პიროვნების დადგენა.

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციისათვის გასაიგივებელ სუბიექტს წარმოადგენს უშუალოდ დასადგენი პიროვნება, ხოლო გამაიგივებელს მიეკუთვნება პიროვნების აღწერის ნიშნები, მისი ფოტოსურათი, პირის მხატვრული გამოსახულება. სწორედ ამ ობიექტების მეშვეობით და საიდენტიფიკაციო ნიშნების საფუძველზე ხდება პიროვნების დადგენა.

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების დადგენა მოიცავს შემდეგ დარგებს:

ა) ცნობილი პიროვნების დადგენა, რომელიც მიმალვაშია ან არ არის ცნობილი მისი ადგილსამყოფელი. ამ შემთხვევაში გამოძიებისათვის და ოპერაციულ-სამძებრო სამსახურისათვის ცნობილია დასადგენი პირი, მისი პროცესუალური მდგომარეობა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე, მსჯავრდებული, გაქცეული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან).

ბ) უცნობი პირის დადგენა, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ იგი ცნობილი არ არის გამოძიებისათვის და ოპერაციულ-სამძებრო სამსახურისათვის: ამ შემთხვევაში ცნობები მისი გარეგნობის ნიშან-თვისებათა შესახებ მოპოვებულ უნდა იყოს მნახველების, დაზარალებულის და მოწმეთა დაკითხვისა და მათგან ახსნა-განმარტების მიღების საფუძველზე.

გ) უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა დადგენა. ამ შემთხვევაში ცნობები მისი გარეგნობის ნიშან-თვისებათა შესახებ მიღებულ უნდა იყოს მისი ოჯახის წევრების, ნათესავებისა და ახლობლების ახსნა-განმარტების საფუძველზე.

დ) ამროუცნობი გვამის დადგენა. ამ შემთხვევაში ცნობები მისი გარეგნობის ნიშან-თვისებათა შესახებ მიღებულ უნდა იყოს იმ პირებისაგან, რომლებმაც სათანადო ორგანოებში განაცხადეს ოჯახის წევრის, ნათესავის, მეგობრის შინ დაუბრუნელობის შესახებ.

ე) პიროვნების დადგენა ფოტოსურათის მიხედვით. ამ შემთხვევაში იგულისხმება პიროვნების იდენტიფიკაცია მისი პირადობის დამადასტურებელ საბუთებში ან პასპორტში მოთავსებული ფოტოსურათის საფუძველზე.

ვ) პიროვნების დადგენა საექსპერტო გამოკვლევის მიხედვით. ამ შემთხვევაში იგულისხმება პიროვნების იდენტიფიკაცია ორი ან მეტი ფოტოსურათის შედარებით პორტრეტული ექსპერტიზის ჩატარების საფუძველზე.

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის დარგებს აქვს ბევრი რამ საერთო, მაგრამ ამავე დროს მათ შორის არის არსებითი ხასიათის სხვაობაც, რაც გათვალისწინებულ უნდა იყოს პიროვნების დადგენის კონკრეტულ შემთხვევაში.

პიროვნების გარეგნობის ნიშანთა მიხედვით დადგენის დროს იდენტიფიკაციის დარგებიდან უნდა განვასხვაოთ პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეები. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეებს მიეკუთვნება: იდენტიფიკაცია მეხსიერების (დამახსოვრების) საფუძველზე. ამ შემთხვევაში ხდება ნახული პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დამახსოვრება, რის საფუძველზეც შემდგომში უნდა მოხდეს მისი ამოცნობა (ბინაში, ქუჩაში, შენობაში, სადგურში და ა.შ.). ფოტოსურათის მიხედვით პიროვნების ამოცნობა. ამ შემთხვევაში ფოტოსურათის დაკვირვების შედეგად იმახსოვრებენ ამოსაცნობი პირის ნიშან-თვისებებს, რაც წარმოადგენს ამოცნობის საფუძველს. ორი ან მეტი ფოტოსურათის შედარების მიხედვით პიროვნების დადგენა. ამ სახეს ადგილი აქვს როგორც გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების, ასევე პორტრეტული ექსპერტიზის ჩატარების დროს.

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის (სიტყვიერი პორტრეტი) არსის გარკვევა იძლევა იმის საფუძველს, რომ განვიხილოთ კრიმინალისტიკური ტექნიკის ამ დარგის ისეთი სპეციალური საკითხები, როგორიცაა: პიროვნების გარეგნობის ნიშანთა კლასიფიკაცია, გარეგნობის ნიშანთა შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი გამოყენება საგამომძიებო ორგანოების და ოპერატიული სამსახურის საქმიანობაში, პორტრეტული ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საკითხები.

§2. პიროვნების გარეგნობის ნიშანთა კლასიფიკაცია

პიროვნების იდენტიფიკაციის დროს გვხვდება ბევრი ისეთი ნიშან-თვისება, რომელიც ახასიათებს და განსაზღვრავს ადამიანის სხვადასხვა მხარეს, სხეულის გარეგან აგებულებას, სქესს, მის ჩაცმულობას და ა.შ. იმისათვის, რომ გარეგნობის ყველა ნიშანი ადვილი გამოსაყენებელი იყოს პრაქტიკაში, საჭიროა მათი კლასიფიკაცია (დაყოფა) გარკვეული ნიშნის მიხედვით.

პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დაყოფის ყველაზე ზოგად ფორმას წირმოადგენს მათი კლასიფიკაცია იმის და მიხედვით ახასიათებს თუ არა ისინი საკუთრივ პიროვნებას, თუ ატარებს თანხლებით ხასიათს. ამ მხრივ განასხვავებენ პიროვნების გარეგნობის საკუთარ ნიშნებს და თანხლებით ნიშნებს.

პიროვნების გარეგნობის საკუთრივ ნიშნებს მიეკუთვნება საერთო ფიზიკური, დემოგრაფიული, ანატომიური, ფუნქციონალური, განსაკუთრებული, განსაკუთრებით თვალსაჩინო და საყოფაცხოვრებო ნიშნები. თანხლებითს მიეკუთვნება ისეთი ნიშნები, რაც ახასიათებს პიროვნების ჩაცმულობას.¹

საერთო ფიზიკური ნიშნები მიუთითებს ადამიანის სქესზე და წლოვანებაზე.

დემოგრაფიულ ნიშნებს მიეკუთვნება პიროვნების ეროვნება, ეთნიკური ჯგუფი, დიალექტიკური თავისებურებანი.

ანატომიური ნიშნები ახასიათებს ადამიანის სხეულს მთლიანად ან სხეულის ცალკეულ თავისებურებას. ასეთ ნიშნებს ზოგჯერ უწოდებენ სტატიკურს.

ფუნქციონალური ნიშნები დაკავშირებულია მოძრაობასთან პიროვნების ცალკეული ფუნქციის შესრულები დროს. ფუნქციონალური ნიშნები წოდებულია აგრეთვე, როგორც დინამიკური ნიშნები იმიტომ, რომ დაკავშირებულია მოძრაობასთან.

განსაკუთრებული ნიშნები ისეთებია, რომლებიც არსებობენ ადამიანის სხეულზე (ხალი, ხორცმეტი, მეჭვჭვი, ჩიყვი, დასახიჩრების კვალი, შრამი, სვირანგი და ა.შ.)

¹ პიროვნების გარეგნობის ნიშანთა აღნიშნული კლასიფიკაცია გაზარებულია კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში იხ. Криминалистическое описание человека, М., 1988, с. 3-4, 41-44; Криминалистика, Л., 1976, с. 265., Криминалистика, М., 1993, с.285.

განსაკუთრებული თვალსაჩინო ნიშნები არის ისეთები, რომლებიც ად-
ვილი შესამჩნევია და ძირითადად დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ ნაკ-
ლოვანებასთან (სიკოჭლე, სიბრმავე, ხელის ან ფეხის უქონლობა, კუზი და ა.შ.).

საყოფაცხოვრებო ნიშნები არის პიროვნებისათვის ისეთი დამახასიათე-
ბელი თვისება, რომელიც გამომუშავებულია მისი პროფესიული საქმიანობის
შედეგად ან ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქმიანობის პროცესში. ასეთი
ჩვევები ძირითადად ატარებს ფუნქციონალურ ნიშანთა თვისებას, მაგრამ იგი
შეიძლება იყოს აგრეთვე ანატომიური ხასიათისაც (მაგალითად, შრომითი საქმი-
ანობის შედეგად ადამიანის ხელზე მაზოლების არსებობა). ასეთ ნიშნებს ხშირ-
ად მიეკუთვნება მაგალითად: თმის, წვერებისა და ულვაშების დავარცხნის
სერხი (ხელით გასწორება, სავარცხლით); სიგარეტის მოკიდების, მოწევისა და
მისი გადაგდების სერხი; რომელიმე საგნის ხმარების თავისებურება (საწერ-
კალამის ხმარება, ქუდის დახურვა, პირის შეხოცვა, კბილების გაწმენდა და
ა.შ.).

თანხლებითი ნიშნები დაკავშირებულია არამიანის ჩაცმულობასთან (ქუდი,
პალტო, ლაბადა, პერანგი, ფეხსაცმელი, წინდები), სპეცტანსაცმელი, ფორმა
და ა.შ.

პიროვნების გარეგნობის ნიშანთა აღწერა უნდა ხდებოდეს გარკვეული
პრინციპების დაცვის საფუძველზე, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდე-
გი: ა) პიროვნების გარეგნობის ნიშანთა აღწერის სისრულე; ბ) ნიშანთა აღწერ-
ის სისტემატურობა. ჯერ უნდა იყოს აღწერილი ზოგადი ნიშნები, შემდეგ კი
კერძო. ნიშანთა აღწერა უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ; გ) გარეგნობის ნიშან-
თა აღწერის დროს დაცული უნდა იყოს გარკვეული და დადგენილი ტერმინო-
ლოგია.

გარეგნობის ნიშანთა აღწერა უნდა ხდებოდეს სხვადასხვა განზომილებით:
ზომა. ზომის აღწერის დროს გამოყენებულ უნდა იყოს სამწევროვანი დაყოფა
(პატარა, საშუალო, დიდი, ცალკეულ შემთხვევაში კი ხუთწევრიანი დაყოფა:
ძალიან პატარა, პატარა, საშუალო, დიდი, ძალიან დიდი).

ფორმა. ამ ნიშნის აღწერის დროს აღინიშნება პიროვნების ნიშანთა
ფორმა: მრგვალი, ოვალური, სამკუთხა; ვიწრო, საშუალო, ფართო; სწორი,
ჩაზნექილი, ამოზნექილი. აღწერას ექვემდებარება აგრეთვე კონტურები. იგი
შეიძლება იყოს პირდაპირი, ტეხილი, რკალისებური. მდგომარეობის აღწერის
დროს აღინიშნება პიროვნების გარეგნობის ცალკეული ნიშნის განლაგება,

რომელიც შეიძლება იყოს: ჰორიზონტალური, დახრილი ქვემოთ, ზემოთ, მარჯვნივ ან მარცხნივ. აღწერას ექმედებარება აგრეთვე ფერი (თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ლურჯი და ა.შ.). ბოლოს აღწერილი უნდა იყოს პიროვნების გარეგნობის ნიშანთა ადგილი (სახეზე, მარჯვენა ხელზე, მარცხენა ფეხზე). მაგალითად, თუ უნდა იყოს აღწერილი ადამიანის ხელზე არსებული სვირანგი, უნდა მიეთითოს ხელის რომელ ნაწილზეა იგი მოთავსებული, როგორია მისი ზომა, ფორმა, კონტურები და რა არის გამოხატული. თანხლებითი ნიშნების აღწერის დროს უნდა მიეთითოს დამატებით ჩაცმულობის სახე, ფასონი, ღილების შეკვრის თავისებურება, გაცვეთის ხარისხი და მისი ადგილი ტანიამოსზე, ლაქების არსებობა და ა.შ.

პიროვნების გარეგნობის ნიშნები უნდა იყოს აღწერილი იმდენად სრულად, სისტემურად და სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით, რომ საგამოძიებო ორგანოებისათვის, ოპერატიული სამსახურისათვის და პროცესის შესაბამისი მონაწილისათვის ნათელი და თვალსაჩინო იყოს გარეგნობის ნიშანთა არსებობა და მისი დამახასიათებელი ყველა ნიშანი.

პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შორის, სახელმძღვანელოს ფარგლებში, უფრო დაწვრილებით აღწერას საჭიროებს კრიმინალისტიკაში მიღებული და დადგნილი ანატომიური და ფუნქციონალური ნიშნები.

ანატომიური ნიშნები. ანატომიური ნიშნებიდან უნდა დასახელდეს ტანის აგებულების შემდეგი პარამეტრები.

სიმაღლე (ძალიან დაბალი 100 სმ-მდე, დაბალი - 160 სმ., საშუალო - 175, მაღალი 200 სმ-მდე, ძალიან მაღალი 200 სმ-ზე მეტი. ქალებისათვის აღნიშნული მონაცემები მცირდება 5 სმ.

ტანის აგებულება განისაზღვრება მუსკულატურის განვითარებით (სუსტი, საშუალო, ათლექტური).

ფიგურა (ძალიან გამხდარი, საშუალო, მსუქანი, ძალზე მსუქანი).

ბეჭები სიგანის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, ფართო), დახრილობის მიხედვით (დაშვებული, ჰორიზონტალური, ზემოთ აწეული).

გულმკერდი ზომის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, განიერი), ფორმის მიხედვით (ჩაუარდნილი, სწორხაზობრივი, წინ წამოწეული).

ზურგი ფორმის მიხედვით (მოხრილი, სწორი, შეზნექილი), თავისებურების მიხედვით (ძალზე მოხრილი, კუზით).

ხელები სიგრძის მიხედვით (მოკლე, საშუალო, გრძელი). თითების სისქის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, სქელი), თითების თავისებურების მიხედვით (ზედმეტი თითი, თითის დანაკლისი, მოლუნული თითი).

ფეხები ზომის მიხედვით (მოკლე, საშუალო, გრძელი), სისქის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, სქელი), ფორმის მიხედვით (სწორი, არასწორი, შელუნული), თავისებურების მიხედვით (ძალზე გრძელი, ძალზე მოკლე, ძალზე არასწორი - ტეხილი).

თავი (პატარა, საშუალო, დიდი). ფორმის მიხედვით (მოგრძო, კვერცხის-მაგვარი, მრგვალი).

კისური (მოკლე, საშუალო, დიდი), ფორმის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, ფართო).

თმები სიხშირის მიხედვით (უთმო, იშვიათი, საშუალო, ხშირი), სიდიდის მიხედვით (მოკლე, საშუალო, გრძელი), ფორმის მიხედვით (სწორი, ხუჭუჭი), ფერის მიხედვით (ჭალარა, ქერა, წაბლისფერი, მოწითალო, შავი).

სახე ზომის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, ფართო), ფორმის მიხედვით (მრგვალი, ოვალური, რომბისმაგვარი, სწორკუთხოვანი, სამკუთხა - ფუძით ზევით, სამკუთხა - ფუძით ქვემოთ), თავისებურების მიხედვით (წვერებით, უღვაშებით, დანაოჭებული).

შუბლი სიმაღლის მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი), სიგანის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, ფართო), დახრილობის მიხედვით (ვერტიკალური, წინ დახრილი, უკან დახრილი, გამოზნექილი).


წარბები ზომის მიხედვით (მოკლე, საშუალო, გრძელი), სიგანის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, ფართო), კონტურის მიხედვით (სწორი, რკალისებური, კლაკნილი), თმების სიხშირის მიხედვით (იშვიათი, საშუალო, ხშირთმიანი).

თვალები ზომის მიხედვით (პატარა, საშუალო, დიდი), კონტურის მიხედვით (წაგრძელებული, ოვალური, მრგვალი), ფერის მიხედვით (ცისფერი, ღია ცისფერი, მუქი ცისფერი, წაბლისფერი, მოშავო, მომწვანო, ნაცრისფერი, თაფლისფერი).

წამწამები ზომის მიხედვით (პატარა, საშუალო, დიდი), კონტურის მიხედვით (პირდაპირი, რკალისებური), თმების სიხშირის მიხედვით (იშვიათი, საშუალო, ბევრთმიანი).

ცხვირი ზომის მიხედვით (პატარა, საშუალო, დიდი), სიგანის მიხედვით (ვიწრო, საშუალო, ფართო), ცხვირის ზურგის კონტურის მიხედვით (სწორი,

ჩაზნექილი, ამოზნექილი, ტალღისებური, ცხვირის კუზით), ცხვირის ფუძის მიხედვით (სწორი, ზევით აწეული, ქვემოთ დახრილი).



სურ.1 ცხვირის ზურგი

1 სწორი, 2 ჩაზნექილი, 3 ამოზნექილი, 4 ტალღისებური, 5 ცხვირის ზურგის კუზით

პირი ზომის მიხედვით (პატარა, საშუალო, დიდი), კონტურის მიხედვით (ქვემოთ დაწეული, პორიზონტალური, ზევით აწეული).

ტუჩები სისქის მიხედვით (წვრილი, საშუალო, სქელი), ზემო და ქვემო ტუჩის სიმაღლის მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი), კონტურის მიხედვით (პირდაპირი, რკალისებური, ტალღისებური), ფერის მიხედვით (წითელი, მკრთალი წითელი, მოლურჯო).

კბილები სიდიდის მიხედვით (პატარა, საშუალო, დიდი), კბილებს შორის მანძილის მიხედვით (მცირე, საშუალო, დიდი), სიხშირის მიხედვით (იშვიათი, საშუალო სიხშირის, ხშირი), ფორმის მიხედვით (სწორი, წინ წამოწეული), თავისებურების მიხედვით (ცალკეული კბილების უქონლობა, პროტეზი).

ნიკაპი სიმაღლის მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი), კონტურის მიხედვით (სწორკუთხოვანი, მომრგვალო, მაღალი), მდგომარეობის მიხედვით (გამოშვერილი, ვერტიკალური, შეწეული), თავისებურების მიხედვით (გაორება, ნიკაპის ფოსოს არსებობით, განივი ღარით).

ყური ზომის მიხედვით (პატარა, საშუალო, დიდი), ფორმის მიხედვით (ოვალური, სამკუთხეა, სწორკუთხოვანი, მომრგვალო), დახრილობის მიხედვით (უკან დახრილი, ვერტიკალური, წინ დახრილი), ყურის ბიბილო ფორმის მიხედვით (ოვალური, სამკუთხოვანი, სწორკუთხოვანი, მომრგვალო), ყურის ბიბილო ზომის მიხედვით (პატარა, საშუალო, დიდი), ბიბილოს ყურთან შეერთების მიხედვით (შეერთებული, გამოყოფილი).

ფუნქციონალური ნიშნები. პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფუნქციონალურ ნიშნებს, რომელიც დამახასიათებელია ადამიანის ცალკეული ფუნქციის განხორციელებასთან (მოძრაობასთან). ამ ნიშნებს მიეკუთვნება:

თავის დაჭერის თავისებურება ტანთან შეფარდებით (მარჯვნივ დახრილი, მარცხნივ დხრილი, წინ წიმოწეული ან უკვან დახრილი).

სიარული სიჩქარის მიხედვით (ნელი, საშუალო, ჩქარი), თავისებურების მიხედვით (ფეხების თრევა, ხელების ძალზე დიდი გაქანებით ქნევა, ტანის კორპუსის ზედმიწევნითი მოძრაობა სიარულის დროს, სიკოჭლე, ნაბიჯის სიგრძე და ფეხის კუთხე).

ესტიკულაცია - საუბრის დროს ემოციური ფაქტორის გამჟღავნება (ხელების ქნევა, ბეჭების აჩრება, თავის გადახრა, თანხმობის ნიშნად თავის ქნევა და ა.შ.).

მიმიკა - საუბრის დროს სახის ნაკვთების მოძრაობა (წარბების აწევა, ტუჩების უჩვეულო მოძრაობა, ტუჩების მოკვნეტა საუბრის დროს, თვალების მოჭუტვა და ა.შ.).

ხმა ტემბრის მიხედვით (ტენორი, ბასი და ა.შ.), ხმის სიძლიერის მიხედვით (სუსტი, საშუალო, ძლიერი).

საუბარი სიჩქარის მიხედვით (ნელი, საშუალო, ჩქარი, წყნარი, აღელვებული, ყვირილი), თავისებურებათა მიხედვით (ენაჩლიქობა, აქცენტი, დიალექტიკური ნიშნები, ეროვნული ნიშნები), მეტყველების მიხედვით (ფრაზების აგებულების თავისებურება, არქაიზმი, ჟარგონი და ა.შ.).

ანატომიური და ფუნქციონალური ნიშნების შედარებით დაწვრილებით აღწერა არ უნდა იყოს გაგებული ცალმხრივად. პიროვნების იდენტიფიკაციის პროცესში გარეგნობის ნიშანთა მიხედვით ასევე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საერთოფიზიკურ, დემოგრაფიულ, განსაკუთრებულ, განსაკუთრებულ თვალსაჩინო, საყოფაცხოვრებო-პროფესიულ და ყველა თანხ-

ლებით ნიშნების დადგენას და მათ სრულყოფით აღწერას. პიროვნების გარეგნობის ნიშანთა კლასიფიკაცია ძირითადად ატარებს პირობით ხასიათს, რადგან ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება განეკუთვნოს სხვადასხვა სახეს (ჯგუფს).

§3. პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შესახებ ინფორმაციის მიღება და მათი გამოყენება საგამოძიებო-ოპერატიულ პრაქტიკაში

იმისათვის, რომ პიროვნების გარეგნობის ნიშანთა მიხედვით მოვახდინოთ იდენტიფიკაცია, უპირველესად ყოვლისა საჭირო და აუცილებელია გარკვეული ინფორმაცია სიტყვიერი პორტრეტის შესახებ და შემდგომში ეს ინფორმაცია გამოვიყენოთ ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის მოღვაწეობაში გარეგნობის ნიშანთა საფუძველზე პირის დასადგენად ან სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში საგამოძიებო მოქმედებათა ეფექტური ჩატარებისათვის.

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების დადგენისათვის ინფორმაციის მიღების შემდეგი გავრცელებული წყაროები არსებობს: ა) მოწმეთა, დაზარალებულთა, ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა დაკითხვა სხვა პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დასადგენად; ბ) იმ პირთაგან ახსნა-განმარტების მიღება პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ დაასახელონ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ან ამოუცნობი გვამის გარეგნობის ნიშნები (ოჯახის წევრები, ნათესავები, მეზობლები და ა.შ.); გ) შემთხვევის ადგილის, გვამის, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებით, ცოცხალ პირთა შემოწმების შედეგად ინფორმაციის მიღება პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შესახებ; დ) ფოტოსურათების, ნახატების შესწავლის შედეგად პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დადგენა; ე) გარკვეული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე (ავადმყოფობის ისტორია, რენტგენის სურათი, პირთა სისხლის სამართლის სარეგისტრაციო მასალები, პრესაში და ინფორმაციის სხვა საშუალებით გადმოცემული ინფორმაცია და პიროვნების სურათები) პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დადგენა.

დაკითხვის და ახსნა-განმარტების მიღების დროს გამოძიებელი, ოპერატიული მუშაკი უნდა ეკადოს მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია დასადგენი პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შესახებ. გარკვეულ შემთხვევებში პირი თავისი სიტყვებით და არა დადგენილი ტერმინოლოგიის მიხედვით გადმოგვცემს

ცნობებს გარეგნობის ნიშანთა შესახებ. ასეთ შემთხვევაში გამოძიებელმა (ოპერატიულმა მუშაკმა) შეკითხვების მიცემის საფუძველზე უნდა დააზუსტოს გარეგნობის თითოეული ნიშანის არსი და გაგება, მაგრამ მას უფლება არა აქვს თვითნებურად შეცვალოს პირის ჩვენება და მიუთითოს გარეგნობის ისეთი ნიშანი, რომელიც დასაკითხავ პირს არ დაუსახელებია.

რაც შეეხება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ფოტოსურათების შესწავლის, დოკუმენტების გაცნობის შედეგად დადგენილ ნიშნებს, ამ დროს პიროვნების გარეგნობის თითოეული ნიშანი უნდა იყოს აღწერილი ისე, როგორც ეს დადგენილია კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში. ასეთი წესის დაცვა აადვილებს გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების დადგენას როგორც საგამოძიებო პრაქტიკაში, ისე ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელების დროს.

დაკითხვებისა და ახსნა-განმარტების მიღების პროცესში პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დაზუსტებისა და დადგენისათვის გამოიყენება ფოტოპორტრეტის (ფოტორობოტი) დამზადება ფოტოსურათების მეშვეობით ან დახატვის საფუძველზე.

ამ მეთოდის გამოყენებას საფუძველად უდევს თვალსაჩინოება. თუ დასაკითხი პირი ასახელებს ადრე ნახული პიროვნების გარკვეულ ნიშანს (თავის, ცხვირის, შუბლის აგებულებას და ა.შ.), მას წარედგინება სახის ამ ნაწილების ფოტოსურათების ფრაგმენტები, ყველა შესაძლო ვარიანტების გათვალისწინებით. მაგალიად, თუ დასაკითხი პირი ასახელებს, რომ ადრე ნახულ პიროვნებას ჰქონდა საშუალო ზომის და ფართო შუბლი, მას წარედგინება შუბლის ფოტოსურათის ყველა შესაძლო ვარიანტი (სიმაღლის მიხედვით - დაბალი, საშუალო, მაღალი, სიგანის მიხედვით - ვიწრო, საშუალო, ფართო, დახრილობის მიხედვით - ვერტიკალური წინ დახრილი, უკან დახრილი, გამოზნექილი). დასაკითხი პირი ამ შემთხვევაში ამოიჩვენებს შუბლის იმ ფოტოსურათის ვარიანტს, რომელიც ემთხვევა ადრე ნახული პიროვნების შუბლის პარამეტრებს. ასეთივე მეთოდით მას წარედგინება პიროვნების ანატომიური სხვა ნიშნებიც. საბოლოო ჯამში ამ ფრაგმენტების შეერთების საფუძველზე შედგება ამოსაცნობი პირის მთლიანი ფოტოსურათი (ფოტორობოტი), რომელიც ხელახლა წარედგინება დაკითხულ პირს მისი დაზუსტების მიზნით.

დასადგენი პირის სიტყვიერი პორტრეტი შეიძლება შედგეს აგრეთვე დახატვის საფუძველზე. ამ დროს დასაკითხი პირი ხატავს გარეგნობის ცალკეულ

ნიშნებს ან ამ მიზნით მოიწვევა სპეციალისტი - მხატვარი. დასახელებული და დახატული ნიშნების კომპოზიციის საფუძველზე შედგება ადამიანის მთელი სახე მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით (კომპოზიციური მეთოდი), რომელიც ასევე წარედგინება დაკითხულ პირს მისი დაზუსტების მიზნით.

ზოგ ოპერატიულ და საგამოძიებო ორგანოებს შექმნილი აქვთ ფოტოალბომები პიროვნების გარეგნობის ნიშანთა მიხედვით, რომელთა დემონსტრირება ხდება დასაკითხი პირისადმი უშუალო წარდგენით ან მათი ეკრანზე ჩვენებით. საიდენტიფიკაციო ნიშნების ასეთი კომპლექტის გამოყენება ადვილებს სიტყვიერი პორტრეტის ზუსტ შედგენას.

ფოტოსურათების მიხედვით გარეგნობის ნიშნების დადგენა გაცილებით უფრო ადვილია ამოსაცნობი ფოტოსურათების მეშვეობით, ვიდრე მხატვრული ფოტოსურათების საფუძველზე. ამოსაცნობი ფოტოსურათები მზადდება ერთნაირად გარკვეული წესების დაცვით. ამ შემთხვევაში პიროვნება გადაღებულ უნდა იყოს მარჯვენა პროფილით და ცალკე ან ფასით (პირდაპირი გამოსახულება) შვიდჯერ შემცრებული.

პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შესახებ ინფორმაციის მიღებას აქვს თავისი პრაქტიკული დანიშნულება. იგი გამოიყენება ოპერატიულ-სამძებრო სამახურის მოღვაწეობაში ძებნილი პირის დასადგენად (ეჭვიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე, მსჯავრდებული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი, გვამი) ან საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებს პროცესში (ამოცნობა. გარეგნობის ნიშნების მიხედვით, ცოცხალ პირთა შემოწმება განსაკუთრებულ ნიშანთა დადგენის მიზნით).

ძებნის შესახებ გამოტანილი დადგენილების თანადროულ ცნობაში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ძებნილი პირის გარეგნობის ყველა ცნობილი ნიშანი კრიმინალისტიკაში დადგენილი ტერმინების შესაბამიად. ამ დადგენილებას ერთვის ძებნილი პირის ფოტოსურათი (ამოსაცნობი, მხატვრული, დოკუმენტებისათვის, ფოტორობოტი ან დახატული).

ძებნილი პირის დადგენა ხდება გარეგნობის ნიშნების დამახსოვრების საფუძველზე ან ფოტოსურათის პიროვნებისადმი შედარების შედეგად.

იმ შემთხვევაში, როდესაც გვამის ამოცნობა შეუძლებელია სახის დასახიჩრების გამო, ექიმ სპეციალისტის მიერ უნდა იყოს აღდგენილი გვამის სახე (გვამის ტუალეტი). თუ გვამის სახე გახრწნილია, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გვამის სახის აღდგენა ძვალ-ხრტილოვანი განლაგების მიხედვით (მ.მ. გერასი-

მოვის მეთოდი). ამ მეთოდის გამოყენება შედის ექსპერტ-მედიკოსის ან სპეციალისტ-მედიკოსის და არა კრიმინალისტიკის კომპლექსში.

საგამოძიებო მოქმედებათა შესრულებისას პიროვნების გარეგნობის ნიშნები ძირითადად გამოიყენება ამოცნობისა და შემოწმების დროს. ამომცნობი პირი წინასწარ უნდა იყოს დაკითხული გარეგნობის იმ ნიშან-თვისებათა შესახებ, რომელთა მიხედვით მას შეუძლია ამოიცნოს პიროვნება, ფოტოსურათზე გამოსახული პირი, საგანი. ყველა ეს ნიშან-თვისება უნდა იყოს სრულყოფილად ფიქსირებული დაკითხვის ოქმში.

§4. პორტრეტული ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საკითხები

პორტრეტული ექსპერტიზის ჩასატარებლად მასალების მომზადება გულისხმობს გამოსაკვლევი ფოტოსურათის ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში აღწერას (ვინ არის გამოსახული, დემოგრაფიული ცნობები, ასაკი, სად და როდის იყო დამზარებული ფოტოსურათი). მეორეს მხრივ ექსპერტს უნდა გადაეგზავნოს შესადარებელი ფოტოსურათი. იგი უნდა იყოს ისეთივე პირობებში და იმავე დროს გადაღებული, როგორც გამოსაკვლევი ფოტოსურათი. თუ ამ მოთხოვნის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გადაეგზავნება ექსპერტს ეჭვმიტანილი პირის ფოტოსურათი გადაღებული სხვა დროს და სხვა პირობებში. ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში ასევე დაწვრილებით უნდა იყოს მითითებული ყველა ცნობა, რაც დაკავშირებულია შესადარებელ ფოტოსურათთან.

პორტრეტული ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შეიძლება გადაწყდეს შემდეგი საკითხები: გამოსაკვლევ ფოტოსურათზე გამოსახულია თუ არა პირი, რომლის მიმართაც წყება იდენტიფიკაციის საკითხი; ორ და მეტ გამოსაკვლევ ფოტოსურათზე გამოსახულია თუ არა ერთი და იგივე პიროვნება; ჯგუფურ ფოტოსურათში ხომ არ არის დასადგენი პირი.

პორტრეტული ექსპერტიზის გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს მხატვრული ფოტოსურათი, დოკუმენტზე არსებული ფოტოსურათი, ამოსაცნობი წესით დამზადებული ფოტოსურათი, გვამის ფოტოსურათი, ფოტორობოტი და პიროვნების მხატვრული გამოსახულება. გამოკვლევის აღნიშნული ობიექტები შეიძლება შედარდეს ყველა შესაძლო ურთიერთობაში. მაგალითად, ამოსაცნობი წესით დამზადებული ფოტოსურათი შედარდეს დოკუმენტზე არ-

სებულ ფოტოსურათს, მხატვრული ფოტოსურათი შედარდეს გვამის სახის ფოტოსურათს და ა.შ.

გამოკვლევის პროცესში უნდა დამზადდეს შესადარებელი ფოტოსურათები ერთ მასშტაბში. თუ ექსპერტის განკარგულებაში არის რამოდენიმე შესადარებელი ფოტოსურათი, მათგან უნდა შეირჩეს ისეთი, რომელიც გადაღებულია იგივე პირობებში, იგივე გამოსახულებით, როგორც არის გამოსაკვლევი ფოტოსურათი.

გამოკვლევის ერთ-ერთ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ვიზუალური გამოკვლევა, რომლის დროსაც ექსპერტი ადარებს პიროვნების გარეგნობის ნიშნებს ცალ-ცალკე ზომის, ფორმის, კონტურების და სხვა დადგენილი პარამეტრების მიხედვით.

პორტრეტული ექსპერტიზის ჩატარების პროცესში გამოიყენება აგრეთვე შეთავსების მეთოდი როგორც მთლიანი ფოტოსურათისა, ისე ადამიანის სახის ცალკეული ნაწილებისა (შუბლი, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი და ა.შ.). ამ მეთოდის გამოყენება იმ შემთხვევაშია ეფექტური, როდესაც გამოსაკვლევი და შესადარებელი ფოტოსურათები დამზადებულია ერთი და იგივე პირობებში, გამოსახულია ერთი და იგივე პოზაში და დამზადებულია ერთ მასშტაბში. შეთავსება ხდება სახის გარკვეული ნაწილების გამჭირვალე დიაპოზოტიური სურათის დამზადების მეშვეობით. მაგალითად, გამოსაკვლევი ფოტოსურათის სახის მარცხენა ჭრილს შეუთავსებენ შესადარებელი ფოტოსურათის სახის მარჯვენა ჭრილს და ასეთი შეთავსების საფუძველზე მიიღებენ ერთ მთლიან გამოსახულებს.

პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე გამოსაკვლევი და შესადარებელი ფოტოსურათზე ოთხკუთხა უჯრედებიანი ბადის მოთავსება. ამ მეთოდის გამოყენების დროს ბადის შესაბამისი უჯრედების შედარების შედეგად თვალსაჩინო ხდება ადამიანის სახის გარკვეული ნაწილების დამთხვევის ან სხვაობის ფაქტი.

გამოკვლევის შედეგად დადგენილი ყველა ნიშანი უნდა შეფასდეს კრიტიკულად მათ ერთობლიობაში. ასეთი შეფასების შედეგად ექსპერტი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ნიშანთა დამთხვევების კომპლექსი არის მათ ერთობლიობაში განუმეორებელი ყველა სხვა შემთხვევაში.

პორტრეტული ექსპერტიზა მოითხოვს სათანადო ფოტოილუსტრაციას დასკვნის თვალსაჩინოების მიზნით. ფოტოტაბულაზე გამოსახული შესადარებელი ფოტოსურათებზე დანომრილი ისრების მეშვეობით აღინიშნება პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დამთხვევათა ან სხვაობის ფაქტი. ილუსტრაციის ეფექ-

ტურ საშუალებას წარმოდგენს აგრეთვე შესადარებელი ფოტოსურათების შეთავსება გამჭირვალე დიაპოზიტივის ფირზე. ფოტოტაბულაზე აღნიშნული გარეგნობის ნიშნების ყველა დამთხვევის თუ სხვაობის ფაქტი დაკავშირებულ უნდა იყოს ექსპერტის დასკვნასთან. ექსპერტის დასკვნაში დაწვრილებით უნდა იყოს დასაბუთებული და აღწერილი პიროვნების გარეგნობის ნიშანთა დამთხვევათა და სხვაობათა ფაქტები.

XV თავი

სისხლის სამართლის რეგისტრაცია

(კრიმინალისტიკური აღრიცხვა)

§1. სისხლის სამართლის რეგისტრაციის (კრიმინალისტიკური აღრიცხვის) არსი და მნიშვნელობა

სისხლის სამართლის რეგისტრაცია ანუ კრიმინალისტიკური აღრიცხვა კრიმინალისტიკური ტექნიკის ერთ-ერთი დარგია, რომელიც მეცნიერულად შემუშავებული და დადგენილი სისტემის მიხედვით აღრიცხავს პიროვნების, გვამის, საგნების, ცხოველების გარკვეულ ნიშნებს მათი შემდგომი მოძებნის, ამოცნობისა და იდენტიფიკაციისათვის. კრიმინალისტიკურ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს ოპერატიულ-სამძებრო სამსახურისათვის და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის.

სისხლის სამართლის რეგისტრაციის ამოცანა იმაში გამოიხატება, რომ უზრუნველყოს ოპერატიულ-სამძებრო სამსახური და გამოძიების ორგანო ადრე რეგისტრაციაში გატარებულ პირთა და საგანთა ნიშან-თვისებათა შესახებ და სხვა საჭირო მონაცემებით პირის მოსაძებნად, იდენტიფიკაციისათვის, სისხლის სამართლის საქმის გახსნისა და დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

პიროვნების სისხლის სამართლის რეგისტრაციაში გატარების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: უჭედიტანილის დაკავების ოქმი; ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის დადგენილება; აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების დადგენილება; სასამართლო განაჩენი და განჩინება; დადგენილება განთავისუფლებულ მსჯავრდებულზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების შესახებ.

სისხლის სამართლის რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბანკი, ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებები.

საინფორმაციო ბანკიდან ინფორმაციის მიღების საფუძველს წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მოთხოვნა, შედგენილი გარკვეული წესის მიხედვით. ამ ორგანოების მიერ საჭირო ინფორმაციის მიღება ხდება ჯერ ადგილობრივი სარეგისტრაციო სამსახურიდან, ხოლო უარყოფით შემთხვევაში ცენტრალური საინფორმაციო ბანკიდან.

სისხლის სამართლის რეგისტრაციის (კრიმინალისტიკური აღრიცხვის) შედარებით გავრცელებულ სახეებს მიეკუთვნება: ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის, მსჯავრდებულის, მიმალვაში მყოფ პირთა, ადმინისტრაციულ ზედამხედველობაში მყოფ პირთა რეგისტრაცია; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა, ამოუცნობი გვამებისა და ცროველების რეგისტრაცია; გატაცებული, ამოღებული, დაკარგული ან ჩამორთმეული ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის და ჭურვის რეგისტრაცია; შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სხვადასხვა სახის კვალთა (თითის, ფეხის, გატეხის იარაღთა, სატრანსპორტო საშუალებათა და ა.შ.) რეგისტრაცია; შემთხვევის ადგილზე ან სხვა საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შედეგად ამოღებული საგნების, ნივთების, ფასეულობის, ფულის ნიშნების და ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია; გაუხსნელ დანაშაულთა ჩადენის ხერხთა რეგისტრაცია.

კრიმინალისტიკური აღრიცხვის მიზანია დაადგინოს: ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული პირი (ვინ არის იგი, რისთვის იყო რეგისტრირებული, მისი დემოგრაფიული მონაცემები, რა დანაშაული ჩაიდინა, ვის მიერ იყო გასამართლებული, რა სახისა და ზომის სასჯელი შეეფარდა); ვინ არის უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი ან ვისი გვამია აღმოჩენილი; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სხვადასხვა სახის კვალის; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული სხვადასხვა სახის საგნები, ნივთები, ფასეულობა, დოკუმენტები; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი და ჭურვი; ხომ არ იყო ადრე რეგისტრირებული გაუხსნელი დანაშაულის ჩადენის ხერხი.

რეგისტრაციაში გატარების სხვადასხვა ხერხი არსებობს, რომელთა შორის გავრცელებულია: სარეგისტრაციო ობიექტის ნიშან-თვისებათა აღწერა სპეციალურ ბარათებში; დაქტილობარათების გამოყენება თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის მიზნით; ფოტოალბომების, კარტოთეკებისა და კოლექციების შექმნა; კვალთა აღრიცხვის ბარათები; სათანადო ჟურნალებში სარეგისტრაციო მონაცემების შეტანა.

თანამედროვე პირობებში სარეგისტრაციო ცნობების ოპერატიულად მიღების მიზნით გამოიყენება პერფობარათები და მიკროფილმები; ელექტროგამოთვლითი მანქანები, რომელთა მეხსიერებაში შეაქვთ სარეგისტრაციო ობიექტის ნიშან-თვისებები.

§2. ეჭვიტანილთა, ბრალდებულთა, მიმალვაში მყოფ პირთა და მსჯავრდებულთა რეგისტრაციის სახეები

ეჭვიტანილთა, ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და მიმალვაში მყოფ პირთა რეგისტრაციის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ საჭიროების შემთხვევაში დავადგინოთ ეჭვიტანილის სახით დაკავებული პირის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, მიმალვაში მყოფი პირის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაულის ფაქტი; იყო თუ არა იგი ადრე გატარებული სისხლის სამართლის რეგისტრაციაში (რეგისტრაციაში გატარების მიზეზი); ხომ არ შეიცვალა მან გვარი და სხვა დემოგრაფიული მონაცემები.

აღნიშნულ პირთა რეგისტრაციის ძირითად სახეებს წარმოადგენს სახელობითი ანუ ანბანური რეგისტრაცია, დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია და რეგისტრაცია პიროვნების გარეგნობის ნიშანთა მიხედვით.

ანბანური (სახელობითი) რეგისტრაცია. ანბანურ (სახელობით) რეგისტრაციაში პირი ტარდება საგამოძიებო იზოლატორში ან დროებითი დაკავების საკანში. ამ სახის რეგისტრაციის დროს დგება სპეციალურად დამზადებული სტანდარტული სახელობითი სარეგისტრაციო ბარათი, რომლის პირველ გვერდზე შეიტანება პიროვნების შემდეგი მონაცემები: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და თარიღი, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, ოჯახური მონაცემები, პარტიულობა, ეროვნება, წინად ნასამართლობის ფაქტი, რეგისტრაციაში გატარების საფუძველი, დაქტილოსკოპიური ფორმულა, ხოლო ძირს და მაჯვენა კუთხეში მოთავსდება რეგისტრაციაში გატარებული პირის მარჯვენა ხელის შუა თითის ანაბეჭდი, რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ანბანური რეგისტრაციის ბარათი დაუუკავშიროთ დაქტილოსკოპიურ სარეგისტრაციო ბარათს. სახელობით სარეგისტრაციო ბარათში აღინიშნება მისი შედგენის დრო და ვინ შეავსო იგი (თანამდებობის მითითებით). სარეგისტრაციო ბარათში უნდა ჩაიკრას პირის აქოსაცნობი ფოტოსურათი და მიეთითოს მისი გარეგნობის ძირითადი ნიშნები.

იმ შემთხვევაში თუ რეგისტრაციაში გატარებული პირი შემდგომში მსჯავრდებული იქნა, სარეგისტრაციო ბარათის მეორე გვერდზე მიეთითება ვის მიერ და როდის იყო იგი გასამართლებული, სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით (მუხლის ნაწილი, პუნქტი) იყო მსჯავრდებული, სასჯელის სახე და ზომა. შემდგომში, საჭიროების შესაბამისად, სარეგისტრაციო

ბარათში შეიძლება შეტანილი იყოს ცვლილებები და დამატებები.

ანბანური (სახელობითი) სარეგისტრაციო ბარათი კარტოთეკაში თავსდება გარკვეული თანმიმდევრობით: გვარის პირველი ასოს ანბანური თანმიმდევრობით, შემდგომ მომდევნო სხვა ასოების ანბანური თანმიმდევრობით, ხოლო გვარების დამთხვევის შემთხვევაში სახელების ასოების ანბანური თანმიმდევრობის შესაბამისად. სახელების დამთხვევის შემთხვევაში კი მამის სახელების ანბანური თანმიმდევრობის შესაბამისად. თუ ყველა ეს მონაცემებიც ემთხვევა, შემდგომში ბარათების განლაგება ხდება წლოვანების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციაში გატარებულ პირს რამოდენიმე გვარი აქვს, ერთ გვარზე დგება სრულყოფილი სარეგისტრაციო ბარათი, სხვა გვარზე კი სარეგისტრაციო ბარათში მიეთითება მხოლოდ გვარი, სახელი, მამის სახელი და სრულყოფილად შედგენილი სარეგისტრაციო ბარათის შესახებ.

დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია. დაქტილოსკოპიურ რეგისტრაციაში ტარდება დაკავებული ეჭვმიტანილი, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული; პირი, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა; მსჯავრდებული, თუ მას სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირი, თუ მის მიმართ დაწესებულია პოლიციის ადმინისტრაციული ზედამხედველობა. დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის მიზანია დავადგინოთ პირის ადრე პასუხისგებაში მიცემის ფაქტი და, საჭიროების შემთხვევაში, მოვახდინოთ თითის ანაბეჭდების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაცია (გვარის გამოცვლის შემთხვევაში), ან როდესაც დაკავებული პიროვნება თავის შესახებ არასწორ მონაცემებს ატყობინებს გამოძიების ორგანოებს.

დაქტილოსკოპიური რეგისტრაციისათვის არსებობს სპეციალურად შემუშავებული სტანდარტული ბარათი, რომელსაც დაქტილობარათი ეწოდება. მის პირველ გვერდზე აღინიშნება პიროვნების გვარი, სახელი, მამის სახელი და სხვა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები. მარჯვენა ზემო კუთხეში გამოყოფილია ადგილი დაქტილოსკოპიური ფორმულისათვის. პირველ გვერდზე მოთავსებულია ხუთი უჯრედი მარჯვენა ხელის თითების ანაბეჭდებისათვის, შემდგომ ქვემოთ ხუთი უჯრედი მარცხენა ხელის თითების ანაბეჭდებისათვის, შემდეგ კი გამოსახულია ადგილი მარჯვენა და მარცხენა ხელის თითების საკონტროლო ანაბეჭდებისათვის.

დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია გულისხმობს თითის ანაბეჭდების საფუძველზე ძირითადი და დამატებითი ფორმულების გამოყვანას, რომელთა დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ სარეგისტრაციო კარტოთეკაში დაქტილობარათები დალაგდეს გარკვეული სისტემის მიხედვით. დაქტილოსკოპიური ფორმულის შედგენის წესი და კლასიფიკაცია თავდაპირველად შემუშავებული იყო კრიმინალისტების გალტონის (ძირითადი ფორმულა) და როშერის (დამატებითი ფორმულა) მიერ.

დაქტილოსკოპიურ რეგისტრაციისათვის და დაქტილოსკოპიური ფორმულის გამოყვანისათვის უპირველესად საჭიროა, რომ რეგისტრაციაში გასატარებელი პიროვნების თითის ანაბეჭდები გადატანილი იქნას დაქტილობარათის შესაბამის უჯრედებში. ამისათვის კი საჭიროა, რომ: სტამბის საღებავი ლილვაკის მეშვეობით განთხეული იყოს ლითონის ან მინის ფირფიტის გლუვ ზედაპირზე თანაბრად. დაქტილობარათი უნდა გადაიკეცოს ისე, რომ მარჯვენა ხელის თითებისათვის გამოყოფილი უჯრედები იყოს მაგიდის განაპირა ნაწილზე. პირი სუფთა თითებით (ზოგ შემთხვევაში ამ მიზნით საჭიროა ხელების დაბანვა) უნდა შეეხოს სასტამბო საღებავს შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ მარჯვენა ხელის ცერა (დიდი) თითით, შემდგომ საჩვენებელი თითით და ა.შ. საღებავით დაფარული თითით პირი უნდა შეეხოს დაქტილობარათის შესაბამის უჯრედს (მაგალითად, მარჯვენა ხელის დიდი თითით დაქტილობარათზე ამ თითისათვის გამოყოფილ უჯრედს). თითის ბალიში.ოდნავ დაწოლით უნდა გადაბრუნდეს მარცხნიდან მარჯვნივ. როდესაც დამთავრდება მარჯვენა ხელის თითების ანაბეჭდების გადატანა დაქტილობარათის შესაბამის უჯრედებში, დაქტილობარათს კვლავ გადაკეცავენ იმგვარად, რომ მარცხენა ხელის თითებისათვის გამოყოფილი უჯრედები მოთავსდეს მაგიდის განაპირა ნაწილზე. შემოთ მოყვანილი წესების დაცვის საფუძველზე აიღებენ მარცხენა ხელის თითების ანაბეჭდებსაც.

დაქტილობარათზე გამოსახულია უჯრედები მარჯვენა ხელის თითებისა და მარცხენა ხელის თითების საკონტროლო ანაბეჭდებისათვის, რომელიც ივსება შემოთალნიშნული წესების დაცვით, მაგრამ არა თითების გადაბრუნების, არამედ თითების ერთჯერადი შეხების საფუძველზე. საკონტროლო ანაბეჭდების დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ თუ თითის ანაბეჭდის რაიმე ნიშანი არ იქნა ასახული სათანადო ცალკეული თითებისათვის გამოყოფილ უჯრედში, მას შეადარებენ ამავე თითის საკონტროლო ანაბეჭდს.

დაქტილობარათს ხელს აწერს მისი შემდგენი პირი (თანამდებობის მითითებით), შედგენის თარიღის აღნიშვნით.

ძირითადი დაქტილოსკოპიური ფორმულა. ამ სახის ფორმულის გამოყვანისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები და პრინციპები: ა) პიროვნების თითებს აქვს შესაბამისი ნომრები: მარჯვენა ხელის ცერა (დიდი) თითი - 1, საჩვენებელი - 2, შუა - 3, უსახელო - 4, ნეკა - 5; მარცხენა ხელის დიდი თითი - 6, საჩვენებელი - 7, შუა - 8, უსახელო - 9 და ნეკა თითი - 10; ბ) თითი იყოფა ხუთ წყვილად: პირველ წყვილს შეადგენს მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითები, მეორეს - შუა და უსახელო თითები, მესამეს - მარჯვენა ხელის ნეკა და მარცხენა ხელის ცერა თითები, მეოთხეს - საჩვენებელი და შუა თითები, ხოლო მეხუთეს უსახელო და ნეკა თითები; გ) ხვეული ქარგები აღინიშნება შემდეგი პირობითი ციფრებით: პირველ წყვილზე - 16, მეორე წყვილზე - 8, მესამეზე - 4, მეოთხეზე - 2 და მეხუთეზე - 1; დ) მარყუჟისებური და რკალური ქარგები ყველა შემთხვევაში და ყველა თითზე აღინიშნება - 0 (ნოლით); ე) წყვილი თითების შედეგები იწერება მრიცხველში, ხოლო კენტი თითების შედეგები კი მნიშვნელში; ვ) მიღებული შედეგები უნდა შეჯამდეს და ყველა შემთხვევაში მრიცხველს დაემატოს - 1 და მნიშვნელსაც - 1. შეჯამებული შედეგი წარმოადგენს ძირითად დაქტილოსკოპიურ ფორმულას.

თუ პიროვნებას ყველა თითზე აქვს რკალისებური და მარყუჟისებური ქარგები, მივიღებთ უმცირეს ფორმულას: $1/1$.

$$\frac{0 + 0 + 0 + 0 + 0}{0 + 0 + 0 + 0 + 0} + \frac{1}{1}$$

მრიცხველსა და მნიშვნელს ყველა შემთხვევაში ემატება - 1 იმისათვის, რომ მინიმალური ფორმულა გამოისახოს არა ნოლებში, არამედ ციფრებში.

თუ პიროვნებას ყველა თითზე აქვს ხვეული ქარგედი მივიღებთ უდიდეს ფორმულას $32/32$.

$$\frac{16 + 8 + 4 + 2 + 1 + 1}{16 + 8 + 4 + 2 + 1 + 1} = \frac{32}{32}$$

დაქტილოსკოპიურ კარტოთეკაში დაქტილობარათების შესანახად შეიძლება იყოს უჯრედების მაქსიმუმი $32 \times 32 = 1024$, ე.ი. 1024 უჯრედი.

მოვიყვანოთ მაგალითი: დაქტილოსკოპიურ რეგისტრაციაში გატარებულ პიროვნებას აქვს თითის ანაბეჭდების შემდეგი მონაცემები: 1-ლ თითზე ხვეული ქარგი, მე-2 თითზე - რკალისებური ქარგი, მესამე თითზე - ხვეული ქარგი, მე-4-ზე - მარყუჟისებური, მე-5-ზე - ხვეული, მე-6-ზე - რკალისებური, მე-7-ზე - ხვეული, მე-8-ზე - მარყუჟისებური, მე-9-ზე - მარყუჟისებური და მე-10 თითზე - ხვეული ქარგი. ამ შემთხვევაში ძირითადი დაქტილოსკოპიური ფორმულა იქნება შემდეგი:

$$\frac{0 + 0 + 0 + 0 + 1 + 1}{16 + 8 + 4 + 2 + 0 + 1} = \frac{2}{31}$$


თუ პიროვნებას არა აქვს ერთი თითი, დგება ორი სავარაუდო ფორმულა. ერთი იმ ანგარიშით, რომ მას თითზე ჰქონდა ხვეული ქარგი, ხოლო მეორე იმ ანგარიშით, რომ მას თითზე ჰქონდა რკალისებური ან მარყუჟისებური ქარგი.

დაქტილოსკოპიური კარტოთეკის თითოეულ უჯრედში მოთავსებული იქნება მხოლოდ ერთნაირი ძირითადი ფორმულის მქონე ბარათები შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ მრიცხველის ზრდის, ხოლო შემდეგ მნიშვნელის ზრდის სიდიდის მიხედვით, ე.ი. პირველ უჯრედში მოთავსდება ყველა დაქტილობარათი, რომლის ძირითად ფორმულას შეადგენს $1/1$, ხოლო ბოლო უჯრედში - $32/32$.

დამატებითი დაქტილოსკოპიური ფორმულა. ამ ფორმულის დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ სარეგისტრაციო კარტოთეკის ცალკეულ უჯრედში მოთავსებული ერთიდაიგივე დაქტილობარათები განლაგდეს გარკვეული თანმიმდევრობით დამატებითი ფორმულის შესაბამისად.

დამატებითი დაქტილოსკოპიური ფორმულის შედგენის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები და პრინციპები: ა) მარჯვენა ხელის თითების ქარგების შედეგები იწერება მრიცხველში, ხოლო მარცხენა ხელის თითების ქარგების შედეგები - მნიშვნელში; ბ) რკალისებური ქარგები აღინიშნება - 1; გ) კრადიალური მრყუჟისებური ქარგები - 2; დ) ულნარული მარყუჟისებური ქარგები აღინიშნება იმისდამიხედვით, თუ რამდენი დერილოვანი ხაზი გადის


ულნარული მარყუჟის ცენტრსა და დელტას შორის (ათვის საწყისი წერტილები მხედველობაში არ მიიღება): თუ დერილოვანი ხაზების რაოდენობა არის 1-დან 9-მდე - აღინიშნება - 3, თუ 10-დან 13-მდე აღინიშნება - 4, თუ 14-დან 16-მდე აღინიშნება - 5, თუ 17 და მეტი აღინიშნება - 6. თუ მარცხენა ხელის ნეკა თითზე არის ულნარული მარყუჟი, პირობითი ციფრის გარდა აღინიშნება დერილოვანი ხაზების რაოდენობა მარყუჟის ცენტრისა და დელტას შორის ხარისხის სახით, მაგალითად, 3⁵ (ციფრი 3 მიუთითებს, რომ დერილოვან ხაზთა რაოდენობა შეიძლება იყოს 1-დან 9-მდე, ხოლო 5 მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში დერილოვან ხაზთა რაოდენობა არის 5. მითითების ასეთი წესი ეხება მხოლოდ ულნარულ მარყუჟს და ისიც მხოლოდ მარჯვენა ხელის ნეკა თითს.



სურ.1 რადიალური მარყუჟის სქემატური გამოსახულება.



სურ.2 რადიალური მარყუჟის სქემატური გამოსახულება



სურ.3 ულნარული მარყუჟის სქემატური გამოსახულება დერილოვან ხაზთა რაოდენობით:

- ა) 1-დან 9-მდე დერილოვანი ხაზი - 3;
- ბ) 10-დან 13-მდე დერილოვანი ხაზი - 4;
- გ) 14-დან 16-მდე დერილოვანი ხაზი - 5;
- დ) 17 და მეტი დერილოვანი ხაზი - 6

ხვეული ქარგების ციფრობრივი მონაცემები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ურთიერთობაშია მარცხენა დელტის დერილოვანი ხაზის გაგრძელება მარჯვენა დელტასთან: თუ მარცხენა დელტის დერილოვანი ხაზის გაგრძელება გადის მარჯვენა დელტის ზემოთ (მათ შორის უნდა იყოს ორი დერილოვანი ხაზზე მეტი). ასეთ შემთხვევაში ქარგი აღინიშნება პირობითი ციფრით - 7. თუ მარცხენა დელტის დერილოვანი ხაზის გაგრძელება უერთდება მარჯვენა დელტას ან მათ შორის არის ორი დერილოვანი ხაზი და ნაკლები, დელტების ასეთი ურთიერთობა აღინიშნება პირობითი ციფრით - 8, ხოლო თუ მარცხენა დელტის დერილოვანი ხაზის გაგრძელება გადის მარჯვენა დელტის ქვემოთ და მათ შორის არის ორი დერილოვანი ხაზზე მეტი, აღინიშნება პირობითი რიცხვით - 9.



სურ.4 ხვეული ქარგების სქემატური გამოსახულება:

- ა) დერილოვანი ხაზის ზემო გამოსახულება - 7,
- ბ) დერილოვანი ხაზის ერთი დონის გამოსახულება - 8,
- გ) დერილოვანი ხაზის ქვემო გამოსახულება - 9.

მოვიყვანოთ მაგალითი. პიროვნებას 1-ლ თითზე აქვს რკალისებური ქარგი, მე-2 თითზე - ულნარული მარყუეი 5 ხაზით, მე-3 თითზე - ხვეული ქარგი დერილოვანი ხაზის ზემო გამოსახულებით, მე-4 თითზე - რადიალური მარყუეი, მე-5 თითზე - ხვეული ქარგი დერილოვანი ხაზის ქვემო გამოსახულებით, მე-6 თითზე - რადიალური მარყუეი, მე-7 თითზე - ულნარული მარყუეი 18 ხაზით, მე-8 თითზე - რკალისებური ქარგი, მე-9 თითზე - რადიალური მარყუეი, მე-10 თითზე - ულნარული მარყუეი 14 ხაზით. ასეთ პირობებში დამატებითი ფორმულა მიიღებს შემდეგ გამოსახულებას:

1 3 7 2 9

2 6 1 2 5

დამატებითი დაქტილოსკოპიური ფორმულის შესაბამისად სარეგისტრაციო კარტოთეკის თითოეულ უჯრედში ბარათების თანმიმდევრობითი განლაგება ხდება უმცირესი ფორმულიდან უდიდეს ფორმულამდე ჯერ მრიცხველის ზრდის, ხოლო შემდეგ მნიშვნელის ზრდის შესაბამისად. მაშასადამე ჯერ იქნება მოთავსებული პიროვნების დაქტილობარათი ფორმულით:

1 1 1 1 1 1 1 1 1 2
-----, შემდეგ ----- და ა.შ.
1 1 1 1 1 1 1 1 1 1

ზემოთ მოყვანილი მაგალითების შესაბამისად ძირითადი და დამატებითი დაქტილოსკოპიური ფორმულები იქნება შემდეგი:

2 1 3 7 2 9
-----, -----
31 2 6 1 2 5

ვინაიდან ძირითადი ფორმულა ატარებს გვარობით და არა ინდივიდუალურ ხასიათს, ძირითადი ფორმულის მიხედვით ერთ უჯრედში შეიძლება მოხვდეს ათეული და ასეული დაქტილობარათი. ამ ბარათების დალაგების თანმიმდევრობას ერთ უჯრედში განსაზღვრავს დამატებითი დაქტილოსკოპიური ფორმულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცებისა და ქალების დაქტილობარათები ინახება ცალ-ცალკე.

ათთითიანი სარეგისტრაციო სისტემის გარდა პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე ხუთთითიანი და ერთთითიანი (მონოდაქტილოსკოპიური) დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია. იმ პირთა მიმართ, ვინც ჩაიდინა მძიმე დანაშაული, ათთითიანი სარეგისტრაციო ბარათის გარდა დგება ცალკე მონოდაქტილოსკოპიური ბარათი თითოეულ თითზე, სადაც მითითებულია პირის ათთითიანი სარეგისტრაციო ბარათის ძირითადი და დამატებითი ფორმულა. ამ სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია თითის კვალი, მას შეადარებენ მონოდაქტილოსკოპიურ ბარათს და დამთხვევის შემთხვევაში ადვილად მოძებნიან ამ პირის ათთითიან სარეგისტრაციო ბარათს. ამავე მიზანს ემსახურება ხუთთითიანი სარეგისტრაციო სისტემა. ხუთთითიანი და ერთთითიანი დაქტილოსკოპიური ბარათების შედგენისას თითის ანაბეჭდების აღწერა იმ წესის შესაბამისად ხდება, რომელიც დადგენილია ათთითიანი

სარეგისტრაციო სისტემისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხუთთითიანი და ერთთითიანი სარეგისტრაციო სისტემა იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში.

რეგისტრაცია პიროვნების გარეგნობის ნიშანთა მიხედვით. კრიმინალისტიკური აღრიცხვა გარეგნობის ნიშანთა მიხედვით გამოიყენება განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების, მიმალვაში მყოფ უცნობ დამნაშავეთა და იმ პირთა მიმართ, ვიზუალურად გამოცხადებულია ძებნა. ამ დროს მზადდება ამოსაცნობი ფოტოსურათი ან მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებების საფუძველზე დგება პიროვნების სიტყვიერი პორტრეტი იმ წესებისა და პირობების დაცვით, რის შესახებაც მითითებული იყო წინა XIV თავში.

ფოტოსურათების გარდა სარეგისტრაციო ბარათში აღინიშნება პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, დემოგრაფიული მონაცემები, გარეგნობის ნიშნები, დაქტილოსკოპიური ფორმულა და სხვა საჭირო მონაცემები. ამ პირთა მიმართ დგება აგრეთვე ფოტოალბომები.

§3. უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა და უცნობი გვამის რეგისტრაცია

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა რეგისტრაცია მიზნად ისახავს ამ პიროვნებათა მოძებნას, ხოლო ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია - პიროვნების დადგენასა და მის ამოცნობას.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სარეგისტრაციო ბარათს ადგენს ის შინაგან საქმეთა ორგანო, რომელსაც მოქალაქემ მიმართა ოჯახის წევრის, ნათესავის ან ახლობლის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. გამოკითხვის შედეგად უნდა დადგინდეს და სარეგისტრაციო ბარათში შეტანილი იქნას უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის შესახებ შემდეგი მონაცემები: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება, თანამდებობა, როდის წავიდა, სად და ვისთან ერთად წავიდა (ვისთან მეგობრობდა ან ვისთან იყო მტრულ განწყობილებაში), ხომ არ ეწეოდა უსაქმურ და პარაზიტულ ცხოვრებას. ბარათში შეიტანება მისი გარეგნობის ნიშნები, ჩაცმულობა. ბარათს უნდა დაერთოს, თუ ამის პრაქტიკული საშუალება არსებობს, უკანასკნელ პერიოდში გადაღებული ფოტოსურათი. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სარეგისტრაციო ბარათი უნდა შედარდეს ანბანურ (სახელობით) სარეგისტრაციო ბარათს (თუ ასეთი არსებობს) იმის დასადგენად, ხომ არ იყო პიროვნება ადრე გატარებული რეგისტრაციაში.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სარეგისტრაციო ბარათში შეიტანება ცნობები განმცხადებელი პირის შესახებ. ბარათს ხელს აწერს მისი შემდგენელი პირი თანამდებობისა და თარიღის აღნიშვნით.

ამოუცნობ გვამთა რეგისტრაციას აწარმოებს გამოძიების ორგანო, რომელიც აღმოაჩენს გვამს. სარეგისტრაციო ბარათში აღინიშნება გვამის აღმოჩენის ადგილი და დრო, სქესი, სიმაღლე და გარეგნობის ნიშნები, რომელთა აღწერა ხდება სიტყვიერი პორტრეტისათვის დადგენილი ტერმინოლოგიის გამოყენებით. აღინიშნება აგრეთვე გვამის მდგომარეობა, მისი განსაკუთრებული ნიშნები, სიკვდილის დრო და მიზეზი (ეს საკითხები უნდა დაადგინოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა), გვამის ჩაცმულობა და ყველა ის საბუთი, ფული, ფასეულობა და საგნები, რაც აღმოჩენილი იყო გვამის დათვალიერების შედეგად. ამოუცნობი გვამის სარეგისტრაციო ბარათს უნდა დაერთოს ამოცნობის წესით დამზადებული გვამის ფოტოსურათი, აგრეთვე ამოუცნობი გვამის თითის ანაბეჭდები. თითის ანაბეჭდების მიღება ხდება ცალ-ცალკე და ისინი გარკვეული თანმიმდევრობით ჩაწებებული უნდა იყოს დაქტილო-ბარათში ან სუფთა თეთრ ქაღალდზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჯერ უნდა იყოს დაწებებული მარჯვენა ხელის თითის ანაბეჭდები, ხოლო შემდეგ მარცხენა ხელის. თითოეულ ანაბეჭდს უნდა ჰქონდეს წარწერა თითის დასახელებით. საჭიროების შემთხვევაში გვამისაგან თითის ანაბეჭდების მისაღებად მოწვეული უნდა იყოს ექიმი-სპეციალისტი.

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის და ამოუცნობი გვამის სარეგისტრაციო ბარათები დარდება ერთმანეთს იმ საკითხის გადასაწყვეტად, ხომ არ არის უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი და გვამი ერთიდაიგივე პიროვნება.

§4. დანაშაულის ჩადენის ხერხისა და კვალთა რეგისტრაცია

დანაშაულის ჩადენის გარკვეული ხერხი, როგორც წესი, გამოუმუშავდებათ იმ პირებს, ვინც არაერთხელ ჩადის დანაშაულს და დანაშაულის გარკვეულ სახეს (ძარცვა, ქურდობა, მკვლელობა და ა.შ.). დანაშაულის ხერხის გამო-მუშავებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ბოროტმოქმედის პროფესიული ჩვევები, შეძენილი სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს.

დანაშაულის ჩადენის ხერხის რეგისტრაციას ის მნიშვნელობა აქვს, რომ შემოფარგლავს და ავიწროებს იმ წრეს, სადაც უნდა ვეძებოთ კონკრეტული დანაშაულის ჩამდენი პირი; ადგენს ანალოგიური ხერხის გამოყენებით გაუხს-

ნელი დანაშაულის ჩადენის ფაქტს და განსაზღვრავს გარკვეული ხერხის გამოყენებით დანაშაულის ჩადენის რეგისტრაციის ფაქტს.

დანაშაულის ჩადენის ხერხის აღწერის მიხედვით სარეგისტრაციო ბარათები დგება ცალკე ცნობილი პირებისათვის, რომლებიც უკვე მსჯავრდებულნი არიან მათთვის დამახასიათებელი ხერხებით დანაშაულის ჩადენისათვის.

სარეგისტრაციო ბარათებში დაწვრილებით აღიწერება დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, კონკრეტული ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ, წინააღობის გადალახვის ხერხის გამოყენების თაობაზე (შემტვრევა, მორგებული გასაღების გამოყენება და ა.შ.).

დანაშაულის ჩადენის ხერხის სარეგისტრაციო ბარათები ინახება სამძებრო სამსახურში, ჯერ დანაშაულის სახის მიხედვით (მკვლელობა, თაღლითობა, ქურდობა), შემდეგ კი ობიექტების მიხედვით (სადგურში, მატარებელში, ბაზარში, ბინაში, საწყობში და ა.შ.).

დანაშაულის ჩადენის კვალთა რეგისტრაცია მიზნად ისახავს დავადგინოთ, ხომ არ იყო ადრე ჩადენილი დანაშაულის დროს აღმოჩენილი ანალოგიური კვალი. ამ სახის რეგისტრაციის შედარებით გავრცელებულ სახეს მიეკუთვნება შემთხვევის ადგილზე თითის ანაბეჭდების (ერთი თითის, ხუთი თითის, ხელის გულის) რეგისტრაცია.

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდის ფოტოგრაფირების შემდეგ ხდება თითის ანაბეჭდის აღწერა: სად, როდის და ვის მიერ იყო აღმოჩენილი, რა საგანზე იყო დატოვებული, რა სახის დანაშაულის ჩადენის დროს იყო აღმოჩენილი, რა სახის და ქვესახის ქარგია გამოსახული და როგორია მისი კერძო ნიშნები. აღმოჩენილი თითის ანაბეჭდების მონაცემები გადააქვთ პერფორატორებზე და ელექტრო-გამოთვლითი მანქანის გამოყენებით სწრაფად შემოწმდება, ხომ არ იყო ადრე აღმოჩენილი ასეთივე თითის კვალი სხვა დანაშაულის ჩადენის დროს.

თითის ანაბეჭდების გარდა რეგისტრაციას ექვემდებარება აგრეთვე სხვა სახის კვალიც, კერძოდ: ფეხის კვალი, ცხოველის კვალი, სატრანსპორტო საშუალებათა კვალი, გატეხის იარაღთა კვალი. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ კვალთა რეგისტრაცია წარმოებს შინაგან საქმეთა ორგანოების კრიმინალისტიკურ დანაყოფებში (სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილება, კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა განყოფილება).

§5. ცეცხლსასროლ იარაღთა და ჭურვის რეგისტრაცია

კრიმინალისტიკურ აღრიცხვას (რეგისტრაციას) ექვემდებარება ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც იყო გატაცებული; ამოღებული შემთხვევის ადგილიდან; პირადი ან ბინის ჩხრეკის დროს; დაკარგული ან ნებაყოფლობით ჩაბარებული შინაგან საქმეთა ორგანოებში. ცეცხლსასროლ იარაღთა გარდა რეგისტრაციაში ტარდება აგრეთვე შემთხვევის ადგილიდან ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად ამოღებული ვაზნები, ტყვიები, მასრები და ფეთქებადი ხელსაწყოები. ცეცხლსასროლ იარაღთა და ჭურვის რეგისტრაცია ყველა შემთხვევაში ხდება გაუხსნელი დანაშაულის ჩადენის დროს.

ცეცხლსასროლ იარაღთა და ჭურვის რეგისტრაცია მიზნად ისახავს დადგენილი იყოს: ხომ არ იყო ადრე რეგისტრაციაში გატარებული იარაღი და ჭურვი გამოყენებული სხვა დანაშაულის ჩადენის დროს; მოიძებნოს გატაცებული ან დაკარგული ცეცხლსასროლი იარაღი და ჭურვი; ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას და მისი ჩამდენი პირების დადგენას.

სარეგისტრაციო ბარათში (კარტოთეკაში) შეიტანება ცეცხლსასროლი იარაღის სახე, სისტემა, ნომერი, გამოშვების წელი და მათი დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები. ასევე დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ვაზნები, ტყვიები და მასრები (სახე, სისტემა, მოდელი, ყალიბრი, რა სახის კვალთა დარჩენილი ტყვიაზე და მასრაზე). საჭიროების შემთხვევაში სარეგისტრაციო ბარათს ერთვის ცეცხლსასროლი იარაღის და ჭურვის ფოტოსურათი იმ თავისებურებათა ილუსტრაციის მიზნით, რაც დამახასიათებელია მოცემული იარაღისათვის.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის შედეგად მასრაზე და ტყვიაზე დარჩენილ კვალთა თავისებურება, საჭიროა რეგისტრაციაში გასატარებელ ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან მოხდეს ექსპერიმენტული გასროლა, რაც ასევე უნდა იყოს აღნიშნული სარეგისტრაციო ბარათში. სარეგისტრაციო ბარათში აგრეთვე აღინიშნება სად, როდის და ვის მიერ იყო აღმოჩენილი, ამოღებული ან მიღებული ცეცხლსასროლი იარაღი და ჭურვი. სარეგისტრაციო ბარათები კარტოთეკაში ინახება გარკვეული სისტემის მიხედვით (იარაღის სახე, სისტემა, თავისებურება და ა.შ.).

რეგისტრაციაში გატარებული ცეცხლსასროლი იარაღი და ჭურვი უნდა შედარდეს არსებული ანალოგიური იარაღის კარტოთეკას იმ მიზნით, რომ დადგინდეს, ხომ არ იყო ისინი ადრე გატარებული რეგისტრაციაში. თუ ადგ-

ილობრივი საინფორმაციო ბანკიდან მიღებული იქნება უარყოფითი პასუხი, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემები იგზავნება ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში საკითხის გასარკვევად.

წნ. გატაცებულ და აღმოჩენილ საგანთა რეგისტრაცია

გატაცებულ და აღმოჩენილ საგანთა კრიმინალისტიკური აღრიცხვა გულისხმობს ისეთი საგნების, ნივთების და ფასეულობათა რეგისტრაციას, რომლებიც გატაცებული იყო დანაშაულის ჩადენის შედეგად ან აღმოჩენილი იყო პირადი ან ბინის ჩხრეკის, ეჭვმიტანილის დაკავების შედეგად. პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, გატაცებულ საგანთა შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოებს მიმართავს თვით დაზარალებული. მეორე შემთხვევაში გატაცებულ საგანთა აღმოჩენა ხდება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შედეგად.

გატაცებულ და აღმოჩენილ საგანთა რეგისტრაცია მიზნად ისახავს მოიძებნოს და დაუბრუნდეს მფლობელს კუთვნილი საგნები და ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას.

სარეგისტრაციო ბარათში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი რეგისტრაციაში გასატარებელი საგანი, ნივთი, ფასეულობა, მისი დასახელება, ზომა, წონა, ფერი, ოდენობა, საფაბრიკო ნიშნები და სხვა გვარობითი ნიშნები. შედარებით დაწვრილებით უნდა აღიწეროს საგანთა ისეთი ინდივიდუალური ნიშნები, რაც მათ განასხვავებს ანალოგიური საგნებისაგან. სარეგისტრაციო ბარათს უნდა დაერთოს გატაცებულ და აღმოჩენილ საგანთა ფოტოსურათი.

სარეგისტრაციო ბარათში აღინიშნება რეგისტრაციაში გატარების საფუძველი (დაზარალებულის განცხადება, ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ნივთები და ა.შ.), მისი შედგენის ადგილი და დრო. გატაცებულ და აღმოჩენილ საგანთა სარეგისტრაციო ბარათები კარტოთეკაში თავსდება გარკვეული სისტემის მიხედვით: ცალ-ცალკე გატაცებული და აღმოჩენილი საგნები, შემდგომ კი გატაცებული საგნები დასახელების მიხედვით.



ს ა რ ჩ ე ვ ი

I ბანყოფილება

კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია

I თავი კრიმინალისტიკის საგანი, სისტემა და ამოცანები	5
§1 კრიმინალისტიკის საგანი და თანამედროვე ამოცანები	5
§2 კრიმინალისტიკის სისტემა	18
§3 კრიმინალისტიკის ადგილი სხვა მომოჯნავე იურიდიულ დისციპლინათა სისტემაში	25
II თავი კრიმინალისტიკის საერთო და სპეციალური მეთოდები	32
III თავი კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია	38
§1 კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის არსი	38
§2 კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის სახეები	42
§3 კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ობიექტები	51
§4 საიდენტიფიკაციო ნიშნების არსი და კლასიფიკაცია	55
§5 კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ზოგადი მეთოდოლოგია	59
IV თავი მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების შესახებ	64
§1 კრიმინალისტიკური ვერსიების ცნება და მნიშვნელობა	64
§2 კრიმინალისტიკური ვერსიების კლასიფიკაცია	68
§3 საგამოძიებო ვერსიების აგება და შემოწმება	70
V თავი საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის გახსნაში	73
§1 დანაშაულის გახსნაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ამოცანები და მნიშვნელობა	73
§2 საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები დანაშაულის გახსნაში	76
VI თავი გამომძიებლის ურთიერთკავშირი ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებთან და სხვა სამსახურებთან დანაშაულის გახსნის პროცესში	82
§1 გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების ურთიერთკავშირის ცნება და პრინციპები	82
§2 გამომძიებლისა და მოკვლევის ორგანოების ურთიერთკავშირი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას	90
§3 გამომძიებლისა და ოპერატიული ორგანოების ურთიერთკავშირი სამძებრო მოქმედებათა შესრულებისას	93
VII თავი კრიმინალისტიკისა და კრიმინალისტიკურ დაწესებულებათა განვითარების ისტორია	96
§1 კრიმინალისტიკის მეცნიერებად აღიარება	96
§2 კრიმინალისტიკა და კრიმინალისტიკური დაწესებულებანი საქართველოში	98
§3 კრიმინალისტიკა და კრიმინალისტიკური დაწესებულებანი რუსეთში (1917-1990 წ.წ.)	106
§4 კრიმინალისტიკა და კრიმინალისტიკური დაწესებულებანი საზღვარგარეთის ქვეყნებში	111

II განყოფილება კრიმინალისტიკური ტექნიკა

VIII თავი კრიმინალისტიკური ტექნიკის საფუძვლები	115
§1 კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება და არსი	115
§2 კრიმინალისტიკური ტექნიკის სამართლებრივი საფუძველი	117
§3 მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრებისა და ამოღების ძირითადი ტექნიკური საშუალებები	119
§4 კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ტექნიკური საშუალებები	124
§5 სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პროცესუალური გაფორმება	129
IX თავი სასამართლო ფოტოგრაფია	133
§1 სასამართლო ფოტოგრაფიის არსი	133
§2 სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის სახეები	135
§3 სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის გამოყენება საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების დროს	140
§4 კინო- და ვიდეოგადაღების საკითხები საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს	145
§5 სასამართლო-კვლევითი ფოტოგრაფია	147
X თავი ტრასოლოგია	152
§1 ტრასოლოგიის ცნება და კვლათა კლასიფიკაცია	152
§2 კვლათა აღმოჩენის, ფიქსირებისა და პროცესუალური გაფორმების ზოგადი წესები	158
§3 ხელის კვალი (დაქტილოსკოპია)	162
§4 ადამიანის ფეხის კვალი	176
§5 კბილის კვალი	184
§6 სატრანსპორტო საშუალებათა კვალი	186
§7 გატეხვის იარაღთა კვალი	191
§8 სხვადასხვა სახის კვალი, როგორც ტრასოლოგიური გამოკვლევის ობიექტი	196
§9 ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საკითხები	200
XI თავი სასამართლო ბალისტიკა	205
§1 სასამართლო ბალისტიკის არსი და ობიექტები	205
§2 ცეცხლსასროლი იარაღების კლასიფიკაცია	211
§3 კვლათა წარმოშობის მექანიზმი	215
§4 შემთხვევის ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის დათვალიერება	221
§5 ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა და მისი ჩატარების მეთოდის ძირითადი საკითხები	225
§6 ფეოქებად ნივთიერებათა გამოკვლევის კრიმინალისტიკური საკითხები	231

XII	თავი ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა	236
§1	ხელნაწერისა და ხელის ცნება კრიმინალისტიკაში	236
§2	ხელნაწერის საიდენტიფიკაციო ნიშნები	246
§3	მასალების მომზადება ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის	252
§4	ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის ზოგადი მეთოდთა	255
XIII	თავი დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა	259
§1	დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევის ცნება და სახეები	259
§2	დოკუმენტებში ცვლილების შეტანის დადგენა	260
§3	საბეჭდო მანქანაზე შესრულებული ტექსტების გამოკვლევა	268
§4	ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდების გაყალბების დადგენა	272
§5	ხელმოწერების ტექნიკური გაყალბების დადგენა	276
§6	დოკუმენტების მასალის დადგენა	279
§7	დოკუმენტების ტექსტისა და შინაარსის აღდგენა	280
§8	დოკუმენტების გაყალბების ნიშნების დადგენა საგამოძიებო დათვალიერების შედეგად	283
XIV	თავი გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია (სიტყვიერი პორტრეტი)	286
§1	გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის ცნება	286
§2	პიროვნების გარეგნობის ნიშანთა კლასიფიკაცია	289
§3	პიროვნების გარეგნობის ნიშანთა შესახებ ინფორმაციის მიღება და მათი გამოყენება საგამოძიებო-ოპერატიულ პრაქტიკაში	295
§4	პორტრეტული ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საკითხები	298
XV	თავი სისხლის სამართლის რეგისტრაცია (კრიმინალისტიკური აღრიცხვა)	301
§1	სისხლის სამართლის რეგისტრაციის (კრიმინალისტიკური აღრიცხვის) არსი და მნიშვნელობა	301
§2	ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, მიმალვაში მყოფ პირთა და მსჯავრდადებულთა რეგისტრაციის სახეები	303
§3	უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა და უცნობი გვამის რეგისტრაცია	311
§4	დანაშაულის ჩადენის ხერხისა და კვალთა რეგისტრაცია	312
§5	ცეცხლსასროლ იარაღთა და ჭურვის რეგისტრაცია	314
§6	გატაცებულ და აღმოჩენილ იარაღთა რეგისტრაცია	315